

ავტორის სტილი დაცულია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა



ნინო სუმბაძე

ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებისა და ინტერესთა ჯგუფების
მიზანთა წინააღმდეგობები და მათი დაძლევის გზები

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
სადისერტაციო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ გველესიანი

თბილისი
2026

აბსტრაქტი

თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკა ხასიათდება მზარდი სირთულეებით და მრავალმხრივი ინტერესების ურთიერთდაპირისპირებით. გლობალიზაციის, ტექნოლოგიური პროგრესის, დემოგრაფიული ცვლილებებისა და სოციალური უთანასწორობის გაღრმავების პირობებში სახელმწიფოს წინაშე დგას ამოცანა, ერთდროულად უზრუნველყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა, მდგრადი ეკონომიკური ზრდა და სოციალური სამართლიანობა. ამ პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლობა და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებს შორის ურთიერთქმედება, რომლის შედეგადაც ფორმირდება ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რეგულაციები და ინსტიტუციური ჩარჩოები.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლობისა და ინტერესთა ჯგუფების მიზანთა წინააღმდეგობების გამოვლენა და მისი დაძლევის გზების განსაზღვრა.

აღნიშნული მიზნის მიღწევა მოითხოვს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას :

- ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლობისა და ინტერესთა ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულების გაანალიზება გადაწყვეტილების მიღების პროცესში
- ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლობა და ინტერესთა ჯგუფებს შორის სოციალური პარტნიორობის შესაძლებლობების გამოვლენა
- ეკონომიკურ პოლიტიკაში სოციალური პარტნიორობის ევროპული გამოცდილების (გერმანული და შვედური მოდელის) შედეგების ანალიზი
- საქართველოში სოციალური პარტნიორობის ინსტიტუციური ჩარჩო პირობების და მისი პრაქტიკული შედეგების შეფასება.
- სოციალური პარტნიორობის ევროპული გამოცდილების გათვალისწინება საქართველოს რეალობაში და მისი განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა.

კვლევის ფარგლებში გამოვლენილია შემდეგი სიახლეები :

- საქართველოს მაგალითზე პირველად განხორციელდა ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელ სუბიექტებსა და ინტერესთა ჯგუფებს შორის არსებული მიზნობრივი წინააღმდეგობების სისტემური და

ინტერდისციპლინარული ანალიზი სოციალური დიალოგისა და ტრიპარტიზმის ინსტიტუციური მექანიზმების ჭრილში.

- ჩამოყალიბებულია ტრიპარტიზმის ფუნქციონირების ინტეგრირებული ანალიტიკური ჩარჩო.
- ავტორის მიერ ჩატარებულია რაოდენობრივი კვლევა სოციალური პარტნიორობის გამოცდილებისა და მისი ეფექტიანობის შეფასების მიზნით, რომელიც ეფუძნება ქართული საზოგადოების წარმომადგენელთა დამოკიდებულებების, აღქმებისა და მოლოდინების ანალიზს.
- ავტორი ახდენს საქართველოს ეროვნული სამმხრივი სოციალური დიალოგის ინსტიტუციური ეფექტიანობის კრიტიკულ შეფასებას არა მხოლოდ ინსტიტუციურ-ნორმატიული ჩარჩოს, არამედ საზოგადოებრივი აღქმის ჭრილშიც.
- კვლევაში ასახულია ევროინტეგრაციის პროცესისა და ევროკავშირის ასოცირების ვალდებულებების გავლენა სოციალური პარტნიორობის განვითარებაზე საქართველოში .
- შემუშავებულია პრაქტიკული რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია სოციალური პარტნიორობის ინსტიტუტების რეფორმირებისკენ.

ნაშრომის წინაშე დასახული მიზნისა და ამოცანების მისაღწევად გამოყენებულია კვლევის სხვადასხვა მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები, როგორიცაა: რაოდენობრივი კვლევა, სტატისტიკური ანალიზის, ისტორიულის, ინდუქციის, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

ნაშრომის სტრუქტურა შედგება შესავლისგან, სამი თავისგან , ცხრა ქვეთავისგან, დასკვნა და რეკომენდაციებისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

პირველ თავში გაანალიზებულია ეკონომიკური პოლიტიკის არსი, მიზნები და განხორციელების მექანიზმები თანამედროვე ეკონომიკურ გარემო პირობებში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გლობალიზაციის, ტექნოლოგიური პროგრესის, შრომითი ბაზრების ტრანსფორმაციისა და სოციალური უთანასწორობის ზრდის გავლენას ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

მეორე თავი ეთმობა სოციალური პარტნიორობის ევროპული გამოცდილების სიღრმისეულ ანალიზს. განხილულია ევროკავშირის დონეზე სოციალური პარტნიორობა. წარმოდგენილია დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის სოციალური პარტნიორობის მოდელების შედარებითი ანალიზი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გერმანული და შვედური მოდელების ანალიზს.

ნაშრომში გაანალიზებულია სოციალური დიალოგისა და ტრიპარტიზმის მოდელების ევოლუცია და პრაქტიკული ფუნქციონირება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით შვედეთსა და გერმანიაში, და მათი შესაბამისობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ რეალობასთან.

მესამე თავში გაანალიზებულია სოციალური პარტნიორობის განვითარების არსებული მდგომარეობა საქართველოში. კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა საქართველოს შემთხვევაში ტრიპარტიზმის ინსტიტუციურ სისტემებს, სახელმწიფო პოლიტიკის ფრაგმენტულობასა და სოციალური პარტნიორობის არასაკმარის ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებთან ერთად ასევე გაანალიზებულია თუ როგორია სოციალური პარტნიორობის გამოცდილება და შეფასება ქართული საზოგადოების (განსხვავებული სოციალური და პროფესიული ჯგუფების) მიერ. არსებული დამოკიდებულების გამოსავლენად ავტორის მიერ ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა.

ნაშრომის **თეორიული** გამოყენება შესაძლებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო კურსებში (როგორცაა ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია) და სტუდენტებისათვის დამატებით ლიტერატურის მასალად.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა : სადისერტაციო ნაშრომის შედეგები და დასკვნები შეიძლება გამოიყენონ სახელმწიფო უწყებებმა სოციალური პარტნიორობის მხარდამჭერი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას და გატარებისას.

საკვანძო სიტყვები:

სოციალური დიალოგი; ტრიპარტიზმი; სოციალური პარტნიორობა; შრომითი ურთიერთობები; ინტერესთა ჯგუფები; პოლიტიკური ეკონომია; შრომის ბაზრის ინსტიტუტები; დემოკრატიული მმართველობა; ევროინტეგრაცია; საქართველო

Abstract

Modern economic policy is characterized by increasing complexity and the confrontation of diverse and often conflicting interests. Under conditions of globalization, technological progress, demographic change, and the deepening of social inequality, the state faces the challenge of simultaneously ensuring macroeconomic stability, sustainable economic growth, and social justice. In this process, the interaction between economic policy-makers and various interest groups acquires particular importance, as it is through this interaction that economic and political decisions, regulations, and institutional frameworks are formed.

The **aim of the dissertation** is to identify the contradictions between the objectives of economic policy makers and interest groups and to determine ways to overcome them.

Achieving this aim requires solving the following **tasks**:

- To analyze the interdependence between economic policy makers and interest groups in the decision-making process;
- To identify the potential for social partnership between economic policy makers and interest groups;
- To analyze the outcomes of European experience in social partnership within economic policy (with particular emphasis on the German and Swedish models);
- To assess the institutional framework and practical outcomes of social partnership in Georgia;
- To adapt European experience in social partnership to the Georgian context and to identify prospects for its further development.

Within the framework of the research, the following **novelties** have been identified:

- For the first time in the Georgian context, a systemic and interdisciplinary analysis of goal-oriented contradictions between economic policy-making actors and interest groups has been conducted, focusing on the institutional mechanisms of social dialogue and tripartism;
- An integrated analytical framework for the functioning of tripartism has been developed;

- The author has conducted a quantitative study aimed at assessing the experience and effectiveness of social partnership, based on an analysis of the attitudes, perceptions, and expectations of representatives of Georgian society;
- A critical assessment of the institutional effectiveness of Georgia's National Tripartite Social Dialogue has been carried out, considering not only the institutional and normative framework but also public perception;
- The study reflects the impact of the European integration process and the obligations arising from the EU–Georgia Association Agreement on the development of social partnership in Georgia;
- Practical recommendations aimed at reforming social partnership institutions have been developed.

To achieve the objectives and tasks of the dissertation, various **methodological tools** were employed, including quantitative research, statistical analysis, and historical, inductive, deductive, analytical, and synthetic methods.

The **structure of the dissertation** consists of an introduction, three chapters, nine subsections, conclusions and recommendations, and a list of references.

The **first chapter** analyzes the essence, objectives, and implementation mechanisms of economic policy in the contemporary economic environment. Particular attention is paid to the impact of globalization, technological progress, labor market transformation, and growing social inequality on economic policy.

The **second chapter** is devoted to an in-depth analysis of European experience in social partnership. Social partnership at the European Union level is examined, along with a comparative analysis of social partnership models in Western and Eastern Europe. Particular emphasis is placed on the German and Swedish models.

The dissertation also analyzes the evolution and practical functioning of social dialogue and tripartism models in Western European countries—especially Sweden and Germany—and assesses their relevance to Georgia's socio-economic reality.

The **third chapter** examines the current state of social partnership development in Georgia. A significant part of the research focuses on the institutional weaknesses of tripartism in the Georgian context, the fragmentation of state policy, and the insufficient involvement of

social partners in the decision-making process. Alongside studies conducted by local and international organizations, the research also analyzes how social partnership is experienced and evaluated by Georgian society, including representatives of different social and professional groups. To identify prevailing attitudes, the author conducted a quantitative survey.

The **theoretical value** of the dissertation lies in its applicability to higher education courses (such as economic policy and economic diplomacy) and as supplementary literature for students.

The **practical significance** of the research is that the findings and conclusions of the dissertation may be used by state institutions in the formulation and implementation of economic policies that support social partnership.

Keywords:

Social Dialogue; Tripartism; Social Partnership; Labour Relations; Interest Groups; Political Economy; Labour Market Institutions; Democratic Governance; European Integration; Georgia

შინაარსი

შესავალი.....	13
თავი I. ეკონომიკური პოლიტიკა თანამედროვე გამოწვევების წინაშე.....	21
1.1. ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგია და მისი გამტარებლები	21
1.2. ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებისა და ინტერესთა ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.....	34
1.3. ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებსა და ინტერესთა ჯგუფებს შორის სოციალური პარტნიორობის შესაძლებლობა.....	54
თავი II. ეკონომიკურ პოლიტიკაში სოციალური პარტნიორობის ევროპული გამოცდილების ანალიზი	64
2.1. სოციალური პარტნიორობის ევროპული მოდელები და მათთვის დამახასიათებელი თავისებურებები	64
2.2 სოციალური პარტნიორობის გერმანული მოდელი.....	86
2.3. სოციალური პარტნიორობის შვედური მოდელი	91
თავი III. სოციალური პარტნიორობა საქართველოში და მისი განვითარების პერსპექტივები.....	98
3.1. სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ინტერესთა ჯგუფების ურთიერთქმედების პრაქტიკა	98
საქართველოში ეროვნული წარმომადგენლობის 2025 წლის პრესრელიზში მოცემულია ეროვნული და საქართველოს ასოცირების პროცესი და საქართველოს ეროვნულში ინტეგრაციის დინამიკა:	107
3.2. სოციალური პარტნიორობის ინსტიტუციური ჩარჩო პირობები და	114
მისი პრაქტიკული შედეგები საქართველოში	114
3.3. სოციალური პარტნიორობის ევროპული გამოცდილების გათვალისწინება საქართველოს რეალობაში.....	129
დასკვნები და რეკომენდაციები	163
გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები	168
დანართი#.....	178

ცხრილები

ცხრილი 1. ინტერესთა ჯგუფების ჩამოყალიბების მოძრაობები ამერიკის შეერთებულ შტატებში.....	45
ცხრილი 2 . დამცველი (protective) ჯგუფები და ხელშემწყობი (promotional) ჯგუფები.....	48
ცხრილი 3. ინტერესთა კონსტალაცია სოციალურ პარტნიორობის მოლაპარაკებებში.....	58
ცხრილი 4. სოციალური პარტნიორობის ტიპების ურთიერთქმედება.....	59
ცხრილი 5: კორპორაციული და პლურალისტური ინტერესების წარმომადგენლობა.....	63
ცხრილი 6 : ნაციონალური სამხრივი საბჭოების სტრუქტურა და ლეგალური ბაზა ცენტრალურ და ადმოსავლეთ ევროპაში.....	73
ცხრილი 3.3.7: კვლევის კროსტაბულაციური.....	140
ცხრილი 3.3.8 : ხი-კვადრატის ტესტი	151
ცხრილი 3.3.9. კროსტაბულაციური ცხრილი.....	152
ცხრილი 3.3.10. ხი-კვადრატის ტესტი.....	153
ცხრილი 3.3.11. კვლევის კროსტაბულაციური ცხრილი.....	154
ცხრილი 3.3.12. კვლევის ხი-კვადრატის ტესტი.....	155
ცხრილი 3.3.13. კვლევის კროსტაბულაციური ცხრილი.....	156
ცხრილი 3.3.14. კვლევის ხი-კვადრატის ტესტი.....	157
ცხრილი 3.3.15. კვლევის კროსტაბულაციური ცხრილი.....	159
ცხრილი 3.3.16. კვლევის ხი-კვადრატის ტესტი.....	150
ცხრილი 3.3.17. კვლევის კროსტაბულაციური ცხრილი.....	152
ცხრილი 3.3.18. კვლევის კროსტაბულაციური ტესტი.....	153
ცხრილი 3.3.19. კვლევის კროსტაბულაციური ცხრილი.....	155
ცხრილი 3.3.20. კვლევის კროსტაბულაციური ტესტი.....	156

გრაფიკები

გრაფიკი 3.1.1. ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსი.....	99
გრაფიკი 3.1.2. დასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკური სექტორების მიხედვით.....	100
გრაფიკი 3.1.3. საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპი, პროცენტი.....	101
გრაფიკი 3.1.4. დემოკრატიის ინდექსი.....	102
გრაფიკი 3.1.5 კორუფციის აღქმის ინდექსი.....	104.

დიაგრამები

დიაგრამა 3.1.1. სოციალური პარტნიორობა-----	120
დიაგრამა 3.1.2 პანდემიის პერიოდში დასაქმებულთა შრომითი უფლებების დარღვევების ტიპები და სტატისტიკური განაწილება-----	126
დიაგრამა 3.1.3 . რესპონდენტთა ასაკობრივი განაწილება.....	134
დიაგრამა 3.1.4. რესპონდენტთა მიერ დასრულებული განათლების საფეხური	135.
დიაგრამა 3.1.5. რესპოდენტთა განაწილება რეგიონის მიხედვით განაწილება.....	136
დიაგრამა 3.3.6 რესპოდენტთა განაწილება დასაქმების/სწავლის მიხედვით.....	137
დიაგრამა 3.3.7. რესპოდენტთა განაწილება შემოსავლის მიხედვით.....	138
დიაგრამა 3.3.8. რესპოდენტთა განაწილება შემოსავლის მიხედვით.....	139

აბრევიატურის ჩამონათვალი

საქსტატი-საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მსპ-მთლიანი სამამულო პროდუქტი

AA (Association Agreement)-ასოცირების შესახებ შეთანხმება .

AmCham (American Chamber of Commerce in Georgia)- ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში

CELSI (Central European Labour Studies Institute)- ცენტრალური ევროპის შრომის კვლევების ინსტიტუტი

DCFTA (Deep and Comprehensive Free Trade Area) - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებასთან

EMC (Human Rights Education and Monitoring Center) ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMDEs (Emerging Market and Developing Economies)- განვითარებადი ბაზრები და განვითარებადი ეკონომიკები

EMS (European Monetary System)-ევროპული მონეტარული სისტემა

FCS (Fragile and conflict-affected situations)- მოწყვლადი და კონფლიქტი დაზარალებული ქვეყნები

EaP (Eastern Partnership)-აღმოსავლეთ პარტნიორობა

EBRD(European Bank for Reconstruction and Development)- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

ENP (European Neighbourhood Policy) -ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისა

ETUC(European Trade Union Confederation)- ევროპის პროფკავშირების კონფედერაცია

FDI(Foreign Direct Investment) -უცხოური პირდაპირი ინვესტიციები

GEA(Georgian Employers Association)-საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია

GTUC(Georgian Trade Unions Confederation)-საქართველოს პროფკავშირების კონფედერაცია

ILO(International Labour Organization) -შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია

IMF (International Monetary Fund)-საერთაშორისო სავალუტო ფონდი

IOE (International Organisation of Employers)- დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაცია

MFA (Ministry of Foreign affairs of Georgia) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
OECD (Organisation for Economic Co-operation and Development) - ეკონომიკური
თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

PMCG (Policy and Management Consulting Group)- პოლიტიკისა და მენეჯმენტის
საკონსულტაციო ჯგუფი

შესავალი

თემის აქტუალურობა. თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკა ხასიათდება მზარდი სირთულეებით და მრავალმხრივი ინტერესების ურთიერთდაპირისპირებით. გლობალიზაციის, ტექნოლოგიური პროგრესის, დემოგრაფიული ცვლილებებისა და სოციალური უთანასწორობის გაღრმავების პირობებში სახელმწიფოს წინაშე დგას ამოცანა, ერთდროულად უზრუნველყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა, მდგრადი ეკონომიკური ზრდა და სოციალური სამართლიანობა. ამ პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლობა და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებს შორის ურთიერთქმედება, რომლის შედეგადაც ფორმირდება ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რეგულაციები და ინსტიტუციური ჩარჩოები.

ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება არასოდეს მიმდინარეობს ნეიტრალურ გარემოში. სახელმწიფოს გადაწყვეტილებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინტერესთა ჯგუფები — ბიზნესასოციაციები, პროფკავშირები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა სოციალური აქტორები, რომლებიც ცდილობენ საკუთარი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დაცვასა და გაფართოებას. აღნიშნული ურთიერთქმედება ხშირად წარმოშობს მიზანთა წინააღმდეგობებს.

ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე თეორიები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ინტერესთა ჯგუფების როლს პოლიტიკის ფორმირების პროცესში. საჯარო არჩევანის თეორია, ინსტიტუციონალური ეკონომიკა და თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკა გვთავაზობს ანალიტიკურ ჩარჩოებს, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია შეფასდეს, თუ როგორ ახდენენ ორგანიზებული ინტერესები გავლენას ბიუჯეტურ, ფისკალურ, შრომით და სოციალურ პოლიტიკაზე. ამავე დროს, აღნიშნული თეორიები მიუთითებს იმ რისკებზე, რომლებიც დაკავშირებულია შემოსავლის მაძიებელ (rent-seeker) ქცევასთან და რეგულაციური დაჭერის (regulatory capture) საფრთხესთან და პოლიტიკის ეფექტიანობის შემცირებასთან.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ ინტერესთა ჯგუფებსა და სახელმწიფოს შორის არსებული წინააღმდეგობების დაძლევის ერთ-

ერთ ეფექტიან მექანიზმს წარმოადგენს სოციალური პარტნიორობა და ინსტიტუციონალიზებული სოციალური დიალოგი. ისეთი ქვეყნები, როგორიცაა შვედეთი და გერმანია, ისტორიულად გამოირჩევიან სახელმწიფოს, დამსაქმებელთა ორგანიზაციებისა და პროფკავშირების თანამშრომლობის მყარი ტრადიციებით. სამმხრივი მოლაპარაკებების, კოლექტიური ხელშეკრულებებისა და კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების გზით მათ შეძლეს ეკონომიკური კონკურენტუნარიანობისა და სოციალური დაცვის სისტემების პარალელური განვითარება.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ ინტერესთა ჯგუფებსა და სახელმწიფოს შორის არსებული წინააღმდეგობების დამლევს ერთ-ერთ ეფექტიან მექანიზმს წარმოადგენს სოციალური პარტნიორობა და ინსტიტუციონალიზებული სოციალური დიალოგი. ისეთი ქვეყნები, როგორიცაა შვედეთი და გერმანია, ისტორიულად გამოირჩევიან სახელმწიფოს, დამსაქმებელთა ორგანიზაციებისა და პროფკავშირების თანამშრომლობის მყარი ტრადიციებით. სამმხრივი მოლაპარაკებების, კოლექტიური ხელშეკრულებებისა და კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების გზით მათ შეძლეს ეკონომიკური კონკურენტუნარიანობისა და სოციალური დაცვის სისტემების პარალელური განვითარება.

საქართველოსთვის აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს გარდამავალი ეკონომიკის პირობებში. დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდში ქვეყანამ განიცადა ინსტიტუციური ტრანსფორმაცია, ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები და ბაზარზე ორიენტირებული პოლიტიკის დანერგვა. თუმცა, ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, კვლავ აქტუალურია შრომითი უფლებების, სოციალური დაცვის, ინტერესთა ჯგუფების მონაწილეობისა და სოციალური დიალოგის ინსტიტუციური სისუსტის პრობლემა. ხშირად ფიქსირდება სახელმწიფოსა და სოციალურ პარტნიორებს შორის კომუნიკაციის დეფიციტი, რაც აფერხებს გრძელვადიანი, ინკლუზიური ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებას.

საქართველოს აკადემიურ სივრცეში სოციალური დიალოგისა და ტრიპარტიზმის საკითხები განხილულია ფრაგმენტულად და ძირითადად ნორმატიულ ან აღწერით დონეზე. არსებული კვლევები ხშირად ფოკუსირდება

შრომითი კანონმდებლობის რეფორმებზე, შრომის ბაზრის ინსტიტუციურ მოწყობაზე ან ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულების ტექნიკურ ასპექტებზე, ხოლო ნაკლებად შეისწავლის ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელთა და ინტერესთა ჯგუფების მიზნობრივ წინააღმდეგობებს სისტემურ და ანალიტიკურ კრილში. განსაკუთრებით შეზღუდულია ემპირიული კვლევები, რომლებიც ასახავს სოციალური პარტნიორობის პრაქტიკულ აღქმასა და ეფექტიანობის შეფასებას საზოგადოების მხრიდან.

ამრიგად, მიუხედავად საერთაშორისო ლიტერატურის სიმდიდრისა, საქართველოს კონტექსტში პრობლემის სამეცნიერო დამუშავება არასაკმარისია და მოითხოვს ინტეგრირებულ, თეორიულად გამყარებულ და ემპირიულ მონაცემებზე დაფუძნებულ კვლევას. წინამდებარე დისერტაცია სწორედ ამ აკადემიური ვაკუუმის შევსებას ისახავს მიზნად, სოციალური დიალოგისა და ტრიპარტიზმის* ანალიზით როგორც ეკონომიკური პოლიტიკის შედეგიანობის განმსაზღვრელი ინსტიტუციური მექანიზმების.

ნაშრომის მიზანი და ამოცანები. ნაშრომის მიზანია ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებისა და ინტერესთა ჯგუფების მიზანთა წინააღმდეგობების გამოვლენა და მისი დამღევის გზების განსაზღვრა.

აღნიშნული მიზნის მიღწევა მოითხოვს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას :

- ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებისა და ინტერესთა ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულების გაანალიზება გადაწყვეტილების მიღების პროცესში
- ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებსა და ინტერესთა ჯგუფებს შორის სოციალური პარტნიორობის შესაძლებლობების გამოვლენა
- ეკონომიკურ პოლიტიკაში სოციალური პარტნიორობის ევროპული გამოცდილების (გერმანული და შვედური მოდელის) შედეგების ანალიზი.
- საქართველოში სოციალური პარტნიორობის ინსტიტუციური ჩარჩო პირობების და მისი პრაქტიკული შედეგების შეფასება.

**მთავრობის, პროფკავშირისა და დამსაქმებელთა ასოციაციის სრული ჩართულობა მოლაპარაკებებში.*

- სოციალური პარტნიორობის ევროპული გამოცდილების გათვალისწინება საქართველოს რეალობაში და მისი განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა.

კვლევის ობიექტი და საგანი. კვლევის ობიექტს წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებისა და ინტერესთა ჯგუფების მიზანთა წინააღმდეგობები, ხოლო კვლევის საგანია მათ შორის სოციალური პარტნიორობის მიღწევა როგორც წინააღმდეგობების დაძლევის მთავარი მიმართულება.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. ნაშრომის წინაშე დასახული მიზნისა და ამოცანების მისაღწევად გამოყენებულია კვლევის სხვადასხვა მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები, როგორიცაა: რაოდენობრივი კვლევა, სტატისტიკური ანალიზის, ისტორიულის, ინდუქციის, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

ნაშრომში გაანალიზებულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები და მოწინავე სამეცნიერო კვლევები, მათ შორის მეცნიერთა მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები სოციალური პარტნიორობის მხარდამჭერი პოლიტიკის გატარების მიმართულებით.

ისტორიულ მეთოდზე დაყრდნობით გაანალიზებულია დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის სოციალური პარტნიორობის მოდელების შედარებითი ანალიზი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გერმანული და შვედური მოდელების ანალიზს. განხილულია მათ მიერ განხორციელებული რეფორმები და გატარებული პროგრამები, აგრეთვე მიღებული კანონები და ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები.

ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებთან ერთად ასევე მნიშვნელოვანია გავანალიზოთ თუ როგორია სოციალური პარტნიორობის გამოცდილება და შეფასება ქართული საზოგადოების (განსხვავებული სოციალური და პროფესიული ჯგუფები) მიერ. არსებული დამოკიდებულების გამოსავლენად ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა. იმისათვის, რომ შერჩევის ერთობლიობა დიდი ყოფილიყო, კვლევაში მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებს და ობიექტური პასუხების მისაღებად დაცული ყოფილიყო რესპონდენტთა ანონიმურობა, ჩატარდა ონლაინ ანკეტით გამოკითხვა სოციალური ქსელების მეშვეობით. კვლევა მიმდინარეობდა ოთხი თვის განმავლობაში 2026 წლის

ივნისიდან 1 ოქტომბრამდე კითხვარი გაეგზავნა ათასზე მეტ ადამიანს. შევსებული ანკეტა მიღებული იქნა 350 რესპონდენტისგან. მიღებული შედეგები დამუშავდა კომპიუტერული პროგრამით IBM SPSS Statistics. აღნიშნული პროგრამით ჩატარდა კროსტაბულაციური ანალიზი და Chi-Square ტესტი ცვლადებს შორის კავშირის დონის დასადგენად. კვლევის პირველ ეტაპზე შემუშავდა 5 ჰიპოთეზა შემდეგში გადამოწმების მიზნით.

თეორიული კვლევისას გამოყენებულია ქართველ და უცხოელ მეცნიერ-მკვლევართა მონოგრაფიები და სამეცნიერო სტატიები. მათ შორის წარმოდგენილია მეცნიერთა შემდეგი ნაშრომები: ვლადიმერ პაპავა („მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის შესაძლო ცვლილებები გლობალიზაციის ტრანსფორმაციის პირობებში და „შუა დერეფანი“ (2024)) , იური ანანიაშვილი („ბაზრის მოდელის შეფასება შეზღუდული ინფორმაციის პირობებში“, (2022)); ელგუჯა მექვაბიშვილი („გლობალიზაციის მეტამორფოზები: პოლიტეკონომიური ასპექტი“ (2023)); რევაზ გველესიანი და ირინა გოგორიშვილი („რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის შეზღუდულობა COVID-19 პანდემიის პირობებში“, (2019)); „გადაწყვეტილებების მიღების ტექნოლოგია ეკონომიკურ პოლიტიკაში“, (2018); „ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პრობლემები და მათი დაძლევის შესაძლებლობები“ (2015)); რევაზ გველესიანი („ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა: წინააღმდეგობა სოციალურ და კონკურენციულ წესრიგს შორის “ (2008); „ ეკონომიკური პოლიტიკის თეორია - მეცნიერული ეკონომიკური პოლიტიკა: საგანი, მიზნები და ამოცანები “ , (2007) ; „ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების ოპერაციონალიზება და მათი ურთიერთდამოკიდებულების შეფასება“ (2017)) ; გულნაზი ერქომაიშვილი (“რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა“, 2019);; ელგუჯა მექვაბიშვილი („ გლობალიზაციის მეტამორფოზები: პოლიტეკონომიური ასპექტი“, 2023);; სიმონ გელაშვილი („ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობების გამოყენებისა და გლობალური ტექნოლოგიური პროგრესის ურთიერთკავშირი“, (2018)); რევაზ გველესიანი, ირინა გოგორიშვილი, გულნაზი ერქომაიშვილი, ლეკაშვილი ეკა, გიორგი გაფრინდაშვილი, ლალი ხურცია („ ინდუსტრიული პოლიტიკა ციფრულ სამყაროში “ , 2024); მანკურ ოლსონი (Olson, M., “The Logic of Collective Action: Public Goods and Theory of Groups”, 1965) , „ The Rise and Decline of Nations: Economic Growth,

Stagflation, and social Rigidities. New Haven: Yale University Press“ (1982); დევიდ ოსტი (Ost, D. (2000) “Illusory Corporatism in Eastern Europe: Neoliberal Tripartism and Postcommunist Class Identities”); კლაუს არმინგტონი (Armington, K. (2005). “Problems des Übergangs vom korporatismus zum pluralismus”); სტეფან ბერგერი და ჰიუ კომპსტონი (Berger, S. and Compstons, H. (eds) (2002) *policy Concentration and Social Partnership in Western Europe: Lessons for the 21st Century*); ჯერდა ფალკნერი (Falkner, G. (1998). *EU Social Policies in the 1990s. Towards a corporatist policy community*); სტეისი გორდონი (Gordon, S. (2005) „Campaign Contributions and legislative Voting: A New Approach „); ფილიპ შმიტერი და იურგენ გროტე (Schmitter, P. C. and J. Grote (1997) „Der korporatistische Sysiphus-Vergangenheit, Gegenwart und Zukunft“); როდ ჰაგი და მარტინ ჰაროპი (Hague, R and Harrop, M. (2010) “Comparative Government and Politics “); ანა ჰასელი (Hassel, A. (2009). “Policies and Politics in Social Pacts in Europe”) და სხვა.

ნაშრომში გაანალიზებულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების და სამუშაო ჯგუფების ანგარიშები, როგორიცაა: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), მსოფლიო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ევროკომისია, მსოფლიო შრომის ორგანიზაცია (ILO), ევროპული პროფკავშირების გაერთიანება (ETUC).

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

- საქართველოს მაგალითზე პირველად ხორციელდება ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელ სუბიექტებსა და ინტერესთა ჯგუფებს შორის არსებული მიზნობრივი წინააღმდეგობების სისტემური და ინტერდისციპლინარული ანალიზი სოციალური დიალოგისა და ტრიპარტიზმის ინსტიტუციური მექანიზმების ჭრილში.
- ჩამოყალიბებულია ტრიპარტიზმის ფუნქციონირების ინტეგრირებული ანალიტიკური ჩარჩო, რომელიც აერთიანებს ეკონომიკური ინტერესების, პოლიტიკური ინსტიტუტების და სოციალური პარტნიორობის ურთიერთქმედების ანალიზს გარდამავალი ეკონომიკის პირობებში. კვლევა სცილდება ნორმატიულ-სამართლებრივ მიდგომას და ფოკუსირდება სოციალური დიალოგის რეალურ პრაქტიკაზე, მათ შორის შრომითი

კონფლიქტების, გაფიცვების, მედიაციისა და ეროვნული სამმხრივი კომისიის საქმიანობის ანალიზზე.

- ავტორის მიერ ჩატარებულია რაოდენობრივი კვლევა სოციალური პარტნიორობის გამოცდილებისა და მისი ეფექტიანობის შეფასების მიზნით, რომელიც ეფუძნება ქართული საზოგადოების წარმომადგენელთა დამოკიდებულებების, აღქმებისა და მოლოდინების ანალიზს. აღნიშნულმა კვლევამ შესაძლებელი გახადა სოციალური დიალოგის ინსტიტუტების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ხარისხის, ინფორმირებულობის დონისა და ლეგიტიმაციის პრობლემების იდენტიფიცირება.
- ავტორი ახდენს საქართველოს ეროვნული სამმხრივი სოციალური დიალოგის ინსტიტუციური ეფექტიანობის კრიტიკულ შეფასებას არა მხოლოდ ინსტიტუციურ-ნორმატიული ჩარჩოს, არამედ საზოგადოებრივი აღქმის ჭრილშიც, რაც ავლენს ტრიპარტიზმის არაეფექტიანობის ძირითად სტრუქტურულ მიზეზებს, მათ შორის სახელმწიფოს დომინანტურ როლს, სოციალური პარტნიორების სუსტი წარმომადგენლობითობის პრობლემას, ინტერესთა ჯგუფებს შორის ნდობის დეფიციტს და დემოკრატიული მმართველობის ხარვეზებს.
- კვლევაში ასახულია ევროინტეგრაციის პროცესისა და ევროკავშირის ასოცირების ვალდებულებების გავლენა სოციალური პარტნიორობის განვითარებაზე საქართველოში და დასაბუთებულია, რომ სოციალური დიალოგის ფორმალური ინსტიტუციური იმპლემენტაცია ვერ უზრუნველყოფს მის ფუნქციურ ეფექტიანობას შესაბამისი დემოკრატიული გარემოსა და უფლებრივი გარანტიების გარეშე.
- შემუშავებულია პრაქტიკული რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია სოციალური პარტნიორობის ინსტიტუტების რეფორმირებისკენ, სოციალური პარტნიორების წარმომადგენლობითობისა და ინსტიტუციური მდგრადობის გაძლიერებისკენ და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესში ინტერესთა ჯგუფების რეალური, ჩართულობის უზრუნველყოფისკენ.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომის თეორიული გამოყენება შესაძლებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო კურსებში (როგორცაა ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია) და სტუდენტებისათვის დამატებით ლიტერატურის მასალად.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ კვლევის მეთოდები, მიღებული შედეგები და დასკვნები შეიძლება გამოიყენონ სახელმწიფო უწყებებმა სოციალური პარტნიორობის მხარდამჭერი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას და გატარებისას. ასევე, პროფკავშირებმა და დამსაქმებელთა ასოციაციებმა სოციალური პარტნიორობის არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებისა და სამოქმედო პოლიტიკის დაგეგმვისას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ნდობის გაძლიერების მიმართულებით გატარებული ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ჩართულობის ზრდას, დემოკრატიული პროცესების გაძლიერებას და ეკონომიკური განვითარების მდგრადობას.

ნაშრომის აპრობაცია. ნაშრომის აპრობაცია (განხილვა) შედგა 2026 წლის 14 იანვარს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრაზე (კათედრის სხდომის ოქმი N 1).

თავი I. ეკონომიკური პოლიტიკა თანამედროვე გამოწვევების წინაშე

1.1. ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგია და მისი გამტარებლობა

ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ შემუშავებული და განხორციელებული ღონისძიებების ერთობლიობას, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტაბილურობას, ზრდას და საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაუმჯობესებას. იგი ეფუძნება გარკვეულ სტრატეგიას, რომელიც განსაზღვრავს მის ძირითად მიმართულებებსა და პრიორიტეტებს. სტრატეგია ქმნის ჩარჩოს, სადაც კონკრეტული ტაქტიკური ნაბიჯები თავსდება და უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების სისტემურობასა და თანმიმდევრობას.

ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიის არსებითი ელემენტებია: მიზნების განსაზღვრა, მათი მიღწევის ინსტრუმენტების შერჩევა და მონიტორინგის მექანიზმები. ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიამ უნდა უპასუხოს როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან გამოწვევებს. მოკლევადიან პერსპექტივაში მთავარი მიზანია ეკონომიკური დისბალანსების დაძლევა (ინფლაციის შემცირება, უმუშევრობის შემცირება), ხოლო გრძელვადიანში პრიორიტეტი ენიჭება სტრუქტურულ გარდაქმნებს, ინოვაციური განვითარების ხელშეწყობასა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდას.

ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგია განსაზღვრულია როგორც ინსტიტუციური მექანიზმებისა და ინტერესთა ჯგუფების ურთიერთქმედების შედეგი. პოლიტიკის შემუშავებაში მთავარ როლს ასრულებენ როგორც ფორმალური ინსტიტუტები (სახელმწიფო, პარლამენტი, ცენტრალური ბანკი), ასევე არაფორმალური ინსტიტუტები – ორგანიზებული ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც ახდენენ გავლენას გადაწყვეტილებების მიღებაზე.

ეკონომიკური პოლიტიკა მოიცავს სტრატეგიების ფართო სპექტრს, რომლებსაც სახელმწიფოები იყენებენ ეკონომიკური მაჩვენებლების ოპტიმიზაციის მიზნით. ის მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა:

- ფისკალური პოლიტიკა, რომელიც შეეხება სახელმწიფო ხარჯებსა და შემოსავლებს;

- მონეტარული პოლიტიკა, რომელიც ფოკუსირებულია ფულის მიწოდებასა და სავალუტო განაკვეთების კონტროლზე;
- სტრუქტურული რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკური ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის გრძელვადიან გაუმჯობესებას;
- რეგულატორული რეფორმა, რომელიც გულისხმობს ეკონომიკური რეგულაციების განახლებას, ეფექტურობას და გამარტივებას (OECD,2025).

ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენს მმართველობის ერთ-ერთ ძირითად იარაღს ეკონომიკური სტაბილურობის, ზრდის და სოციალური სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. მისი სტრატეგია დამოკიდებულია არა მხოლოდ მაკროეკონომიკურ მიზნებზე, არამედ იმ ინსტიტუციებსა და აქტორებზე, რომლებიც ახორციელებენ მის ფორმირებასა და გატარებას.

ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე მნიშვნელოვნად მოქმედებს პოლიტიკური მიზნები და სტრატეგიული მიმართულებები. ამასთან, ეკონომიკური გარემოებები თავადაც ახდენენ გავლენას პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობაზე. მაგალითად, კონკურენციის პოლიტიკის საშუალებით ეკონომიკური ძალაუფლების გადაჭარბებული კონცენტრაციის შეზღუდვა ემსახურება არა მხოლოდ ბაზრის ეფექტიანობას, არამედ დემოკრატიული წყობის შენარჩუნებასაც (გველესიანი,2007).

ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი სტრატეგიული მიზნები მოიცავს:

- მაკროეკონომიკურ სტაბილურობას (დაბალი ინფლაცია, ფისკალური დისციპლინა, ბიუჯეტის დაბალანსებას, ფინანსური სექტორის მდგრადობა);
- ეკონომიკურ ზრდას –ინვესტიციების, ტექნოლოგიური წინსვლისა და შრომითი რესურსების ოპტიმალური გამოყენების გზით;
- სოციალურ თანასწორობასა და სოლიდარობას – სოციალური დაცვისა და გადანაწილების მექანიზმების მეშვეობით;
- საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლებას – ექსპორტის მხარდაჭერისა და ინოვაციური ეკონომიკის განვითარებით.

ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება რომელიმე ქვეყნისთვის მხოლოდ ადგილობრივი განმახორციელებლების პრეროგატივა აღარ არის. ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის გაძლიერების პირობებში საერთაშორისო ინსტიტუტები

სულ უფრო მნიშვნელოვან როლს იძენენ როგორც პოლიტიკის შემუშავების, ისე მისი აღსრულების პროცესში.

განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ეს ტენდენცია გამოიხატა ევროპული ინტეგრაციის ისტორიაში. ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა თანდათანობით უარი თქვეს რიგ ეროვნულ უფლებამოსილებებზე და ისინი ზენაციონალურ სტრუქტურებს გადასცეს, როგორცაა ევროპის მინისტრთა საბჭო და ევროპის ცენტრალური ბანკი. მიუხედავად ამისა, სრული კომპეტენციის გადაცემა მხოლოდ გარკვეულ პოლიტიკურ სფეროებს შეეხო და არც ამ პროცესს ჰქონია ერთპიროვნული და ერთდროული სახე.

ინტეგრაციის საწყის ეტაპზე, გადაწყვეტილების უფლებამოსილება მხოლოდ ვაჭრობასა და სურსათის უსაფრთხოებას უკავშირდებოდა. შემდგომში, 1957 წლის რომის ხელშეკრულებებმა ეს სფეროები საგრძნობლად გააფართოვა და ევროკავშირის ზედამხედველობის ქვეშ მოექცა სავაჭრო, აგრარული, სატრანსპორტო და კონკურენციის პოლიტიკა, ნაწილობრივ კი — სტრუქტურული და სოციალური პოლიტიკაც.

1986 წელს მიღებული „ერთიანი ევროპის აქტით“ კიდევ უფრო გაღრმავდა ეკონომიკური ინტეგრაცია და დაიწყო ერთიანი შიდა ბაზრის შექმნის პროცესი, რომელიც 1992 წელს დასრულდა.

ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს მრავალფეროვანი სუბიექტები წარმოადგენენ. მათ შორის ცენტრალურ როლს ასრულებს სახელმწიფო თავისი ინსტიტუტებით — პარლამენტი, მთავრობა და სახელმწიფო აპარატი. ამასთან, სავალუტო და საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა ეროვნულ ბანკს ეკისრება, რომელიც საკუთარი გადაწყვეტილებების მიღებაში ავტონომიური და დამოუკიდებელია. საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოთა კომპეტენციების განაწილება ძირითად კანონმდებლობაშია განსაზღვრული.

მთავრობის წარმომადგენლები, როგორც რეგიონულ, ისე ეროვნულ დონეზე, პარლამენტს ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამის ინიციატივებს სთავაზობენ და მათ განხორციელებაზე პასუხისმგებლები არიან. პარლამენტი, თავის მხრივ, კანონების მიღებით განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან ჩარჩო პირობებს. სახელმწიფო ადმინისტრაციული სტრუქტურები ექვემდებარებიან

მთავრობას და აქტიურად უწყობენ ხელს მის მიერ შემუშავებული პოლიტიკის განხორციელებას.

მართსაჯულებაც, როგორც ზედამხედველობის ორგანო, მნიშვნელოვანი ფუნქციით მონაწილეობს ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების პროცესში.

„ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობა განისაზღვრება არა მხოლოდ მიზნების სწორად დასახვით, არამედ მათი თანმიმდევრული განხორციელების ინსტიტუციური შესაძლებლობებითაც“ (გველესიანი, 2014).

გარდა ოფიციალური სტრუქტურებისა, პოლიტიკის გატარებაზე გავლენას ახდენენ ინტერესთა ჯგუფები, როგორცაა ბიზნეს-ასოციაციები, პროფკავშირები და სამოქალაქო სექტორი.

თანამედროვე ეკონომიკური სისტემა წარმოადგენს რთულად სტრუქტურირებულ და დინამიკურ მექანიზმს, რომლის მართვა მოითხოვს განსაზღვრულ სტრატეგიას, მიზნობრივ ინსტრუმენტებსა და ეფექტურ გადაწყვეტილებების მიმღებ სუბიექტებს. ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც სახელმწიფოს მიზნობრივი ქმედებათა ერთობლიობა, მიზნად ისახავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფას, სტაბილურობის შენარჩუნებასა და ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობას.

Miller, G. P. (1998) -ის ინტერესთა ჯგუფების თეორია განსაკუთრებით თვალსაჩინოა ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის მაგალითზე. მისი შეფასებით, თუ პოლიტიკოსებს შესაძლებლობა ეძლევათ, მოულოდნელი ინფლაციის გზით დაარღვიონ შეთანხმებები ინტერესთა ჯგუფებთან, ეს ასუსტებს ეკონომიკური პოლიტიკის სტაბილურობას. შესაბამისად, დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკის შექმნა ფუნქციონირებს როგორც სანდო ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს ინტერესთა ჯგუფების წინასწარ მხარდაჭერას.

Grossman, G. M., & Helpman, E. (2000) ნაშრომში ნათლად ჩანს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში დემოკრატიული პროცედურები („ერთი ადამიანი – ერთი ხმა“) ხშირად იჩაგრება ინტერესთა ჯგუფების გავლენით. ფერმერები, კომპანიები, პროფკავშირები და ინვესტორები პოლიტიკურ დღის წესრიგს განსაზღვრავენ ლობირებისა და პოლიტიკური დაფინანსების გზით. ეს ქმნის განსხვავებას ფორმალურ დემოკრატიულ მექანიზმსა და რეალურ პოლიტიკურ პროცესს შორის.

Sadiraj, V., Tuinstra, J., & van Winden, F. (2005) დინამიკური მოდელი კიდევ უფრო ამძაფრებს ამ სურათს: ინტერესთა ჯგუფების ზომა და რესურსები დამოკიდებულია თავად პოლიტიკაზე. პოლიტიკა, რომელიც ჯგუფს აძლევს უპირატესობას, ხელს უწყობს მისი გავლენის ზრდას, რაც შემდგომში კიდევ უფრო მეტად განაპირობებს პოლიტიკის მიკერძოებას. ამგვარად, პოლიტიკისა და ინტერესთა ჯგუფების ურთიერთობა ციკლურ და თვითგამაძლიერებელ ხასიათს ატარებს.

თანამედროვე კვლევები მიუთითებს, რომ ეს ურთიერთქმედება არა მხოლოდ დასავლურ დემოკრატიებშია მნიშვნელოვანი. Rozbicka, P., & Mahrenbach, L. C. (2023) მიხედვით, გლობალური სამხრეთის ქვეყნებში ინტერესთა ჯგუფების როლი განსხვავებული ინსტიტუციური პირობების გამო კიდევ უფრო თავისებურად ვლინდება. მაგალითად, სუსტი პოლიტიკური პარტიები ან პროფკავშირები, ასევე სახელმწიფო სტრუქტურების სპეციფიკა, განაპირობებს ინტერესთა ჯგუფების განსხვავებულ გავლენას პოლიტიკის ფორმირებაზე.

გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელთა სიას ემატება საერთაშორისო ინსტიტუტები და ორგანიზაციები. საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ევროპის კავშირი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკურ სტრატეგიაზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ფინანსურ მხარდაჭერას, რეკომენდაციებს ან სტრუქტურულ რეფორმებს.

ეკონომიკური პოლიტიკის წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ ინსტიტუციურ და ფინანსურ რესურსებზე, არამედ იმაზე, თუ რამდენად კოორდინირებულად მოქმედებენ მისი გამტარებლები. სტრატეგიის ეფექტიანობის წინაპირობაა პოლიტიკური ნების არსებობა, ინსტიტუციური ჩარჩოს მდგრადობა, ინტერესთა ჯგუფების კონსტრუქციული ჩართულობა და საზოგადოებრივი მხარდაჭერა.

დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგია და მისი გამტარებლები ურთიერთდამოკიდებულ სისტემას ქმნიან. სტრატეგია განსაზღვრავს მიმართულებას, ხოლო გამტარებლები უზრუნველყოფენ მისი განხორციელების პრაქტიკულ მექანიზმებს. მათი ეფექტიანი სინერგია არის ის

საფუძველი, რომელზეც ებმება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობის პერსპექტივა.

21-ე საუკუნის მესამე ათწლეულის დასაწყისში საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა იმყოფება გარდამავლობის ეტაპზე. ამ ცვლილებებს საფუძვლად უდევს ოთხი ძირითადი გამოწვევა :

- კლიმატური ტრანზიციის და ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფა;
- შრომის ბაზრის სტრუქტურული პოლარიზაცია და ღირსეული სამუშაო ადგილების დეფიციტი;
- ეკონომიკური განვითარების ტრადიციული სტრატეგიების კრიზისი განვითარებად ქვეყნებში;
- ჰიპერგლობალიზაციის რღვევა და გლობალური ეკონომიკური წესრიგის ტრანსფორმაცია.

ზემოთ ჩამოთვლილი გამოწვევები არსებითად ცვლიან ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებს, ინსტრუმენტებსა და ფოკუსს როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში.

შესაბამისად, წამყვანი სახელმწიფოები (აშშ, ჩინეთი, ევროკავშირი) უკვე მიმართავენ პოლიტიკის დეცენტრალიზებულ, ეროვნულ მოდელებს, სადაც მწვანე ინიციატივები ხორციელდება ეროვნული პოლიტიკის ფარგლებში — საგადასახადო სტიმულებით, ინდუსტრიული მხარდაჭერით, კვლევების დაფინანსებით და ემისიების ლოკალური შეზღუდვით. მიუხედავად ამ მიდგომის ფრაგმენტულობისა, ეს რეალისტური ალტერნატივაა გლობალური სტაგნაციის პირობებში (Rodrik, 2024).

მუშახელის შრომით ბაზარზე პოლარიზაცია და ხარისხიანი სამუშაო ადგილების შემცირება — განსაკუთრებით დაბალკვალიფიციური ჯგუფებისთვის — არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სოციალურ საფრთხედაც იქცა. ეს ტენდენცია უწყობს ხელს უთანასწორობის ზრდას, რეგიონულ დაყოფას, პოპულისტური და ანტილიბერალური განწყობების გაძლიერებას (ILO, 2023).

თანამედროვე ტექნოლოგიური გარღვევების ტემპები და მასშტაბები უპრეცედენტოა, რადგან ის მნიშვნელოვნად ცვლის არა მხოლოდ ეკონომიკას, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს.

უახლოეს მომავალში მოსალოდნელია, რომ ახალი ტექნოლოგიური გარღვევები კიდევ უფრო გაამწვავებს ეკონომიკურ და სოციალურ უთანასწორობას, განსაკუთრებით შრომის ბაზარზე. ტექნოლოგიური ინოვაციები გავლენას მოახდენს არა მხოლოდ ეკონომიკურ სტრუქტურაზე, არამედ სოციალურ, კულტურულ და ინდივიდუალურ გარემოზე, რაც ასევე შეეხება ადამიანთა ფსიქოლოგიასა და მორალურ ღირებულებებსაც. (გელაშვილი, 2018)

ხელოვნური ინტელექტის სწრაფმა განვითარებამ გააჩინა ახალი დებატები იმის თაობაზე, შეძლებს თუ არა ტექნოლოგია მასშტაბურად ჩაანაცვლოს ადამიანური შრომა და გამოიწვიოს უმუშევრობის ზრდა. ისტორიული გამოცდილება მიუთითებს, რომ ტექნოლოგიური პროგრესი, როგორც წესი, ზრდის პროდუქტიულობას და ახალი ტიპის სამუშაოებზე ქმნის მოთხოვნას — ისევე, როგორც სოფლის მეურნეობის მექანიზაციამ XX საუკუნეში წარმოშვა მრეწველობისა და სერვისების ახალი სექტორები. მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიების ნაწილი ქრება და ავტომატიზირდება, მთლიანად შრომის ბაზარი ჩვეულებრივ ახდენს ადაპტაციას. თუმცა, თანამედროვე ციფრულმა ეპოქამ და განსაკუთრებით ხელოვნურმა ინტელექტმა შეცვალა მოვლენების ტრადიციული განვითარება. ეკონომისტების ნაწილი აღნიშნავს, რომ AI-ს შეუძლია არა მხოლოდ კონკრეტული ამოცანების, არამედ მთელი პროფესიების ავტომატიზაცია, რაც ზრდის “საშუალო ფენის” სამუშაოების შემცირებას და განაპირობებს უთანასწორობის ზრდას. სწორედ აქედან იღებს სათავეს Goldin and Katz (2008)-ის კონცეფცია „რბოლა განათლებისა და ტექნოლოგიას შორის“ — სადაც განათლების დონის ზრდის გარეშე სოციალური უთანასწორობა მხოლოდ ძლიერდება (Acemoglu & Restrepo, 2018).

ახალი თაობის მოდელები, მათ შორის (Acemoglu and Restrepo, 2019)-ის მიერ შემუშავებული „ახალი ამოცანების“ (New Tasks) ჩარჩო, უკვე ნათლად განასხვავებს ორ ტენდენციას:

1. ტექნოლოგიები, რომლებიც უბრალოდ ავტომატიზაციას ახდენენ არსებული რუტინული საქმეების;
2. ტექნოლოგიები, რომლებიც ქმნიან სრულიად ახალ საქმიანობებს, სადაც ადამიანური უნარები კვლავ შეუცვლელია;

პირველი ტენდენცია, როგორც წესი, ამცირებს ანაზღაურებას და ზრდის უთანასწორობას; მეორე კი ქმნის ახალ მოთხოვნას და აახლებს შრომის ბაზარს ისე, რომ ადამიანებს მეტი შესაძლებლობა ეძლევათ.

ამიტომაც, საკითხი აღარ არის მხოლოდ ტექნოლოგიის ბუნებაში — მისი რეალური ეფექტი დამოკიდებულია იმაზე, როგორ აირჩევენ საზოგადოებები, კომპანიები და სახელმწიფოები მისი გამოყენების გზებს. სწორედ ამიტომ ავტორი და სხვა ეკონომისტები ყურადღებას ამახვილებენ დასაქმებულთა და პროფკავშირების ჩართულობის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და „ადამიანური-მეგობრული“ ინოვაციების მხარდაჭერაზე. ახალი ინსტიტუციური ჩარჩოები აუცილებელია იმისთვის, რომ ხელოვნური ინტელექტი არ გახდეს მხოლოდ „so-so technology“ — საშუალო ხარისხის ავტომატიზაცია, რომელიც სამუშაოებს აქრობს, მაგრამ პროდუქტიულობას არ ზრდის.

ამგვარად, ხელოვნური ინტელექტი შეიძლება იყოს როგორც შრომის ბაზრის ტრანსფორმაციის ძლიერი პოზიტიური წყარო, ისე სერიოზული რისკების მატარებელი. შედეგი დამოკიდებულია არა ტექნოლოგიაზე, არამედ იმაზე:

- შევძლებთ თუ არა ახალი ტიპის სამუშაოების შექმნას;
- უზრუნველყოფს თუ არა სახელმწიფო სანდო გადამზადების სისტემას;
- ჩაერთვებიან თუ არა დასაქმებულები გადაწყვეტილებების მიღებაში;
- მოახერხებს თუ არა ბიზნესი ტექნოლოგიის გამოყენებას კომპლემენტურად და არა მხოლოდ ჩანაცვლებით.

ეკონომისტების მოსაზრებით თუ ეს პირობები შესრულდა, AI არ დაიკავებს ადამიანების მიერ შესრულებულ ყველა სამუშაოს, არამედ შექმნის ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ავტომატიზაციის სწრაფი ტალღა შეიძლება რეალურად იქცეს შრომის ბაზრის დისბალანსისა და სოციალური უთანასწორობის გამაღრმავებელ მიზეზად.

კლიმატის ცვლილების გამოწვევები კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს ინტერესთა ჯგუფებისა და ინსტიტუტების მნიშვნელობას ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიაში. Hughes, L., & Urpelainen, J. (2015) -ის მიხედვით, ენერგოინტენსიური ინდუსტრიების ზეწოლა და საზოგადოებრივი განწყობები განსაზღვრავს, თუ რომელი ინსტრუმენტს აირჩევს სახელმწიფო – რეგულაციურს თუ ფისკალურს.

Basseches, J. A., et al. (2022) ანალიზი აშშ-ში აჩვენებს, რომ მრავალი ვექტორი გადაწყვეტილებები და ძლიერი ლობისტური ჯგუფები ხშირად ანელებენ კლიმატის პოლიტიკას.

ტრადიციულად, განვითარებად ქვეყნებს ეკონომიკური ზრდისთვის ექსპორტზე ორიენტირებულ ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებული სტრატეგიები ჰქონდათ. თუმცა თანამედროვე რეალობაში მრავალი ასეთი ქვეყანა განიცდის ე.წ. ნაადრევ დეინდუსტრიალიზაციას, რაც ართულებს ფართომასშტაბიან ინდუსტრიულ განვითარებას.

ჰიპერგლობალიზაციის მოდელი, რომელიც ორი ათწლეულის განმავლობაში დომინირებდა, განიცდის ევოლუციას. აშშ-ჩინეთის გეოპოლიტიკური დაპირისპირება, შიდა ეკონომიკური უსაფრთხოების პრიორიტეტების ზრდა და კლიმატური სტრატეგიების დივერსიფიკაცია ცვლიან გლობალურ ეკონომიკურ წესრიგს.

ახალი გლობალიზაცია, სავარაუდოდ, იქნება ნაკლებად აგრესიული და მეტად მოქნილი — ქვეყნების ეროვნულ ინტერესებზე მორგებული. შესაძლებელია ორი სცენარი:

- ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების "იარაღად" ქვეყნებს და კავშირების შეზღუდვა;
- ან თანამშრომლობითი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს პოლიტიკურ თავისუფლებას შიდა დონეზე და სტაბილურობას გლობალურ დონეზე (Rodrik, 2024).

გლობალიზაციის დაწყებიდან თითქმის ოთხი ათწლეულის შემდეგ უკვე შესაძლებელია მისი შედეგების შეფასება. დადებითი კუთხით, გლობალიზაციამ მნიშვნელოვნად გააფართოვა განვითარებადი ქვეყნების წვდომა საერთაშორისო ფინანსურ და სავაჭრო ბაზრებზე, რაც მათ ეკონომიკური ზრდის დაჩქარების შესაძლებლობას აძლევდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩინეთისა და ინდოეთის გამოცდილება — გლობალურ ეკონომიკაში აქტიური ჩართვის შედეგად მათ ეკონომიკური განვითარების ტემპები საგრძნობლად გაუმჯობესდა, რასაც ცხოვრების დონის გარკვეული ზრდაც მოჰყვა. ამ ქვეყნების მოსახლეობის დიდმა წილმა მსოფლიო მოსახლეობაში განაპირობა ის, რომ გლობალურად სიღარიბის მაჩვენებელი მცირედით შემცირდა.

გლობალიზაციის დადებით ასპექტად შეიძლება ჩაითვალოს ასევე საერთაშორისო ძალისხმევის გაძლიერება ისეთი პლანეტური გამოწვევების დაძლევაში, როგორიცაა გლობალური დათბობა, სასურსათო კრიზისი, COVID-19-ის პანდემია და სხვა. მაგალითად, 2015 წელს პარიზში მიღებულ შეთანხმებას, რომლის მიზანიც იყო კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლა, 194 ქვეყანამ მოაწერა ხელი, რითაც ნებაყოფლობით აიღო ვალდებულება შეემცირებინა სათბურის გაზების ემისიები და შეეზღუდა ტემპერატურის ზრდა (მექვაბიშვილი, 2023).

გლობალიზაციამ ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლების წინაშე ახალი გამოწვევებიც წარმოშვა. Lodhi, I. (2021) ანალიზის მიხედვით, გლობალური ეკონომიკური პროცესები – მათ შორის ვაჭრობის ინტენსიფიკაცია, კაპიტალის მობილობა და ნეოლიბერალური ნორმების გავრცელება – ზღუდავს სახელმწიფოებს დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების შესაძლებლობაში. თუმცა, რეალური შედეგები განსხვავებულია და დამოკიდებულია ქვეყნის საერთაშორისო სისტემაში პოზიციასა და ადგილობრივ ადაპტაციის უნარზე.

უკრაინაში რუსეთის ომის დაწყებამ და მასთან დაკავშირებულმა დასავლეთის ეკონომიკურმა სანქციებმა მსოფლიო ეკონომიკური არქიტექტურა არსებითად შეცვალა. ქვეყნები პირობითად სამ ბლოკად დაყვეს: სანქციების შემომღებებად, რუსეთის მხარდამჭერებად და ნეიტრალურ სახელმწიფოებად (Papava, 2022d; პაპავა, 2024). ამ პროცესმა ტურბულენტური გლობალიზაცია კონფრონტაციულ გლობალიზაციაში გარდაქმნა (Papava, 2022e; პაპავა, 2024).

ამავე პერიოდში ეკონომისტებმა დაიწყეს მსჯელობა იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს მომავალი გლობალიზაცია. გაჩნდა პროგნოზი, რომ მსოფლიო ახალ, უფრო მაღალ და გაუმჯობესებულ ეტაპზე გადავიდოდა — ე.წ. „გლობალიზაციის ახალ ტალღაზე“ (El-Erian, 2020; პაპავა, 2024) ან „უკეთეს გლობალიზაციაზე“ (Rodrik, 2022a; პაპავა, 2024).

„უკეთესი გლობალიზაციის“ არსის განსაზღვრისათვის აუცილებელია იმ პრობლემების გაანალიზება, რომელთა აქტუალობა პანდემიამ, უკრაინაში ომმა და სანქციების პოლიტიკამ კიდევ უფრო გაამძაფრა. საუბარია, პირველ რიგში, გლობალური უსაფრთხოების, ენერგეტიკული და სასურსათო უსაფრთხოების (Blair

& Kalibata, 2020; პაპავა, 2024) საკითხებზე. არსებული გამოცდილება გვაჩვენებს, რომ მომავალი წლების განმავლობაში ეკონომიკური უსაფრთხოების თემატიკა სულ უფრო მნიშვნელოვანი გახდება, განსაკუთრებით ახალი პანდემიებისა და სამხედრო კონფლიქტების პოტენციური წარმოშობის ფონზე.

გველესიანი (2008)-ის მოსაზრებით სტაბილურობა ქმნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ სანდოობას. ეკონომიკური პოლიტიკის ხშირი და მოულოდნელი ცვლილებები ხელს უწყობს ბაზრის კონცენტრაციის ზრდას, რაც თავის მხრივ იწვევს ეკონომიკური სისტემის მოქნილობის კლებას. გერმანიის მაგალითზე 1990-იანი წლების შუა ხანებში შეინიშნებოდა „რეფორმის სტაგნაცია“ — უკმაყოფილება რეფორმების პასიურობით და გაურკვევლობით, რამაც ინვესტორებში დაბალი ნდობა გამოიწვია. აქედან გამომდინარე, გაურკვეველი გარემო მდგომარეობა ბევრად უფრო მეტ ზიანს აყენებს ეკონომიკას, ვიდრე მკაცრი, მაგრამ წინასწარ განსაზღვრული და მდგრადი ჩარჩო-პირობები, რადგანაც სტაბილური ჩარჩო-პირობები იძლევა საშუალებას წინასწარ დაგეგმვისა და ეკონომიკური გადაწყვეტილებების გაჯანსაღებისთვის.

მაკროეკონომიკურ და პოლიტიკურ დონეზე მომატებულმა გაურკვევლობამ, დიდი ალბათობით, შეამცირა საინვესტიციო სტიმულები და ხელი შეუწყო პრევენციულ (precautionary) ფულადი რესურსების დაგროვებას. კომპანიები თავს იკავებენ გრძელვადიანი კაპიტალური ინვესტიციებისგან, როცა გლობალური მოთხოვნის, სავაჭრო პოლიტიკის ან რეგულატორული ჩარჩოების პერსპექტივა გაურკვეველია.

ბოლო დროს, ეკონომიკური გაურკვევლობა მკვეთრად გაიზარდა საერთაშორისო ვაჭრობაზე ტარიფებით გამოწვეული ეკონომიკური რისკების მიმართ გაზრდილი შემფოთების გამო (OECD 2025).

ბოლო წლებმა გამოავლინა, რომ გლობალური ეკონომიკური პოლიტიკის გაურკვევლობა (Economic Policy Uncertainty, EPU) მნიშვნელოვნად გაიზარდა და სერიოზულ საფრთხეს უქმნის როგორც ბიზნესის ნდობას, ისე ინვესტიციებსა და მაკროეკონომიკურ სტაბილურობას. გაზრდილი გაურკვევლობა ამცირებს როგორც შიდა, ისე უცხოურ ინვესტიციებს, რადგან კომპანიები შემცირებული მოთხოვნის ფონზე მოგების შესანარჩუნებლად ახდენენ ინვესტიციების გადავადებას და ფასების

გაზრდას (World Bank 2024a). შედეგად, იზრდება როგორც წარმოების, ისე სამომხმარებლო ფასები, რაც ზრდის ინფლაციის მოლოდინებს და აიძულებს ცენტრალურ ბანკებს განახორციელონ უფრო მკაცრი მონეტარული პოლიტიკა რაც ეკონომიკური აქტივობისთვის დამატებითი დამაბრკოლებელი ფაქტორია.

გლობალურ დონეზე, გაზრდილმა გეოპოლიტიკურმა დამაბრკოლებამ — მათ შორის რუსეთის უკრაინაში შეჭრამ და კონფლიქტებმა ახლო აღმოსავლეთში — კიდევ უფრო გააუარესა საერთაშორისო საინვესტიციო კლიმატი (IMF 2023a). ამან დააჩქარა გლობალური ღირებულებათა ჯაჭვების გეოპოლიტიკურად თანამოაზრე ქვეყნებზე გადამისამართების (ე.წ. friendshoring) და წარმოებისა და მიწოდების ჯაჭვების ლოკალიზაციის მცდელობები. რაც კიდევ უფრო ზრდის გაურკვევლობას და ამცირებს ინვესტორთა ნდობას, განსაკუთრებით განვითარებადი ბაზრებისა და განვითარებადი ეკონომიკების (EMDEs) მიმართ.

COVID-19-ის პანდემიისა და მიწოდების ჯაჭვების გლობალური კრიზისის შემდეგ, ეკონომიკური პოლიტიკის გაურკვევლობამ მიაღწია რეკორდულად მაღალ დონეს. (World Bank 2024a). სავაჭრო პოლიტიკის გაურკვევლობა განსაკუთრებით აზიანებს საერთაშორისო ვაჭრობისა და წარმოების ზრდის პერსპექტივებს. ამ ფონზე, საზღვარგარეთული ინვესტიციები სულ უფრო კონცენტრირებული ხდება შემცირებულ რაოდენობის ტრანსნაციონალურ კომპანიებში. რაც კიდევ უფრო ზღუდავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) შემოდინებას განვითარებადი ბაზრებისა და განვითარებადი ეკონომიკების (EMDE) მქონე ქვეყნებში (Ragoussis et al., 2024; UNCTAD 2024a).

ამ ვითარებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის გაძლიერება. რომელიც ხელს უწყობს არა მხოლოდ მაკროეკონომიკურ და ფინანსურ სტაბილურობას, არამედ ნდობის განმტკიცებას როგორც პოლიტიკის წარმართვის პროცესში, ასევე მთავრობის მიმართ (Chami et al. 2021). დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკი ხელს უწყობს ინფლაციის მოლოდინების სტაბილიზაციას, იცავს მონეტარულ პოლიტიკას პოლიტიკური გავლენისგან და ზრდის პოლიტიკის სანდოობას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოწყვლადი და კონფლიქტით დაზარალებული ქვეყნებისათვის (FCS), სადაც უმუშევრობა და

პოლიტიკური არასტაბილურობა ქმნიან რისკებს და მოთხოვნის სტიმულირებისთვის საჭიროებენ სანდო ინსტიტუტებს (Diallo, Gui-Diby, and Imam 2023).

გაფართოებული სავაჭრო ბარიერების, გაზრდილი პოლიტიკის გაურკვევლობისა და მრავალი უარყოფითი რისკის პირობებში, რომლებიც ეკონომიკურ პერსპექტივას ბუნდოვანს ტოვებს, გადაწყვეტ მნიშვნელობას იძენს გლობალური დიალოგისა და თანამშრომლობის განახლება და გააქტიურება. საჭიროა გლობალური პოლიტიკის ძალისხმევა საერთაშორისო ვაჭრობის დასაცავად, სავაჭრო დავების მოგვარების ხელშეწყობით და სავაჭრო ქსელებზე გეოპოლიტიკური დაძაბულობის უარყოფითი გავლენის შემცირებით.

გარდა ამისა, აუცილებელია კლიმატის ცვლილების შემსუბუქებისა და ადაპტაციის მიმართულებით გლობალური ძალისხმევის განახლება, რათა მომავალში შემცირდეს მზარდი სიხშირით მიმდინარე კლიმატთან დაკავშირებული სტიქიური უბედურებების ხარჯები.

ეროვნული დონეზე ეკონომიკური სტაბილურობის გამყარება მოითხოვს ყურადღების გამახვილებას მკაფიო ფულად-საფინანსო პოლიტიკაზე, რათა შეიზღუდოს ინფლაციასთან და კაპიტალის ნაკადების მერყეობასთან დაკავშირებული რისკები.

შეზღუდული საბიუჯეტო შესაძლებლობებისა და მნიშვნელოვანი განვითარების საჭიროებების ფონზე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ EMDE-ების ფისკალური პოლიტიკის განმახორციელებლელმა მიიღონ ზომები საშინაო შემოსავლების მობილიზებისთვის, საბიუჯეტო ხარჯების პრიორიტეტების გადახედვისა და ფისკალური ჩარჩოების გაძლიერებისათვის.

ამგვარად, ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგია არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ ინსტიტუციური არქიტექტურის ფუნქციად – იგი უფრო მეტად არის ინტერესთა ჯგუფების, გლობალური პროცესებისა და პოლიტიკური ინსტიტუტების რთული თანაცხოვრების შედეგი.

დღევანდელი ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანაა არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის მიღწევა, არამედ ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფა. ამისათვის საჭიროა როგორც ტრადიციული მიდგომების გადახედვა, ისე ინოვაციური პოლიტიკის ინსტრუმენტების დანერგვა.

გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებასა და სახელმწიფოს როლის ტრანსფორმაციაზე. კლასიკური ინტერვენციონიზმიდან პოზიცია შეიცვალა უფრო მოქნილ და შერეულ მოდელზე, სადაც სახელმწიფო არამხოლოდ რეგულატორია, არამედ სტრატეგიული ინიციატორიც:

- სახელმწიფო აქტიურად მონაწილეობს ინოვაციური ეკონომიკის განვითარებაში;
- უზრუნველყოფს სოციალური სტაბილურობის გარანტიებს;
- ხდება მდგრადი განვითარების პოლიტიკის აქტიური განმახორციელებელი.

ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგია XXI საუკუნეში სულ უფრო მეტად ეფუძნება არა მხოლოდ ეკონომიკურ მექანიზმებს, არამედ სოციალურ კონსენსუსს, ინტერესთა ბალანსსა და გრძელვადიან ხედვას.

1.2. ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებისა და ინტერესთა ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულება გადაწყვეტილების მიღების პროცესში

ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების განხორციელებაში პარტიათა წარმატება დამოკიდებულია მხოლოდ ამომრჩეველთა სტაბილურ ნებაზე. ინტერესთა ჯგუფები და მათი გაერთიანებები ცდილობენ საკუთარი კოლექტიური ინტერესების გატარებას ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიმღებ სუბიექტებზე ზეგავლენის გზით. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ სავაჭრო-სამრეწველო პალატებსა და სხვა სახის გაერთიანებებს, რომლებიც საჯარო სამართლის სუბიექტებად მოიაზრებიან. მართალია, ისინი განსაზღვრულ ოფიციალურ ფუნქციებს ასრულებენ, თუმცა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებად არ განიხილებიან და მათი საქმიანობა სამართლებრივი ზედამხედველობის ფარგლებით შემოიფარგლება.

საჯარო სამართლის გაერთიანებებთან ერთად არსებობენ კერძო სამართლის ორგანიზაციებიც, რომლებიც იქმნება ეკონომიკურ სუბიექტთა ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე და მათი მიზანია წევრთა ინტერესების კონცენტრირება და პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენა. ასეთებს შორის მოიაზრებიან

პროფკავშირები, დამსაქმებელთა ასოციაციები, მეწარმეთა, ფერმერთა, გადასახადის გადამხდელთა და მომხმარებელთა გაერთიანებები და სხვ. საერთო წესით, აღნიშნულ ერთეულებს საჯარო სამართლის უფლებამოსილებები არ გააჩნიათ. გამონაკლისს წარმოადგენენ პროფკავშირები და დამსაქმებელთა გაერთიანებები, რომლებსაც შრომითი ურთიერთობების სფეროში ტარიფული ავტონომიის ფარგლებში თანაბარი უფლებები ენიჭებათ. ამდენად, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ავტონომიური გამტარებლები, ისინი აქტიურ როლს მხოლოდ კონკრეტულად შრომითი და შემოსავლების პოლიტიკის მიმართულებით ასრულებენ.

ევროპული ინტეგრაციის პროცესში განსაკუთრებით ნათლად ჩანს ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლების კომპეტენციების გადანაწილება. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები გარკვეული ეროვნული უფლებამოსილებების ნაწილზე უარს ამბობენ და მათ ზენაციონალურ სტრუქტურებს გადასცემენ (მაგალითად, ევროკავშირის მინისტრთა საბჭოსა და ევროპის ცენტრალურ ბანკს) (გველესიანი, რ., გოგორიშვილი, ი., ერქომაიშვილი, გ. ლეკაშვილი, ე., გაფრინდაშვილი, გ., ხურცია, ლ. 2024)

თავდაპირველად ევროკავშირის (მაშინ – ევროპული თანამეგობრობის) უფლებამოსილება შეზღუდული იყო სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის სფეროებით. შემდგომ, 1957 წლის რომის ხელშეკრულებით, იგი გავრცელდა ვაჭრობის, აგრარული, სატრანსპორტო და კონკურენციის პოლიტიკის სფეროებზე, მოგვიანებით კი – ნაწილობრივ სოციალურ და სტრუქტურულ პოლიტიკაზეც. 1986 წლის ერთიანი ევროპული აქტი მიზნად ისახავდა ერთიანი შიდა ბაზრის ჩამოყალიბებას 1992 წლამდე. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იყო, პირველ რიგში, ეროვნული კონკურენციისა და სამართლებრივი ჩარჩოების თანხვედრა, ასევე – საგადასახადო პოლიტიკის ნაწილობრივი ჰარმონიზაცია.

მაასტრიხტის ხელშეკრულებამ (1992) კიდევ უფრო გააფართოვა ევროკავშირის კომპეტენცია და მას ფინანსური და სავალუტო პოლიტიკის წარმართვაც მიანიჭა. პროცესის ლოგიკური დასასრული იყო 1999 წელს ევროპული სავალუტო სისტემის (EWS) საფუძველზე შექმნილი ევროპის ცენტრალური ბანკების სისტემა (ESZB) .

გარდა ამისა, ევროკავშირის პასუხისმგებლობა თანდათან გაფართოვდა სხვა სფეროებზეც: გარემოს დაცვა, ჯანდაცვა და მომხმარებელთა უფლებები, რეგიონული

განვითარება, კულტურა, კვლევა-ტექნოლოგიური პოლიტიკა, ასევე სტრუქტურული და სამრეწველო პოლიტიკა. ამსტერდამის ხელშეკრულებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დასაქმების პოლიტიკაში ევროკავშირის ჩართულობის გაძლიერებას.

ევროკავშირის კონსტიტუციურ რეფორმებთან დაკავშირებით კვლავ დგას საკითხი, თუ როგორ უნდა განაწილდეს კომპეტენციები თავად ევროკავშირსა და წევრ სახელმწიფოებს შორის. მაგალითად, ევროპარლამენტის რეგიონული კომიტეტი მოითხოვს, რომ ევროკავშირმა მეტი პასუხისმგებლობა იტვირთოს რეგიონული პოლიტიკის კუთხით. ამასთან, კონკრეტული დეტალების განსაზღვრა და არსებული ინსტრუმენტების გამოყენება კვლავ წევრი სახელმწიფოების ხელში რჩება (გველესიანი, რ., გოგორიშვილი, ი., ერქომაიშვილი, გ. ლეკაშვილი, ე., გაფრინდაშვილი, გ., ხურცია, ლ. 2022)

(გველესიანი 2017) -ის მიხედვით ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების განსაზღვრა დაკავშირებულია მათ ოპერაციონალიზაციასთან – კრიტერიუმებისა და ინდიკატორების ფორმირებასთან, რომელთა საშუალებითაც მიზნების მიღწევის ხარისხი შეიძლება შეფასდეს. ოპერაციონალიზაცია ქმნის პირობებს როგორც ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცირებისთვის, ისე განხორციელებული პოლიტიკის მონიტორინგისა და ეფექტიანობის ანალიზისთვის. მიზნების ფუნქციური დაყოფა – მაგალითად, ფისკალური სტაბილურობა, შემოსავლების სამართლიანი განაწილება ან ეკონომიკური ზრდა – წარმოადგენს სოციალური და ეკონომიკური ინტერესების მრავალფეროვნების გამოხატულებას.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური მიზნების ურთიერთკავშირი შეიძლება იყოს როგორც ლოგიკური (იდენტურობა, თავსებადობა, ანტინომია), ისე ტექნოლოგიური (კომპლემენტარულობა, ნეიტრალობა, კონფლიქტურობა). სწორედ ამ კავშირების გაანალიზება წარმოადგენს გადაწყვეტილებების სისტემური მიღების წინაპირობას. მაგალითად, ფასების სტაბილურობისა და უმუშევრობის დონის შემცირების მიზნები ხშირ შემთხვევაში ინსტრუმენტულად არ შეესაბამება ერთიან პოლიტიკურ ჩარჩოს და საჭიროებს კომპრომისზე დაფუძნებულ მიდგომებს.

განსაკუთრებით რთულდება გადაწყვეტილებების მიღება მაშინ, როდესაც პოლიტიკის ინსტრუმენტები შეზღუდულია ან ერთსა და იმავე ინსტრუმენტზე

მოდის რამდენიმე კონკურენტული მიზნის ტვირთი. აღნიშნული ვითარება ზრდის ინსტრუმენტული კონფლიქტების ალბათობას და კიდევ უფრო გამოკვეთილად აჩვენებს ინტერესთა ჯგუფების გავლენას პოლიტიკის პრიორიტეტებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მიზანი მაღალი საზოგადოებრივი მხარდაჭერით სარგებლობს, მათი ურთიერთშერწყმა ხშირად მოითხოვს ინტერესთა ჯგუფებს შორის მოლაპარაკებებს, შეთანხმებებსა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ სოციალურ დიალოგს. ამგვარად, ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებსა და ინტერესთა ჯგუფებს შორის ურთიერთდამოკიდებულება არა მხოლოდ ტექნიკური, არამედ ღრმად პოლიტიკურ-სტრუქტურული საკითხია, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებებსა და სამოქმედო სტრატეგიებს.

ეკონომიკური პოლიტიკის გატარება ან მისი შეჩერება ხშირად შეიძლება ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე გადაწყდეს ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებსა და ინტერესთა ჯგუფებს შორის (Dahl, Lindlom, 1953).

აღმასრულებელი ხელისუფლება ეკონომიკურ სუბიექტებთან მოლაპარაკებას მიმართავს მაშინ, როდესაც ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებს ინტერესთა კონფლიქტები უქმნის საფრთხეს. ამ მექანიზმის არსის გასაგებად მნიშვნელოვანია განვითარებულ ქვეყნებში არსებული პრაქტიკის შესწავლა. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ჩარჩო ხელშეკრულებები ექსპანსიისა და სტაბილურობის შესახებ“, რომლებიც სახელმწიფოსა და შრომის ბაზრის მონაწილეებს შეთანხმებისკენ უბიძგებს. ასეთ პირობებში სახელმწიფო ხშირად მიმართავს კონიუნქტურის მიზნობრივ სტიმულირებას, ხოლო შრომის ბაზრის აქტორები დათმობებზე მიდიან სტაბილიზაციის პოლიტიკის სასარგებლოდ.

განვითარებულ ქვეყნებში მსგავსი კოორდინაციის ინსტიტუციურ საფუძველს ეკონომიკური სტაბილურობისა და ზრდის ხელშეწყობის კანონმდებლობა წარმოადგენს, რომელიც ერთიან პლატფორმაზე აერთიანებს რეგიონულ ხელისუფლებას, პროფკავშირებსა და მეწარმეთა გაერთიანებებს. ამგვარი შეთანხმება ცხადყოფს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის შედეგი არასაკმარისი იქნება ინტერესთა ჯგუფების მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე. ფაქტობრივად, ისინი პოლიტიკის ფორმირების პროცესში ძალაუფლებას ფლობენ და სახელმწიფო პოლიტიკაზე

ზეგავლენას ახდენენ, რაც ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელთა ავტონომიას ზღუდავს.

როგორც რ.გველესიანი და ი.გოგორიშვილი (2018) აღნიშნავენ : „იმის გათვალისწინებით, რომ დაუშვებელია ინტერესთა ჯგუფების ძალაუფლების შეზღუდვა, ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები შემდეგი ალტერნატივის წინაშე დგანან.

- ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების განხორციელებას ისინი ცდილობენ იმ პირობებში, როდესაც შესაძლებელია ინტერესთა ჯგუფებმა მათზე ზეგავლენა მოახდინონ. ამასთან აცნობიერებენ იმას, თუ რამდენად არიან ინტერესთა ჯგუფები პასუხისმგებელნი იმ ზიანზე, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას ეხება.
- ისინი ცდილობენ ინტერესთა ჯგუფებთან შეთანხმებას იმის საფუძველზე, რომ მიზნის განხორციელებაზე დამხარალებელი ზემოქმედებით თვითონ ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლებიც ზარალდებიან.“

პირველი ალტერნატივის ილუსტრაციაა ფასების სტაბილურობისა და დასაქმების მაღალი დონის კონფლიქტი. ასეთ დროს ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელი ცდილობს ფასების სტაბილიზაციას, ხოლო პასუხისმგებლობას დასაქმებაზე საქონლისა და შრომის მიმწოდებლებს აკისრებს. თუმცა, აღნიშნული მიდგომა სირთულეებს იწვევს, რადგან იგი დასაქმების პრობლემის ყველა მიზეზს სათანადოდ ვერ ითვალისწინებს.

მეორე ალტერნატივა – შეთანხმება – პრაქტიკულად უფრო რეალისტურია. „კორპორაციული“ ელემენტის გამო იგი საშუალებას იძლევა, რომ ორგანიზებულ ინტერესთა ჯგუფებს ეკონომიკური პოლიტიკის წინასწარ ფორმირებაში ჰქონდეთ მონაწილეობა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მკვლევარი (Johansen, 1979; Streit, 2003) აღნიშნავს, რომ ასეთი მოლაპარაკებები ხშირად რიტუალურ ხასიათს ატარებს და შედეგები ყოველთვის წინასწარ განსაზღვრული არ არის.

ამ პროცესში მიღწეული „პოლიტიკური საზღაური“ ორივე მხარისთვის სარგებლის მიღების საშუალებას ქმნის, თუმცა ეკონომიკური სტაბილიზაციის ეფექტიანობა მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება. ხშირად ეკონომიკური პოლიტიკის

შედეგი რეალურად მხოლოდ მოგვიანებით, სხვა სფეროებში – მაგალითად, შრომით კანონმდებლობაში – ვლინდება.

კრიტიკული პოზიციის მიხედვით, ეკონომიკური პოლიტიკა არ უნდა იქცეს გავლენიანი ინტერესთა ჯგუფების კოალიციის პროდუქტად, არამედ უნდა ემსახურებოდეს ყველა მოქალაქეს, როგორც სუვერენულ ეკონომიკურ სუბიექტს, რომელიც გადასახადებს იხდის და ეკონომიკურ ტვირთს ატარებს (Rupp, 1971). სწორედ ამიტომ, კორპორაციული მიდგომისადმი სკეპტიციზმი კონსტიტუციურ პრინციპებსა და დემოკრატიულ საფუძვლებზეა დამყარებული (Gäfgen, 1987b).

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ინტერესთა ჯგუფები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ პოლიტიკის გაცვლაში. ისინი საკუთარი „განაწილების კოალიციების“ ინტერესებით მოქმედებენ (Olson, 1991), რაც ხშირად მოლაპარაკებების პროცესს რთულსა და არაპროგნოზირებადს ხდის. ეკონომიკური პოლიტიკის პრაქტიკაში კი ეს შეიძლება გამოვლინდეს როგორც ფასებისა და ხელფასების დროებითი გაყინვა, იმპორტის შეზღუდვა ან სხვა რეგულაციური ზომები, რომლებიც ინდივიდუალურ თავისუფლებებთან წინააღმდეგობაში მოდის.

სახელმწიფო – როგორც მთავრობა, პარლამენტი და აღმასრულებელი ადმინისტრაცია – არის ცენტრალური მოთამაშე ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრასა და გატარებაში. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც კონკრეტულ სფეროებში (მაგალითად, ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში) ფუნქციები ენიჭება დამოუკიდებელ ინსტიტუტებს, როგორიცაა ეროვნული ბანკი, რომელიც მოქმედებს ავტონომიურად და დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს თავისი კანონით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში (გველესიანი, რ., გოგორიშვილი, ი., ერქომაიშვილი, გ. ლეკაშვილი, ე., გაფრინდაშვილი, გ., ხურცია, ლ. 2022)

გადაწყვეტილების მიღების პროცესში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება სხვა სუბიექტების ჩართულობა — პოლიტიკური პარტიების, პროფესიული გაერთიანებების, დამსაქმებელთა გაერთიანებები, მეწარმეთა კავშირები, არასამთავრობო ორგანიზაციების, მომხმარებელთა გაერთიანებების, სავაჭრო პალატების, პროფკავშირების, ფერმერთა ასოციაციების და სხვათა.

მათი ჩართულობა შეიძლება იყოს:

- არაპირდაპირი ზეგავლენის გზით – მედიით, საზოგადოებრივი კამპანიებით, ლობიზმით;
- პირდაპირი მონაწილეობით – საკონსულტაციო საბჭოებში, დიალოგის ფორმატებში, საზოგადოებრივ განხილვებში.
- განსაკუთრებული გავლენა გააჩნიათ ისეთ ორგანიზაციებს, როგორიცაა:
- პროფესიული კავშირები;
- დამსაქმებელთა გაერთიანებები;
- ფერმერთა და მომხმარებელთა ასოციაციები;
- საერთაშორისო ორგანიზაციები.

ევროპული ინტეგრაციის პროცესში ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებსა და ინტერესთა ჯგუფებს შორის ურთიერთქმედების ფორმები და ინსტიტუციური ჩარჩოები განსაკუთრებით თვალსაჩინოა. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ზოგიერთ კომპეტენციაზე საკუთარი ნებით უარს ამბობენ და გადაწყვეტილებებს ევროკავშირის ზედადგონულ სტრუქტურებში იღებენ. ასეთი დელეგირება ძირითადად ეხება ვაჭრობის, კონკურენციის, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის მიმართულებებს.

მაგალითად:

- ევროკავშირის ცენტრალური ბანკი იღებს პასუხისმგებლობას ერთიანი სავალუტო პოლიტიკის გატარებაზე;
- ევროკომისია წარმართავს კონკურენციის პოლიტიკას, საგარეო სავაჭრო პოლიტიკას, საბაზრო რეგულირებებს და სტრუქტურულ პროექტებს;
- ევროპარლამენტის რეგიონული კომიტეტები აქტიურად მონაწილეობენ სივრცით განვითარებაში და სოციალურ პოლიტიკაში.

ევროპული ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში სუსტი ან არაფორმალური ინტერესთა ჯგუფებიც ახერხებენ საკუთარი პოზიციების გაჟღერებას — მათ შორის იმ სფეროებში, სადაც ევროკავშირი იძენს მზარდ კომპეტენციას: გარემოს დაცვა, ჯანდაცვა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა და კვლევითი საქმიანობა.

თანამედროვე დემოკრატიებში გადაწყვეტილების მიღების პროცესი მხოლოდ ბიუროკრატიული მართვის ჩარჩოებით არ შემოიფარგლება. აქტიურად

მონაწილეობენ სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფები, რომელთა მიზნები და რესურსები ხშირად განსაზღვრავს პოლიტიკის შინაარსს.

ინტერესთა ჯგუფები შეიძლება იყოფოდნენ:

- ეკონომიკურ ინტერესებზე დაფუძნებულებად (ბიზნეს-ლობის ჯგუფები, პროფესიული გაერთიანებები);
- სოციალურ და გარემოსდაცვით ორგანიზაციებად;
- დასაქმებულთა წარმომადგენლებად (პროფკავშირები);

სწორად ჩამოყალიბებული მექანიზმების არსებობა, რომლებიც საშუალებას მისცემენ სხვადასხვა ჯგუფს მონაწილეობდნენ ეკონომიკური პოლიტიკის განხილვასა და ფორმირებაში, ზრდის ლეგიტიმაციასა და შედეგების გრძელვადიან ეფექტურობას.

გველესიანი (2007) ის მიხედვით ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ცენტრალური ადგილი უკავია საზოგადოებრივი ინტერესების დაბალანსებას და კონფლიქტების მშვიდობიან რეგულაციას. ზოგადი პოლიტიკის დანიშნულება არის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეკონომიკის ისეთი სამართლებრივი და ინსტიტუციური საფუძვლების შექმნა, რომელიც შესაძლებელს გახდის განსხვავებული ინტერესების თანაარსებობას და ოპტიმალურ კომპრომისს.

ამავე მიზეზით, შესაძლებელია, რომ ერთი ეკონომიკური მიზანი (მაგ. უმუშევრობის შემცირება) მოვიდეს წინააღმდეგობაში სხვა, მიზნებთან (მაგ. ინფლაციის კონტროლი ან ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება). ხშირად, პოლიტიკურ დღის წესრიგში პრიორიტეტების ცვლა განაპირობებს იმ გარემოებას, რომ გრძელვადიანი ეფექტების მქონე პოლიტიკა სათანადოდ ვერ ხორციელდება. დამატებით სირთულეს წარმოადგენს ისიც, რომ პოლიტიკური აქტორები იშვიათად ითვალისწინებენ დაყოვნებული ეფექტების შედეგებს და ხშირად ამჯობინებენ მოკლევადიან წარმატებას.

ეკონომიკური პოლიტიკის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხშირად გადაწყვეტილებები მიიღება არა ზოგადი კეთილდღეობის, არამედ ცალკეული სოციალური ან ამომრჩეველთა ჯგუფების ინტერესებიდან გამომდინარე. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს საერთო ინტერესის მომსახურებას, რეალურად მასში მრავალი პირადი, ორგანიზაციული და ჯგუფური

ინტერესი ირევა, რაც ართულებს თეორიული რეკომენდაციების ეფექტიან განხორციელებას.

თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მნიშვნელოვნად იმატა ინტერესთა ჯგუფების როლმა, რაც ბუნებრივად განსაზღვრავს სახელმწიფო სტრუქტურებისა და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტების მოქმედებათა არეალს. გადაწყვეტილებების ოპტიმალურობის კრიტერიუმი არა მხოლოდ ეკონომიკური მიზნების მიღწევაში, არამედ ამ მიზნების თანხვედრასა და დაპირისპირებაში ვლინდება, რაც პირდაპირ აისახება ეკონომიკური პოლიტიკის შინაარსსა და ინსტიტუციურ სტრუქტურაზე.

ყოველი ქვეყნის პოლიტიკური კულტურა განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორი ურთიერთობა არსებობს სახელმწიფოსა და ინტერესთა ჯგუფებს შორის. ინტერესთა ჯგუფები, ისევე როგორც პოლიტიკური პარტიები, არიან საზოგადოებასა და მთავრობას შორის კომუნიკაციის მთავარი არხები, განსაკუთრებით ლიბერალურ დემოკრატიებში.

ინტერესთა ჯგუფები, პოლიტიკური პარტიებისგან განსხვავდებიან თავიანთი ვიწრო ინტერესებით, რაც გამოიხატება გავლენის მოპოვებაში და არა არჩევნებში გამარჯვებაში და მთავრობაში მოსვლით (Hague & Harrop, 2013).

ახალი პოლიტიკური ეკონომიის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ინტერესთა ჯგუფების წარმოშობისა და მათი პოლიტიკური გადაწყვეტილებების პროცესებზე გავლენის გაანალიზება და შეფასება (Klump, 2013).

ინტერესთა ჯგუფები დემოკრატიის განუყოფელი ნაწილია. მათი საქმიანობა ფართოდ გავრცელებულია ლიბერალურ დემოკრატიებში, მათი წარმომადგენლები შეთავაზებული კანონის დეტალებზე აქტიურად აწარმოებენ მოლაპარაკებებს ბიუროკრატებთან, ცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ საკანონმდებლო ორგანოებზე. მაგრამ ავტორიტარულ რეჟიმებში, ინტერესთა ჯგუფების საჯაროდ წარმოჩენა ნაკლებად ხდება, მათ საქმიანობას უფრო კორუფციული ხასიათი აქვს. ინტერესები კვლავ არის წარმოდგენილი მთავრობაში, მაგრამ როგორც ინდივიდუალური საწარმოს ან გავლენიანი პიროვნებების სახით და არა როგორც ზეწოლის (pressure) ჯგუფები (Hague & Harrop, 2013).

მთავარი კითხვა რომელიც ჩნდება ინტერესთა ჯგუფების შესახებ არის ის რომ, არიან თუ არა ისინი დემოკრატიული პროცესების მონაწილენი ლიბერალურ დემოკრატიებში? ახლა ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლობა, როგორც ექსპერტული ცოდნის მატარებელნი, არჩეულ ინსტიტუტების შემადგენელ ნაწილებად გვევლინება (Klinj & Skelcher , 2007).

იმ კრიტიკოსების აზრით კი როგორც არის Lowi (1969) ინტერესთა ჯგუფები არიან როგორც “დემოკრატიული მთავრობის კორუფცია“ . როდესაც ჯგუფები არიან ძალიან ძლიერნი, პოლიტიკა ხდება საშუალება დააბალანსოს გარკვეული ინტერესები, ვიდრე მისდიოს რასაც Rousseau(1755) უწოდებდა“ the general will“, რაც არის საერთო კეთილდღეობა (Hague & Harrop, 2010).

Olson (1965 ,1982) დიდ საფრთხეს ხედავდა იმაში, რომ საზოგადოებრივი ინტერესების ორგანიზება სიმეტრიულად არ ხორციელდებოდა. სხვისი კაპიტალის მითვისებისა და მოხმარების საფრთხისა, ასევე ორგანიზაციის ხარჯების გამო, როგორც წესი, პატარა ჯგუფების განსაკუთრებული ინტერესები შესაძლოა, ინსტიტუციურად ბევრად უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს, ვიდრე უფრო მოზრდილ ჯგუფთა ინტერესები. თუმცა, როდესაც პატარა, კარგად ორგანიზებული ინტერესთა ჯგუფები ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე მეტისმეტად დიდ გავლენას ახდენენ, ისინი გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცვლილებებს ბლოკავენ. მიზანმიმართული ლობიზმის საშუალებით ისინი ცდილობენ, გაზარდონ თავიანთ წევრთა შემოსავალი, მაშინაც კი, როდესაც იგი არა საყოველთაო კეთილდღეობის ზრდასთან, არამედ, წმინდა გადანაწილებასთან არის დაკავშირებული.

ოლსონი გრძელვადიანი კეთილდღეობის წინაპირობას ხედავდა გავლენიან ინტერესთა ჯგუფების შევიწროვებასა და კონკურენციის გაძლიერებაში. სახელმწიფოთა ხანგრძლივ ეკონომიკურ დაღმასვლას იგი უკავშირებდა „ინსტიტუციურ სკლეროზს“, რომლის მიზეზსაც წარმოადგენს ლობისტთა ჯგუფების მიერ საკუთარი პრივილეგიების დასაცავად კონკურენციის წესრიგის დარღვევა და ამით ეროვნული ეკონომიკის გარე შოკების მიმართ მგრძნობელობის გაზრდა.

ისტორიული თვალსაზრისით, ინტერესთა ჯგუფები საკმაოდ პროგნოზირებადი გზებით განვითარდნენ. დასავლეთში, ისინი გამოჩნდნენ სოციალური ცვლილებებიდან (მაგ.ინდუსტრიალიზაცია) და სახელმწიფოს აქტივობების გაფართოებისგან (მაგ.საზოგადოებრივი კეთილდღეობა) წარმოქმნილი მრავალჯერადი ტალღისგან. სოციალური ცვლილებების პერიოდები წარმოშობს ახალ პრობლემებს, მაშინ როდესაც არსებული მთავრობები ხალხს საჯარო პოლიტიკის ზემოქმედებისგან უფრო მეტი სარგებლის მიღების იმედს აძლევენ. როგორც თანამედროვე პოლიტიკის მრავალი ასპექტი, ინტერესთა ჯგუფების აქტივობები არის პასუხები საჯარო რეგულაციების ზრდაზე (Hague & Harrop, 2013).

ცხრილი 1. გვიჩვენებს ინტერესთა ჯგუფების განვითარების შეჯამებას ამერიკის შეერთებულ შტატებში. დასავლეთის უმრავლესი ქვეყანა მსგავს ან ნაკლებად ძლიერ კურსს გაჰყვა და შედეგად გვაქვს თავისუფალი ჯგუფების აქტივობები, რომელსაც ვხვდებით თითქმის ყველა თანამედროვე ლიბერალურ დემოკრატიებში.

ინტერესთა ჯგუფები, მათი სიდიდით, მიზნებით და ტაქტიკით ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ინტერესთა ჯგუფები, რომელთაც ასევე ზეწოლის (Pressure) ჯგუფებსაც უწოდებენ არიან არასამთავრობო ორგანიზაციები, დამსაქმებელთა ორგანიზაციები, სავაჭრო გაერთიანებები, მომხმარებელთა ჯგუფები, პროფესიული კავშირები, ფართო კამპანიის მატარებელი ორგანიზაციები, რომლებიც მიისწრაფვიან თავიანთი მიზნების მისაღწევად და ამისთვის ცდილობენ გავლენა მოახდინონ საჯარო პოლიტიკაზე.

ცხრილი 1. ინტერესთა ჯგუფების ჩამოყალიბების მოძრაობები ამერიკის
შეერთებულ შტატებში

	მოძრაობები	ინტერესთა ჯგუფები
1830-60	პირველი ნაციონალური ორგანიზაციების დაარსება	YMCA და ბევრი სხვა მონობის საწინააღმდეგო ჯგუფები
1880-1900	მრავალი ბიზნეს და შრომის ასოციაციების შექმნა, რომლებიც სტიმულირებული იყო ინდუსტრიალიზაციისგან	მწარმოებელთა ნაციონალური ასოციაცია; შრომის ამერიკული ფედერაცია
1900-20	ინტერესთა ჯგუფების ფორმაციის პიკური პერიოდი	სავაჭრო პალატა; ამერიკის სამედიცინო ასოციაცია
1960-80	მრავალი გარესმოდაცვითი და საზოგადოებრივი ინტერესთა ჯგუფები	ქალთა ეროვნული ორგანიზაცია; Common Cause

წყარო: Hrebenar (1997)

როდესაც ინტერესთა ჯგუფებზე ვფიქრობთ, პირველი რაც გვახსენდება არის დამცველი (Protective) ჯგუფები, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთი წევრების მატერიალურ ინტერესებს. ასეთი ჯგუფები არიან: პროფკავშირები, დამსაქმებელთა ორგანიზაციები და პროფესიული ასოციაციები (იხ.ცხრილი 2). ზოგჯერ მათ ასევე უწოდებენ სექციურ ან ფუნქციურ ჯგუფებს, რადგან ასეთი დამცველი (Protective) ჯგუფების პრიორიტეტია თავიანთი მიზნების მისაღწევად გავლენა მოახდინონ

მთავრობაზე. მაგალითად, მუშებს შეუძლიათ გაიფიცონ, მედიცინის წარმომადგენლებს შეუძლიათ უარი თქვან მათ სფეროში მიღებულ ახალ რეგულაციებზე და ა.შ. დამცველი (Protective) ორგანიზაციები არიან ყველაზე გავლენიანი ჯგუფები, კარგად დაფუძნებულნი, ორგანიზებულნი და საჭირო რესურსებით კარგად უზრუნველყოფილნი (Hague & Harrop, 2010).

დამცველი (protective) ჯგუფები არ არიან ორგანიზებული ინტერესების მხოლოდ ერთადერთი სახე. ბევრი ორგანიზაცია რომელიც დაარსდა 1960 წლის შემდეგ არის უფრო ხელშემწყობი (პრომოტიონალ) ვიდრე დამცველი (Protective). ხელშემწყობი (პრომოტიონალ) ჯგუფები ადვოკატირებას უწევენ იდეებს, პოლიტიკას და ღირებულებებს. მაგალითად, როგორც არის გარემოს დაცვა. ასეთი ჯგუფები არ მოელოან მატერიალურ სარგებელს.

ლიბერალურ დემოკრატიებში, ხელშემწყობი (Promotional) ჯგუფების რაოდენობა და მნიშვნელობა, ასევე მთავრობის მიერ მათი აღიარება მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. მათი გავლენის ზრდა 1960 წლიდან შეადგენს მთავარ ტრენდს ინტერესთა კონფლიქტების მართვის პოლიტიკაში. აშშ-ში, მაგალითად Common Cause (2006) თავის თავს აღწერს როგორც „არასამთავრობო, არაპარტიზანული მოქალაქეთა ლობისტთა ორგანიზაცია, რომელიც ეხმარება ღია, პატიოსან და ანგარიშვალდებულ მთავრობას“. მისი 300,000 წევრი, 35 სახელმწიფო ორგანიზაცია და \$ 10 მილიონიანი ყოველწლიური ბიუჯეტი არის შემოწირულობა იმ ხალხისთვის ვისაც სურს შეურთდეს სპეციფიკურ ორგანიზაციას, ირონიულად კი საჯარო ინტერესს. მიუხედავად ამის, ვინც ხელშემწყობი (Promotional) ჯგუფებში ერთიანდება, პოლიტიკური პარტიების წევრების მსგავსად მხოლოდ საკრედიტო ბარათის მფლობელებად არიან აფილირებულნი. ფინანსური შენატანები გამოხატავს როგორც დონორების სულისკვეთებას, ასევე დელეგატების მისწრაფებას მისდინ ჯგუფის ლიდერების კურსს. ამიტომ ხელშემწყობი (Promotional) ჯგუფების ეფექტურობის შეფასება როგორც სკოლა დემოკრატიისთვის ხშირად გადაჭარბებულია (Maloney, 2009).

ინტერესთა ჯგუფები ყოველთვის პირდაპირ არ ლობირებენ მთავრობას. ხშირად დამცველი (Protective) ჯგუფები ერთიანდებიან პიკურ (Peak) ასოციაციებში. ასეთი ასოციაციები არიან ქოლგა (Umbrella) ორგანიზაციები, რომლებიც მთავრობაში

წარმოადგენენ კაპიტალის ან შრომის ფართო ინტერესებს. პიკური (Peak) ასოციაციების წევრები არ არიან ინდივიდუალური პირები, არამედ ფირმები, სავაჭრო ასოციაციები და მშრომელთა კავშირები. მაგალითად, ასეთი ქოლგა (Umbrella) ორგანიზაციებია: მრეწველთა ნაციონალური ასოციაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიის დამსაქმებელთა ფედერალური ორგანიზაცია და ბრიტანული წარმოების კონფედერაცია გაერთიანებულ სამეფოში.

პიკური (Peak) ასოციაციები ისწრაფვიან საჯარო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენისკენ და ხშირად წარმატებასაც აღწევენ. ზოგ შემთხვევაში ასეთი ასოციაციები ერთგვარ გამაერთიანებელ როლს ასრულებენ, აკავშირებენ რა მთავრობას თავიანთ წევრებთან და მათი მეშვეობით კი საზოგადოებასთან. გერმანული პროფკავშირების კონფედერაცია (DGB) თავის როლს ასე განიხილავს: DGB თავისთან იხმობს ინდივიდუალურ გაერთიანებებს, აერთიანებს მათ და ამით ქმნის ერთ ეფექტურ გაერთიანებას და შემდეგ წარმოადგენს მათ გაერთიანებულ ინტერესებს. ის არის მასში შემავალი გაერთიანების ხმა, რომელსაც აწვდენს ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს, პარტიებს, ასოციაციებს, ფედერალურ, სახელმწიფო და მუნიციპალურ დონეზე.

როდესაც ბიზნეს და მშრომელთა (labour) პიკური (Peak) ასოციაციები ხდებიან ცენტრალურად ჩართულები ისეთი საკითხების ფართო პოლიტიკის შემუშავებაში, როგორიც არის ფასების კონტროლი, ხელფასების ზრდა და სხვადასხვა შეღავათები (კეთილდღეობის გაზრდის მიზნით), მაშინ ასეთი სისტემა ცნობილია როგორც კორპორატივიზმი (corporatism) (Berger & Compston, 2002).

ცხრილი 2 . დამცველი (protective) ჯგუფები და ხელშემწყობი (promotional) ჯგუფები

	დამცველი ჯგუფები (Protective)	ხელშემწყობი ჯგუფები (promotional)
მიზნები	ჯგუფური: ინტერესების დამცველი	ჯგუფური: ხელს უწყობს გამოწვევას წევრობა
წევრობა	დახურული: წევრობა არის შეზღუდული	ღია: ნებისმიერს შეუძლია გაწევრიანდეს
სტატუსი	შიდა: ხშირად იღებს კონსულტაციებს მთავრობისგან და აქტიურად მიისწრაფვის ამ როლისკენ	გარე: იშვიათად იღებს კონსულტაციებს მთავრობისგან და მიზანმიმართულია საზოგადოების და მედიის მოსაზრებებზე
სარგებელი	შერჩევითი: მხოლოდ ჯგუფის წევრები იღებენ სარგებელს	კოლექტიური: სარგებელს იღებენ წევრებიც და არაწევრებიც
ფოკუსირება	ჯგუფის მიზანია გავლენა მოახდინოს ეროვნულ მთავრობაზე ისეთ სპეციფიკური საკითხებზე, რომლებიც წევრებს ეხებათ	ჯგუფი ისწრაფვის გავლენა მოახდინოს როგორც ეროვნულ მთავრობაზე, ასევე გლობალურად ფართო პოლიტიკის საკითხებზე

წყარო: Hague & Harrop (2010)

იმისათვის, რომ პიკურმა (Peak) ასოციაციებმა მოიპოვონ ასეთი ძლიერი პოზიცია, რაღაც დონეზე უნდა მოიპოვონ ავტონომია თავიანთ წევრებისგან და ასევე კონტროლი თავიანთ წევრებზე. პროფკავშირების წევრობის შემცირებით და უფრო ბაზარზე ორიენტირებული აზრის გაზრდით, საერთაშორისო ბაზრებმა და მცირე მომსახურების კომპანიებმა, ტრადიციული კორპორატიული შეთანხმებები შეამცირეს

იმ ევროპულ ქვეყნებშიც კი როგორც არის ავსტრია, სადაც ასეთი ტიპის შეთანხმებები ღრმად იყო დამკვიდრებული (Talos & Kittel, 2002).

პიკურ (Peak) ასოციაციების პოლიტიკური მნიშვნელობა განაგრძობს ცვლილებას ლიბერალური დემოკრატიებში. მათთვის მთავარი ტენდენცია არის იყვნენ პოლიტიკაზე ზემოქმედების მომხდენები და მომსახურების გამწევი ერთეულები, ვიდრე ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთი წევრების სასარგებლოდ კოლექტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ მთავრობასთან (Silvia & Schroder, 2007).

პლურალიზმი ასახავს პოლიტიკურ სისტემას, სადაც მრავალი ინტერესთა ჯგუფის შეჯიბრი ხდება მთავრობაზე გავლენის მოპოვებისთვის. სახელმწიფო უფრო არბიტრის, დამკვირვებლის როლს ასრულებს, ვიდრე მოთამაშის. თითოეული ინტერესთა ჯგუფი კონცენტრაციას ახდენს თავის საკუთარ დარგზე (მაგალითად: განათლება, ჯანდაცვა). ამიტომ არცერთი ცალკე აღებული ელიტა არ დომინირებს ყველა სექტორს (Hague & Harrop, 2010).

ეს ამერიკული შთაგონებული ხედვა ეხება თავისუფლად ორგანიზებულ ინტერესთა ჯგუფებს შორის შეჯიბრის ფორმას. ამ მხრივ პლურალიზმი გვთავაზობს არა მხოლოდ ინტერესთა ჯგუფების მოქმედებების აღწერას, არამედ რაც მნიშვნელოვანია ლიბერალური დემოკრატიის ინტერპრეტაციას.

პლურალისტურ სისტემაში, პოლიტიკა ხელს უწყობს ღია, კონკურენტულ ბაზრის ფორმირებას, სადაც შესვლის ძალიან უმნიშვნელო ბარიერებია. პლურალისტური პოლიტიკა არის მრავალი მონაწილის არენა, მაგრამ თეორიულად არა კორუფციული. პლურალიზმის მნიშვნელობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ გავიაზროთ თანამედროვე დემოკრატიის არსი (Hague & Harrop, 2010).

პლურალისტური მმართველობის გაძლიერება ეჭვგარეშე აუცილებელია. ჯგუფები ემსახურებიან მოქალაქეების პოლიტიკურ განათლებას, ასევე აძლიერებენ მათ თავიანთი კავშირებით სახელმწიფოსთან. ხელს უწყობენ იმას, რომ მხოლოდ ერთმა ინტერესმა არ მოახდინოს გავლენა გადაწყვეტილებებზე და ინფორმაციის მიწოდებით, დისკუსიით, მოლაპარაკებებით და კომპრომისით შესაძლებელი გახდა საზოგადოებრივი გადაწყვეტილებები უფრო რაციონალური და მისაღები გამხდარიყო (Dahl, 1993).

ამას გარდა, ინტერესთა ჯგუფები ხელს უწყობენ მთავრობის საქმიანობის კრიტიკულ დაკვირვებას. მაგალითად, მათ აინტერესებთ ასრულებს თუ არა მთავრობა დაპირებებს. (Gordon, 2005) აღნიშნავს: “რადგან მათი ინტერესები ფოკუსირებული არის კანონმდებლობის შედეგების პოლიტიკურ ეფექტზე და არა მხოლოდ კანონმდებლობის პოლიტიკურ სარგებელზე, ჯგუფებს მნიშვნელოვანი სტიმული აქვთ დააკვირდნენ და დარწმუნდნენ რომ პოლიტიკას რომელსაც ისინი მხარს უჭერენ სათანადოდ სრულდება აღმასრულებელი ორგანოს მიერ”.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინტერესთა ჯგუფების მაგალითი არის ყველაზე ახლოს პლურალისტურ მოდელთან, ვიდრე სადმე სხვაგან. როგორც De Tocqueville (1856) წერდა, “მსოფლიოში არცერთ სხვა ქვეყანას არ აქვს ასოციაციების პრინციპები ისე წარმატებულად გამოყენებული მრავალი ტიპის საკითხებში, ვიდრე ეს აშშ-შია”. Petracca (1992) კი მოკლედ აღნიშნავს: „ამერიკის პოლიტიკა არის ინტერესების პოლიტიკა“.

ვამინგტონის პოლიტიკა ასახავს პლურალიზმის მთავარ შტრიხს-კონკურენციას. კონგრესის წევრები აცნობიერებენ, რომ ისინი მუდმივად საჯარო დაკვირვების ქვეშ არიან. თეთრ სახლში ორწლიანი არჩევნების ციკლი მიაწვდის იმაზე, რომ პოლიტიკოსებმა თავიანთი რეიტინგები მუდმივად იციან ინტერესთა ჯგუფების მიერ. წარმომადგენლები უსმენენ ჯგუფების მოთხოვნებს, რადგან მათ ეს ეხმარებათ ხელახალ არჩევაში (Hague & Harrop, 2010).

ზოგადად, პლურალიზმი რჩება მნიშვნელოვან პერსპექტივად, მაგრამ ბევრი ეკონომიკური პოლიტიკის მეცნიერი ახლა უკვე იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ურთიერთობა ინტერესთა ჯგუფებსა და მთავრობას შორის ცალმხრივია; ზოგი ასევე ამტკიცებს, რომ პლურალისტური სურათის შეფასება გადაჭარბებულია (Smith, 1995).

პლურალიზმის კრიტიკა ფოკუსირდება შემდეგ ძირითად საკითხებზე:

- ინტერესთა ჯგუფები არ იბრძვიან თანაბარ პირობებში. ზოგიერთი ინტერესი, მაგალითად ბიზნესი არის მთავარი ძლიერი მოთამაშე. დანარჩენები როგორებიც არიან პროფესიული ორგანიზაციები, მოისაზრებიან როგორც პოლიტიკის გატარების ცენტრალურ რგოლებად. სინამდვილეში ჯგუფები აყალიბებენ გავლენის მდგრად იერარქიას, რაც თავისთავად განსაზღვრავს მათ მნიშვნელობას მთავრობასთან ურთიერთობაში.

- პლურალიზმი სათანადოდ არ განიხილავს იმ ფაქტს, რომ პოლიტიკური კულტურა და პოლიტიკური სისტემა უპირატესობას ანიჭებს ზოგიერთ ჯგუფს, ზოგს კი უგულვებელყოფს. ის ჯგუფები, რომლებიც ადვოკატირებას უწევენ მოკრძალებულ რეფორმებს, არსებულ ეკონომიკურ პოლიტიკურ წესრიგში, უფრო სიმპატიით არიან მოსმენილნი, ვიდრე ისინი, რომლებიც უფრო რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვენ (Walker, 1991).
- რეგულაციები მიღწევადია, მაგრამ რედისტრიბუცია ნაკლებად. მაგალითად, ზოგიერთი ჯგუფები: მიგრანტები, პაციენტები და ნაკლებ შემოსავლიანები განიცდიან სირთულეებს თავიანთი მიზნების ორგანიზებაში. სახელმწიფო ძალიან შორს დგას იმ ფაქტისგან, რომ წარმოადგენს არბიტრს, დამკვირვებელს. იმისათვის, რომ გადაწყდეს თუ რომელი ჯგუფის ინტერესები იქნას გათვალისწინებული, შესაძლოა მან თვითონ დაარეგულიროს მათი საქმიანობა და წახალისოს მათი ფორმირება სასურველ სფეროში ისე, რომ ჩამოაყალიბოს ინტერესთა ჯგუფების მოქმედების არეალი.

ბიზნეს ჯგუფები, ზოგადად სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებაში ერთ-ერთი მთავარი გავლენიანი ინტერესთა ჯგუფებია. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებულ ლობისტურ ორგანიზაციებს შორის ნახევარზე მეტი სწორედ ბიზნეს ორგანიზაციებისთვის მუშაობს. ზოგიერთი ლობისტური ორგანიზაცია მხოლოდ ერთი კონკრეტული ბიზნეს კორპორაციის ლობიზმით არის დაკავებული. ზოგჯერ ერთიდაიგივე ინდუსტრიის მქონე ბიზნესები ერთიანდებიან ერთ, დიდ ასოციაციად, რომელიც მოიცავს მრავალ კომპანიას და ერთობლივად იბრძვიან საერთო ინტერესებისათვის. მაგალითად, ამერიკის ნავთობის ინსტიტუტი (American Petroleum Institute) საქმიანობს ნავთობის კომპანიების სასარგებლოდ. ზოგიერთი ბიზნეს ჯგუფები მოქმედებენ მთლიანად ბიზნესისთვის, მაგალითად, ამერიკის სავაჭრო სამრეწველო პალატა (USCC) საქმიანობს ზოგადად ბიზნესისთვის და არა ეკონომიკის კონკრეტული დარგისთვის.

რადგან ბიზნეს ჯგუფები ფინანსურად კარგად უზრუნველყოფილნი არიან, შესაბამისად ისინი მიიჩნევიან ყველაზე გავლენიან ინტერესთა ჯგუფებად. ისინი იბრძვიან კერძო კომპანიების და ასოციაციების ინტერესებისთვის და მათთვის სხვადასხვა სარგებლობის მოტანისთვის, როგორცაა გადასახადების შემცირება,

რეგულაციების შეცვლა და ა.შ. ბიზნეს ჯგუფები ყოველთვის არ ეთანხმებიან ერთმანეთს, რადგან რაც სასარგებლოა ინდუსტრიის ერთი დარგისთვის, შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს მეორე დარგისთვის და შესაბამისად ერთი ინდუსტრიის ერთი კონკრეტული დარგის ადვოკატირება შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს ინდუსტრიის მეორე დარგისთვის.

(Hays, 2001) თავის სტატიაში “ინტერესთა ჯგუფების როლი” მიმოიხილავს ინტერესთა ჯგუფების როლს ამერიკის შეერთებულ შტატებში და შესაბამისად მათ გავლენას ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. მისი აზრით, ინტერესთა ჯგუფების განსხვავებული ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, ესა თუ ის ინტერესთა ჯგუფი რამდენად ეფექტურად იყენებს წევრობის პრინციპს, როგორ უზრუნველყოფს მათ ინფორმირებას, მობილიზებას და რამდენად უზრუნველყოფილია ფინანსურად.

იგი მიმოიხილავს პროფკავშირების და პროფესიული ასოციაციების როლს და აღნიშნავს, რომ მშრომელთა კავშირების (Labor union) როლი მე-20 საუკუნის დასაწყისში საგრძნობლად შემცირდა იმ პერიოდთან შედარებით როდესაც მას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ამერიკულ პოლიტიკურ სისტემაში, მაგალითად 1930-იან წლებში. ამ როლის შესუსტება შეიძლება განხილულ იქნას კომპლექსურად, სადაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გლობალური ეკონომიკის არსებითმა ცვლილებამ და ასევე ამერიკაში წარმოებაზე ორიენტირებული ეკონომიკის, მომსახურებაზე ორიენტირებული ეკონომიკით შეცვლამ.

პროფესიული ასოციაციები ორიენტირებულნი არიან კოლექტიურ ინტერესებზე, ღირებულებებზე და თავიანთ პროფესიულ სტატუსზე. ასეთი ასოციაციები არ არიან კარგად ორგანიზებულნი და აქვთ მცირე შემოსავლები, ამიტომ მათ არ აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა ამერიკის პოლიტიკურ პროცესზე.

(Berry, 1977) - ის აზრით იმ საზოგადოებრივ ინტერესთა ჯგუფების მიზანი, რომლებიც 1970 წლიდან სწრაფად ვითარდებიან, არის არა პირდაპირი მატერიალური სარგებლიანობის მოპოვება მათი წევრებისთვის, არამედ ისინი გამოხატავენ ღირებულებებს, რომლებიც მთლიანად საზოგადოებას ეკუთვნის. მაგალითად, როგორიც არის სამოქალაქო უფლებები, ქალთა და ბავშვთა უფლებები, უნარშეზღუდულ პირთა უფლებები, გარემოს დაცვა და სხვა.

საზოგადოებრივ ინტერესთა ჯგუფები ზოგადად ფინანსური რესურსების ნაკლებობას განიცდიან. მიუხედავად იმის, რომ ასეთ ჯგუფებს საზოგადოების დიდი მხარდაჭერა აქვთ, მაინც განიცდიან წევრების ნაკლებობას. ერთ-ერთი ამის გამომწვევი მიზეზი არის „Fრეე რიდერ“ პრობლემა, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების თითოეულ წევრს შეუძლია მიიღოს სარგებლობა ასეთი ჯგუფების აქტიურობით, ისე რომ არ გახდეს მათი წევრი.

(Hays, 2001) აზრით მკვლევარების უმრავლესობა თანხმდება, რომ ბიზნესი ცენტრალურ როლს თამაშობს ამერიკის პოლიტიკაში. წამყვანი კორპორაციებისთვის პრესტიჟის საქმეა წარმოადგენდნენ მთავარ მოთამაშეებს ამერიკის ეკონომიკაში. რადგან მთავრობაში არჩეული ოფიციალური პირები ანგარიშვალდებულნი არიან სახელმწიფოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ამიტომ ხშირად ემინიათ, რომ ანტი-ბიზნესის პოლიტიკამ ზიანი არ მოუტანოს არსებულ მდგომარეობას და იძულებულნი არიან ბიზნესისთვის სასურველი პოლიტიკა გაატარონ.

იმ ბიზნეს ჯგუფებს, რომლების მიმართაც საზოგადოება დადებითად არის განწყობილი ორჯერ უფრო მეტი გავლენა აქვთ საზოგადოების დიდ ჯგუფებზე, ვიდრე პროფესიულ ასოციაციებს ან იმ ინტერესთა ჯგუფებს, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მოქალაქეების საშუალო ფენების ინტერესებზე და მათ გაერთიანებაზე.

პლურალიზმის და კორპორატივიზმის შედარება გვიჩვენებს, რომ პლურალიზმი აადვილებს ჯგუფებს შორის შეჯიბრს, ხოლო კორპორატივიზმი (ანუ სოციალური პარტნიორობა) ხაზს უსვავს კავშირების კოორდინაციას ჯგუფებსა და სახელმწიფოს შორის.

პლურალისტურ მოდელში სოციალური კომუნიკაცია მიმართულია „ქვემოდან ზევით“, ანუ ჯგუფების წევრებიდან მათი ლიდერებისკენ და შემდეგ მთავრობისკენ; კორპორაციული მოდელი აქცენტს აკეთებს „ზემოდან ქვევით“ კომუნიკაციაზე: სახელმწიფო აკონტროლებს თავის მოქალაქეებს, ხოლო ჯგუფები-თავის წევრებს. პლურალიზმის გამორჩეული ნიშანია პოლიტიკურ პროცესში აქტორთა დიდი რაოდენობა. პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესი მიმდინარეობს არა ინტერესთა ჯგუფების თანამშრომლობის, არამედ მწვავე კონკურენციის შედეგად.

ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში, ინტერესთა ჯგუფები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა ბერკეტებს გადაწყვეტილების მიმღებ ინსტიტუტებზე ზემოქმედების მიზნით. ეს გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ისეთ სფეროებში, როგორიცაა გადასახადები, საბიუჯეტო პოლიტიკა, საბანკო რეგულაციები. ინტერესთა ჯგუფები მოქმედებენ როგორც ინდივიდუალურად, ისე კოალიციურად, რათა მათ ინტერესებთან მიახლოებული სტრატეგიები აისახოს სახელმწიფოს პოლიტიკურ კურსში.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ფუნქცია საჯარო სიკეთის უზრუნველყოფაა, კონკრეტულ მომენტებში ის იძულებულია განსაზღვრული ჯგუფების პრიორიტეტები გაითვალისწინოს, რაც აისახება გადაწყვეტილებების შინაარსზე. ამდენად, ეკონომიკური პოლიტიკის საბოლოო ფორმა არა მხოლოდ ეკონომიკური გათვლების, არამედ სოციალური, პოლიტიკური და ინტერესთა დაჯგუფებების ზემოქმედების შედეგია. ამ პროცესში მნიშვნელოვანი ხდება ბალანსის პოვნა საზოგადოების და გავლენიანი ჯგუფების მოთხოვნებს შორის, რაც პოლიტიკის ლეგიტიმაციასა და ეფექტიანობაზე პირდაპირ მოქმედებს (გველესიანი, 2008).

1.3. ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებსა და ინტერესთა ჯგუფებს შორის სოციალური პარტნიორობის შესაძლებლობა

დემოკრატიულ კონტექსტში, კორპორატივიზმი (ევროპაში ემახიან სოციალურ პარტნიორობას) არის ურთიერთობა სახელმწიფოსა და ინტერესთა ჯგუფებს შორის, სადაც ქვეყნის მთავარი გადაწყვეტილებები მიიღება დისკუსიების შედეგად, რომელიც იმართება მთავრობასა და პიკურ (Peak) ასოციაციებს (რომლებიც წარმოადგენენ მთავარ სოციალურ პარტნიორებს: კაპიტალსა და სამუშაო ძალას) შორის (Hague & Harrop, 2010), (სუმბაძე, 2024).

სოციალური პარტნიორობა როგორც სისტემა ინსტიტუციონალური თანამშრომლობის მთავრობას, პროფკავშირებს და დამსაქმებელს შორის არის მთავარი ფენომენი კონტინენტურ დასავლეთ ევროპისთვის. თუმცა პროფკავშირებს დიდ ბრიტანეთშიც და ჩრდილოეთ ამერიკაშიც ძლიერი პოზიცია ეკავათ შრომით ბაზარზე და პოლიტიკურ პროცესებში ომის შემდგომ პირველ დეკადებში. მხოლოდ

კონტინენტურ ევროპასა და სკანდინავიაში ჰქონდა ადგილი კლასთა კონფლიქტს მეოცე საუკუნის პირველ დეკადაში. ეს პერიოდი ხასიათდება პარტიული სისტემების და პოლიტიკური ინსტიტუციების ისეთი დონით, რომ სოციალურმა პარტნიორებმა როგორც კერძო ინტერესების ორგანიზაციებმა მოიპოვეს უნიკალური სტატუსი (Streeck & Hassel 2003); (სუმბაძე,2024).

კონსულტაციები (თუ უკვე აღარ ერთობლივად გადაწყვეტილებების მიღება) პიკურ (Peak) ასოციაციებსა და მთავრობას შორის ისევ გრძელდება. არა მხოლოდ მთლიანად სკანდინავიაში, არამედ ევროპის ზოგიერთ პატარა ქვეყნებშიც, როგორც არის ირლანდია და ნიდერლანდები, განვითარდა და განახლდა სოციალური პარტნიორობა როგორც გზა ეკონომიკური ეფექტურობის გასაუმჯობესებლად (Hague & Harrop, 2010); (სუმბაძე,2024).

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, დასავლეთ ევროპის ქვეყნები სერიოზული ეკონომიკური და სოციალური გამოწვევების წინაშე დადგნენ. ისინი უნდა გამკლავებოდნენ 1970-იან წლებში ნავთობის შოკებით გამოწვეულ შედეგებს, რომელიც უფრო აშკარა გახდა ეკონომიკის ლიბერალიზაციის და დერეგულაციის ფართო პროცესით, რაც თავის მხრივ დაკავშირებული იყო ევროპულ ინტეგრაციასთან, რომელიც განიცდიდა განვითარებულ, მდიდარი ქვეყნების მზარდ ფინანსურ კრიზისს და უმუშევრობის მაღალ დონეს. ამ პირობებში უნდა გამკლავებოდნენ ასევე მუდმივად მზარდ (განსაკუთრებით ფინანსური) ბაზრების ინტერნაციონალიზაციას. მიუხედავად ქვეყნების განსხვავებისა, დასავლეთ ევროპა, როგორც ერთი მთლიანი კვლავ აჩვენებს მთავრობასა და სოციალურ პარტნიორებს შორის ინტეგრაციის მაღალ დონეს (Armingeon, 2005); (სუმბაძე,2024).

1970-იანი წლების შუა ხანებში დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში დაწყებულმა ცვლილებებმა მკვლევარები აიძულა ახლებურად შეეხედათ ურთიერთობის ამ ფენომენისთვის. განხილულ იქნა ნეოკორპორატივიზმის ფორმირების კონცეფცია, რაც დემოკრატიის პლურალისტურ მოდელში ეწერებოდა.

ნეოკორპორატივიზმის ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებლებს წარმოადგენს:

- ინტერესების არტიკულაციის სპეციფიური, ცენტრალიზებული მექანიზმები.
- ეკონომიკური და პოლიტიკური ღირებულებების განაწილება ხდება

მოლაპარაკებების შედეგების მიხედვით.

- პარტნიორთა ანგაჟირებულობის მაღალი ხარისხი ერთობლივად შემუშავებული გადაწყვეტილებების განხორციელების პროცესში, ასევე შეთანხმებათა რეალიზების ეფექტურობის დამოკიდებულება ცალკეული სტრუქტურების სიძლიერეზე და წარმომადგენლობაზე.

ამ მახასიათებლებით განსაკუთრებით გამოირჩევა ნეოკორპორატივიზმის ავსტრიული მოდელი. შემთხვევითი არ არის, რომ ტერმინი “სოციალური პარტნიორობა” წარმოიშვა ავსტრიული სისტემის აღსანიშნავად, რომელიც მოიცავს სოციალური კეთილდღეობის განაწილებას და ამასთან დაკავშირებით წარმოშობილი სოციალური კონფლიქტების ერთობლივ მართვას.

„სოციალური დიალოგები, კოლექტიური შეთანხმებები და მუშათა დაცვა არის აუცილებელი ფაქტორები ინოვაციების, პროდუქტიულობის და კონკურენციის წახალისებისთვის. ეს არის რითაც განსხვავდება ევროპა (სადაც ომის შემდგომი სოციალური პროგრესი შეესაბამება ეკონომიკურ ზრდას) ამერიკული მოდელისგან (სადაც უმრავლესობის ინტერესების გამოხატვის ხარჯზე ინდივიდუალების მხოლოდ მცირე რაოდენობა იღებს სარგებელს). ევროპამ უნდა გააგრძელოს ამ სოციალური მოდელის შენარჩუნება, როგორც მაგალითი მსოფლიოს სხვა ქვეყნებისთვის“ (ევროპის პროფკავშირების კონფედერაციას (ETUC 2006); (სუმბაძე, 2024).

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მას შემდეგ რაც ევროკავშირის წევრები გახდნენ, უკვე არსებული დიალოგის ფორმები იმგვარად განვითარდა, რომ სოციალური პარტნიორები მონაწილეობას იღებდნენ ეკონომიკურ პოლიტიკურ გადაწყვეტილებების მიღებაში სამხრივი ინსტიტუტების მეშვეობით. ასეთი ურთიერთობები ინიცირებული იყო მთავრობების მიერ და მიზნად ისახავდა 1989 წლის შემდგომ პერიოდში სოციალური კონფლიქტების თავიდან არიდებას, რაც მოგვიანებით მტკიცედ იქნა მხარდაჭერილი ევროკომისიის მიერ (Kohl & pflatzer, 2004).

ნეო-კორპორატიულ ლიტერატურის თანახმად, სოციალურ პარტნიორობაში, ურთიერთობები და შეთანხმებები მთავრობებსა და პროფკავშირებს შორის ეფუძნება რესურსების გადანაწილებას. პროფკავშირები წარმოადგენენ დასაქმებულთა ინტერესებს და შეუძლიათ თავიანთი რესურსების მობილიზაციით დაბლოკონ მთავრობის პოლიტიკური მიზნები. ისინი თავიანთი შესაძლებლობების

მოზილიზაციას ახდენენ იმიტომ, რომ მიაღწიონ თავიანთ პოლიტიკურ მიზნებს და სანაცვლოდ მიიღონ თავიანთი წევრების ლეგალური და პოლიტიკური დაცულობა, ასევე სარგებელი თავიანთი ორგანიზაციებისთვის არსებულ პოლიტიკურ სისტემაში (Molina & Rhodes, 2002 ; Pizzorno, 1978 ; Streeck, 1984). უფრო მეტიც, ისინი კომუნიკაციას ახდენენ თავიანთ წევრებთან და აცნობენ მთავრობის პოლიტიკურ მიზნებს (როგორცაა სახელფასო პოლიტიკა) და ამით ახდენენ ლეგიტიმაციას (Hassel, 2009 ; Rhodes, 2002 ; Pizzorno, 1978 ; Streeck, 1984).

კლასიკურ კორპორატივიზმის დროს მთავრობებსა და პროფკავშირებს შორის ურთიერთობის შეფასებისას, შეგვიძლია სისტემატურად განვასხვავოთ პოლიტიკური ინტერესები და ძალაუფლების ინტერესები, როგორც ორი მამოძრავებელი ძალა ორივე მხრიდან. ურთიერთქმედება „გავლენის ლოგიკას“ და „წევრობის ლოგიკას“ (Streeck, 1987) შორის მოცემულია ცხრილ 3-ში.

რადგან არანაირი პოლიტიკა არ შეიძლება გატარდეს ძალაუფლების გარეშე და ძალაუფლება რეგულარულად არის გამოყენებული პოლიტიკის გასატარებლად, მათ შორის განსხვავება უბრალოდ ანალიტიკურია და მხოლოდ ასახავს ორივე ასპექტის მნიშვნელობას. პრაქტიკაში, ორივე ინტერესი ბუნებრივად არის შერწყმული. სპეციფიკურ სიტუაციაში, სადაც მთავრობების წინაშე დგას საკითხი, გაიზიარონ თუ არა პროფკავშირების მოსაზრებები, შესაბამისად ორივე ინტერესი ხდება მნიშვნელოვანი (Hassel, 2008).

ცხრილი 3. ინტერესთა კონსტალაცია სოციალურ პარტნიორობის მოლაპარაკებებში

	პოლიტიკის ინტერესები	ძალაუფლების ინტერესები
მთავრობები	a. ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა	b. საარჩევნო დახმარება პროფკავშირისგან ; მთავრობების ქმედებების ლეგიტიმაცია
პროფკავშირები	c. წევრების ინტერესები მაღალი ხელაფასების მიღების და უხვი სოციალური პოლიტიკის არსებობაში	d. ინსტიტუციონალური დაცულობა

წყარო : Hassel (2008)

ამგვარად, როცა საქმე გვაქვს პროფკავშირებთან, მთავრობებს შეიძლება ჰქონდეთ ორი განსხვავებული მოტივაცია: ისინი ან ცდილობენ დაითანხმონ კავშირები, რათა შეწყვიტონ მათი ვეტო პოზიციები და ამგვარად გადაჭრან ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები, ან ირჩევენ მათთან თანამშრომლობას, რათა გამოიყენონ ისინი როგორც პოლიტიკური მხარდამჭერები საარჩევნო კამპანიის დროს, ან სხვადასხვა საკითხების ლეგიტიმაციაში.

შესაძლებელია განვასხვავოთ სოციალური პარტნიორობის ოთხი განსხვავებული ტიპი, სადაც კლასიკურ კორპორატივიზმი არის ერთადერთი ვერსია, რომელიც კვლევების მიხედვით ღრმად არის შესწავლილი (იხ. ცხრილი 4)

ცხრილი 4. სოციალური პარტნიორობის ტიპების ურთიერთქმედება

პროფკავშირები	მთავრობები	
	(a) პოლიტიკის ინტერესები	(b) ძალაუფლების ინტერესები
(c) პოლიტიკის ინტერესები	პლურალიზმი <i>(UK 1979-)</i>	ტაქტიკური ალიანსი <i>(გერმანია 1998-2003)</i>
(d) ძალაუფლების ინტერესები	კლასიკური კორპორატივიზმი <i>(დასავლეთ ევროპა 1950-)</i>	მოჩვენებითი კორპორატივიზმი<i>(აღმოსავლეთ ევროპა 1989-)</i>

წყარო : Hassel (2008)

კლასიკური კორპორატივიზმი ეფუძნება მთავრობის ძლიერ პოლიტიკურ ინტერესების(a) და პროფკავშირების ძალაუფლების ინტერესების(c) კომბინაციას. მაღალი ინფლაციის პერიოდში, (1960-იანების შუა პერიოდიდან 1980-იანების შუა პერიოდამდე) მთავრობების უმრავლესობა დამოკიდებული იყო პროფკავშირებთან რიგ პოლიტიკურ საკითხებზე თანამშრომლობაზე. თუ კავშირები დათანხმდებიან მთავრობის პოლიტიკას და სანაცვლოდ მოითხოვენ ინსტიტუციონალურ დაცულობას, მაშინ ჩვენ მომსწრე ვართ კლასიკური კორპორატივიზმის არსებობის.

როდესაც მთავრობის ძალაუფლების ინტერესები (b) ემთხვევა კავშირების პოლიტიკურ ინტერესებს (c) ჩვენ მომსწრე ვართ ტაქტიკური ალიანსის არსებობის, სადაც მთავრობა გაერთიანებებს პოლიტიკური სარგებლით აჯილდოვებს. მთავრობა ცდილობს შეინარჩუნოს პროფკავშირებთან კარგი ურთიერთობა, იმისათვის, რომ შემდგომ მათი გამოყენება საარჩევნო მიზნებისთვის. სანაცვლოდ კავშირები მთავრობისგან ითხოვენ პოლიტიკურ სარგებელს.

პლურალისტური წყობის დროს, მთავრობა არ ცდილობს პროფკავშირების საარჩევნო მხარდაჭერას, ასევე პროფკავშირები არ ცდილობენ მთავრობიდან ინსტიტუციონალური დაცულობის მოპოვებას. ორივე მხარე დამოუკიდებლად მიისწრაფვის თავიანთი საკუთარ პოლიტიკურ ინტერესებისთვის. ამის მაგალითია დიდ ბრიტანეთში პროფკავშირებსა და მთავრობას შორის ურთიერთობა 1979 წლის შემდეგ.

მოჩვენებით კორპორატივიზმს (Illusory corporatism) (Ost, 2000) მაშინ აქვს ადგილი, თუ მთავრობა პროფკავშირებს პოლიტიკის ჩამოყალიბებაში მხოლოდ იმიტომ რთავს, რომ არჩევნებზე გარანტირებული ხმები მიიღოს და მოიპოვოს ლეგიტიმურობა. პროფკავშირები კი თავის მხრივ ისწრაფვიან ინსტიტუციონალურ დაცულობისკენ, ვიდრე პოლიტიკური ჯილდოსკენ. ამ დროს ვაჭრობა მიდის არა პოლიტიკურ სარგებლის მიღებისთვის, არამედ ძალაუფლების ინტერესების გადანაწილებისთვის. ამის მაგალითია გარდამავალ პერიოდში მყოფი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის არაერთი ქვეყანა.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე და მსოფლიო ეკონომიკაში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით, მთავრობებს შეუძლიათ მეტად ან ნაკლებად იყვნენ დამოკიდებული პროფკავშირების მიერ დაწესებულ ქცევებზე.

ანუ, რაც მეტად სერიოზულია ეკონომიკური სიტუაცია, მთავრობები ფოკუსირებას ახდენენ უშუალოდ პოლიტიკურ მდგომარეობაზე და პროფკავშირების შეთავაზებებზე; და პირიქით, როდესაც ეკონომიკური მდგომარეობა უმჯობესდება, მთავრობები ნაკლებად დამოკიდებულები არიან კავშირების ქცევებზე. ამის მაგალითია ზოგადი კეთილდღეობის სახელმწიფო რეფორმებისას ბიუჯეტირების პროცესზე პროფკავშირების მხრიდან ზეწოლა. მიუხედავად იმის, რომ

პროფკავშირები არიან მოთამაშეები ზოგადი კეთილდღეობის რეფორმების პროცესში, ისინი არ არიან „ვეტო“ მოთამაშეები საპარლამენტო პროცესში, მაგრამ მათ შეუძლიათ არაპირდაპირ გავლენა მოახდინონ მთავრობების ხელახალ არჩევის შანსებზე.

პროფკავშირების ძალა განისაზღვრება იმით თუ რა ხარისხით არიან მთავრობები დამოკიდებული ინფლაციის წნეხის დროს ხელფასების შემცირებისას მათ მიერ შეტანილ წვლილზე. თუ მთავრობები ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების და განხორციელების პროცესში დამოკიდებულნი არიან პროფკავშირების დახმარებაზე, მაშინ პროფკავშირების ძალა მისდიონ და მიაღწიონ თავიანთ მიზანს იზრდება; სხვა შემთხვევაში მათი ძალა საგრძნობლად სუსტია (Scharpf, 1991).

კორპორატიული ურთიერთობა და ძლიერი სოციალური პარტნიორობა არ არის ინსტიტუციონალურად მამოძრავებელი ფენომენი, მაგრამ დომინირებულია იმ მაკროეკონომიკურ კონტექსტში, სადაც ასეთ ურთიერთობას აქვს ადგილი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმისათვის რომ სოციალური პარტნიორობამ იფუნქციონეროს აუცილებელია ორი პირობის არსებობა: პირველი, მთავრობის პროფკავშირებთან ურთიერთობის აუცილებლობა განპირობებული უნდა იყოს მაკროეკონომიკური კონტექსტით და მეორე, პროფკავშირების თანამშრომლობის შესაძლებლობებზე დიდწილად გავლენას უნდა ახდენდეს ორგანიზაციული და ინსტიტუციონალური ფაქტორები.

თუ კორპორატივიზმის დროს, არსებული ინსტიტუტები სახელმწიფო სისტემის ნაწილი ხდება, როგორც ეს იყო მუსოლინის იტალიაში, მაშინ მომსწრე ვართ სახელმწიფო კორპორატივიზმის. ხოლო თუ ინტერესთა ჯგუფები ინარჩუნებენ ავტონომიას და მთლიანად არა არიან ჩართულნი სახელმწიფო მმართველობის სისტემაში, როგორც ეს ხდება მრავალ თანამედროვე ლიბერალურ დემოკრატიაში, მაშინ ადგილი აქვს სოციალურ ანუ ლიბერალურ კორპორატივიზმს, მას ასევე უწოდებენ ნეოკორპორატივიზმს. ნეოკორპორაციული მოდელი მდგრადად ჩამოყალიბდა შემდეგ ქვეყნებში: ავსტრია, ნიდერლანდები, შვედეთი, ნორვეგია და ზოგიერთი სხვა.

Schmitter (1974) -ის მიხედვით, კორპორატივიზმის დროს:

- ინტერესთა ჯგუფები ზომით შედარებით დიდია და შედარებით მცირერიცხოვანი, ვიდრე პლურალიზმის დროს.
- მათი კოორდინაცია და კომუნიკაცია ხდება უმაღლეს ეროვნულ ორგანიზაციებში. შეთანხმება ნიშნავს: ა) რეგულარულ კონსულტაციებს, განსაკუთრებით მუშებისა და დამსაქმებელთა წარმომადგენლების, მთავრობის წარმომადგენლებთან. ბ) ყოველმხრივი შეთანხმებების მიღწევა, რომლებიც სავალდებულოა მოლაპარაკებებში ჩართული ყველა აქტორისთვის -ე.წ. სამხრივი პაქტი.

სხვადასხვა გარემო პირობებში, სადაც სოციალურ პარტნიორობას აქვს ადგილი არსებული პრობლემები და ინტერესებიც განსხვავებულია, ამიტომ სოციალური პარტნიორობის პრაქტიკაც და მისი წარმატებაც განსხვავებული იქნება. მაშინაც კი, თუ ინსტიტუციონალური და ორგანიზაციული სტრუქტურა უცვლელია, ურთიერთობა მთავრობასა და პროფკავშირებს შორის შეიძლება განსხვავებული იყოს, როგორც ამას გერმანული მაგალითი გვიჩვენებს. მაშინ, როდესაც პროფკავშირების სტრუქტურა და პოლიტიკური ინსტიტუციები სტაბილურები იყვნენ თითქმის ორმოცდაათი წელი, პრობლემების ცვლილებამ წარმოქმნა მოლაპარაკებების ახალი დინამიკა მთავრობასა და პროფკავშირებს შორის 1990- იანების დასასრულს.

ძალთა კონცენტრაცია ყალიბდება წარსულ გამოცდილებაზე, რომელიც თავის მხრივ აყალიბებს მოლოდინებს. უფრო კონკრეტულად, თუ ისინი წარმატებულები იყვნენ წარსულში, მათ მივყავართ მოლაპარაკებების ისეთ მაგალითებთან, რომლებიც შესაძლოა ხელახლა იქნეს მობილიზირებული და გამოყენებული ახალ სიტუაციებში. მარცხმა, კონფლიქტებმა და ინტერესთა მოდიფიცირებულმა გაერთიანებამ, შეიძლება ასევე მიგვიყვანოს ქცევის ახალ მაგალითებთან, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ძალთა კონცენტრაციის ახალი პროცესები.

სოციალური პარტნიორობა, მრავალი პოლიტიკური ინსტრუმენტიდან არის ერთერთი მათგანი დასავლეთ ევროპის ეკონომიკაში და ამჟამად უკვე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც აქტორებს განსხვავებული ინტერესების გაერთიანებით შეუძლიათ მოლაპარაკებების გადახალისება.

ცხრილი 5: კორპორაციული და პლურალისტური ინტერესების წარმომადგენლობა

	კორპორატივიზმი	პლურალიზმი
ინტერესთა ჯგუფების დამახასიათებელი ნიშნები	შეზღუდული რიცხვი	სიმრავლე
	სავალდებულო წევრობა	თავისუფალი წევრობა
	კონკურენტები არ არიან, რადგან სხვადასხვა სფეროებში მოქმედებენ	კონკურენცია
	იერარქიულად მოწყობილი არიან	იერარქიის არარსებობა
	ფუნქციონალურად დიფერენცირებულნი	ჯგუფებს შორის მოძრავი საზღვრები და შესაძლებელია სხვადასხვა ორგანიზაციებში ერთდროული წევრობა
სახელმწიფოსა და ინტერესთა ჯგუფების ურთიერთობის თავისებურებანი	სახელმწიფო აღიარება	დახმარების არარსებობა სახელმწიფო მხრიდან
	ინტერესთა ჯგუფებს უფლება ეძლევათ იყვნენ ინტერესების მონოპოლისტი წარმომადგენლები, ოღონდ სანაცვლოდ თანხმდებიან კონტროლის დაწესებას ჯგუფის ხელმძღვანელის მოღვაწეობაზე და ინტერესების გამოხატვაზე	სახელმწიფოს ჩაურევლობა ინტერესთა ჯგუფების მოქმედების სფეროში.

თავი II. ეკონომიკურ პოლიტიკაში სოციალური პარტნიორობის ევროპული გამოცდილების ანალიზი

2.1. სოციალური პარტნიორობის ევროპული მოდელები და მათთვის დამახასიათებელი თავისებურებები

ინსტიტუციონალური მოლაპარაკებები მთავრობებს, დამსაქმებელთა ასოციაციებსა და პროფკავშირებს შორის დასავლეთ ევროპაში სათავეს იღებს მეორე მსოფლიო ომის დროს და ასევე შემდეგ პერიოდში კაპიტალსა და შრომით ძალას შორის არსებული ახალ ბალანსიდან. ამ პერიოდებში, დასაქმებულებს შესაძლებლობა მიეცათ თავიანთ ინტერესებს მიჰყოლოდნენ, რაც ერთგვარად მათთვის ჯილდო იყო, რომელიც გამოიხატებოდა მათთვის შორს მიმავალი პოლიტიკური უფლებებით. ამავე დროს, მთავრობებს უნდა აეღოთ პასუხისმგებლობა სრულ დასაქმების მიღწევაზე. სოციალური პოლიტიკის სამხრივი ადმინისტრაცია და ახლად დამკვიდრებული ეკონომიკური და სოციალური საბჭოები, წარმოადგენდნენ ინსტიტუციებს, რომლებიც ასახავდნენ პროფკავშირების როლის გაძლიერებას (Hassel, 2009).

ამ ახალ ძალთა სტრუქტურას ჰქონდა შესაბამისი შედეგები ეკონომიკური პოლიტიკისთვის. თავისუფალმა კოლექტიურმა შეთანხმებებმა და სრულ დასაქმებამ წარმოშვა მაღალი ხელფასების მოლოდინი პროფკავშირების მიერ. მაგრამ ამ დროს, მთავრობები მიჰყვებოდნენ კეინზიანურ ეკონომიკური პოლიტიკის კურსს, რომელიც მოიცავდა მკაცრ მონეტარულ და ფისკალურ პოლიტიკას, რათა შეემცირებინათ ინფლაციის წნეხი. ამიტომ, 1960 იან წლებში, უმრავლეს ინდუსტრიული ქვეყნების (მათ შორის აშშ და ბრიტანეთი) მთავრობებმა დაიწყეს სოციალურ პარტნიორობთან ხელფასების თემაზე ახალი ტიპის მოლაპარაკებების წარმოება, რათა შეემცირებინათ ხელფასების ზრდით გამოწვეული ინფლაცია, დასაქმებაზე ნეგატიური ეფექტის გამოწვევის გარეშე (Armington, 1983 ; Braun, 1975).

ეკონომიკური დებატებისას, ცენტრალიზებული სახელფასო შეთანხმებები იყო ერთერთი საიმედო ინსტრუმენტი ინფლაციის ტენდენციებთან საბრძოლველად (OECD, 1962). ძირითადად სამხრივი ორგანოები და სოციალური პარტნიორობის სხვა ინსტიტუტები იყვნენ არენები, სადაც ამგვარი შეთანხმებები ხდებოდა. ეს

პროცედურები იყო განსხვავებული, რაც დამოკიდებული იყო ინსტიტუტების ხარისხზე და მონაწილე აქტორებზე. იმ ქვეყნებში (მაგ.იტალია და საფრანგეთი) სადაც სუსტი და ფრაგმენტირებული პროფკავშირები არსებობდა, ტენდენცია იყო კომპანიების დონეზე მოლაპარაკებების და არა ცენტრალიზებული შეთანხმებების მიღწევა. ავსტრიაში, 1940-იანი წლების გვიან ეტაპზე შემოსავლების პოლიტიკა შემუშავდა როგორც ხელფასის და ფასების შეთანხმებები და მოხდა შემდეგ მისი ინსტიტუციონალიზაცია.სხვა ქვეყნებში სხვა ტიპის შემოსავლების პოლიტიკის ექსპერიმენტს ჰქონდა ადგილი. გერმანიაში, მთავრობამ 1964 წელს დაარსა შაცჰვერსტანდიგენრატ და კონზერტიერტე აცტიონ. მაგრამ შემოსავლების პოლიტიკის ამ ფორმამ არ გაამართლა, რადგან სახელფასო პოლიტიკა არ კონტროლდებოდა, რასაც ინფლაციის უსწრაფესი ზრდა მოჰყვა (Braun,1974).უმეტეს ქვეყნებს ჰქონდათ შედარებით სრული დასაქმება და დასაქმებულებს ძლიერი პოზიცია ჰქონდათ ბაზარზე, სადაც ხელფასების შემცირებამ გამოიწვია რეალური შემოსავლის მკვეთრი შემცირება.შესაბამისად,ასეთი ტიპის პოლიტიკის სხვა ქვეყნებში გატარება შეუძლებელი იყო.

ეკონომიკურ პოლიტიკაში, პრივილეგირებული ტონიც შეიცვალა. პროფკავშირებთან გაზრდილმა კონფლიქტებმა, წარმოშვა თვითონ კავშირებზე ზეწოლა იმ წევრებიდან, რომლებმაც ვერ მიიღეს სარგებელი. მთავრობები სულ უფრო ნაკლებად გამოთქვამდნენ სურვილს ჩართულიყვნენ შემოსავლების პოლიტიკაში. 1974 წელს, Bundesbank-მა მაღალ სახელფასო განაკვეთებს საპროცენტო ზრდით უპასუხა და ასე გამოხატა თავისი რეაქცია. ბრიტანეთმა OECD-ის წევრმა ქვეყანამ, რომელსაც ჰქონდა შემოსავლების პოლიტიკის დიდი გამოცდილება, 1979 წელს ტეტჩერის მიერ უარყოფილი იქნა მსგავსი პოლიტიკის მიღება. აშშ-ში ახლად არჩეულ პრეზიდენტ რეიგანის ადმინისტრაციამ გამოითხოვა კარტელის ადმინისტრაციის შემოსავლების პოლიტიკა და იგი შეცვალა მკაცრად შეზღუდული მონეტარული პოლიტიკით. საფრანგეთში, 1982 წელს, მიტერანდის (Mitterrand) ახალმა მთავრობამ კრაზი განიცადა „კეინზიანიზმი ერთ ქვეყანაში“ მიღწევაში. მიდგომები, რომლებიც ინფლაციას მიიჩნევდნენ, როგორც პრობლემას წარმოშობილს ეკონომიკური აქტორების მოლოდინით, სულ უფრო და უფრო მიღებული გახდა ეკონომიკურ თეორიაში (Hassel, 2009).

მიუხედავად ზემოთ მოყვანილი ფაქტებისა, არ ნიშნავს, რომ მთავრობებსა და სოციალურ პარტნიორებს შორის არსებული ურთიერთობების ყველა ფორმა გამოუსადეგარი გახდა. მკაცრ მონეტარული პოლიტიკას, დისციპლინირებული გავლენა ჰქონდა კავშირების სახელფასო პოლიტიკაზე. ამავე დროს მთავრობების მხრიდან კვლავ ჰქონდა ადგილი მცდელობებს შეემცირებინათ საერთო კეთილდღეობის დანაკარგები, რაც გამოწვეული იყო მკაცრი მონეტარული პოლიტიკით. ეს არ ეხება იმ ქვეყნებს, სადაც სოციალურ პარტნიორებთან თანამშრომლობა პრინციპულად გამოირიცხა მთავრობის მიერ, მაგალითად, აშშ-ში და ბრიტანეთში.

1970-იანი წლების დასაწყისში, სახელფასო პოლიტიკა უმრავლეს პაქტში მოლაპარაკებების ცენტრალურ ნაწილს შეადგენდა. ამ დროისთვის ეკონომიკურმა პოლიტიკამ ცვლილება განიცადა. მკაცრი მონეტარული პოლიტიკა გამოიყენებოდა უკვე მონეტარული და გაცვლითი კურსის სტაბილურობისთვის. თუმცა შერბილებულ სახელფასო პოლიტიკასაც შეუძლია შეამციროს მკაცრი მონეტარული პოლიტიკის უარყოფითი შედეგები. ხოლო, საჯარო სექტორში მკაცრი სახელფასო პოლიტიკის გატარება, ამცირებს დავალიანებით წარმოშობილ წნეხს. ამ პერიოდში, ბევრ ქვეყანაში, ხელფასი შეცვლილი იყო სხვა ტიპის სარგებლით (რაც დაკავშირებული იყო კერძო სექტორის ერთობლივი მოლაპარაკებებთან), რამაც გამოიწვია სოციალური ხარჯის შემცირება. ამას გარდა, შერბილებულ სახელფასო შეთანხმებებს შეუძლია გაზარდოს გლობალურ ბაზარზე კომპანიებს შორის კონკურენცია.

ამგვარად, შემოსავლების პოლიტიკა მკაცრი მონეტარული პოლიტიკის პირობებშიც კი შეიძლება წარმოადგენდეს მთავრობების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტს (Ebbinghaus, 2000 ; Hassel, 2007).

1980 იან წლების ადრეულ ეტაპზე , ისეთი ქვეყნების მთავრობებმა, როგორებიც არიან დანია და ნიდერლანდები, პირველად უარყვეს მოლაპარაკებები, მაგრამ მოგვიანებით სცადეს ურთიერთობების განახლება. ზოგადად, იმ ქვეყნებში, სადაც კომუნიკაცია პროფკავშირებთან არ იყო შეწყვეტილი, სოციალური პაქტები დამყარებულ იქნა ახალ საფუძველზე. ამ ქვეყნებში, ახალი შეთანხმებები, გარდა სახელფასო საკითხების, ასევე მოიცავდა მრავალ სხვა საკითხსაც.

ახალი სოციალური პაქტი მიღებულ იქნა სახელფასო შეთანხმებების გვერდის ავლით და მოიცავდა შრომითი ბაზრების და სოციალური დაცვის სისტემების ინსტიტუციონალურ რეფორმებს. სოციალური პოლიტიკის დაფინანსება და შესაბამისი ხარჯები გახდა სამხრივი მოლაპარაკებების განსაკუთრებული საკითხი. მაგრამ ისეთი საკითხები როგორიცაა, დროებითი და ნახევარ განაკვეთიანი დასაქმება, ასევე სოციალური დაცვის საკითხები განთავისუფლების შემთხვევაში ასევე დარეგულირებული იყო ახალ პაქტებში.

1990-იანი წლების დასაწყისიდან, დასაქმების პოლიტიკის მთავარი მიზანი იყო დასაქმების მაჩვენებლის ზრდა. ამ დროის პოლიტიკა მკვეთრად განსხვავდებოდა 1970-იანი და 1980-იანი წლების პოლიტიკიდან, როდესაც ტენდენციები იყო უმუშევრობის მაჩვენებლის შემცირება ადრეული განთავისუფლებების ხარჯზე.

დასავლეთ ევროპის მთავრობების ეკონომიკური პოლიტიკაში პროფკავშირების მონაწილეობა 1960-იანი და 1970-იანი წლებში ჯერ ისევ დამყარებული იყო ომის შემდგომ არსებულ ძალთა სტრუქტურებზე.

მიუხედავად იმის, რომ სახელფასო პოლიტიკის კონტროლმა მარცხი განიცადა 1960 იანი წლების მეორე ნახევარში და 1970 იანი წლების დასაწყისში, ამით არ შესუსტებულა კავშირების მნიშვნელობა: ეს მარცხი გამოწვეული იყო იმით, რომ კავშირებმა, რომელთა წევრების რიცხვიც გაზრდილი იყო ყველა დასავლეთ ევროპულ ქვეყნებში, ვერ შეძლეს ეკონტროლებინათ მათი წევრების სახელფასო მოლოდინები (Hassel, 2009).

სოციალური პარტნიორობის კრიზისმა გამოიწვია პროფკავშირების ძალების შემდეგ უფრო გაძლიერება, რაც გამოიხატებოდა მათი მხრიდან სოციალურ დემოკრატიული მთავრობების მიმართ მოთხოვნებში გაეხადათ ქვეყანა უფრო საერთო კეთილდღეობის მქონე. ასეთი მოთხოვნები კი მთავრობებს მუდმივ ზეწოლის ქვეშ ამყოფებდათ.

როდესაც ინდუსტრიულ სექტორში დასაქმებამ იკლო და უმუშევრობა პირველად გახდა პრობლემა ომის შემდეგ პერიოდში, მოთხოვნა საერთო კეთილდღეობის სახელმწიფოზე მკვეთრად გაიზარდა.

პროფკავშირებმა, დასავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყნებში თავიანთი გავლენების პიკს მიაღწიეს 1970-იანების გვიან და 1980-იანების ადრეულ ეტაპებზე. გამონაკლის წარმოადგენდა სკანდინავია, სადაც ეს პროცესი უფრო დიდხანს 1990-იან წლებამდე გაგრძელდა. 1970-იან წლებში დებატები მთავრობებსა და კავშირებს შორის მოიცავდა ინდუსტრიულ და ეკონომიკური თავისუფლების გაზრდას, პარალელურად უმუშევრობის დონე კატასტროფულად გაიზარდა.

მაშინ როდესაც იზრდებოდა პროფკავშირების გავლენა, გლობალური ეკონომიკური სიტუაცია რადიკალურად იცვლებოდა, დრამატულად გაუარესდა ბევრი ევროპული ქვეყნის კონკურენტუნარიანობა. 1979 წელს, ევროპულმა მონეტარულმა სისტემამ (EMS) გააერთიანა ევროპულ ქვეყნების ვალუტები, იმ მიზნით, რომ არ მომხდარიყო ქვეყნების კონკურენტუნარიანობის შემდგომი გაუარესება და ასევე გაძლიერებულიყო ზეწოლა ერთობლივ პოლიტიკის შემუშავებაზე. ამგვარად 1980-იან წლებში, პროფკავშირების გავლენების ზრდის პარალელურად მოხდა მკაცრი ეკონომიკური ზომების გატარება, რაც ნაწილობრივ მიმართული იყო კავშირების საქმიანობების გასაკონტროლებლად. სახელფასო პოლიტიკით გამოწვეულმა კონფლიქტებმა კი ხელი შეუწყო სოციალური და შრომის ბაზრის პოლიტიკის შემუშავებას (Hassel, 2009).

ევროპის მრავალ ქვეყანაში, სოციალური პაქტები შეიქმნა მხოლოდ მთავრობების მასიური კრიზისების და ახალი არჩევნების შემდეგ (ნიდერლანდები 1982, ირლანდია 1986 და იტალია 1992). მიუხედავად ამის, კავშირების მოლოდინები მიმართული იყო მოკლევადიან პერიოდში კრიზისების გადაჭრისკენ და ამავე დროს, საერთო კეთილდღეობის სახელმწიფოების ჩამოყალიბებისკენ. მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ გახდა აშკარა, რომ ევროპული საერთო კეთილდღეობის სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესები იქნებოდა უფრო ყოვლისმომცველი, ვიდრე ეს თავიდან ჩანდა (Hassel, 2003).

მრავალმა სოციალურ-დემოკრატიულმა მთავრობებმა- როგორც მაგალითად ნიდერლანდებში 1970-იანი წლების გვიან პერიოდში---მარცხი განიცადეს, ეკონომიკური სიტუაციის და ასევე იმ მოლოდინების არ შესრულების გამო, რომლებიც უმეტესწილად კავშირების სულისკვეთებაზე იყო დაფუძნებული.

მხოლოდ, 1980-იან წლებში კონსერვატიული მთავრობების მოსვლის შემდეგ, დასავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში მთავრობების მოქმედებების არეალი გაფართოვდა, რადგან ისინი არ იყვნენ უშუალოდ დამოკიდებულნი პროფკავშირების ინტერესებზე.

მაღალი საბიუჯეტო დეფიციტის წნეხის ქვეშ მყოფი მთავრობები იძულებულნი გახდნენ პროფკავშირებთან ახალი სოციალური პაქტები დაედოთ. 1980 იანი წლებში, მემარჯვენე მთავრობებმა დადეს ახალი პაქტები, ეს ხდებოდა განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც სოციალური პარტნიორობის დიდი ტრადიცია ჰქონდათ (Hassel, 2007). ამ მთავრობებს არ ჰქონდათ ძალაუფლებაზე დამყარებული ინტერესები ამ პაქტებში, რადგან პროფკავშირებში არ ჩანდა ტენდენცია, რომ ისინი მათ საარჩევნო კამპანიის დროს დაეხმარებოდნენ. არამედ მათ ჰქონდათ, მყარი პოლიტიკური ინტერესები და არ იყვნენ დამოკიდებულნი პროფკავშირების სურვილებზე.

ასეთი ტიპის მოლაპარაკებების ეფექტიანობებზე მსჯელობა, უმეტესად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კრიტერიუმს ავირჩევთ მათი შეფასებისას. აშკარაა რომ, დასავლურ ევროპულ ქვეყნებში სახელფასო შეთანხმებებს სოციალურ პაქტების ჩარჩოებში სწრაფი ეფექტი ჰქონდა ინფლაციური კურსის დარეგულირებაში (EMU-ს წინა მოსამზადებელ ფაზის განმავლობაში) (Hancke & Rhodes, 2005). არ არის ზუსტად ცნობილი ასეთმა პაქტებმა ხელი შეუწყო თუ არა სოციალური ტიპის რეფორმებს. მაგალითად, Siegel (2004) აღნიშნავს, რომ საპენსიო რეფორმების უმეტესობა არ იყო განხილული სამხრივი მოლაპარაკებებისას. ბისმარკული (Bismarckian) საერთო კეთილდღეობის სახელმწიფოში, მთავარ როლს თამაშობდა პარტიებს შორის კონკურენცია, ისევე როგორც სოციალური პარტნიორობის ვეტო პოზიცია (Schludi, 2001).

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ეკონომიკური სისტემების და საზოგადოების ტრანსფორმაციამ ყველაფერი მოიცვა. სოციალიზმიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, ყველაფერზე იქონია გავლენა. მაგალითად, როგორიცაა: პოლიტიკური და პარტიული სისტემები, ქონებრივი უფლებები და საზოგადოებრივი ინტერესების მატარებელი ორგანიზაციები.

კორპორატივში დასავლეთ ევროპული მსჯელობები გამოწვეულია იმით, რომ პროფკავშირები არიან მაღალ დონეზე ფორმირებულნი, ცენტრალიზებულნი და აქვთ წევრობის მონოპოლიები. ამიტომ, ისინი არიან ისეთ პოზიციებზე, რომ შეუძლიათ თავიანთ წევრების ინტერესების როგორც ფორმირება, ასევე ამ ინტერესებზე გავლენის მოხდენა და მთავრობებთან გრძელვადიანი პარტნიორობის დამყარება (Schmitter, 1974, 1981).

პროფკავშირები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში წარმოიქმნენ ღრმა პოლიტიკური ცვლილებების პერიოდში, როდესაც საზოგადოებრივი ძალთა სტრუქტურა ხელახლა განისაზღვრა და საბაზრო ეკონომიკა ჯერ ისევ ფეხს იკიდებდა. ამ ტრანსფორმაციის პროცესში ინტერესები და იდენტურობა ძალიან გაურკვევლად იყო განსაზღვრული; ისინი წარმოიშვნენ კავშირების ჩამოყალიბების და მთავრობებთან კონფლიქტების პროცესში (Stark & Brueszt, 1998). ამიტომ, შეუძლებელია მკვეთრად განსაზღვრულიყო პოლიტიკური ინტერესები და ძალთა გადანაწილება.

ამას გარდა, პროფკავშირებს ტრანზიტულ პერიოდში ჰქონდათ განსხვავებული როლი. ისინი ცენტრალურ როლს თამაშობდნენ მხოლოდ პოლონეთში, სადაც შოლიდარნოść შეიძლება ჩაითვალოს ცვლილებების მთავარ აგენტად. ყოფილ ჩეხოსლოვაკიაში 1989 წლის ნოემბრის მთავარმა გაფიცვებმა მოახდინა კომუნისტური სისტემის საბოლოო გაქრობა (Stark & Brueszt, 1998). რაც შეეხება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებს, პროფკავშირები ძალიან სუსტ როლს ასრულებდნენ და თითქმის არ იყვნენ ჩართულნი კომუნისტური სისტემის დასრულების პროცესში. ამ შემთხვევებში, პროფკავშირები 1989 წლის მშვიდობიან რევოლუციებში გამოჩნდნენ არა როგორც გამარჯვებულებები, არამედ ორგანიზაციები, რომლებიც კოპრომისზე წავიდნენ სოციალურ სახელმწიფოსთან (Hassel, 2009).

ტრანსფორმაციასთან ერთად, წარმოიშვნენ ოპოზიციური პროფკავშირები, რომლებიც ძველი პროფკავშირების კონკურენტები გახდნენ (გარდა ესტონეთის, ლიტვის, ჩეხეთის რესპუბლიკის და სლოვაკეთის), ამან კი გამოიწვია პროფკავშირების უფრო მაღალი პლურალიზმი, ვიდრე ეს დასავლეთ ევროპაში იყო. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, 1990 იანი წლების პროცესების გამო პროფკავშირებმა

დაკარგეს ძალიან ბევრი წევრი და დღეის მონაცემებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით წევრების პროცენტულობით უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვთ (Carley, 2004 ; Kubicek, 1999).

პროფკავშირების კომპრომისული სტატუსი სოციალისტურ ერაში და მოგვიანებით ღრმა პოლიტიკურ ცვლილებების პერიოდში, დაკავშირებული იყო დასაქმების ბაზრის მასიურ ცვლილებასთან, რამაც მათ დასაქმებულთა მხარდაჭერა დააკარგვინა. დასაქმებულთა უმრავლესობას არ შეეძლო გამოეხატა თავისი ინტერესები რომლებიც წინააღმდეგობაში მოვიდოდნენ თავიანთი დამსაქმებლების ინტერესებთან, რადგან მათი კეთილდღეობა დამოკიდებული იყო იმ კომპანიებზე, სადაც ისინი მუშაობდნენ. ამავე დროს, მხოლოდ კავშირების უმცირესობას ჰქონდათ კონფლიქტზე ორიენტირებული იდენტურობა: უმრავლესობამ უარი თქვა გაფიცვის ფორმაზე, როგორც დამსაქმებელთან წინააღმდეგობის საშუალებაზე (Ost, 2000). ისინი ფოკუსირებულნი იყვნენ საჯარო სექტორზე, ისეთ კომპანიებზე რომლებიც ჯერ ისევ არ იყვნენ პრივატიზირებულნი (Hassel, 2009).

წარმოება კერძო სექტორში, რასაც პროფკავშირები მტკიცედ ედგნენ დასავლეთ ევროპაში, ძალიან სუსტი იყო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. ამ ქვეყნებში, ისე როგორც ეს დასავლეთში მოხდა, გავლენა იქონია დეინდუსტრიალიზაციამ და კერძო სექტორში მომსახურების ზრდამ (Bohle & Creskovits ,2007), ეს სექტორი კი პროფკავშირებისთვის ყველგან რთული სამართავია.

პროფკავშირების საწინააღმდეგო შეხედულებები აქტიურად და ტაქტიკურად იყო მხარდაჭერილი მრავალი მთავრობების მიერ, რომლებიც განზრახ დისტანცირდნენ პროფკავშირებისგან. სესხის შესახებ მოლაპარაკებები საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და ევროკავშირთან საჭიროებდა პრივატიზაციის დასრულებას და ხელფასების გადახედვას. ეს იყო ის პოზიციები რაც ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოდიოდა პროფკავშირების ინტერესებთან.

პლურალისტურმა სიტუაციამ გამოიწვია სოციალური პარტნიორობის დასუსტება, რადგან ადგილი ჰქონდა რამდენიმე სექტორულ მოლაპარაკებებს და უმრავლეს შემთხვევაში არ არსებობდა ფართო ინდუსტრიულ დამსაქმებელთა ასოციაციები. მხოლოდ სლოვაკეთში და სლოვენიაში ჰქონდა ადგილი სექტორულ და ეროვნულ დონეზე მოლაპარაკებების შედეგად მიღებულ შეთანხმებს, მაშინ როდესაც

უნგრეთს ძალიან სუსტი, მაგრამ ფართო ინდუსტრიული კოლექტიური შეთანხმებების ფორმა ჰქონდა. დანარჩენ სხვა ქვეყნებში კოლექტიურ შეთანხმებებს მხოლოდ საწარმოს დონეზე ჰქონდა ადგილი (Kohl & Platzer 2004). ნებისმიერი გადახვევები ცენტრალურ დირექტივებისგან იყო დადებითი, იმ ქვეყნებშიც კი, სადაც სახელფასო დირექტივები შედიოდა ეროვნულ პაქტებში (Carley,2004).

იგივე სურათს ვიღებთ შრომითი კანონის რეგულაციების დაკვირვებისას. 1989 წლამდე შრომითი კანონი ძალიან ფორმალიზებული და ყოვლისმომცველი იყო. 1989 წლის შემდეგ კი გარდამავალ ქვეყნებში ასოციაციების თავისუფლებაზე, ერთობლივ შეთანხმებებზე და გაფიცვის თავისუფლებაზე ახალი კანონები იქნა წარმოდგენილი (Bluhm,2005). ამას გარდა, ისეთი მკაცრი რეგულაციები რომელიც შეეხებოდა დასაქმებულის განთავისუფლებისგან დაცვას და სამუშაო საათებს უცვლელი დარჩა. მაგრამ კანონიერი რეგულაციებიდან მკვეთრად გადახვევებს ადგილი ჰქონდა როგორც 1989 წლამდე, ასევე გარდამავალ პერიოდში (Bluhm, 2005; Weiss, 2004). ევროპული სოციალური მოდელის არსებობისთვის საჭირო მოთხოვნები, რომელიც დაკავშირებული იყო დასაქმებულების დაცვასთან, ფორმალურად იყო დაკმაყოფილებული ეროვნულ კანონმდებლობის დონეზე, მაგრამ რეალურად ამ კანონების პრაქტიკაში გატარება არ ხდებოდა კომპანიების დონეზე.

ამ გარემოებებიდან გამომდინარე, სოციალური პარტნიორობის მოდელები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში განსხვავდებოდა დასავლეთ ევროპისგან. მიუხედავად იმის, რომ ევროკავშირის ყველა ახალმა წევრმა ქვეყანამ წარმოადგინა სამხრივი კონსულტაციების საბჭოები 1980-იანი და 1990-იანი წლების ბოლოს და ასევე ჰქონდათ რესურსები სოციალური პაქტებისთვის(იხ.ცხრილი 6). ეს არ იყო პროფკავშირების ძალის გამოხატვა. პროფკავშირების ეკონომიკურ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში ჩართვის მოტივაცია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ძირითადად ეფუძნებოდა განზრახვას, რომ უზრუნველყოფილიყო პოლიტიკური და სოციალური მშვიდობა არსებულ და მოსალოდნელ ეკონომიკური კრიზისების დროს (Avdagic,2005).

ცხრილი 6. ნაციონალური სამხრივი საბჭოების სტრუქტურა და ლეგალური ბაზა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში.

ქვეყანა,სახელწოდება	დამსაქმებელი	კავშირი	ლეგალური ბაზა
ესტონეთი. ეკონომიკური და 1998 წ. კანონი სოციალური საბჭო (<i>Eesti Sotsiaalmajandusnõukogu</i>)	1	2	1998 წ. კანონი
ლატვია. ნაციონალური სამხრივი სამხრივი შეთანხმება თანამშრომლობის საბჭოები (<i>Nacionālās trišpusējās sadarbības padome</i>)	1	1	1998 წ.
ლიტვა. სამხრივი საბჭო სამხრივი შეთანხმება (<i>Lietuvos Respublikos trišalė taryba</i>)	2	4	1995 წ.
პოლონეთი. სოციალური და ეკონომიკური წ. კანონი საქმეების სამხრივი კომისია (<i>Trójstronna komisja do spraw społeczno-gospodarczych</i>)	2	9	2001 წ

ჩეხეთის რესპუბლიკა სამხრივი სოციალური და ეკონომიკური შეთანხმების შეთანხმება საბჭო (<i>Rada hospodářské a sociální dohody</i>)	2	2	1990 წ.
სლოვაკეთი. სოციალური და ეკონომიკური კანონი შეთანხმების საბჭო (<i>Rada hospodářské a sociálnej dohody</i>)	1	1	1997
უნგრეთი ინტერესეთა დაკავშირების საბჭო სამხრივი შეთანხმება (<i>Országos Érdekegyeztető Tanács</i>)	9	6	2008
სლოვენია ეკონომიკური და სამხრივი შეთანხმება სოციალური საბჭო (<i>Ekonomsko - socialni svet</i>)	5	5	1994

წყარო: Kohl & Platzer (2004)

Ost (2000)-ის აზრით, სამხრივი ინსტიტუტები შეიქმნა „ნამდვილი სოციალური“ პარტიების რეფორმებისას, იმისათვის რომ დაცულები ყოფილიყვნენ ძალაუფლების დაკარგვისგან, ან უფრო ასატანი ყოფილიყო ამ ძალაუფლების დაკარგვა. მისი სიტყვებით, ეს ინსტიტუტები იყვნენ „სისტემის ლეგიტიმაციის ინსტიტუტები და არა კონფლიქტების გადაწყვეტის ან კლასთა კომპრომისის არენა“.

ასევე, სამხრივი მოლაპარაკებები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში (Wiesenthal ,1995) მიერ დახასიათებულია როგორც კორპორატივიზმი, სადაც დაცულია მთავრობის ინტერესები. მისი ანალიზის მიხედვით, სამხრივი მოლაპარაკებები ჩამოყალიბებული იყო მთავრობების მიერ „რათა მონიტორინგი გაეწია გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ეტაპისთვის, სადაც ინტეგრირებულნი იყვნენ, პოტენციური ვეტო მოთამაშეები, მაგრამ არ იყვნენ შუამავალი ორგანიზაციები, რომლებსაც შეეძლოთ საკმარისად განვითარებულიყვნენ თავიანთ პროგრამულ ან ორგანიზაციულ დონეზე, ან ჰქონოდათ სოციალური მოთხოვნები და წამოეყენებინათ შესაბამისი ინიციატივები“. სხვებს ასევე მიაჩნდათ, რომ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის გარდამავალ პერიოდთან მიმართებაში ისეთი ტერმინების გამოყენება როგორებიცაა „სოციალური პარტნიორობა“ ან „კორპორატივიზმი“ არ იყო მართებული (Tatur,1995).

განსხვავებით დასავლეთ ევროპის სოციალური პარტნიორული ურთიერთობებისა, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის მთავრობებს სამხრივ მოლაპარაკებებში ძალიან უმნიშვნელო პოლიტიკური ინტერესები ჰქონდათ. არსებული ინსტიტუციონალური და იდეოლოგიური ჩარჩოპირობებისას, პროფკავშირებისთვის ძალიან ძნელი იყო მთავრობების და კომპანიების პრიორიტეტებისგან დამოუკიდებლად შრომითი ურთიერთობების და ხელფასების რეგულირება ან მისი იძულება მოეხდინათ. ამიტომ, მთავრობების შეფასებით პროფკავშირების წვლილი ეკონომიკური რეფორმების პროცესში მხოლოდ მარგინალური იყო და გამოიხატებოდა მხოლოდ ეკონომიკური კრიზისებისას იშვიათი პროტესტისგან.

საკონსულტაციო საბჭოები შეიქმნა მთავრობების მიერ პოლიტიკური ძალაუფლების გათვალისწინებით, ერთის მხრივ იმიტომ,რომ გაემართლებინათ ევროპის კომისიის და საერთაშორისო მშრომელთა ორგანიზაციის (ILO) მოლოდინები

და მეორეს მხრივ, ეს საბჭოები ახდენდნენ აუცილებელი რეფორმების პროცესების ფართო მასშტაბებით ლეგიტიმაციას (Iankova & Turner 2004). ამის სხვა ინდიკატორი არის ის რომ, ექსტრემალურ სიტუაციებში ასეთი მოლაპარაკებების ორგანოები იძულებულნი იყვნენ დროებით შეეჩერებინათ ფუნქციონირება. უნგრეთში (1995) და სლოვაკეთში (1997) კონსულტაციები შეჩერდა იმის გამო, რომ მკაცრი ეკონომიკური რეფორმები გაგრძელებულიყო, რომლებიც ასევე მოიცავდნენ ხელფასების შემცირებას (Toth & Turner, 2004). ასეთ შემთხვევებში, მთავრობებს თავიანთი პოლიტიკური ინტერესებისთვის არ სჭირდებოდათ პროფკავშირები. ისინი მხოლოდ მაშინ სჭირდებოდათ როდესაც სურდათ რაღაც პერიოდში დაცულები ყოფილიყვნენ საზოგადოებიდან მოწყვეტისგან (Hassel, 2009).

ასეთ კონტექსტში, პროფკავშირებს არ ჰქონდათ აშკარა გავლენა პოლიტიკაზე. ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები სამხრივ მოლაპარაკებებში იყო მინიმალური სახელფასო განაკვეთების დადგენა, რადგან ხელფასებზე ფართო ინდუსტრიულ კოლექტიურ შეთანხმებებს ადგილი არ ჰქონდა. ამის მიუხედავად, პროფკავშირებმა ვერ მოახერხეს არ მომხდარიყო ხელფასების შემცირება გარდამავალ პერიოდში.

სამხრივი კონსულტაციების ჭრილში პროცედურული რეგულაციების ნაკლებობა, მიუთითებს იმაზე, რომ ეს ინსტიტუტები არ იყვნენ სერიოზულად მიღებულნი მთავრობების მიერ (Kohl & Pflatzer, 2004). ამგვარად, პროფკავშირები უძლურები იყვნენ ეფექტურად მიჰყოლოდნენ თავიანთ საკუთარ პოლიტიკას და ინტერესებს.

ნიშნავს თუ არა ეს რომ სოციალური პარტნიორობა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში არის მოჩვენებითი? (Ost, 2000). თუ ავიღებთ სოციალური პარტნიორობის დასავლეთში დამკვიდრებულ სტანდარტებს და მოლოდინებს, სადაც ძლიერია პროფკავშირები თავისი სოციალურ-დემოკრატიული პოლიტიკით და შევადარებთ პროფკავშირების და მთავრობის ურთიერთობებს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, აღმოჩნდება, რომ ამ უკანასკნელში ეს ურთიერთობები შეუდარებლად მყიფეა და ცალმხრივად არის განსაზღვრული მთავრობების მიერ (Heinisch, 1997).

ამის მიუხედავად, სამხრივ საკონსულტაციო საბჭოებს პოტენციურად მაინც შეუძლიათ სამოქალაქო საზოგადოების კონსულტაციებში მონაწილეობის

ხელშეწყობა და ამგვარად გახადონ შესაძლებელი სამოქალაქო ორგანიზაციების და ინტერესების წარმომადგენლობების შემდგომი განვითარება (Kohl & Pflatzer, 2004).

ინსტიტუციონალური მოლაპარაკებების არსებულმა ფორმებმა, მიუხედავად სუსტი წარსულის, დღესდღეობით ნაწილობრივ მაინც გააერთიანა ინტერესთა ჯგუფები და უზრუნველყო იმის გარანტია, რომ კონსენსუსი ეკონომიკურ რეფორმაზე მიღწევადია (Iankova, 2002).

Stark & Bruszt (1998) -ების აზრით, ეკონომიკური რეფორმების ერთმანეთთან კავშირი დამოკიდებულია პირველ რიგში პროფკავშირების პოლიტიკურ ინტეგრაციაზე პოლიტიკურ სისტემებში. მათი აზრით, სოციალური და ეკონომიკური ასოციაციების სისუსტე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში გამოწვეულია გარდამავალი პროცესებით.

კორპორატივიზმის კლასიკურ დასავლურ კრიტერიუმებთან შედარებით, სოციალური პარტნიორობის არსებული პრაქტიკა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში გვიჩვენებს ამ კრიტერიუმების დეფიციტს. მსჯელობას სოციალური პარტნიორობის ტრანსფორმაციის პროცესების წვლილზე უფრო დიდი მნიშვნელობა უნდა მიექცეს ვიდრე ეს ხშირად ხდება (Hassel, 2009).

კორპორატივიზმის, ანუ სოციალური პარტნიორობის ფორმების მრავალფეროვნება მნიშვნელოვნად განპირობებულია იმ მაკროეკონომიკური კონტექსტით, სადაც ისინი არსებობენ.

კლასიკურ კორპორატივიზმში, მთავრობების პოლიტიკური ინტერესები ემთხვევა პროფკავშირების ძალაუფლების ინტერესებს, ამას კი მივყავართ ან პლურალისტურ კონკურენციამდე ან ტრადიციულ ლობიზმამდე, როდესაც მთავრობას შეუძლია პროფკავშირების გული მოიგოს და მათი მხარდაჭერა მოიპოვოს საარჩევნო კამპანიაში. თუ ორივე მხრიდან ძირითადად ძალაუფლების ინტერესებია თანხვედრაში, მაშინ ვიღებთ მოჩვენებით კორპორატივიზმს, როგორც ამას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითზე ეძახიან.

სოციალური პარტნიორობის თეორიული მიმოხილვით აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპაში, ირკვევა ორი ძირითადი ასპექტი: პირველი, მიუხედავად მკაცრი მონეტარული პოლიტიკის, ლიბერალიზაციის და გლობალიზაციის, მთავრობები და სოციალური პარტნიორები მაინც რჩებიან დისკუსიის მუდმივ რეჟიმში და მეორე, რომ

აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპაში მოლაპარაკებების პოლიტიკის განსხვავებულ დინამიკა არსებობს.

ეროვნულ დონეზე წარმატებული სამმხრივი სოციალური დიალოგის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო და ინსტიტუციურად მნიშვნელოვან შედეგს სოციალური პაქტი წარმოადგენს. ვიწრო გაგებით, სოციალური პაქტი გულისხმობს ფართოდ გასაჯაროებულ შეთანხმებებს მთავრობასა და სოციალურ პარტნიორებს შორის, რომლებიც შეეხება დასაქმების, შემოსავლების, შრომის ბაზრის, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის საკითხებს. ასეთი შეთანხმებები, როგორც წესი, მოიცავს პოლიტიკის ზომებისა და განხორციელების მეთოდების დეტალურ ჩამონათვალს, განსაზღვრავს მონაწილე მხარეთა კონკრეტულ ვალდებულებებს, მიზნებსა და მათი შესრულების დროით ჩარჩოებს. სოციალური პაქტების მთავარი დანიშნულებაა ეროვნული ეკონომიკის ადაპტაციის ხელშეწყობა გარე შოკების პირობებში, მათ შორის კონკურენტუნარიანობის შემცირების ან ეკონომიკური და მონეტარული ინტეგრაციის პროცესების დროს. შეთანხმების მიღწევის შემდეგ, მისი შესრულება სამივე მხარის საერთო პასუხისმგებლობად იქცევა.

ფართო განმარტებით, სოციალური პაქტი შეიძლება მოიცავდეს ასევე ზოგადი ხასიათის სამმხრივ დეკლარაციებს, რომლებიც ეროვნულ დონეზე ფორმდება და მიზნად ისახავს ფუნდამენტური უფლებებისა და პრინციპების — როგორიცაა გაერთიანების თავისუფლება და კოლექტიური მოლაპარაკების უფლება — დადასტურებას, აგრეთვე სოციალური დიალოგის როლის აღიარებას როგორც ეკონომიკური და სოციალური განვითარების, ასევე სოციალური პროგრესის მიღწევის მნიშვნელოვან მექანიზმს. ევროპის არაერთ ქვეყანაში სოციალური პაქტები იქცა გლობალიზაციის შედეგად წარმოშობილი ეკონომიკური და სოციალური გამოწვევების დაძლევის ეფექტიან ინსტრუმენტად. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პოლიტიკური კონსენსუსის ტრადიციის არმქონე სახელმწიფოებშიც კი შესაძლებელი გახდა სოციალური პაქტების ფორმირება, რაც ეროვნული სოციალური დიალოგის სამმხრივი (და გაფართოებული) ფორმატის ფარგლებში მიღწეულ კონსენსუსს ასახავდა. ამასთან, პოლიტიკურად არასტაბილურ და გარდამავალ ეტაპზე მყოფ ქვეყნებში სოციალური პარტნიორებისა და სახელმწიფოს ერთ მოლაპარაკების მაგიდასთან შეკრება უკვე შეიძლება შეფასდეს მნიშვნელოვან

მიღწევად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს პროცესი მხოლოდ თანამშრომლობის ნებისა და განზრახვის დეკლარირებით შემოიფარგლება (ILO , 2013).

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძირითადი განმასხვავებელი ფაქტორი სოციალურ პარტნიორობაში მონაწილე მხარეების ინტერესთა კონსტალაციაა და არა ინსტიტუციონალური და ორგანიზაციული საკითხები.

ინტერესთა ჯგუფების პოლიტიკის შედეგები დამოკიდებულია არა მხოლოდ ინტერესთა ჯგუფების განვითარების დონეებზე, არამედ პოლიტიკურ სისტემებზე, რომლებიც წარმოიშვნენ კომუნიზმის კოლაფსის შემდეგ.

კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ ევროპეიზაციის შედეგად ნაციონალური ინტერესთა ჯგუფები აყვანილნი არიან ევროკავშირის მრავალნაციონალურ პოლიტიკის დონეზე და ევროპის ინტეგრაციის პროცესმა გავლენა მოახდინა ევროკავშირის წევრ ქვეყნების ინტერესთა ჯგუფების მახასიათებლებზე და დინამიურობაზე.

ევროპეიზაცია ხშირ შემთხვევაში ქვეყნებისთვის სტიმულია ეკონომიკურ-პოლიტიკური რეფორმების გატარების, რაც ხელს უწყობს ქვეყნის შიგნით არსებული ინტერესთა ჯგუფების მოქმედების არეალის შეზღუდვას.

ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა ინტერესი სოციალური პარტნიორობის როლისადმი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესში, როგორც კორპორატივიზმის ალტერნატივა. სხვადასხვა ქვეყნის ემპირიული მონაცემები აჩვენებს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც სოციალური პარტნიორები აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკის შემუშავებაში და ახერხებენ ინოვაციური გადაწყვეტილებების შემუშავებას ეკონომიკური და სოციალური გამოწვევების საპასუხოდ — ხშირად აღწევენ ეკონომიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობების მაღალი დონეს, ასევე უზრუნველყოფენ მოქალაქეების დასაქმებისა და ცხოვრების ხარისხის მაღალ დონეს.

სოციალურ პარტნიორებს შეუძლიათ საზოგადოებაში აამაღლონ ცნობიერება სოციალური სისტემებისა და შრომის ბაზრის მიმართ ეკონომიკური ცვლილებების შედეგებზე . ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ იმ პირობების შექმნაში, რომლებიც ხელს უწყობენ სამუშაო ადგილების შექმნას, განსაკუთრებით

ეკონომიკური აღდგენის ხელშეწყობითა და შრომის ბაზრისა და სოციალური ჩართულობის მხარდაჭერით (European Commission 2023).

Falkner (1998) აღნიშნავს, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებული სოციალური პარტნიორობის ფორმები დაექვემდებარა ევროპეიზაციას, რის შედეგადაც სექტორული და მრავალმხრივი დიალოგის პროცესები ინსტიტუციურ დონეზე იქნა გამყარებული, რაც “მოლაპარაკებების დაკანონებამდე” მივიდა.

Grrer & Ficher (2004) ამტკიცებენ, რომ სოციალური პარტნიორობის მოდელები პროფკავშირების გააქტიურებისთვის განსაკუთრებით ეფექტიანია მაშინ, როდესაც ისინი აკმაყოფილებენ სამ კრიტერიუმს: უნდა იყვნენ ინსტიტუციურად გამყარებულნი, ინტეგრირებულნი პროფკავშირების პროაქტიულ სტრატეგიებში და უნდა ისახავდნენ მიზნად ფართო საზოგადოებრივ ამოცანებს და არა მხოლოდ პროფკავშირების ვიწრო ინტერესებს.

ტერმინი „სოციალური პარტნიორები“ ევროპაში ხშირად მიუთითებს მენეჯმენტისა და მშრომელთა წარმომადგენლებზე, რომლებიც მოიცავავენ დამსაქმებელთა ორგანიზაციებსა და პროფკავშირებს და ზოგ შემთხვევაში საჯარო უწყებებსაც, რომლებიც მონაწილეობენ სოციალურ დიალოგში. „ევროპული სოციალური პარტნიორები“ კი კონკრეტულად იმ ორგანიზაციებს ეწოდებათ, რომლებიც მონაწილეობენ ევროპულ სოციალურ დიალოგში, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 154 და 155 მუხლების მიხედვით (TFEU). სოციალური პარტნიორები მნიშვნელოვანი აქტორები არიან შრომითი ურთიერთობების მართვაში და ინდუსტრიული ურთიერთობების სისტემაში (Eurofound, 2019).

სოციალური პარტნიორების ჩართულობა, დასაქმებასა და შრომის ბაზარზე, პირდაპირ თუ ირიბად მოქმედი პოლიტიკის შემუშავებაში ევროკავშირის სემესტრის ყველა ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელია. მათ პოზიციებისთვის სათანადო ყურადღების დათმობა აუცილებელია. სოციალური პარტნიორების კონსულტაციები უნდა იყოს დროული და არსებითი, რაც საშუალებას მისცემს მათ წარადგინონ სრულყოფილი ანალიზი და წინადადებები და ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

მაკროეკონომიკური დიალოგი წარმოადგენს იმ შესაფერის პლატფორმას, სადაც ევროპული და ეროვნული სოციალური პარტნიორები მონაწილეობენ მაკროეკონომიკური დისბალანსების დასაძლევად (BusinessEurope 2013).

ევროკავშირი აქტიურად უწყობს ხელს სოციალურ პარტნიორებს და ხაზს უსვამს ეფექტური სოციალური დიალოგის ხელშეწყობის მნიშვნელობას. ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების საერთო მიზანს წარმოადგენს სოციალური დიალოგის წახალისება ეროვნული სისტემების მრავალფეროვნებისა და სოციალური პარტნიორების ავტონომიის პატივისცემის გათვალისწინებით.

ევროკომისიის 2023 წლის წლიური მდგრადი ზრდის კვლევაში (Annual Sustainable Growth Survey) ხაზგასმულია ინკლუზიური პროცესისა და სოციალური პარტნიორების დროული ჩართულობის მნიშვნელობა როგორც ეკონომიკურ, ისე დასაქმების პოლიტიკაში — როგორც ევროპულ, ასევე ეროვნულ დონეზე (European Commission, 2023).

ევროკავშირის დონეზე, დიალოგზე ორიენტირებული პოლიტიკური სტილი განვითარდა და “ სოციალური დიალოგი“ ევროპული სოციალური მოდელის შემადგენელი ნაწილი გახდა. წევრ ქვეყნებში სოციალური პარტნიორობის არსებულმა ფორმებმა განიცადეს ევროპეიზაცია. სექტორული და მრავალმხრივი დიალოგების პროცესების ინსტიტუციონალიზაციამ მოახდინა „მოლაპარაკების დაკანონება“(Falkner,1998)

ევროკომისიის ერთერთი წარმომადგენლის განცხადებით: მისი განყოფილება პასუხისმგებელია 44 დირექტივაზე და 89 რეგულაციაზე და ამისთვის მას მხოლოდ დაახლოებით 9 თანამშრომელი მყავს. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი შესაბამისი საქმის ადმინისტრირებისთვის ჰყავთ 600 ადამიანი (Greenwood,2007)

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ევროკომისია ახალისებს შესაბამის ინტერესთა ჯგუფებს, რათა განვითარდნენ და მათთვის ხელმისაწვდომნი გახდნენ. მაშინ როგორ საქმიანობენ ინტერესთა ჯგუფები უნიკალურ ჰიბრიდში, ევროკავშირში?

სოციალური პარტნიორობის ევროპული ტრადიციის მიხედვით ევროკავშირი ახალისებს ინტერესთა ჯგუფებს. ბრიუსელში დაახლოებით 20,000 ლობისტი მუშაობს და ამით ქალაქს ვაშინგტონის ევროპულ ექვივალენტად გარდაქმნიან. მთავარი პიკური (Peak) ასოციაციები არიან: ევროპის ინდუსტრიული და დამსაქმებელთა

კავშირის კონფედერაცია (UNICE) და ევროპული სავაჭრო კავშირის კონფედერაცია(ETUC). ინდუსტრიალისტების ევროპული მრგვალი მაგიდა (დაახლოებით ინდუსტრიის 50 ევროპელი ლიდერის ფორუმი) უშვებს რეპორტს, რომელიც სასარგებლოა ბიზნესისთვის (Hague&Harrop 2010); (სუმბაძე,2024)

მართალია ევროპული პარლამენტის პოზიციის გაძლიერებით ლობისტების დარგიც გაფართოვდა, ბევრი სამუშაო მაინც კომისიაზე არის ფოკუსირებული. ევროკომისიამ დააფუძნა საკონსულტაციო კომიტეტების ფართო სისტემა, რომლის წევრებსაც წარმოადგენენ შესაბამისი ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლები.

ევროკომისიის როგორც მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციონირება წარმოდგენელიც კი იქნებოდა იმ სპეციალისტების გარეშე, რომლებიც ინტერესთა ჯგუფებს წარმოადგენენ, რადგან კომისია ეროვნულ მთავრობებზე მეტად სწორედ მათ რჩევებს ითვალისწინებს და განიხილავს მათ შეთავაზებებს.

ლობიზმის სტილი ნაკლებ აგრესიულია ვიდრე აშშ-ში. რადგან ზოგიერთ ინტერესთა ჯგუფების კონფედერაციებს არ აქვთ საკმარისი რესურსები რომ ხმა მიაწვდინონ ევროკომისიას, სწორედ ამიტომ ევროკომისია გადართულია არამხოლოდ პიკური (Peak) ასოციაციების, არამედ ასევე ინდივიდუალური კომპანიების შეთავაზებებზე, რომელთაც უმნიშვნელოვანესი ცოდნა გააჩნიათ ამჟამინდელი ბაზრის განვითარებისთვის(სუმბაძე,2024).

ბევრი ინდივიდუალური კომპანია, მათ შორის ინტერნაციონალური კორპორაციები, რომლებიც დაფუძნებულნი არიან ევროკავშირის გარეთ, უფრო მეტად სურთ პირდაპირი ლობიზმი აწარმოონ ევროკომისიაზე.

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოების მთავრობების ლობიზმს თუ შევადარებთ ევროკავშირში ინტერესების წარმომადგენლობას, მივიღებთ შემდეგ სამ განსხვავებას:

- პოლიტიკა უფრო მეტად არის გადახედილი და მიღებული, რადგან ის გადის ევროკავშირის ინსტიტუტების კომპლექსურ ფილტრს. ამ მიზნით ყველა ინიცირებული შეთანხმება რომელიც ევროკომისიამდე აღწევს რჩება გასათვალისწინებელ საკითხად.
- ბრიუსელში ფოკუსი კეთდება უფრო ინტერესთა ჯგუფებზე, ვიდრე სოციალურ მოძრაობებზე, დასაბუთებულ არგუმენტებზე და არა პოლიტიკურ მთავარ ტრიბუნაზე.

- რადგან ევროკავშირი არის სახელმწიფოთა კავშირი, ინტერესთა ჯგუფებს არჩევანი აქვთ მასზე გავლენა მოახდინონ ეროვნული მთავრობების გზით. ევროკომისია კი დამოკიდებული უნდა იყოს ეროვნული მთავრობების მიერ კანონების მიღებაზე და იმ პარტნიორ ინტერესთა ჯგუფებზე, რომლებმაც მონიტორინგი უნდა მოახდინონ წევრი სახელმწიფოების პოლიტიკაზე და რეგულაციებზე და განსაზღვრონ რეალურად შეესაბამება თუ არა ევროკავშირის მოთხოვნებს (Hague & Harrop, 2010); (სუმბაძე,2024).

ევროპულ დონეზე სოციალური პარტნიორების მიერ განხორციელებული სამი განსხვავებული ფორმა არსებობს:

- ტრიპარტიტული კონცენტრაცია
- კონსულტაცია
- სოციალური დიალოგი (Bir, J.2019)

ტრიპარტიტული კონცენტრაციის მთავარი პლატფორმებია: ტრიპარტიტული სოციალური სამიტი (სადაც სოციალური პარტნიორებს აქვთ შესაძლებლობა შეხვდნენ ევროკავშირის საბჭოსა და კომისიის პრეზიდენტებს), მაკროეკონომიკური დიალოგი და ევროპის დასაქმების სტრატეგია (European Commission2024).

ტრიპარტიტული სოციალური სამიტი, რომელიც ევროკავშირის ინსტიტუტებსა და ევროპულ სოციალურ პარტნიორებს შორის მაღალი დონის დიალოგის პლატფორმაა, ხელმძღვანელობს ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტი და ევროკომისიის პრეზიდენტი.

ევროპული სოციალური პარტნიორები, რომლებიც ამ დიალოგში მონაწილეობენ არიან :

- BusinessEurope
- ევროპის პროფესიული კავშირთა კონფედერაცია (ETUC)
- SGI Europe (ორგანიზაცია, რომელიც ზოგადი ინტერესების მომსახურების სერვისის მომწოდებელია)
- SMEunited (ევროპაში ხელოსნების და მცირე და საშუალო ბიზნესების ასოციაცია)
- Eurocadres

2024 წლის 20 მარტს ბრიუსელში გამართული ბოლო ტრიპარტიული სოციალური სამიტისას, ევროკავშირის ლიდერებმა და სოციალურმა პარტნიორებმა ყურადღება გაამახვილეს თემაზე: "ეკონომიკურად და სოციალურად ძლიერი ევროპა, რომელიც ითამაშებს თავის როლს მსოფლიოში".

აღნიშნულ სამიტზე შარლ მიშელმა (Charles Michel) , მაშინდელმა ევროპის საბჭოს პრეზიდენტმა განაცხადა შემდეგი: „ჩვენ ვართ ტრანზიტულ მომენტში. ევროკავშირის პროექტი ეფუძნება ორ ფუნდამენტს: უსაფრთხოებას და კონკურენტუნარიანობას. ახლა ჩვენ ქმნით ახალ პარადიგმას კლიმატის და ციფრული ტრანსფორმაციის გამკლავებისათვის. საჭიროა შიდა ბაზრის სიღრმისეული განვითარება ენერგიის, მომსახურების და კაპიტალის სფეროში. ასევე უნდა მოვაგვაროთ შრომითი ძალის და კვალიფიკაციის დეფიციტი, რაც ხელს უშლის ჩვენს ბიზნესებს და ჩვენი ერთიანი ბაზრის კონკურენტუნარიანობას. ამავდროულად, უნდა ვაღიაროთ მცირე და საშუალო საწარმოების ფუნდამენტური როლი. ჩვენი სოციალური პარტნიორები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ამ მიზნების მიღწევაში“ .

ტრიპარტიული სოციალური სამიტი (TSS): თავისი მაღალი დონის შემადგენლობით და ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესთან მჭიდრო კავშირის მქონე TSS წარმოადგენს მთავარ პოლიტიკურ პლატფორმას სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციებისთვის. ეს სამიტები იმართება ევროპის საბჭოს მარტისა და ოქტომბრის სხდომების წინ, სადაც სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრაზე განხილულია ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა (European Commission, 2024).

ტრიპარტიული სოციალური სამიტი (TSS): თავისი მაღალი დონის შემადგენლობით და ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესთან მჭიდრო კავშირის მქონე TSS წარმოადგენს მთავარ პოლიტიკურ პლატფორმას სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციებისთვის. ეს სამიტები იმართება ევროპის საბჭოს მარტისა და ოქტომბრის სხდომების წინ, სადაც სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრაზე განხილულია ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა (European Commission, 2024).

ევროპულ სოციალური დიალოგისთვის მნიშვნელოვანი ფორუმებია:

- მაკროეკონომიკური დიალოგი (MED): მაღალი დონის ფორუმი (მინისტრების დონეზე), რომელიც მოიცავს საბჭოს, კომისიას, ევროკავშირის ცენტრალურ ბანკს და სოციალურ პარტნიორებს მოსაზრებების გაცვლისათვის. ეს შექმნილია 1999 წლის კიოლნის ევროპული საბჭოს მიერ და მისი მიზანი არის EU-ს მაკროეკონომიკური ჩარჩოს ზრდასა და სტაბილურობაში წვლილის შეტანა.
- სოციალური დიალოგის კომიტეტი (საერთაშორისო ინდუსტრიული) (SDC): SDC წარმოადგენს ევროკავშირში ბიპარტიული სოციალური დიალოგის (მხოლოდ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციების მონაწილეობით) მთავარ ფორუმს.
- სექტორული სოციალური დიალოგის კომიტეტები (SSDCs): SSDCs უზრუნველყოფენ ფორუმს დასაქმების და სოციალური პოლიტიკის შესახვედრად კონკრეტულ სექტორებში.
- Liaison Forum: ეს ფორუმი უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას ევროკავშირის სოციალური პარტნიორების ყველა ორგანიზაციებსა და კომისიას შორის.
- საკონსულტაციო კომიტეტები
- სემინარები და სოციალურ პარტნიორებთან ერთობლივი პროექტები (ევროკომისია, 2016).

154-ე მუხლით გათვალისწინებული კონსულტაციები შემოიფარგლება სოციალური პარტნიორების წარმომადგენლობითი ორგანიზაციებით. ევროკავშირის სოციალური პარტნიორების ამ კონსულტაციებმა შეიძლება გამოიწვიოს მოლაპარაკებები და პოტენციური შეთანხმებები, რომლებიც შეიძლება გახდეს ევროკავშირის კანონმდებლობა (Bir,J.2019).

ევროპული სოციალური დიალოგი გულისხმობს სოციალურ პარტნიორებს შორის ბიპარტიულ (ორმხრივ) თანამშრომლობას, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს კომისიის მიერ ორგანიზებული ოფიციალური კონსულტაციებიდან ევროპის პროფესიული კავშირების კონფედერაციის 153-ე და 154-ე მუხლების შესაბამისად. ბიპარტიული სოციალური დიალოგი ხორციელდება სექტორთაშორის დონეზე ევროპის პროფკავშირების კონფედერაციასა და

დამსაქმებლებს შორის (Bir, J.2019). განხილულ საკითხებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ როგორც მთლიან ინდუსტრიაზე, ასევე ეკონომიკის კონკრეტულ სექტორებზე (ევროპის საბჭო, 2016).

2023 წლის იანვარში ევროპელმა სოციალურმა პარტნიორებმა მნიშვნელოვან ეტაპს მიაღწიეს ერთობლივი „ძლიერი სოციალური დიალოგის ახალი დასაწყისის შესახებ დეკლარაციის“ მიღებით. ეს დეკლარაცია ასახავს რეკომენდაციებს სოციალური დიალოგის გასაძლიერებლად ოთხ სფეროში: შესაძლებლობების განვითარება, ევროკავშირის პოლიტიკის შემუშავება, ევროპული ეკონომიკური მმართველობის პროცესი (ევროპული სემესტრი) და უკეთესი რეგულირების დღის წესრიგი (ევროკომისია, 2023).

Molina და rhodes (2002) თანახმად, კოლექტიური მოლაპარაკებები არის მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს მთავრობის პოლიტიკის ეფექტურად განხორციელებას, მაგრამ ის არ ანიჭებს სოციალურ პარტნიორებს პოლიტიკის შემუშავების უფლებამოსილებას. კონსულტაცია უბრალოდ აძლევს სოციალურ პარტნიორებს ინფორმაციასთან წვდომის შესაძლებლობას, ხოლო ინტეგრაციისას მათ აქვთ რეალურ გავლენა პოლიტიკის შემუშავებაზე.

2.2 სოციალური პარტნიორობის გერმანული მოდელი

გერმანია არის ყველაზე დიდი ევროპული ქვეყანა, რომელიც გამოირჩევა სოციალურ პარტნიორობის ძლიერი ტრადიციით. Fichter და Greer (2015) აღწერენ გერმანულ სოციალურ პარტნიორობას როგორც კოლექტიური მოლაპარაკებების ნაწილად და მის გაფართოებად; ის ინსტიტუციონალიზებულია ეროვნულ დონეზე - ანგლო-საქსური მიდგომისგან განსხვავებით, იგი მუშაობს დასაქმების რეგულირების და შრომის ურთიერთობების სხვადასხვა მიმართულებით. ეს მოიცავს ტრიპარტიულ (სამმხრივ) პოლიტიკის შემუშავებას სტაჟირების სისტემაში, ორმხრივ სექტორულ მოლაპარაკებებს პროფკავშირებსა და დამსაქმებელთა ასოციაციებს შორის, ან კომპანიის დონეზე კოდეტერმინაცია, რომელშიც მონაწილეობენ სამუშაო საბჭოები, პროფკავშირის წარმომადგენლები და

მენეჯმენტი. ამრიგად, სოციალური პარტნიორობა მოიცავს როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ ასპექტებს.

სოციალურ პარტნიორებს შორის მოლაპარაკებები კვლავაც ახდენენ გავლენას პოლიტიკის მიმართულებაზე, რაც მოიცავს ნეოლიბერალურ ელემენტებს, რომლებსაც პოლიტიკის შემქმნელები აუცილებელ პირობად მიიჩნევენ. ამავდროულად, ის იცავს და ახდენს სოციალური სახელმწიფოსა და სოციალური საბაზრო ეკონომიკის კრიტიკული ასპექტების მოდერნიზებას (Iankova & Turner, 2004).

ბოლო ათწლეულის განმავლობაში მომხდარი ცვლილებების მიუხედავად, გერმანულმა მოდელმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეკონომიკისთვის 2009 წლის დიდი რეცესიის შედარებითი სტაბილურობით დამღევაში. მსკ-ს შემცირების წინაშე მდგომი მთავრობა კომპანიები და პროფკავშირები კრიზისთან საბრძოლველად „ძველი“ გერმანული მოდელისთვის დამახასიათებელ დამკვიდრებულ პოლიტიკურ ინსტრუმენტებს ეყრდნობოდნენ (Hassel & Schelkle, 2012).

COVID-19 პანდემიის დროს, Whittall, Trinczek at al., (2020) ირწმუნებიან, რომ გერმანული ეკონომიკა რეცესიის რისკის წინაშე აღმოჩნდა. საპასუხოდ, მთავრობამ და სოციალურმა პარტნიორებმა სწრაფად განახორციელეს მოკლევადიანი ზომები თანამშრომლების ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და კომპანიების სტაბილურობისთვის. 2020 წლის 13 მარტს გერმანიის პროფკავშირების კონფედერაციის (DGB) გენერალურმა მდივანმა, რაინერ ჰოფმანმა და გერმანიის დამსაქმებელთა ასოციაციების კონფედერაციის (BDA) პრეზიდენტმა, ინგო კრამერმა, გაავრცელეს ერთობლივი პრეს-შეტყობინება, რომელშიც დაადასტურეს თავიანთი მზადყოფნა თანამშრომლობისკენ. 2008 და 2009 წლების ფინანსური კრიზისის დროს შემუშავებულ გეგმაზე დაყრდნობით, DGB-მ და BDA-მ აღნიშნეს: „მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტი და საპირისპირო ინტერესები კვლავ არსებობს, განსაკუთრებულ სიტუაციებში ისინი უკანა პლანზე გადადის“.

გერმანული სოციალური პარტნიორობის მოდელის წარმატება ფართოდ მიეწერება დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის საერთო ინტერესების შესახებ ფუნდამენტურ კონსენსუსს, რომელიც ორიენტირებულია ძლიერ ეკონომიკურ განვითარებაზე და ექსპორტზე ორიენტირებულ ეკონომიკაზე. როგორც დამსაქმებელ ორგანიზაციებს, ასევე პროფკავშირებს გააჩნიათ ძლიერი ინსტიტუციური

შესაძლებლობები, რომლებსაც მხარს უჭერენ სპეციალიზებული კვლევითი ცენტრები (European Commission, 2016).

როგორც გერმანიის გაერთიანების და უფრო ბოლო პერიოდში ფინანსური კრიზისის შემთხვევაში, კორონავირუსის პანდემიამ ნათლად წარმოაჩინა გერმანიის ინდუსტრიული ურთიერთობების კორპორატიული სიძლიერე. ასეთ დროს სოციალური პარტნიორები ქვეყნის დასახმარებლად მიდიან.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში ტრიპარტიული (სამმხრივი) მმართველობა ოფიციალურად არ არის ინსტიტუციონალიზებული, სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციები სოციალურ და შრომის ბაზრის საკითხებზე გავრცელებული პრაქტიკაა. ბისმარკის სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფო მოდელი გულისხმობს, რომ როგორც დასაქმებულებს, ასევე დამსაქმებლებს წარმომადგენლობა ჰყავთ სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ინსტიტუტების საბჭოებში, მათ შორის საპენსიო ფონდებში, ფედერალურ დასაქმების სააგენტოსა და ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემაში. შედეგად, მთავრობის მიერ სოციალური პოლიტიკის საკითხებზე უმაღლესი დონის პროფკავშირებისა და დამსაქმებელთა ორგანიზაციების კონსულტაციები გერმანული ნეოკორპორატივიზმის ტიპური მახასიათებელია. სოციალურ პარტნიორებს სთხოვენ წერილობით კომენტარის გაკეთებას კანონპროექტებზე და განცხადებების გაკეთებას პარლამენტში. მაგალითად, 2017 წლიდან მათთან კონსულტაციები ტარდება პროფესიული პენსიების ხელშეწყობის, მოქნილ საპენსიო სქემასა და ხელფასების გამჭვირვალობის აქტებზე. სოციალური პარტნიორების და კერძოდ, პროფკავშირების აზრით, კონსულტაციის პროცესი ღირებულად ითვლება, მაგრამ არა ყველა შემთხვევაში დროულად. ფედერალურ სამინისტროებთან ფორმალური და არაფორმალური შეხვედრების გარდა, პარლამენტის წევრებთან და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან დისკუსიები ასევე გავრცელებული პრაქტიკაა (Eurofound 2019).

გერმანია ინარჩუნებს კონკურენტუნარიანობის მაღალ დონეს, რაც განპირობებულია დივერსიფიცირებული ეკონომიკით, ძლიერი ინდუსტრიული ბაზით და დინამიური მცირე და საშუალო საწარმოებით (Mittelstand). შრომის პროდუქტიულობის დონე მაღალია და გერმანია სარგებლობს სავაჭრო ინტეგრაციის მაღალი ხარისხით, განსაკუთრებით ერთიან ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს

მირითადად მსხვილი ფირმების მიერ არის განპირობებული, გერმანია კვლავ კარგად ახერხებს ინოვაციების მიღწევას ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან შედარებით (European Commission, 2024).

რეგულაცია (EU) 2021/241-ის 19(3) მუხლის (b) პუნქტისა და V დანართის, კრიტერიუმი 2.2-ის შესაბამისად, გერმანიის ალდგენისა და მდგრადობის გეგმა მოიცავს ურთიერთგამაძლიერებელი რეფორმებისა და ინვესტიციების ფართო პაკეტს, რომელიც 2026 წლისთვის უნდა დასრულდეს. ამ მოკლე ვადებში, გეგმის ეფექტური განხორციელებისთვის, სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფის პარალელურად, აუცილებელია გერმანიის ეკონომიკის გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის გაძლიერება მწვანე და ციფრული გარდაქმნის მეშვეობით. ალდგენისა და მდგრადობის გეგმაში REPowerEU-ს თავის სწრაფი ინტეგრაცია შესაძლებელს გახდის დამატებითი რეფორმებისა და ინვესტიციების განხორციელებას, რომლებიც შეესაბამება გერმანიისა და ევროკავშირის სტრატეგიულ მიზნებს ენერგეტიკის სფეროში და მწვანე გარდამავალ პერიოდში. ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების, სოციალური პარტნიორების, სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების სისტემატური ჩართულობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ალდგენისა და მდგრადობის გეგმის წარმატებით განხორციელების ფართომასშტაბიანი ხელშეწყობისთვის (European Commission, 2025).

ამჟამად გერმანიაში, სახელმწიფოსა და ინტერესთა ჯგუფების ურთიერთობა აყვანილი არის პარლამენტის დონეზე. ნებისმიერი კანონის ინიცირებისას შესაბამისი ინტერესთა ჯგუფები და ორგანიზაციები მიწვეულნი არიან პარლამენტში, რათა დაესწრონ კანონის განხილვის საწყის ეტაპს, გაზიარებულ იქნას ერთმანეთის მოსაზრებები და მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ეს არის კანონის განხილვის უფრო ეფექტური გზა, ვიდრე ინფორმაციულ ვაკუუმში განხილვა. სადაც შეიძლება ისეთი კანონი იქნას მიღებული, რომელიც მოგვიანებით აღმოჩნდება, რომ შეუძლებელია პრაქტიკაში მისი გატარება. ეს ასევე მიუთითებს იმაზე, რომ ინტერესთა ჯგუფებს კანონის განხილვის ადრეულ ეტაპზე შეუძლიათ გავლენის მოხდენა. ისინი ჩართულნი არიან ამ პროცესში მანამდე, სანამ უშუალოდ ბუნდესტაგში კომიტეტის

მოსმენაზე კანონის გამტარებლებს შეხვდებიან პირისპირ და გამოხატავენ თავიანთ მოსაზრებებს.

ინტერესთა ჯგუფების გავლენა საკანონმდებლო პროცესზე ყოველთვის კრიტიკული ასპექტია. ეს ჯგუფები არ მოქმედებენ მხოლოდ ვიწრო ინტერესებისთვის, არამედ ისინი სინამდვილეში წარმოადგენენ სოციალური ჯგუფების გამართლებულ მოთხოვნებს და ინტერესებს. ცალკე აღებული მოქალაქეები, იქნებიან ესენი მცირე მეწარმეები, ბიზნესმენები, კონკრეტული ჯგუფის წარმომადგენლები, თუ სახელმწიფო დახმარების მიმღებები, ან უბრალოდ კონკრეტული საკითხის მომხრეები, მათთვის ძალიან რთული იქნებოდა მარტომყოფებს ემტკიცებინათ თავიანთი შეხედულებები და მოსაზრებები, თუ არ გაწევრიანდებოდნენ მათთვის საერთო ინტერესების მქონე ჯგუფებში, რომელთაც რეალურად შეუძლიათ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა.

Bundestag-იც ასევე დამოკიდებულია ინტერესთა ჯგუფების ჩართულობაზე. რადგან ერთი მხრივ ინტერესთა ჯგუფები არიან მნიშვნელოვნად კომპეტენტური კონკრეტულ საკითხებში, რომელთა დახმარების გარეშეც ბუნდესტაგისთვის რთული იქნებოდა მარტივი და რელევანტური შეთავაზებების გაკეთებაც კი. მეორეს მხრივ, ეს არის კანონიერი და სასარგებლო ბუნდესტაგისთვის, რადგან კანონზე მუშაობისას დროულად ხდება შესწავლა იმ ეჭვების და მოსაზრებების, რომელსაც სწორედ ის ჯგუფები გამოხატავენ ვისაც ეს კანონი მომავალში შეეხებათ, ამის შემდეგ კი შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს მათი რჩევები და მოსაზრებები.

ჩვეულებრივ შეუძლებელია ძალით იქნეს მიღებული კანონი, არამედ მისი მიღება დამოკიდებული უნდა იყოს იმ ჯგუფების თანხმობაზე რომელთაც ეს ეხებათ. ინტერესების სისტემატური განხილვისას, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს არა მხოლოდ ერთი ჯგუფის მოსაზრებები, არამედ სხვა ჯგუფებისაც, რომლებიც შეიძლება გამოხატავდნენ განსხვავებულ მოსაზრებებს და ხშირად ინტერესთა კონფლიქტშიც კი მოდიოდნენ იგივე დარგში.

ასე მაგალითად, შრომის კანონის შეთავაზებისას, არა მხოლოდ დამქირავებლების ინტერესებია გათვალისწინებული, არამედ პროფკავშირისაც. ხოლო კონკრეტული პროდუქციის წარმოების შეთავაზების განხილვისას მოსაზრებებს გამოთქვამენ როგორც ინდუსტრიის შესაბამისი დარგის წარმომადგენლები, ასევე მომხმარებელთა

ორგანიზაციებიც. რაც შეეხება ენერგეტიკის პოლიტიკას და ინდუსტრიულ წარმოებას, ასეთი საკითხების განხილვისას მრავალი წელია მუდმივად არიან ჩართულები გარემოს დაცვის ორგანიზაციები. უფრო მეტიც, ყოველ კონკრეტულ დარგში არიან ექსპერტები და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რაოდენობა სამეცნიერო საკონსულტაციო ორგანოების, რომლებიც მთავრობამ დააფუძნა და რომლებსაც შეუძლიათ დამატებითი რჩევები გასცენ თითქმის ყველა სპეციალობის დარგში.

ასეთი გზით შესაძლებელია თავი მოეყაროს კონკრეტულ საკითხზე კომპეტენტურ მოსაზრებებს, დაბალანსდეს ინტერესები და კანონის მიღებისას მხარდაჭერა იქნეს

მოპოვებული სწორედ მათ მიერ ვისაც ეს კანონი უშუალოდ შეეხებათ და არა უბრალოდ პარლამენტის მიერ იქნეს მხარდაჭერილი ერთი ან მეორე ჯგუფის ინტერესები (Bundestag, 2025).

2.3. სოციალური პარტნიორობის შვედური მოდელი

შვედეთი არის შედარებით პატარა, მაგრამ საკმაოდ ღია ეკონომიკა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთაშორისო ბაზრებთან. კომპანიების სტრუქტურა შედგება მრავალი მცირე საწარმოსგან, რომელთა რაოდენობა არ აღემატება ათ დასაქმებულს (88.1 პროცენტი), ზოგიერთი საშუალო ზომის კომპანიებისგან, რომლებიც აერთიანებენ 10-249 თანამშრომელს (11.3 პროცენტი) და მსხვილი საწარმოების მცირე წილისგან, რომლებიც აერთიანებენ 250 და მეტ თანამშრომელს (0.6 პროცენტი) (OECD, 2018) (www.etuc.org). შვედეთის კეთილდღეობის სახელმწიფო დიდი ფინანსური კრიზისის დროს გასაკვირად სტაბილური დარჩა (Schnyder, 2012). ეს წარმატება მიეწერება ქვეყნის კარგად განვითარებულ სოციალური დიალოგის სისტემას და სოციალური პარტნიორობის აქტიურ ჩართულობას პოლიტიკის შემუშავებაში. შვედეთში სოციალური დიალოგი არის როგორც ინსტიტუციონალიზებული, ასევე კარგად განვითარებული (Anxo, 2017).

Pestoff (2002)-ის მიხედვით, 1980-იან წლებში ცენტრალიზებული კოლექტიური მოლაპარაკებების წინააღმდეგ ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში დამსაქმებლების ინტენსიური კამპანიებისა და დეცენტრალიზაციის მცდელობების შემდეგ, 1990-იან წლებში შვედეთის კოლექტიურმა მოლაპარაკებებმა ერთდროულად განიცადა როგორც დეცენტრალიზაცია, ასევე რეცენტრალიზაცია.

შვედეთის მმართველობითი მიდგომის კიდევ ერთი აღსანიშნავი ასპექტია პოლიტიკის კოორდინაცია. ზოგიერთ შემთხვევაში, პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება დიდწილად ორგანიზაციებს ევალებოდათ. ამ თანამშრომლობითმა მოდელმა, რომელსაც ხშირად „კორპორატივიზმს“ უწოდებენ, შვედეთს ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე კორპორატიული ქვეყნის რეპუტაცია მოუტანა (Fulcher, 2002).

შვედეთის ინდუსტრიული ურთიერთობების სისტემის ერთ-ერთი ფუნდამენტური მახასიათებელია ძლიერი სახელშეკრულებო ტრადიცია, რომელიც დაფუძნებულია ძლიერი სოციალური პარტნიორების არსებობაზე, რომლებიც ინარჩუნებენ მნიშვნელოვან ავტონომიას საჯარო ხელისუფლებისგან (Anxo, 2017).

Bergström და Styhre (2022)-ის მიხედვით, შვედეთის ეკონომიკის ტრანსფორმაცია არა მხოლოდ კოლექტიური მოლაპარაკებების დეცენტრალიზაციით, არამედ ეკონომიკური კრიზისის დროს პოლიტიკის შემუშავების სახელმწიფოდან სოციალურ პარტნიორებზე გადატანაშიც ვლინდება, რაც ეკონომიკური კრიზისის დროს მნიშვნელოვანი სტრუქტურული რეფორმების საჭიროებას არ წარმოშობს და შესაბამისად ამცირებს მთავრობის ხარჯებს. გველესიანი (2021) მიხედვით, ანალიზისა და შეფასების თვალსაზრისით, დეცენტრალიზაცია ნიშნავს, რომ, მაგალითად, სამინისტროები, საპარლამენტო კომიტეტები, კვლევითი ინსტიტუტები, ასოციაციები, კომპანიები და კერძო პირები ცდილობენ ერთი და იგივე პრობლემის გადაჭრას. იგულისხმება, რომ ისინი ამ პრობლემას საკუთარი გამოცდილებისა და ინტერესების შესაბამისად განიხილავენ და შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებენ. შესაბამისად, მათი ძალისხმევა ერთმანეთისგან განსხვავდება. ამავდროულად, ისინი აფასებენ სხვების მიერ შეთავაზებულ წინადადებებს მათი მისაღებად ან უარყოფისთვის. ისინი შესაბამის დასკვნებს აკეთებენ ცვლილებების სარგებლისა და ზიანის შესახებ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. უნდა ითქვას, რომ ასეთი ქმედებების საფუძველზე მიღებული

ინფორმაცია ყოველთვის უკეთესია, ვიდრე ერთი რომელიმე ორგანოს მიერ შეგროვებული და შეფასებული ინფორმაცია.

2008 წლის დიდმა რეცესიამ შვედეთის სამრეწველო ურთიერთობების სისტემაში და კოლექტიური მოლაპარაკებების მექანიზმში ცვლილებები არ გამოიწვია შესაბამისად სამრეწველო ურთიერთობების შვედურმა მოდელმა არა მხოლოდ ძლიერი მდგრადობა აჩვენა კრიზისის დროს, არამედ, ხელი შეუწყო შვედეთის შედარებით სწრაფ ეკონომიკურ აღდგენას. კარგად დამკვიდრებულმა და განვითარებულმა სოციალურმა დიალოგმა და სოციალური პარტნიორების პროაქტიულმა ჩართულობამ კრიზისის დროს გადამწყვეტი როლი ითამაშა მაკროეკონომიკური დისბალანსის მოგვარებაში და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი შვედეთის ეკონომიკის აღდგენას. რეცესიას უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია სამრეწველო ურთიერთობებზე და 2008–2011 წლების პერიოდი აღინიშნა სამრეწველო მშვიდობით, 1990-იანი წლების დასაწყისის ღრმა რეცესიის დროს არსებული სიტუაციისგან განსხვავებით (Dominique, 2017) .

სოციალურმა პარტნიორებმა წარმატებით მოახდინეს მოკლევადიანი სამუშაო შეთანხმებების მობილიზება COVID-19 კრიზისის გამოწვევებთან გასამკლავებლად, რითაც წარმატებით აიცილეს თავიდან სამუშაოდან დასაქმებულთა მასობრივი გათავისუფლებები. სოციალურ პარტნიორებს შორის და სოციალურ დიალოგის მიმართ მაღალმა ნდობამ აჩვენა კრიზისების პერიოდებში სწრაფი და ეფექტური რეაგირების უნარი. შვედეთში, სოციალურმა პარტნიორებმა ჯერ კიდევ 2008 წლის ფინანსური კრიზისის საპასუხოდ უკვე შეიმუშავეს მექანიზმი დასაქმების მიმართულებით უეცარი მნიშვნელოვანი შოკების მოსაგვარებლად (124).

შვედეთის კოლექტიური ხელშეკრულების მოდელი ეფუძნება ხელფასებისა და სხვადასხვა სამუშაო პირობების რეგულირებას სოციალურ პარტნიორებს (პროფკავშირულ ორგანიზაციებსა და დამსაქმებელ ორგანიზაციებს) შორის შეთანხმების გზით და დავების აღსრულებისა და მოგვარების მართვას თავად მხარეების მიერ.

შვედეთის შრომის ბაზარზე შემდეგი სამი პროფკავშირული კონფედერაციაა:

- შვედეთის პროფკავშირების კონფედერაცია (LO),
- პროფესიონალ დასაქმებულთა კონფედერაცია (TCO)
- შვედეთის პროფესიული ასოციაციების კონფედერაცია (SACO).

ერთად, ეს ორგანიზაციები მოიცავს 50 შვილობილ პროფკავშირს როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორებიდან, რომლებიც წარმოადგენენ 3,4 მილიონზე მეტ წევრს. ამ კოლექტიური შეთანხმების წარმატებამ საბოლოოდ გამოიწვია საკანონმდებლო ცვლილებები, მათ შორის მთავრობის სუბსიდიები მოკლევადიანი სამუშაო ინიციატივების მხარდასაჭერად. ამრიგად, როდესაც COVID-19 დაიწყო, მოკლევადიანი სამუშაო სისტემა უკვე ფუნქციონირებდა, რაც საშუალებას იძლეოდა სწრაფი მოლაპარაკებებისა და სამუშაო ადგილებზე დაუყოვნებლივი კორექტირების ქმედებების განხორციელების. სოციალურ პარტნიორებს შორის მაღალი დონის ნდობამ და ეფექტურმა სოციალურმა დიალოგმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს კრიზისების დროს ამ სწრაფი რეაგირების ხელშეწყობაში

2021 წლის იანვარში შვედეთის მთავრობამ დაიწყო სამი დამატებითი თანამშრომლობითი გამოკვლევა, რომელშიც მონაწილეობდნენ სამთავრობო ექსპერტები და სოციალური პარტნიორების წარმომადგენლები. ეს კვლევები ფოკუსირებული იყო სოციალური პარტნიორების მოთხოვნების შესრულების გზების შესწავლაზე, ხაზს უსვამდა მათ უნიკალურ როლს სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი პოლიტიკის შექმნაში და არა პირიქით (Bergström, O. & Styhre, A. 2022).

შვედეთში სოციალური დიალოგი აგებულია ურთიერთნდობასა და მიზანმიმართულ ქმედებებზე, რაც სოციალურ პარტნიორებს საშუალებას აძლევს, აწარმოონ დამოუკიდებელი მოლაპარაკებები სახელმწიფო გავლენისგან თავისუფალ პირობებში (Micko, L. 2017).

არსებული ეროვნული პრაქტიკების საფუძველზე და უფრო ეფექტური სოციალური დიალოგისა და უკეთესი სოციალური-ეკონომიკური შედეგების მისაღწევად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა იხელმძღვანელონ სოციალური პარტნიორების დროული და არსებითი ჩართულობით დასაქმების, სოციალური და საჭიროების შემთხვევაში, ეკონომიკური რეფორმებისა და პოლიტიკის შემუშავებასა

და განხორციელებაში. ამასთან, აუცილებელია სოციალური პარტნიორების შესაძლებლობების გაძლიერებაც (Council of the European Union, 2018).

Bir-ის (2019) მოსაზრებით, სოციალური პარტნიორები უნიკალურ პოზიციაში იმყოფებიან, რათა წარუძღვნენ ეკონომიკის ტრანსფორმაციას — განავითარონ დაბალანსებული ღონისძიებები და გადაწყვეტილებები, რომლებიც ხელს უწყობს როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ წინსვლას. იმ ქვეყნებში, სადაც ძლიერი სოციალური დიალოგი და განვითარებული ინდუსტრიული ურთიერთობების ინსტიტუტებია, ეკონომიკური, სოციალური და შრომითი გარემო კრიზისების დროს გაცილებით მდგრადია. ევროპაში პროგნოზირებმა დაადასტურეს, რომ COVID-19-ზე საპასუხო სოციალური დიალოგის გზით მიღწეული შეთანხმებები ყველაზე ეფექტური და მდგრადი გზაა სიცოცხლის, სამუშაო ადგილებისა და შემოსავლის დასაცავად. ქვეყნები, რომლებსაც ძლიერი სოციალური დიალოგი აქვთ, ხშირად ევროპის ყველაზე კონკურენტუნარიან ქვეყნებს მიეკუთვნებიან (ETUC, 2025).

სოციალური დიალოგი გადამწყვეტ როლს ასრულებს ევროპის კონკურენტუნარიანობისა და სამართლიანობის ხელშეწყობაში. ქვეყნებს, რომლებსაც სოციალური დიალოგის მდიდარი ტრადიცია აქვთ, როგორც წესი, უფრო ძლიერი და სტაბილური ეკონომიკა გააჩნიათ და ისინი ევროპის კონკურენტუნარიან ქვეყნებს შორის ლიდერობენ. მისი მნიშვნელოვანი როლისა და ეკონომიკური სარგებლის აღიარების ფონზე, დღევანდელი მთავარი გამოწვევაა სოციალური დიალოგის გაძლიერება ყველა ევროკავშირის წევრ ქვეყანაში (European Commission, 2016).

ევროპამ უნდა შეინარჩუნოს და განავითაროს ეს სოციალური მოდელი, როგორც მაგალითი დანარჩენი მსოფლიოსთვის (ETUC, 2025).

Iankova და Turner (2004) აღნიშნავენ, რომ ევროპაში სოციალურ პარტნიორობას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს — ორგანიზებული ინტერესები, განსაკუთრებით ბიზნესი და შრომა, რეგულარულ მოლაპარაკებებში მონაწილეობენ ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის კომპრომისების შესამუშავებლად, რაც ევროპას გლობალურ ეკონომიკაში ლიდერ პოზიციაში აყენებს. ბოლო წლებში ჩატარებული ყველა კვლევა ერთხმად უსვამს ხაზს ამ პროცესის ერთ-ერთ უმთავრეს მიღწევას: ევროკავშირის დონეზე სოციალური პარტნიორების აქტიურ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

დასკვნის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული სოციალური დიალოგი მხოლოდ ინსტრუმენტია და თავისთავად არ წარმოადგენს მიზანს. შესაბამისად, ძალიან ბევრი დამოკიდებულია იმაზე, თუ რას აკეთებენ და აპირებენ სოციალური და ინსტიტუციური აქტორები ამ ინსტრუმენტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მისი უნიკალურობა — ზოგი წვერი ქვეყნისთვის იგი სერიოზული ღირებულების მქონეა. ეს არის დემოკრატიის სიმბოლო შრომით სივრცეში — დემოკრატია, რომელიც საჭიროებს დაცვასა და განვითარებას (European Commission, 2023)

სოციალურ პარტნიორებს შესანიშნავად ესმით ევროპული სამუშაო სივრცის რეალობა. მათ იციან როგორც დასაქმებულების, ასევე დამსაქმებლების საჭიროებები და იცავენ მათ ინტერესებს. მათი ჩართვა ევროკავშირის დონეზე უწყობს ხელს იმას, რომ ევროკავშირის ინიციატივები ამ საჭიროებებს ეფექტურად მოერგოს. შესაბამისად, სოციალური პარტნიორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ევროკავშირის სოციალური პოლიტიკის ფორმირებასა და ევროპული სოციალური სტანდარტების განსაზღვრაში. სოციალური პარტნიორების დიალოგი გავლენას ახდენს არა მხოლოდ შრომითი ბაზრებისა და სამუშაო პროცესის ორგანიზებაზე, არამედ ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას და შრომით სამართლიანობას. ამიტომ ევროკომისია მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური დიალოგის მხარდაჭერასა და ხელშეწყობაში (European Commission, 2016).

გამოცდილებამ აჩვენა, რომ სოციალური პარტნიორები ეფექტურად იყენებენ ქვეყნისთვის სპეციფიკურ რეკომენდაციებს (CSRs), რათა ეროვნული დღის წესრიგი განახორციელონ სოციალური დიალოგის ჩარჩოში. მათი ურთიერთქმედება უნდა აერთიანებდეს როგორც ევროკავშირის, ასევე ეროვნული დონეების მიდგომებს, მონაწილეობას იღებდეს ეროვნული რეფორმების პროგრამების (NRPs) შემუშავებაში და აქტიურად იყოს ჩართული პოლიტიკისა და რეფორმების განხილვაში (Eurofound, 2019).

ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიების ანალიზი და ფორმულირება რთულ ამოცანად რჩება პრობლემის გადაჭრის პროცესის დინამიკური ბუნების გამო. ეს მოითხოვს ქვეყნის წესების ადაპტაციას (მაგალითად, შეზღუდული რაციონალური მოლოდინების პირობებში) და შეფასებების დროთა განმავლობაში გადახედვას.

ახალი გამოცდილების დაგროვება კიდევ უფრო ცხადყოფს საჭიროებას, რომ მუდმივად მოხდეს შეფასებების გადამუშავება და პოლიტიკის სტრატეგიების ადაპტირება (Gvelesiani, 2021).

სოციალური პარტნიორობის მოდელების ანალიზში მნიშვნელოვანია ნდობის ორი განსხვავებული ფორმის გამიჯვნა: ინსტიტუციური და კულტურული ნდობა.

გერმანული და შვედური მოდელები ნდობის ზუსტად ამ ფორმებით განსხვავდებიან, უფრო კონკრეტულად:

გერმანული მოდელისთვის დამახასიათებელია შემდეგი:

- ინსტიტუციონალიზებული სოციალური პარტნიორობის მოდელი, სადაც ნდობა უზრუნველყოფილია სამართლებრივი ნორმებით, ინსტიტუტებითა და თანამმართველობის მექანიზმებით (კოდეტერმინაცია co-determination , მუშაკთა საბჭოები, დარგობრივი კოლექტიური შეთანხმებები);
- თანამშრომლობა ნაკლებად ეფუძნება არაფორმალურ შეთანხმებებს და მეტად — იურიდიულად განსაზღვრულ პასუხისმგებლობებს;
- გამოირჩევა ინსტიტუციური სტაბილურობით, კოლექტიური მოლაპარაკებების მაღალი დონით;
- სახელმწიფო ასრულებს მედიატორისა და რეგულატორის როლს, მაგრამ არ ერევა უშუალოდ ხელფასების დადგენაში;
- მოდელი ხელს უწყობს შრომითი ურთიერთობების სტაბილურობას, კონფლიქტების პრევენციასა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალის განვითარებას.

შვედური მოდელისთვის კი დამახასიათებელია:

- გამოირჩევა კულტურულად განმტკიცებული ნდობის სისტემით, სადაც სოციალური პარტნიორობის ურთიერთობები დაფუძნებულია გრძელვადიან თანამშრომლობასა და თვითრეგულაციაზე;
- კოლექტიური შეთანხმებების შესრულება დიდწილად ნებაყოფლობითია;
- სახელმწიფო ასრულებს ნეიტრალური არბიტრის, როლს და ჩართულია მინიმალურად; ძირითადი პასუხისმგებლობა აკისრია პროფკავშირებსა და დამსაქმებელთა ასოციაციებს;

- კონფლიქტების რაოდენობა შედარებით დაბალია, გაფიცვები იშვიათია და მოლაპარაკებები — პროგნოზირებადი;
- ნდობის მაღალი დონე სოციალური პარტნიორობის შვედური მოდელის მთავარი მახასიათებელია. ეს ნდობა არსებობს როგორც სოციალურ პარტნიორებს (პროფკავშირებსა და დამსაქმებელ ორგანიზაციებს), ასევე ზოგადად შვედურ საზოგადოებაში.

თავი III. სოციალური პარტნიორობა საქართველოში და მისი განვითარების პერსპექტივები

3.1. სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ინტერესთა ჯგუფების ურთიერთქმედების პრაქტიკა


საქართველომ, მას შემდეგ რაც 1991 წელში დამოუკიდებლობა მოიპოვა გაიარა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესი. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ დიდწილად მოხდა საბაზრო მოდელის ადაპტირება და 2004 წლიდან საქართველოში ეკონომიკის ლიბერალიზაციისკენ მიმართული რეფორმების ტალღა დაიწყო. აღნიშნული რეფორმების შედეგად, აღმოიფხვრა ბიუროკრატიული ბარიერები და შემცირდა საგადასახადო ტვირთი. 2005 წლიდან დაწყებული ხელისუფლებამ რადიკალურად გააუმჯობესა საქართველოს საინვესტიციო კლიმატი, ახალი სამეწარმეო კანონების შემოღებით კი გაამარტივა სამეწარმეო საქმიანობის რეგულირება (ერქომაიშვილი, 2018). ამ პერიოდიდან არაერთხელ გამოითქვა ინტერესი ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრობაზე.

2014 წელს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა მნიშვნელოვანი ღირშესანიშნავი მოვლენა იყო ამ კუთხით, რომელმაც ძლიერი გავლენა მოახდინა რიგ სფეროებში პოლიტიკის მიმართულებებზე, მათ შორის ეკონომიკა, შრომა და დასაქმება.

„საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე ერთადერთი სწორი არჩევანი - არჩევანი ევროპისაკენ, დასავლეთისაკენ გააკეთა „ (პაპავა, 2015, გაჩეჩილაძე, 1995; გეგეშიძე, 2002; რონდელი, 2001).

საქართველოს ღია და პატარა (დაახლოებით 34 მილიარდი დოლარის) ეკონომიკა აქვს. 2024 წლის დეკემბრის მონაცემებით ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსში საქართველო 26-ე ადგილზეა, რაც ეკონომიკის მაღალი დონით გახსნილობის მაჩვენებელია

გრაფიკი 3.1.1. ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსი



წყარო: ციურიხის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი


საქსტატის მონაცემების მიხედვით, 2024 წელს საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ 9.7% შეადგინა, ხოლო მთლიანი სამამულო პროდუქტის (მსპ) მოცულობამ 93 მილიარდ ლარს მიაღწია. ამავე პერიოდში, მსპ ერთ სულ მოსახლეზე 9,241 აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც ქვეყნის მაკროეკონომიკური დინამიკის მნიშვნელოვან გაუმჯობესებაზე მიუთითებს. სექტორული სტრუქტურის თვალსაზრისით, 2024 წელს საქართველოს ეკონომიკაში ყველაზე მაღალი წილი ვაჭრობის სექტორს ეკავა, მას მოსდევდა უძრავი ქონებით ოპერაციები, ხოლო მესამე ადგილზე დამამუშავებელი

მრეწველობა განთავსდა, რაც ეკონომიკური აქტივობის კონცენტრაციას მომსახურებისა და წარმოების შერეულ მოდელზე ასახავს.

ამასთანავე, შრომის ბაზრის მაჩვენებლები კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევებზე მიუთითებს. კერძოდ, 2024 წელს საქართველოში უმუშევრობის დონემ 13.9% შეადგინა, რაც წინა წლის 16.4%-თან შედარებით შემცირებულია (საქსტატი, 2025). მიუხედავად აღნიშნული პოზიტიური ტენდენციისა, უმუშევრობის შედარებით მაღალი დონე კვლავ ამძაფრებს სოციალური პოლიტიკის, აქტიური შრომის ბაზრის ინსტრუმენტებისა და სოციალური დიალოგის ეფექტიანობის საკითხს.

2024 წელს დასაქმებულთა უმსხვილესი წილი მოდიოდა ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და განათლების სექტორებზე, რაც ხაზს უსვამს აღნიშნული დარგების ეკონომიკურ მნიშვნელობას. შედარებით 2019 წელთან, დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა ყველა ჩამოთვლილ სექტორში, გარდა სოფლის მეურნეობისა, სადაც დაფიქსირდა დაახლოებით 9.1%-იანი კლება. ეს ცვლილება ასახავს საქართველოს ეკონომიკის თანდათანობით ტრანსფორმაციას, რაც ხასიათდება სოფლის მეურნეობიდან მომსახურებისა და ინდუსტრიული სექტორებისკენ სამუშაო ძალის გადანაცვლებით.

გრაფიკი 3.1.2. დასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკური სექტორების მიხედვით




წყარო : საქსტატი, 2025

აღნიშნული ტენდენციები მიუთითებს, რომ მიუხედავად შრომის ბაზარზე აღდგენითი დინამიკისა, სამუშაო ძალის გამოყენების ეფექტიანობა კვლავაც გამოწვევად რჩება, რაც საჭიროებს განათლების სისტემისა და შრომის ბაზრის პოლიტიკის უკეთ კოორდინაციას (pmcg,2025).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 2025 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული ეკონომიკური ზრდის პროგნოზების მიხედვით, საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპი 2025 წელს 7.2%-ით განისაზღვრება, რაც ქვეყანას მსოფლიო მასშტაბით მეშვიდე ადგილს ეკონომიკური ზრდის რეიტინგში.

დინამიკურ ჭრილში, 2024 წელს საქართველოს ეკონომიკა 9.4%-ით გაიზარდა, რის შედეგადაც ქვეყანა საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით ეკონომიკური ზრდის რეიტინგში მეოთხე ადგილზე განთავსდა, უფრო მაღალი ზრდა გაიანას, პალაუს და ნიგერს ჰქონდა. 2023 წელს ეკონომიკური ზრდა 7.8% იყო და საქართველო რეიტინგში მე-12 პოზიციას იკავებდა. საპირისპიროდ, 2020 წელს, COVID-19-ის პანდემიის გავლენით, საქართველოს ეკონომიკა 6.3%-ით შემცირდა, რაც იმ ქვეყნების ჯგუფში აყენებდა, სადაც ეკონომიკური კლება შედარებით მკვეთრი იყო.

გრაფიკი 3.1.3. საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპი, პროცენტი



წყარო: IMF , 2025


საერთაშორისო რეიტინგები მნიშვნელოვან ანალიტიკურ წყაროს წარმოადგენს ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტების ხარისხის, ზოგადი მმართველობის, მედიის თავისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობის, ასევე ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონის შეფასების თვალსაზრისით. აღნიშნული

ინდექსები არა მხოლოდ ქვეყნის შიდა ინსტიტუციური დინამიკის შეფასებას უზრუნველყოფს, არამედ ქმნის საერთაშორისო შედარებითი ანალიზის საფუძველსაც.

ბრიტანული გამოცემა *The Economist*-ის მიერ გამოქვეყნებული 2024 წლის დემოკრატიის ინდექსის მიხედვით, საქართველომ ინდექსის არსებობის განმავლობაში ყველაზე მკვეთრი გაუარესება განიცადა. ქვეყნის ქულა 0.51 ერთეულით შემცირდა და 4.70 ქულა შეადგინა, რის შედეგადაც საქართველო 2023 წელს დაკავებული 89-ე პოზიციიდან 94-ე ადგილზე ჩამოქვეითდა, ანუ ხუთი პოზიციით უკან დაიხია. აღნიშნული მაჩვენებელი ქვეყანას „ჰიბრიდული რეჟიმების“ კატეგორიაში ამყარებს და დემოკრატიული უკუსვლის ტენდენციაზე მიუთითებს.

ინდექსის დინამიკა ცხადყოფს, რომ საქართველოში დემოკრატიის ხარისხის უმაღლესი შეფასება 2013 წელს დაფიქსირდა, როდესაც ინდექსი 5.95 ქულას შეადგენდა და ქვეყანა 78-ე ადგილზე იმყოფებოდა. შედარებით მაღალი მაჩვენებლები შენარჩუნდა 2017 წლამდე (5.93 ქულა), რის შემდეგაც დაიწყო სტაბილური კლების პროცესი: 2018 წელს – 5.50, 2019 წელს – 5.42, 2020 წელს – 5.31, 2021 წელს – 5.12, 2022 და 2023 წლებში – 5.20, ხოლო 2024 წელს – 4.70 ქულა.

გრაფიკი 3.1.4. დემოკრატიის ინდექსი



წყარო: დიდი ბრიტანეთის ეკონომისტების კვლევითი გაერთიანება


(Economist Intelligence Unit)

რეგიონულ კრილში შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველო დემოკრატიის ხარისხის მიხედვით ჩამორჩება სომხეთს, რომელიც *The Economist*-ის 2024 წლის დემოკრატიის ინდექსში 82-ე ადგილზეა 5.35 ქულით. ამავე რეიტინგში თურქეთი 103-ე პოზიციაზეა 4.26 ქულით, აზერბაიჯანი 126-ე ადგილზეა 2.80 ქულით, ხოლო რუსეთი 150-ე ადგილზეა 2.03 ქულით, რაც მას მკვეთრად ავტორიტარული რეჟიმების ჯგუფში ამყოფებს. აღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველო, მიუხედავად მეზობელ სახელმწიფოებთან შედარებით უკეთესი პოზიციისა, რეგიონში ლიდერის როლს ვერ იწარჩუნებს და დემოკრატიული განვითარების ტემპით სომხეთს ჩამორჩება.

დემოკრატიული უკუსვლის ტენდენციას ადასტურებს ასევე ავტორიტეტული საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციის — *Freedom House*-ის 2025 წლის ანგარიში. ორგანიზაციის შეფასებით, საქართველო კვლავ „ნახევრად თავისუფალ“ კატეგორიაში რჩება, რაც მიუთითებს დემოკრატიული ინსტიტუტების არასრულფასოვან კონსოლიდაციასა და ხელისუფლების ანგარიშვალდებულების პრობლემურ ხასიათზე. 2025 წლის მონაცემებით, საქართველომ 100 შესაძლო ქულიდან 55 ქულა მიიღო, რომელიც 2024 წელთან შედარებით 3 ქულით გაუარესდა (*Freedom house*, 2025).

„საერთაშორისო გამჭვირვალობა“ ბერლინის ოფისის მიერ გამოქვეყნებული 2024 წლის „კორუფციის აღქმის ინდექსის“ (CPI) მიხედვით, საქართველოს ქულა უცვლელი რჩება და კვლავაც 53-ია. 100 ბალიან შკალაზე 53 საშუალო შედეგია და 2015 წლის შემდეგ ყველაზე დაბალ მაჩვენებელს წარმოადგენს.

გრაფიკი 3.1.5 კორუფციის აღქმის ინდექსი



წყარო: საერთაშორისო გამჭვირვალობა (TI)(ბერლინის ოფისი)

აღნიშნული გარემოება განსაკუთრებულად საყურადღებოა, ვინაიდან მსხვილი საერთაშორისო ინვესტორები და ინსტიტუციური ფინანსური აქტორები საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ სწორედ მსგავს საერთაშორისო რეიტინგებსა და ინდექსებს (ერქომაიშვილი, 2018).

საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ფართომასშტაბიანი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ტრანსფორმაცია განიცადა. აქტიური სამოქალაქო საზოგადოების განვითარება ყოველთვის ამ პროცესის გარდაუვალი ნაწილი უნდა იყოს. სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიზნებზე, არამედ იმ არასახელმწიფო აქტორებზეც, რომლებიც ამ საზოგადოებებში რჩებიან ან ჩნდებიან. პროფკავშირები და პროფესიული ასოციაციები ინტერესთა წარმომადგენლობის ძირითად ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან, რომლებიც პროფკავშირების შემთხვევაში წარმომადგენენ მუშაკებს, ხოლო პროფესიული ასოციაციების შემთხვევაში - კონკრეტული პროფესიების/საქმიანობების მქონე პირებს. შრომის ბაზარზე, სამუშაო პირობებზე, მუშაკთა უფლებებსა და სოციალური დიალოგის ხელშეწყობაზე ფოკუსირებით, ისინი აუცილებლად წვლილს შეიტანენ

დემოკრატიისა და ინტერესთა წარმომადგენლობის თანამედროვე გზის მშენებლობაში მოქმედ საბაზრო ეკონომიკაში.

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და შრომითი უფლებების გაძლიერების თვალსაზრისით ძლიერ გავლენას ახდენს ქვეყნის ევროკავშირთან ასოცირება. ასოცირების ფარგლებში, ქვეყანაში არაერთი საერთაშორისო დონორი აქტიურად მოქმედებდა პროექტებისა და პროფესიული ასოციაციების საქმიანობის მხარდასაჭერად.

ევროკავშირი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს განვითარებისა და დემოკრატიზაციის პროცესების ძირითად პოლიტიკურ აქტორებად მიიჩნევს. სასურველია ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც ჩართულია სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ დიალოგებში.

CELSI (2020)- ის მიხედვით საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი სტრუქტურა პროფესიული კავშირების და პროფესიული ასოციაციების, მაგრამ მათი გავლენა და წვდომა ქვეყნის პოლიტიკის შემუშავებაში არის მოკრძალებული. მიუხედავად იმის, რომ პროფესიული კავშირები მთავრობის მიერ ოფიციალურად არის აღიარებული როგორც სოციალური პარტნიორი, მაინც განიცდის სოციალურ მხარდაჭერის და პოლიტიკური ძალის სისუსტეს.

პროფესიული კავშირების ლანდშაფტი ორ ხაზად არის ფრაგმენტირებული. პირველი ხაზი მიუთითებს პროფესიული კავშირების დოქოტომიას დაყოფას შემდეგნაირად : ნამდვილი პროფესიული კავშირები როგორც ორგანიზაციების ინტერესების წარმომადგენლები და ყვითელი პროფესიული კავშირები. ნამდვილი პროფესიული კავშირების უმრავლესობა არის გაერთიანებული საქართველოს პროფესიული კავშირების კონფედერაციაში (GTUC) და ისინი ცდილობენ აშკარად გაემიჯნონ ყვითელი პროფესიული კავშირებისგან, რომლებიც დაფუძნებულნი არიან ზოგიერთი კომპანიის მენეჯმენტისგან ან იმ ადამიანებისგან, რომლებიც ჩართულები არიან პოლიტიკაში, ადგილობრივ მმართველობაში (მაგალითად რკინიგზა). ფრაგმენტირების მეორე ხაზი მიუთითებს ე.წ. “ძველ,” და „ახალ/ალტერნატიულ,” პროფესიულ კავშირების რესურსების და სტრატეგიების სიძლიერის განსხვავებაზე. “ძველ,” პროფესიულ კავშირებს (მემკვიდრეები საბჭოთა პროფესიულ კავშირების) და პროფესიული ასოციაციებს უჭირთ წევრების ისეთი გონივრული რაოდენობის

მოზიდვა, რომელიც მათ საშუალებას მისცემს ინსტიტუციურ ძალის რესურსს. „ახალ/ალტერნატიულ“ პროფესიულ კავშირების არსებობას ძალიან მცირე ისტორია აქვს, ისინი ახლახან დაარსდნენ, რაც გამოწვეულია, როგორც შედეგი „ ძველ „ პროფესიულ კავშირების არასათანოდო საქმიანობის და უნდობლობის. მიუხედავად იმის, რომ ისინი განიცდიან წევრების ნაკლებობას, როგორც ძალის უპირატესობის რესურსს, მათი სიძლიერე ემყარება ლიდერობის უნარს და ორგანიზება/ მობილიზების შესაძლებლობას მიწვდნენ იმ სამუშაო ძალის სეგმენტს, რომლებიც არ იყვნენ მანამდე გაერთიანებულები.

მიუხედავად ზემოთ მოყვანილი ფრაგმენტაციისა, ყველა არსებული პროფკავშირი დაინტერესებულია ერთიდაიგივე მიზნით, აამაღლონ დასაქმებულების ცნობიერება თავიანთ უფლებებზე, დაატრენინგონ პროფესიული კავშირების ლიდერები, რათა გააძლიერონ კავშირების როლი ქვეყანაში და გაზარდონ კავშირების წევრების რაოდენობა, მონიტორგი გაუწიონ დასაქმებულების მიმართ არასამართლიან მოპყრობას და გაზარდონ მთავრობის, დამსაქმებლების ანგარიშვალდებულება, პატივი სცენ სამართლებრივ რეგულირებას, დანერგონ სპეციალური დებულებები საქართველოს ასოციაციების შეთანხმებიდან.

პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მიუხედავად იმის, რომ ყველა პროფესიული კავშირები და ასოციაციები იზიარებენ ერთი და იგივე მიზანს, მათ შორის არის ძალიან ცოტა კოორდინაცია და შესაბამისად გაზიარებული ინფორმაცია.

ურთიერთობა არის უფრო კონკურენტული. თითოეული პროფესიული კავშირი ცდილობს დაიცვას საკუთარი პოზიცია ძალიან მცირე წევრებით .

საქართველოში არ არსებობს აშკარა განსხვავება საჯარო და კერძო პროფესიულ კავშირებს შორის. პროფესიული კავშირები დაფუძნებულები არიან ინდუსტრიულ ხაზში. ამგვარად დასაქმებულები, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ერთი და იგივე დარგში, მუშაობენ საჯარო ან კერძო სექტორში. საქართველოში პროფესიული კავშირების (“ძველი” ან “ახალი”) და პროფესიული ასოციაციების მთავარი პრობლემებია: 1) სუსტი ფინანსური შესაძლებლობები 2) სუსტი პერსონალის შესაძლებლობები (ორგანიზაციათა უმრავლესობა განიცდის პროფესიონალების ნაკლებობას). 3) სუსტი საერთაშორისო კავშირები და 4) სამართლებრივი გარანტიების არარსებობა. შეიძლება ამ შეფასებისთვის შესწავლილი ყველა ორგანიზაცია არ

განიცდიდეს ამ პრობლემებს ერთი და იგივე დონეზე, მაგრამ ესენი არის ძირითადი შემზღუდველი ფაქტორები რომლებიც აფერხებენ საქართველოში პროფესიულ კავშირებს და ასოციაციებს ეფექტურად დაიცვან დასაქმებულთა უფლებები და შესაბამისად გააძლიერონ ქვეყანაში სოციალური დიალოგი.

2024 წლის დეკემბერში დაფუძნდა ახალი პროფესიული კავშირი „საჯარო მოსამსახურეთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი – კონსტიტუციის 78-ე მუხლი“

დამფუძნებელთა განცხადების თანახმად, ახალი პროფესიული კავშირი მიზნად ისახავს საჯარო მოსამსახურეთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების, აგრეთვე მათი სამართლებრივი ინტერესების დაცვას. ორგანიზაციის ამოცანებში შედის სამუშაო პირობების, ანაზღაურებისა და სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების ხელშეწყობა, საჯარო მოსამსახურეთათვის სამართლებრივი დახმარებისა და კვალიფიციური კონსულტაციის უზრუნველყოფა, ასევე ადვოკატირება როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ დონეზე. გარდა ამისა, პროფესიული კავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერას, საქმიანობის სტანდარტების ამაღლებას და გადამზადებისკენ მიმართული თეორიული და პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებას.

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის 2025 წლის პრესრელიზში მოცემულია ევროკავშირის და საქართველოს ასოცირების პროცესი და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის დინამიკა:

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების პროცესი ეფუძნება საერთო ღირებულებებს და წარმოადგენს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის თანმიმდევრულ მიმართულებას საქართველოსთან ურთიერთობებში. 2014 წელს ხელმოწერილი და 2016 წელს ძალაში შესული ასოცირების შესახებ შეთანხმება (AA), ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებასთან (DCFTA) ერთად, მიზნად ისახავს საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებას ევროკავშირთან. შეთანხმების სტრატეგიული ამოცანებია დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის განმტკიცება, ადამიანის უფლებათა დაცვა, კარგი მმართველობის ხელშეწყობა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების

უზრუნველყოფა. აღნიშნული პროცესი ინტეგრირებულია ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისა (ENP) და აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ინსტიტუციურ ჩარჩოში, რომელიც საქართველოს სთავაზობს სექტორულ ინტეგრაციასა და ინსტიტუციურ დაახლოებას ევროკავშირის ნორმებსა და სტანდარტებთან.

2023 წლის დეკემბერში საქართველოს კანდიდატის სტატუსი ოფიციალურად მიენიჭა, ევროკავშირის ინსტიტუტების შეფასებით, აღნიშნულ გადაწყვეტილებას არ მოჰყოლია საკმარისი პოლიტიკური ნება აუცილებელი დემოკრატიული და ინსტიტუციური რეფორმების გასატარებლად. ევროკომისიის 2024 წლის გაფართოების ანგარიშში ხაზგასმულია, რომ ცხრა ნაბიჯის შესრულების მიმართულებით პროგრესი მინიმალურია.

ევროპული საბჭოს 2024 წლის გადაწყვეტილებებით დადასტურდა, რომ საქართველოში ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი „დე ფაქტო შეჩერებულია“, რაც უკავშირდება დემოკრატიული უკუსვლის ნიშნებსა და განსაკუთრებით „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღებას. ევროკავშირის შეფასებით, არსებული პოლიტიკური კურსის შეუცვლელობის პირობებში და ძირითადი რეფორმების მიმართულებით ხელშესახები პროგრესის გარეშე, შეუძლებელი იქნება საქართველოსთან გაწევრიანების მოლაპარაკებების დაწყების რეკომენდაციის განხილვა. აღნიშნული ვითარება ნათლად ასახავს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის მჭიდრო კავშირს დემოკრატიული მმართველობის ხარისხთან, ინსტიტუციურ დამოუკიდებლობასა და ფუნდამენტური უფლებების ეფექტიან დაცვასთან (ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, 2025).

საქართველოს პარლამენტმა 2024 წლის 1 მაისს მიიღო „უცხოური გავლენის შესახებ“ კანონი, ხოლო 2025 წელს - „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ აქტი

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი ვრცელდება ყველა იმ არასამეწარმეო იურიდიულ პირებზე, მედიის სუბიექტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებიც ფინანსური რესურსების 20 პროცენტზე მეტს უცხოური წყაროებიდან იღებენ. კანონით განსაზღვრულია მათი ვალდებულება, დარეგისტრირდნენ სპეციალურ რეესტრში „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის“ სტატუსით, რაც გულისხმობს დამატებითი

ადმინისტრაციული მოთხოვნების დაკისრებას და სახელმწიფოს მხრიდან გაძლიერებულ ზედამხედველობას (მაცნე,2025).

საქართველოში „უცხოეთის აგენტების შესახებ“ კანონპროექტის ინიცირებამ ბიზნესსექტორის მნიშვნელოვანი ნაწილის მკვეთრად კრიტიკული პოზიცია გამოიწვია. 2024 წლის 10 მაისს გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე, რომელშიც მონაწილეობდნენ შემდეგი ადგილობრივი და საერთაშორისო ბიზნესგაერთიანებები :

- ევროკავშირ-საქართველოს ბიზნესსაბჭო
- ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში
- გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება/გერმანიის ბიზნეს ასოციაცია
- სავაჭრო და სამრეწველო პალატა საფრანგეთი-საქართველო
- ევროპული ბიზნესასოციაცია საქართველოში
- დისტრიბუტორთა ბიზნესასოციაცია
- საქართველოს მწარმოებელთა ფედერაცია
- გადასახადის გადამხდელთა კავშირი
- საქართველოს რესტორატორთა ასოციაცია

ხელისუფლებისადმი გაკეთდა მოწოდება კანონპროექტის სრულად გაწვევის თაობაზე. კერძო სექტორის წარმომადგენელთა შეფასებით, აღნიშნული რეგულაციის კანონად მიღება უარყოფითად აისახება ქვეყნის ბიზნესგარემოზე და განსაკუთრებით დააზიანებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის დინამიკას.

ამავე ბრიფინგზე ამერიკის სავაჭრო პალატის (AmCham) აღმასრულებელმა დირექტორმა აღნიშნა, რომ მიუხედავად ორგანიზაციის ტრადიციული თავშეკავებისა მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით, შექმნილი ვითარება გამოწვევების წარმოადგენს. მისი განცხადებით, საერთაშორისო პარტნიორების მიერ მხარდაჭერილ კერძო სექტორის პროგრამებს მნიშვნელოვან წვლილს შეაქვს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში და არ უკავშირდება შიდა პოლიტიკურ პროცესებს, თუმცა ახალი საკანონმდებლო ჩარჩო მათი გაგრძელების შესაძლებლობას არსებითად ზღუდავს(EU-Georgia business Council,2024).

კანონპროექტის პოტენციურ უარყოფით შედეგებზე ყურადღება გაამახვილა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) პრეზიდენტმა, რომლის

შეფასებით, აღნიშნული ინიციატივა მნიშვნელოვნად დააზიანებს საქართველოს საინვესტიციო იმიჯს (reuters, 2024) .

ამავე დღეს (2024 წლი 10 მაისს) პრემიერ-მინისტრმა დახურული ფორმატის შეხვედრა გამართა ბიზნესის სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებთან, რომელშიც დაახლოებით 80 პირი მონაწილეობდა (1tv, ახალი ამბები,2024).

მთავრობის ადმინისტრაციის ოფიციალური ცნობით, შეხვედრა ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა და ფოკუსირებული იყო ქვეყნის მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების განხილვაზე. შეხვედრის დასრულების შემდეგ, „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ დამფუძნებელმა აღნიშნა, რომ განხილვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა „უცხოური გავლენის აგენტების შესახებ“ კანონპროექტი. მისი შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია საკანონმდებლო ინიციატივის გარკვეული შინაარსობრივი კორექტირების განხილვა, საზოგადოებაში კანონპროექტის აღქმა, როგორც „რუსული კანონისა“, მნიშვნელოვნად აზიანებს მის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ლეგიტიმაციას.

შეხვედრამდე გაკეთებულ საჯარო განცხადებაში „ორბი ჯგუფის“ გენერალურმა დირექტორმა აღნიშნა, რომ ბიზნესსექტორი არ მიიჩნევს პრობლემურად ფინანსური და სამართლებრივი გამჭვირვალობის მოთხოვნებს, ვინაიდან კერძო კომპანიები მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში ისედაც ექვემდებარებიან რეგულარულ ფინანსურ ანგარიშგებასა და დეკლარირების ვალდებულებებს. თავის მხრივ, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ბოლო თორმეტი წლის განმავლობაში ქვეყანაში ბიზნესსაქმიანობა არ ხორციელდებოდა სისტემური ადმინისტრაციული ზეწოლის ან ხელშეშლის პირობებში, რითაც მან მიუთითა ბიზნესგარემოს შედარებით სტაბილურობაზე არსებული პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით (1tv, ახალი ამბები,2024).

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის (GEA) შეფასებით „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ და „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონპროექტები არსებითად შეუთავსებელია დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტურ პრინციპებთან. ასოციაციის განცხადებით, აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივები იწვევს კონსტიტუციურად გარანტირებული

ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების არაპროპორციულ შეზღუდვას და ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს კონსტიტუციას, ისე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლს (გაერთიანების თავისუფლება). ამასთან, კანონპროექტები წინააღმდეგობაში მოდის იმ პოლიტიკურ და სამართლებრივ ვალდებულებებთან, რომლებიც საქართველოს დაეკისრა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად განსაზღვრული რეკომენდაციების ფარგლებში.

GEA განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კანონპროექტებით დადგენილი რეგულაციები ატარებს ზედმეტად მაკონტროლებელ და შემზღუდველ ხასიათს, რაც ქმნის მსუსხავ ეფექტს სამოქალაქო საზოგადოების, პროფესიული გაერთიანებებისა და დამოუკიდებელი მედიის საქმიანობაზე. ასოციაციის შეფასებით, კანონპროექტები პირდაპირ ეწინააღმდეგება ევროკომისიის მიერ განსაზღვრულ მე-7 რეკომენდაციას, რომელიც მიზნად ისახავს თავისუფალი და პლურალისტური მედიაგარემოს უზრუნველყოფას, და მე-10 რეკომენდაციას, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას ითვალისწინებს. ამასთან, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის შეზღუდვა საფრთხეს უქმნის ბიზნეს სექტორის ინსტიტუციურ განვითარებას, ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის ტრანსფერს და დასავლური მმართველობის სტანდარტების დანერგვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ მოუწოდა პარლამენტს, არ დაეჭირა მხარი კანონპროექტებისთვის, რომლებიც აფერხებს ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესს და ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოსა და კონსტიტუციონალიზმის პრინციპებს (GEA,2024); (BMG,2024).

აღსანიშნავია, რომ დამსაქმებელთა ასოციაცია (GEA) წარმოადგენს როგორც სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის* წევრს ასევე შესული არის

*სამმხრივი კომისიის საქმიანობის დეტალური ანალიზი მოცემულია 3.2 პარაგრაფში.

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფოს 2021-2025 წლების სტრატეგიაში მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერ 3 ბიზნეს ასოციაციაში (MFA,2025).

დამსაქმებელთა გაერთიანებების მიერ გამოხატულ პოზიციას ასევე უერთდება სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის წევრი, საქართველოს პროფესიული კავშირების კონფედერაცია (GTUC), რომელმაც კანონპროექტებთან დაკავშირებით ასევე ოფიციალური საჯარო განცხადება გაავრცელა.

GTUC- ის სამართლებრივი შეფასებით, საქართველოს პარლამენტის მიერ 2023 წლის თებერვალში რეგისტრირებული კანონპროექტი წარმოადგენს კონსტიტუციურადგარანტირებული გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლებების არათანაზომიერ შეზღუდვას და ვერ აკმაყოფილებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით ჩამოყალიბებულ უფლებათა შეზღუდვის სამსაფეხურიან ტესტს (ლეგიტიმური მიზანი, აუცილებლობა და პროპორციულობა). კანონპროექტში გამოყენებული განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებები, მათ

შორის „უცხოური გავლენის აგენტის“ კატეგორია, იწვევს ნორმის გაურკვევლობას და ზრდის ადმინისტრაციული თვითნებობისა და შერჩევითი აღსრულების რისკს, რაც

წინააღმდეგობაში მოდის სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტურ პრინციპებთან.

პროფკავშირების შეფასებით, კანონპროექტები ვერ აკმაყოფილებს არც ევროკავშირის სამართლისა და ევროპული ადამიანის უფლებათა კონვენციის სტანდარტებს და ვერ უკავშირდება ევროკავშირის მიერ განსაზღვრული 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულებას. აღნიშნული ინიციატივები ვერ მოემსახურება ქვეყნის წინაშე არსებულ სისტემურ სოციალურ და შრომით გამოწვევებს, რომელთა ეფექტიანი გადაჭრა

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის კონსტიტუციურ და პოლიტიკურ ვალდებულებას წარმოადგენს. შესაბამისად, საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებამ პარლამენტს მოუწოდა, უარი ეთქვა აღნიშნული კანონპროექტების მიღებაზე და გააძლიეროს სამართლებრივი სახელმწიფოს,

სოციალური დიალოგისა და ევროპული ინტეგრაციის პრინციპებზე დაფუძნებული საკანონმდებლო პოლიტიკა (GEA,2024).

ვენეციის კომისიის 2025 წლის 10 ოქტომბრის შეფასების თანახმად, წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი — მათ შორის „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ აქტი (ე.წ. „ქართული FARA“), „გრანტების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებები, „უცხოური გავლენის“ მარეგულირებელი ნორმატიული ჩარჩო და მათთან დაკავშირებული სხვა საკანონმდებლო აქტები — სისტემურად ეწინააღმდეგება კანონის უზენაესობის პრინციპს, ზღუდავს სამოქალაქო სივრცეს და ასუსტებს დემოკრატიული თავისუფლებების დაცვას. კომისია საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს ე.წ. „ქართული FARA“-ს სრულ გაუქმებას, ხოლო დანარჩენი საკანონმდებლო ცვლილებების, მათ შორის გრანტებისა და მაუწყებლობის სფეროში მიღებული რეგულაციების, არსებით და ყოვლისმომცველ გადახედვას საერთაშორისო სამართლისა და ევროპული დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისად (ვენეციის კომისია, 2025) .

მიუხედავად ვენეციის კომისიის მკაფიო კრიტიკული შეფასებისა, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნულ დასკვნას პოლიტიკურად მიკერძოებულად აფასებენ და ამტკიცებენ, რომ კომისიის პოზიციები არ არის სათანადოდ გამყარებული სამართლებრივი არგუმენტაციით. ხელისუფლების მხრიდან გაკეთებული განცხადებები ხაზს უსვამს შეფასების პოლიტიკურ კონტექსტს და უარყოფს მის ნორმატიულ-სამართლებრივ საფუძვლებს (tvpirveli,2025).

ამავე დროს, პარალელურად მიმდინარეობს სამართლებრივი დავა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში. 2025 წლის სექტემბერში სტრასბურგის სასამართლოში დარეგისტრირდა ექვსი ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის საჩივარი, მათ შორის ერთი დამოუკიდებელი მედიასაშუალების მონაწილეობით:

- „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ (TI);
- „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი“ (EPRC);
- „კანონის უზენაესობის ცენტრი“;
- „საქართველოს ევროპული ორბიტა“;
- „სამოქალაქო მოძრაობა თავისუფლებისათვის“;
- „პუბლიკა“.

სარჩელი მიმართულია ბოლო წლებში მიღებული საკანონმდებლო აქტების, მათ შორის ე.წ. „ქართული FARA“-ს წინააღმდეგ. მომჩივანი ორგანიზაციები ამტკიცებენ, რომ აღნიშნული ნორმატიული პაკეტი არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებულ სტანდარტებს, განსაკუთრებით გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლებების დაცვის ნაწილში. საერთო სარჩელით მოთხოვნილია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რამდენიმე მუხლის დარღვევების დადგენა (123).

3.2. სოციალური პარტნიორობის ინსტიტუციური ჩარჩო პირობები და მისი პრაქტიკული შედეგები საქართველოში

სოციალური პარტნიორობის არსებობას საქართველოში არც ისე ხანგრძლივი ისტორია აქვს და ამ მხრივ საქართველოს გამოცდილება არასისტემურობით და ეკლექტურობით ხასიათდება (ბელთაძე, 2020) (სუმბაძე, 2025).

სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის, როგორც ინსტიტუციის ლეგიტიმაციის ამაღლებისკენ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გახლდათ საქართველოს შრომის კოდექსში 2013 წელს განხორციელებული ცვლილება, საქართველოს მთავრობამ 2013 წლის 7 ოქტომბერს დაამტკიცა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დებულება, რომლითაც დადგენილი იქნა კომისიის ძირითადი საქმიანობა და მუშაობის პრინციპები (მაცნე, 2025).

განისაზღვრა, რომ კომისიის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სოციალური პარტნიორობის, ასევე, ყველა დონეზე დასაქმებულებს, დამსაქმებლებსა და საქართველოს მთავრობას შორის სოციალური დიალოგის წარმართვის ხელშეწყობა (სუმბაძე, 2025).

2014 წლის 12 მარტს პრემიერ-მინისტრმა გამოსცა დადგენილება, რომლითაც დაამტკიცა კომისიის წევრები. აღნიშნული დადგენილების თანახმად, კომისიის თავმჯდომარეა საქართველოს პრემიერ-მინისტრი)(სუმბაძე, 2025).

სამმხრივ კომისიაში საქართველოს მთავრობას სამმხრივი კომისიის თავმჯდომარესთან ერთად წარმოადგენენ:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;
- საქართველოს იუსტიციის მინისტრი;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი
- გარდა ამისა, კომისიაში შედიან საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება (GTUC) - ის და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია (GEA)- ს წარმომადგენლები (GTUC,2025); (სუმბაძე,2025).

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება (GTUC) წარმოადგენს ცენტრალურ ინსტიტუციას ქვეყანაში მოქმედი პროფკავშირების კოორდინაციისა და დასაქმებულთა ინტერესების დაცვის სფეროში. გაერთიანების ძირითადი ფუნქციები მოიცავს პროფესიული კავშირების გაძლიერებას, დასაქმებულთა უფლებების დაცვას, სოციალური დიალოგისა და კოლექტიური მოლაპარაკებების განვითარებას (სუმბაძე,2025).

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება (GTUC) დაფუძნდა 1992 წლის 18 დეკემბერს დამფუძნებელი ყრილობის მიერ და წარმოადგენს საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციის სამართლებრივ მემკვიდრედ (სუმბაძე,2025).

საქართველოში პროფესიული კავშირები ჩამოყალიბდა სამრეწველო დარგის დონეზე და მათი უმრავლესობა გაწევრიანებულია პიკური დონის (peak-level) საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებაში (GTUC) . შესაბამისად, (GTUC) არის პროფკავშირების უმსხვილესი ასოციაცია და აქვს სოციალური პარტნიორობის ოფიციალური სტატუსი,რითაც წარმოადგენს მშრომელებს სოციალურ დიალოგში მთავრობასთან და დამსაქმებელ ასოციაციასთან ერთად (CELSI ,2020).

(GTUC)- ს მიერ საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა და ევროპული სტანდარტების გამოყენება წარმოადგენს მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელსაც შეუძლია გააძლიეროს ქვეყნის შრომის ბაზარი, ხელი შეუწყოს ევროინტეგრაციას და გაზარდოს პროფესიული კავშირების ავტორიტეტი. შედეგად,

GTUC-ის საქმიანობას სოციალური პარტნიორობის კონტექსტში შეუძლი შეასრულოს ორიენტირებული ფუნქცია: დაიცვას არამხოლოდ დასაქმებულთა უფლებები, არამედ შექმნას საფუძველი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისა და სოციალური სამართლიანობისათვის, რაც ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების წევრი ორგანიზაციები :

- პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანება
- აფხაზეთის პროფესიული კავშირების გაერთიანება
- მშენებელთა და ტყის მუშაკთა პროფესიული კავშირი
- ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირი
- საქართველოს თვითდასაქმებულთა და ვაჭრობის სფეროში მომუშავეთა პროფკავშირი
- კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფესიული კავშირი
- მეტალურგიული,სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირი
- მეტროპოლიტენის მუშაკთა პროფესიული კავშირი
- მომსახურების სფეროს, კომუნალური და ბანკების მუშაკთა პროფესიული კავშირი
- ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირი
- რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი
- საქართველოს ტრანსპორტისა და გზების მუშაკთა პროფესიული კავშირი
- საზღვაო ტრანსპორტისა და თევზის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირების კონფედერაცია
- საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირი
- ცხინვალის სამხარეო პროფესიული კავშირების ცენტრი
- საქართველოს მედიცინის,ფარმაციისა და სოციალური დაცვის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი
- ხელოვნების მუშაკთა პროფესიული კავშირი

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია (GEA) , რომელიც დაფუძნდა 2000

წელს, წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთ უმსხვილეს ბიზნეს გაერთიანებას, რომელიც აერთიანებს კერძო სექტორის წარმომადგენლებს სხვადასხვა ეკონომიკური დარგიდან, მათ შორის მსხვილ, საშუალო და მცირე საწარმოებს. ასოციაციის საქმიანობა მრავალმხრივია და მიზნად ისახავს კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობასა და სახელმწიფოსთან თანამშრომლობის გაძლიერებას (GEA,2025).

2004 წლიდან ასოციაცია მსოფლიო დამსაქმებელთა ორგანიზაციის (IOE) -ს წევრია. რაც მნიშვნელოვნად ზრდის მის საერთაშორისო აღიარებას და ხელს უწყობს გლობალურ ბიზნეს ქსელებთან თანამშრომლობის განვითარებას. სწორედ ეს წევრობა განაპირობებს GEA-ის მონაწილეობას საქართველოს სოციალური პარტნიორობის სამმხრივ კომისიაში, სადაც იგი წარმოადგენს დამსაქმებელთა ინტერესებს შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური პოლიტიკის ფორმირების პროცესში.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ინსტიტუციური პოზიციონირებას მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია სოციალური პარტნიორობის სისტემის ჩამოყალიბებასა და გამყარებაში, რაც წარმოადგენს კერძო სექტორისა და სახელმწიფოს თანამშრომლობის ერთ-ერთ მთავარ პლატფორმას საქართველოში.

სამმხრივი კომისიის საქმიანობა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- მხარეთა თანასწორობა და დამოუკიდებლობა;
- სოციალური პარტნიორის ინტერესების პატივისცემა;
- ნდობა და კეთილსინდისიერება;
- კოორდინაცია და პასუხისმგებლობა;
- ინფორმირებულობა;
- ვალდებულებათა შესრულება;
- ტრიპარტიზმი;
- კონსენსუსი.

შესაძლებელია სოციალური პარტნიორობა, განვითარდეს ეროვნულ, სექტორულ, ტერიტორიულ, საწარმოო და სხვა ორგანიზაციულ დონეებზე.

სამმხრივი კომისიის ფუნქციები:

- ქვეყანაში სოციალური პარტნიორობის განვითარების, აგრეთვე დასაქმებულებს, დამსაქმებლებსა და საქართველოს მთავრობას შორის

სოციალური დიალოგის წარმართვის ხელშეწყობა ყველა დონეზე, წევრებს შორის შეთანხმებისა და კონსენსუსის წახალისება;

- მთავრობასთან კონსულტაციების გამართვა შრომის, ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებული საერთო ინტერესის მქონე საკითხების, მათ შორის, იმ რეფორმებისა და საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, რომლებიც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტს, მინიმალურ ხელფასსა და ნებისმიერ სხვა საკითხს, რომლებმაც შესაძლოა, გავლენა მოახდინონ დამსაქმებლებისა და დასაქმებულების ინტერესებზე;
- შრომით და სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებულ სამმხრივი კომისიის წევრთათვის მნიშვნელობის მქონე ნებისმიერ სხვა საკითხზე წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება და საქართველოს მთავრობისათვის წარმოდგენა.
- ზემოაღნიშნული მიმართულებებით მუშაობის გაძლიერება ხელს უწყობს სიღარიბის შემცირებას, სოციალურ ინტეგრაციას და ეკონომიკის ინკლუზიურ და მდგრად განვითარებას (მაცნე, 2025); (სუმბაძე, 2025).

რეგიონულ დონეზე აჭარაში ILO-ს მონაწილეობით შეიქმნა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი ტერიტორიული კომისია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2018 წლის 24 აპრილის N10 დადგენილებით. რაც წარმოადგენს წინადადებულ ნაბიჯს ადგილობრივ დონეზე სოციალური პარტნიორობის გაძლიერების მიმართულებით.

ევროკავშირისა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება (რომელსაც 2014 წლის 27 ივნისს მოეწერა ხელი და ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისს), სხვა რიგ საკითხებთან ერთად ითვალისწინებს:

- სოციალური პარტნიორობის მონაწილეობის გაძლიერებას და სოციალური დიალოგის ხელშეწყობას, მათ შორის, ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის შესაძლებლობების გაძლიერების გზით.
- სოციალური პარტნიორობის ჩართულობას ეკონომიკური პოლიტიკის განვითარებისა და რეფორმირების პროცესში (მაცნე, 2025)(სუმბაძე, 2025).
- სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ეფექტიანი ფუნქციონირების

უზრუნველყოფა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის მეშვეობით სოციალური დიალოგის გაუმჯობესების გაგრძელება (MFA,2025); (სუმბაძე, 2025).

2019 წლის მაისში ძალაში შევიდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 144-ე პრიორიტეტული კონვენცია სამმხრივი კონსულტაციების შესახებ, რომელიც საქართველოს უწესებს ვალდებულებას, გამოიყენოს სოციალური დიალოგი, როგორც ინსტრუმენტი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური და სხვა კონვენციების იმპლემენტაციის მიზნით (scogeorgia, 2024)(სუმბაძე, 2025).

ILO შრომის სტანდარტებისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში ეფუძნება ტრიპარტიზმის პრინციპს, რაც გულისხმობს მთავრობებს, დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის დიალოგსა და თანამშრომლობას. სტანდარტების დამტკიცების პროცესში სამმხრივი მიდგომის გამოყენება და ყველა მხარის ინტერესების გათვალისწინება უზრუნველყოფს, რომ ეს სტანდარტები ფართოდ იყოს მხარდაჭერილი (ILO,2019);(სუმბაძე, 2025).

ტრიპარტიზმი სოციალური დიალოგის ერთ-ერთი ცენტრალური და უმნიშვნელოვანესი ფორმაა. იგი წარმოადგენს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) საქმიანობის საფუძველს, ფუძემდებლურ პრინციპსა და საბაზისო ღირებულებას, რომელიც ორგანიზაციის ინსტიტუციური არქიტექტურის ცენტრშია მოქცეული.

ტრიპარტიზმი განისაზღვრება როგორც „მთავრობის, დამსაქმებლებისა და დასაქმებულთა ურთიერთობა (მათი წარმომადგენლების მეშვეობით) თანასწორი და დამოუკიდებელი პარტნიორების სტატუსით, საერთო ინტერესების სფეროში არსებული საკითხების გადასაწყვეტად“ (ILO,2013). სხვა სიტყვებით, ტრიპარტიზმი გულისხმობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში დამსაქმებულთა და დასაქმებულთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციების აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფოსთან ერთად, თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებით.

აღნიშნული პრინციპი არ გულისხმობს იმას, რომ სამივე მხარეს ყველა ტრიპარტიტულ ფორმატში აუცილებლად ჰყავდეს რაოდენობრივად თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლები. მეტად მნიშვნელოვანია არა ფორმალური

თანასწორობა, არამედ ის, რომ თითოეული მხარის პოზიცია და მოსაზრება გადაწყვეტილების მიღების პროცესში ტოლფასი მნიშვნელობის მატარებელი იყოს. ანალოგიურად, ტრიპარტიზმი არ გულისხმობს პასუხისმგებლობების ტოლ განაწილებას – სამივე პარტნიორს გააჩნია საკუთარი, განსხვავებული როლი, უფლებამოსილება და ფუნქცია, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავებული, თუმცა ურთიერთდამატებითი და ურთიერთშეთავსებადია.

დიაგრამა 3.1.1. სოციალური პარტნიორობა



წყარო : ILO, 2013

საქართველოში შრომის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფრიდრიხ ებერტის ფონდი (Friedrich-Ebert-Stiftung), People in need, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) -ის მიერ სხვადასხვა პერიოდში ჩატარებული კვლევების მონაცემები აანალიზებს 2021-2025 წლებში არსებულ გაფიცვებს და covid- 19 ის დროს სოციალური პარტნიორობის ქმედითუნარიანობას. რაც დამატებით დაგვეხმარება სოციალური პარტნიორობის პრაქტიკული შედეგების გაანალიზებაში.

აღნიშნული ორგანიზაციების კვლევებით ბოლო წლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დასაქმებულთა გაფიცვები უფრო ინტენსიური და მასშტაბური გახდა. 2021-2025 წლების მონაცემები ცხადყოფს, რომ პროტესტის ძირითადი მიზეზებია ხელფასების გაზრდა, შრომითი პირობების გაუმჯობესება და სამუშაო გარემოზე ეკოლოგიური ზიანის შეზღუდვა. გაფიცვები, როგორც წესი, გამოიხატება სამუშაო პროცესის შეჩერებაში, სატრანსპორტო არტერიების ბლოკირებაში ან საწარმოო სივრცის პარალიზებაში. ამგვარი მოქმედებები მიზნად ისახავს

დამსაქმებლების, პროფესიული კავშირების, სამოქალაქო საზოგადოების, საგამომიებო უწყებების, მედიისა და ფართო საზოგადოების ყურადღების მიპყრობას, რათა პროცესი მოლაპარაკებებისა და მედიაციის ფაზაში გადავიდეს. მიუხედავად იმისა, რომ გაფიცულები ხშირად იღებენ გარკვეულ დაპირებებს, მათი შესრულება ნაკლებად სტაბილური და ხანგრძლივი აღმოჩნდება ხოლმე; რიგ შემთხვევაში, დაპირებების შეუსრულებლობა პროცესის ხელახალ ესკალაციამდე მიდის.

გაფიცვების ანალიზი საშუალებას იძლევა ისინი ორ ძირითად კატეგორიად შეფასდეს. პირველ ჯგუფს წარმოადგენენ ტრადიციულ სეგმენტებში დასაქმებულები — მრეწველობის, განათლების, ჯანდაცვისა და სხვა სექტორებში მომუშავე პირები. მეორე ჯგუფს კი შეადგენს ე.წ. პლატფორმული შრომა, რომელიც ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელებულ, არასტანდარტულ და ხშირად არაფორმალურ დასაქმებას მოიცავს. მიუხედავად შრომითი ფორმების განსხვავებისა, ორივე ტიპის დასაქმებულებს საერთო მოთხოვნები აქვთ, რაც მიუთითებს, რომ ტექნოლოგიური ინტეგრაცია თავისთავად არ უზრუნველყოფს შრომითი პირობების გაუმჯობესებას. პლატფორმულ სექტორში მომუშავეებისთვის ერთ-ერთი ცენტრალური გამოწვევაა დასაქმებულის სტატუსის ოფიციალურად აღიარების მოთხოვნა, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ ისარგებლონ შრომით კანონმდებლობაში გათვალისწინებული უფლებებით — შვებულებით, ბიულეტენით, დეკრეტული შვებულებით, ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურებით და სხვ (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2025)

2021–2025 წლების განმავლობაში გაფიცვების დინამიკა ნათლად ასახავს, რომ ეკონომიკური და სოციალური გარემოს გაუარესება — პანდემიის შედეგები, მზარდი ინფლაცია — დასაქმებულებს აიძულებს მიმართონ პროტესტის ფორმას, რათა დაიცვან თავიანთი შრომითი ინტერესები. გაფიცვები ასევე ასახავს დასაქმებულებსა და დამსაქმებლებს შორის კომუნიკაციისა და ნდობის დეფიციტს, რაც საქართველოში შრომის კანონმდებლობის სუსტი აღსრულებისა და მონიტორინგის სისტემური პრობლემით არის განპირობებული.

გაფიცვებს თან ახლავს როგორც დადებითი, ისე ნეგატიური შედეგები. პოზიტიური მხარე მოიცავს შრომითი უფლებების შესახებ ცნობიერების ზრდას, პროფესიული სოლიდარობის გაძლიერებას, საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვებას,

მედიაციის პროცესის გააქტიურებასა და გარკვეული შეთანხმებების მიღწევას. ამ პროცესებმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ეფექტიანი და წარმომადგენლობითი პროფესიული კავშირების მნიშვნელობას. თუმცა, ნეგატიურ ეფექტებს შორის აღსანიშნავია ეკონომიკური საქმიანობის შეფერხება, მოლაპარაკებების გაჭიანურება, არასაკმარისი ინსტიტუციური ზედამხედველობა, დასაქმებულთა უკმაყოფილების ზრდა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების შენელებული ტემპი. შედეგად, გაუარესებული შრომითი და ეკონომიკური პირობები გარკვეულწილად ხელს უწყობს ახალგაზრდების ემიგრაციისადმი მზარდ მიდრეკილებას.

გაფიცვებთან დაკავშირებული გამოწვევების უფრო ეფექტიანი მართვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებლებისა და დასაქმებულების ურთიერთობა გაძლიერდება ინსტიტუციური დიალოგის ფორმებით, როგორცაა კოლექტიური ხელშეკრულებები, საარბიტრაჟო საბჭოები და სამმხრივი კომისიები. ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უფლებადამცველების, სამოქალაქო სექტორის, პროფესიული გაერთიანებების, მედიის, სახელმწიფო უწყებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერასაც (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2023).

2019 წლის ბოლო პერიოდიდან COVID-19 პანდემია მსოფლიო დღის წესრიგის განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა. გლობალურმა კრიზისმა, რომლის შედეგებიც საქართველოზეც მძიმედ აისახა, არსებითად შეცვალა ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური გარემო. პანდემიის გავლენა თითქმის ყველა სექტორში დასაქმებულთა მდგომარეობაზე აისახა და მრავალი ჯგუფი მძიმე ეკონომიკური დანაკარგების წინაშე დააყენა.

პანდემიამ მნიშვნელოვნად გაზარდა უმუშევრობა, COVID-19-ის კრიზისი განსაკუთრებით ძლიერად შეეხო მომსახურების სექტორს, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის უდიდესი ნაწილი იყო. ტურიზმისა და კვების ობიექტებში შემცირება 40–55%-ს შორის მერყეობდა, ხოლო მშენებლობასა და სატრანსპორტო სექტორში ვარდნა 20%-ზე მეტი იყო. მთლიანობაში, მომსახურების სექტორის საქმიანობის თითქმის შეჩერებამ მსკ-ის საერთო კლებაში ცენტრალური როლი ითამაშა, რაც ნათლად მიუთითებს მის მაღალი მოწყვლადობაზე (People in Need 2021)

პანდემიის შედეგების შეფასებისას ორგანიზაციების ნაწილი ორ განსხვავებულ ტენდენციას გამოყოფს. პირველი — უარყოფითი — გულისხმობს დასაქმებულთა შრომითი პირობების დრამატულ გაუარესებას, უფლებების მასობრივ დარღვევას და სოციალურ-ეკონომიკურ რეგრესს. მეორე — შედარებით პოზიტიური — ასახავს შრომითი აქტივიზმის გაძლიერებას: გაიზარდა პროფკავშირებში გაწევრიანების ტემპი, გაძლიერდა ინტერესთა გამოხატვა შრომითი უფლებების დაცვის მიმართ, და დასაქმებულთა ნაწილი უფრო აქტიურად გახდა ჩართული ორგანიზებულ ბრძოლაში.

პროფკავშირების შეფასებით, კრიზისმა ერთდროულად გამოავლინა როგორც პრეკარიული მოწყვლადობა, ისე გაძლიერებული სოლიდარობა და თვითორგანიზების მზარდი ტენდენცია

პროფკავშირების წარმომადგენლები ხაზს უსვამენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ პანდემიამ ორივე მხარე — დამსაქმებლები და დასაქმებულები — კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა, ორმხრივი თანამშრომლობა მაინც ვერ შედგა. დამსაქმებლები გამოსავალს უმეტესად მხოლოდ თანამშრომლების დათხოვნაში ან ხელფასების შემცირებაში ხედავდნენ, მაშინ როცა დასაქმებულების ნაწილი მზად იყვნენ კრიზისის ერთობლივი გადალახვისთვის. ორგანიზაციების შეფასებით, თანამშრომლობის წარუმატებლობა განპირობებულია საქართველოში ძლიერი სოციალური დიალოგის და ორმხრივი მოლაპარაკების კულტურის არარსებობით. რასაც პანდემიის პერიოდმა კიდევ უფრო გაუსვა ხაზი .

პანდემიის პირობებში სამუშაო პროცესის ადაპტაცია, ფორსმაჟორული გარემოებების შედეგად წარმოქმნილი კონფლიქტების მართვა, ინფორმაციის დროული გაცვლა და ეპიდემიოლოგიური პროტოკოლების შესრულება დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის კოორდინირებულ, გამჭვირვალე და სტრუქტურულ თანამშრომლობას მოითხოვდა. თუმცა, საქართველოში, წლების განმავლობაში, დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის კომუნიკაციის მდგრადი არხები და თანამშრომლობის კულტურა ვერ ჩამოყალიბდა და ხშირ შემთხვევაში კიდევ უფრო დასუსტდა, რამაც პანდემიის პერიოდში მრავალი დაწესებულების შიდა მმართველობა კრიზისის წინაშე დააყენა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ინფორმაციის გაცვლის შეფერხებებით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში

არაერთგვაროვნებით და ეპიდემიოლოგიური წესების დაცვასთან დაკავშირებული გაურკვევლობებით.

უარყოფით გამოცდილებაზე რეაგირების მიზნით, დამსაქმებელთა ასოციაციამ ILO-ს მხარდაჭერით შეიმუშავა რეკომენდაციების პაკეტი, რომელიც მომავალ კრიზისებზე უკეთ რეაგირებას ისახავს მიზნად და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს დასაქმებულებთან კომუნიკაციის გამართული, სტანდარტიზებული პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე.

ეფექტიანი კომუნიკაციის მნიშვნელობის მაგალითად შეიძლება დასახელდეს საქართველოს რკინიგზის შემთხვევა: ტრადიციულად დაძაბული ურთიერთობა პროფკავშირსა და ადმინისტრაციას შორის პანდემიის პერიოდში თანამშრომლობით სამოქმედო ფორმატად გარდაიქმნა, ადმინისტრაციის გააქტიურებული კომუნიკაციური პოლიტიკის შედეგად. პროფკავშირის წარმომადგენლის შეფასებით, აღნიშნული პრაქტიკა სასურველია იქცეს მდგრად ტენდენციად, რომელიც არ იქნება მხოლოდ კრიზისული ვითარების ეპიზოდური შედეგი, არამედ დამკვიდრდება როგორც გრძელვადიანი თანამშრომლობის მოდელი.

პანდემიის პერიოდში სოციალური პარტნიორების ორმხრივ და სამმხრივ ურთიერთობებში არსებულ პრობლემებს დაემატა კიდევ ერთი სისტემური ხარვეზი — სამმხრივი კომისიის ფაქტობრივი უმოქმედობა, მიუხედავად იმისა, რომ შრომითი ურთიერთობები უპრეცედენტო გამოწვევების წინაშე იყო.

სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიას საქართველოში ჰქონდა მანდატი, რომლის მიზანი იყო დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის სოციალური დიალოგის ინსტიტუციური გაძლიერება და სოციალური პარტნიორობის პრაქტიკული განვითარება. აღნიშნული ორგანო ასევე წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების — მათ შორის, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების — მნიშვნელოვანი ნაწილის შესრულების მექანიზმს.

თუმცა, არსებული ნორმატიული ჩარჩოს მიუხედავად, საქართველოში სამმხრივი კომისია ვერ ჩამოყალიბდა ეფექტიან, ფუნქციონალურ ინსტიტუტად. მისი მუშაობა წლების განმავლობაში რჩებოდა ფორმალურ, არარეგულარულ და რეალური


გავლენისგან დაცლილ ფორმატად, რომლის შესაძლებლობები პრაქტიკაში არ მოღწეულა იმ სტანდარტებამდე, რაც კომისიის შექმნისას იყო დეკლარირებული.

პანდემიის პერიოდში კომისიის პასიურობამ კიდევ უფრო თვალსაჩინოდ წარმოაჩინა მისი ინსტიტუციური სისუსტე. მიუხედავად შრომითი უფლებების დარღვევების მასშტაბისა, ეკონომიკური აქტივობის შეზღუდვით გამოწვეული კრიზისისა და სოციალური დიალოგის აშკარა საჭიროებისა, კომისიამ ვერ შეასრულა კრიზისის დროს მედიაციისა და კონფლიქტების მართვის საკვანძო როლი. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ კომისიის საქმიანობა უმეტესწილად საყრდენის არმქონე, ფორმალური პროცესია, ხოლო მისი ფუნქციური პოტენციალი — შეუსრულებელი.

რეალურად, სამმხრივი კომისია პანდემიისას შეიძლებოდა ქცეულიყო ცენტრალურ პლატფორმად, სადაც განხილვას დაექვემდებარებოდა შრომით გარემოში მასობრივად წარმოქმნილი პრობლემები, მათ შორის: ხელშეკრულებების გაწყვეტის პრაქტიკა, არანებაყოფლობითი შვებულებები, შრომითი უსაფრთხოების დარღვევები, სამუშაო პირობების ცვლილება და სხვა. თუმცა, მისი უმოქმედობა მანიშნებელია, რომ საქართველოში სოციალური დიალოგის მექანიზმების ინსტიტუციონალიზაცია კვლავ არასაკმარისადაა განვითარებული და საჭიროებს როგორც სტრუქტურულ, ასევე პოლიტიკურ რეფორმას.

ქვემოთ წარმოდგენილია პანდემიის პერიოდში დასაქმებულთა შრომითი უფლებების დარღვევების ტიპები და სტატისტიკური განაწილება. მონაცემები მოიცავს EMC-ის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) და „სოლიდარობის ქსელის“ მიერ 2020 წლის მარტიდან აგვისტოს ჩათვლით გაცემულ უფასო სამართლებრივ კონსულტაციები.

დიაგრამა 3.1.2 პანდემიის პერიოდში დასაქმებულთა შრომითი უფლებების დარღვევების ტიპები და სტატისტიკური განაწილება (შემოსავლის დაკარგვა)



წყარო: EMC

ILO (2024) -ის შეფასებით სოციალური დიალოგი საქართველოში კვლავ სუსტია, მიუხედავად მყარი მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩოსი. სოციალური პარტნიორობის ეროვნული სამმხრივი კომისია რეგულარულად არ იკრიბება და არ გადის კონსულტაციებს სოციალურ პარტნიორებზე მოქმედ ყველა პოლიტიკურ ღონისძიებაზე. არაფორმალური კონსულტაციები უფრო რეგულარულად იმართება სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სამუშაო ჯგუფში. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ასევე არსებობს სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია და ამომრჩევლებს შორის მიმდინარეობს დისკუსიები იმერეთის რეგიონში სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შექმნის შესახებ. კოლექტიური მოლაპარაკებები შეზღუდულია და ძირითადად საწარმოს დონეზე მიმდინარეობს.

ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭება 2023 წლის დეკემბერში შემოსავლების შემდგომი კონვერგენციის შესაძლებლობებს იძლევა, ამასთანავე, საჭიროა მნიშვნელოვანი და მდგრადი ეკონომიკური და შრომის ბაზრის რეფორმები (ILO , 2024).

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ს საქმიანობის არსებითი მიმართულება წარმოადგენს მხარდაჭერას შრომითი კანონმდებლობის რეფორმის პროცესში. პარალელურად, ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი ტექნიკური და ინსტიტუციური დახმარება გაუწია საქართველოს ხელისუფლებას შრომის ინსპექციის ეტაპობრივი ჩამოყალიბებისას. წლების განმავლობაში განხორციელებულ თანამშრომლობა მოიცავდა ინსპექტორების გადამზადებას, საქმისწარმოების თანამედროვე სისტემების დანერგვასა და შესაბამისი ნორმატიული დებულებების შემუშავებას. ახალი შრომითი კანონმდებლობის პირობებში შრომის ინსპექციის მანდატი გაფართოვდა და მოიცავს როგორც შრომით უფლებებს, ისე შრომით ურთიერთობებს (People in Need, 2021).

ILO აქტიურად იყო ჩართული კოლექტიური დავების მედიაციის სისტემის განვითარებაშიც, თუმცა აღნიშნული მიმართულება კვლავ მრავალი გამოწვევის წინაშეა. როგორც ორგანიზაციაში მიუთითებენ, მიუხედავად პროგრესის ნელი ტემპისა, სოციალური პარტნიორობისა და კოლექტიური მედიაციის განვითარება მათთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება. ორგანიზაცია თანმიმდევრულად თანამშრომლობს იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან და ადვოკატთა ასოციაციასთანაც, რათა მოსამართლეები და ადვოკატები უკეთ გაეცნონ შრომითი სტანდარტების სასამართლო დაცვის სამართლებრივ მექანიზმებს.

აღნიშნულ კვლევებში ILO ხაზს უსვამს სოციალური დიალოგის გაღრმავების აუცილებლობას, რომელიც მოითხოვს სამმხრივი კომისიის ეფექტიან ფუნქციონირებას და რეგიონული ფორმატების განვითარებას. აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორუმის 2025 წლის ანგარიშის მიხედვით კომისიის ეფექტურობა შეზღუდულია იშვიათი შეხვედრების გამო, რის გამოც ვერ ხერხდება პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით რეგულარული სხდომების მანდატის შესრულება კრიტიკულ პერიოდებშიც კი. ამ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო, რომელიც შეავსებდა კომისიას და ხელს შეუწყობდა უფრო ხშირი კონსულტაციების ჩატარებას, თუმცა მისი გავლენა შეზღუდულია.

აღნიშნულ ანგარიშში ხაზგასმულია, რომ ბიზნეს სექტორის ჩართულობა კვლავ შეზღუდულია, ამ ჯგუფიდან მხოლოდ რამდენიმე დამოუკიდებელი წინადადება ჟღერდება. მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი ჩარჩო ნებისმიერ მხარეს

საშუალებას აძლევს, რეგულარული გრაფიკის მიღმა შეხვედრები მოიწვიოს, ამ დებულებას ძირითადად პროფკავშირები იყენებენ, ბიზნესის წარმომადგენლების მინიმალური ჩართულობით.

ასევე ზემოთხსენებულ ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ და აღნიშნულია, რომ მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სოციალურ დიალოგში კვლევის, ადვოკატირებისა და მონიტორინგის აქტივობების მეშვეობით. თუმცა, საქართველოში „უცხოური გავლენის აგენტების შესახებ“ კანონი მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებებისთვის, რადგან უცხოური დაფინანსების მიმღები ორგანიზაციებისგან მოითხოვს „უცხოელი აგენტების“ სტატუსის რეგისტრაციას, რაც პრაქტიკულ ტვირთსაც და სტიგმატიზაციის შედეგებსაც შეიცავს. ეს კანონმდებლობა მკაცრად ზღუდავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, დამოუკიდებელ მედიასაშუალებებს და ადამიანის უფლებათა დამცველებს, რომლებიც დემოკრატიის განმტკიცებისა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მათი არსებითი სამუშაოს შესასრულებლად საერთაშორისო მხარდაჭერაზე არიან დამოკიდებულნი. კანონის ფართო მასშტაბი და სადამსჯელო ზომები, მათ შორის მძიმე ჯარიმები და პოტენციური სისხლისსამართლებრივი სასჯელები, ქმნის შემაფერხებელ ეფექტს სამოქალაქო ჩართულობასა და საზოგადოებრივ დისკურსზე, რაც ეფექტურად ზღუდავს მოქალაქეების წვდომას მრავალფეროვან საინფორმაციო წყაროებსა და ჰუმანიტარულ დახმარებაზე. ეს ქმნის დამატებით გამოწვევებს სოციალური დიალოგისთვის; გავლენას ახდენს სოციალური დიალოგის ინიციატივების მდგრადობაზე, რომლებიც ტრადიციულად საერთაშორისო მხარდაჭერაზე იყო დამოკიდებული (Euneighbourseast, 2025).

რაც შეეხება ევროკომისიის 2025 წლის -ის შეფასებით საქართველოში სამმხრივი დიალოგი ეროვნულ დონეზე ფუნქციონირებს, მაგრამ კვლავ სუსტია. თუმცა რეგიონებში ის დიდწილად არ არსებობს. კოლექტიური მოლაპარაკებების კუთხით პროგრესი არ დაფიქსირებულა. კოლექტიური მოლაპარაკებების შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია საქართველოს მიერ რატიფიცირებული არ

არის და სოციალურ პარტნიორებს გაძლიერებული მხარდაჭერა სჭირდებათ მათი შესაძლებლობების გასავითარებლად (European Commission, 2025).

3.3. სოციალური პარტნიორობის ევროპული გამოცდილების გათვალისწინება საქართველოს რეალობაში

სოციალური პარტნიორების მიერ განხორციელებული სოციალური დიალოგი ევროპაში წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის, ისე სამართლიან სამუშაო გარემოს. ევროპაში სოციალური პარტნიორობის ხანგრძლივი ტრადიციის მქონე ქვეყნებში დამკვიდრებულია ძლიერი და სტაბილური ეკონომიკა, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ინსტიტუციური დიალოგი ხელს უწყობს გრძელვადიან მდგრადობას (Chérèque, 2012).

ევროპაში, სადაც ძლიერი სოციალური დიალოგი და ინდუსტრიული ურთიერთობების ინსტიტუტებია განვითარებული, ეკონომიკური, სოციალური და შრომითი გარემო უფრო მდგრადია კრიზისულ პერიოდში. COVID-19-ის დროს, ევროკავშირის ქვეყნებმა აჩვენეს, რომ სოციალური დიალოგის გზით მიღწეული შეთანხმებები იყო ყველაზე ეფექტური და მდგრადი მექანიზმი სამუშაო ადგილებისა და შემოსავლების დასაცავად (ETUC, 2025).

Iankova და Turner (2004) აღნიშნავენ, რომ ევროპაში სოციალური პარტნიორობა ხანგრძლივი ტრადიციის მქონე ინსტიტუციაა, სადაც ორგანიზებული ინტერესები, განსაკუთრებით ბიზნესი და შრომა, მონაწილეობენ რეგულარულ მოლაპარაკებებში ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკაში კომპრომისების შესამუშავებლად, რაც გლობალურ ეკონომიკაში ევროპის ლიდერ პოზიციას ეხმარება. ბოლო კვლევები ადასტურებს, რომ ევროკავშირის დონეზე სოციალური პარტნიორების აქტიური ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ერთ-ერთი მთავარი მიღწევაა.

სოციალური პარტნიორები კარგად იცნობენ ევროპული სამუშაო სივრცის რეალობას, იციან დასაქმებულებისა და დამსაქმებელთა საჭიროებები და ხელს უწყობენ ევროკავშირის ინიციატივების მიზანშეწონილ ადაპტირებას. მათი ჩართულობა მნიშვნელოვანია ევროკავშირის სოციალური პოლიტიკის ფორმირებაში

და ევროპული სოციალური სტანდარტების განსაზღვრაში, რაც უშუალოდ გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, სამუშაო ადგილების შექმნაზე და შრომით სამართლიანობაზე (European Commission, 2016).

საქართველოში შრომითი ურთიერთობები ძირითადად ინდივიდუალური და არა კოლექტიური ხელშეკრულებებით იმართება. კოლექტიური მოლაპარაკებების საკითხი, სავარაუდოდ, ყველაზე რთულია, რადგან მისი სამართლებრივი საფუძველი ძალიან სუსტია და სამმხრივი ორგანოები არ ფუნქციონირებს (სუმბაძე, 2025).

გველესიანი, რ., გოგორიშვილი, ი., ერქომაიშვილი, გ. ლეკაშვილი, ე., გაფრინდაშვილი, გ., ხურცია, ლ. (2024)- ის მიხედვით ისტორიულად დამკვიდრებულია შეხედულება, რომ სამრეწველო სექტორი განვითარების პროცესში ერთ-ერთ ფუნდამენტურ და სტრატეგიულ როლს ასრულებს. თუმცა, ნეოლიბერალური ეკონომიკური წესრიგის პირობებში, საქართველოში — როგორც სხვა განვითარებად ქვეყნებში — დაიწყო დეინდუსტრიალიზაციის ტენდენცია. თანამედროვე ეკონომიკური რეალობა, რომელიც მოიცავს საბაზრო ჩავარდნებს, გლობალურ კონკურენციის გამწვავებას, რეგიონული განვითარების საჭიროებასა და ციფრული ინდუსტრიის სწრაფ ზრდას, მოითხოვს ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომელიც გააძლიერებს ქვეყნის გრძელვადიან სოციალურ-ეკონომიკურ მიზნებს. ამ კონტექსტში, ახალი სამრეწველო პოლიტიკის დანერგვა აღიქმება როგორც სტრატეგიული გამოსავალი აღნიშნული გამოწვევების დასაძლევად.

COVID-19 პანდემიამ ნათლად აჩვენა, რომ ქვეყნის წარმოებითი შესაძლებლობები მის კონკურენტულ უპირატესობას წარმოადგენს. პანდემიის პერიოდში მრავალი სახელმწიფოს მიერ გატარებულმა პროტექციონისტულმა ღონისძიებებმა და გლობალური მიწოდების ჯაჭვების დარღვევამ წარმოაჩინა, რომ შედარებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ის ქვეყნები, რომელთაც ჰქონდათ ადგილობრივი წარმოების განვითარების პოტენციალი და სამრეწველო პროდუქციის შიდა ბაზარზე წარმოების შესაძლებლობა. ამგვარად, დადასტურდა, რომ ინდუსტრიულად განვითარებულმა სახელმწიფოებმა შედარებით სწრაფად და ეფექტიანად შეძლეს ეკონომიკური აღდგენის პროცესის მართვა პოსტპანდემიურ პერიოდში, განსაკუთრებით საქონლით ვაჭრობის გაფართოებაზე დაყრდნობით (CIP, 75).

გლობალიზაციის ეპოქაში ბოლო ათწლეულების განმავლობაში გამოვლენილმა ფინანსურმა და ეკონომიკურმა კრიზისებმა, მზარდმა სოციალური უთანასწორობის დონემ, ეკოლოგიური კატასტროფების გახშირებამ, COVID-19 პანდემიამ, რეგიონულმა კონფლიქტებმა და ფინანსური სექტორის დომინანტურმა პოზიციამ, მნიშვნელოვნად გააძლიერა როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური სისტემების მოწყვლადობა. აღნიშნულმა გარემოებებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა საჭიროება ისეთი პოლიტიკის ჩამოყალიბებისა, რომელიც შეამცირებს გლობალურ შოკებზე ეკონომიკის მგრძნობელობას და ხელს შეუწყობს მდგრადი სამრეწველო განვითარების ინსტიტუციონალიზაციას.

გერმანიის და შვედეთის გამოცდილებაც აჩვენებს, რომ სოციალური პარტნიორობა შეიძლება იყოს ძლიერი ინსტრუმენტი, რომელიც ამსუბუქებს კრიზისულ პერიოდში წარმოქმნილ ეკონომიკურ და სოციალურ გამოწვევებს. თუმცა, მისი ეფექტურობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საერთო პოლიტიკურ სტაბილურობაზე, სამუშაო ძალის ხარისხსა და ხელმისაწვდომობაზე, ასევე ბიზნესისა და სახელმწიფო ინსტიტუტების თანამშრომლობის ხარისხზე.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ (ILO) მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შრომის ბაზრისა და სოციალური პოლიტიკის რეფორმების მხარდაჭერაში, სოციალური პარტნიორების ინსტიტუციური გაძლიერებისა და სამმხრივი დიალოგის მექანიზმების ჩამოყალიბების პროცესში. ევროკავშირმა კი, გაფართოების პოლიტიკის ფარგლებში, არსებითად იმოქმედა შრომისა და სოციალური პოლიტიკის კონვერგენციაზე, მათ შორის მნიშვნელოვანი ფინანსური და ტექნიკური დახმარების მეშვეობით, რაც რეგიონში სოციალური დიალოგის ინსტიტუციონალიზაციის ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად იქცა (ILO,2024).

არსებული ეროვნული პრაქტიკის საფუძველზე, უფრო ეფექტური სოციალური დიალოგისა და უკეთესი სოციალური-ეკონომიკური შედეგების მისაღწევად, საქართველომ უნდა უზრუნველყოს სოციალური პარტნიორების დროითი, აქტიური და ხარისხიანი ჩართულობა დასაქმების, ეკონომიკური და სოციალური რეფორმების შემუშავებასა და განხორციელებაში, მათ შორის სოციალური პარტნიორების შესაძლებლობების გაძლიერების მხარდაჭერით. ევროკავშირთან ასოცირების

შეთანხმებით, საქართველოს აქვს ვალდებულება განახორციელოს რეალური პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს სოციალური პარტნიორობის განვითარებას და მის ეფექტიანობას.

საქართველოს კონტექსტში, როგორც ევროკავშირში გაწევრიანების მსურველ ქვეყანაში, სოციალური პარტნიორობის განვითარება წარმოადგენს სტრატეგიულ ინსტრუმენტს ეკონომიკის მდგრადი და ინკლუზიური განვითარების, ეკონომიკური და სოციალური რეფორმების, ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის მხარდასაჭერად და გლობალურ კონკურენტუნარიანობის გასაღრმავებლად (Enlargement, 2025).

სოციალურ სფეროში ევროკავშირის წესები მოიცავს შრომის სამართლის, თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის, სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს. ისინი ასევე ხელს უწყობენ სოციალურ ჩართულობას, სოციალურ დაცვას და სოციალურ დიალოგს ევროკავშირის დონეზე (EUROPEAN COMMISSION , 2025)

ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებთან, სოციალური პარტნიორობის და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებების შეფასებებთან ერთად ასევე მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ თუ როგორია სოციალური პარტნიორობის გამოცდილება და შეფასება ქართული საზოგადოების (განსხვავებული სოციალური და პროფესიული ჯგუფები) მიერ. მითუმეტეს ,რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება სხვა რიგ საკითხებთან ერთად ითვალისწინებს:

- სოციალური პარტნიორობის მონაწილეობის გაძლიერებას და სოციალური დიალოგის ხელშეწყობას, მათ შორის, ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის შესაძლებლობების გაძლიერების გზით;
- სოციალური პარტნიორობის ჩართულობას ეკონომიკური პოლიტიკის
- განვითარებისა და რეფორმირების პროცესში ;
- სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა და შრომის საერთაშორისო
- ორგანიზაციასთან თანამშრომლობის მეშვეობით სოციალური დიალოგის გაუმჯობესების გაგრძელება.

შესაბამისად ჩვენი გამოკითხვის მიზანი არის :

დავადგინოთ სოციალური პარტნიორობის არსი და მნიშვნელობა ფართო საზოგადოებისთვის.

- გამოვავლინოთ, როგორ აღიქვამენ სხვადასხვა სოციალური და პროფესიული ჯგუფები სოციალურ პარტნიორობას.
- შევავსოთ საზოგადოების მონაწილეობა სოციალური პარტნიორობის პროცესებში (მაგ. სამოქალაქო აქტივიზმი, პროფესიული კავშირები, საზოგადოებრივი შეთანხმებები).

კვლევის პირველ ეტაპზე შემუშავდა 5 ჰიპოთეზა შემდეგში გადამოწმების მიზნით:

- **H1.** შრომით ან ეკონომიკურ საკითხებზე საჯარო განხილვაში ჩართულობა განსხვავდება დასაქმების სექტორის (საჯარო/კერძო/NGO) ჯგუფებს შორის.
- **H2.** ვინც უკეთ იცის სოციალური პარტნიორობის მექანიზმები, მათ უფრო მაღალი აქვთ სოციალური პარტნიორობის განვითარების საჭიროების აღქმა.
- **H3.** სოციალური პარტნიორობაში მონაწილე ინსტიტუტების მიმართ ნდობის დონე პირდაპირ კავშირშია მოქალაქეების ჩართულობასთან შრომით ან ეკონომიკურ საკითხებზე საჯარო განხილვაში
- **H4.** ბარიერების (ინფორმაციული, დროითი, ინსტიტუციური) აღქმა ამცირებს მოქალაქეების ჩართულობას შრომით ან ეკონომიკურ საკითხებზე საჯარო განხილვაში
- **H5.** სოციალური პარტნიორობის განვითარების მნიშვნელობის აღქმა ზრდის ჩართულობის სურვილს მომავალში.


წარმოდგენილი კითხვარი შედგება 6 ნაწილისგან. I ნაწილში მოცემულია შესავალი ტექსტი ინფორმირებული თანხმობისთვის. II ნაწილი მიმართულია რესპონდენტთა შესახებ ზოგადი ინფორმაციის მისაღებად. III ნაწილი აფასებს რესპონდენტთა შრომით გამოცდილებას და შრომითი უფლებების შეფასებას.

IV ნაწილი ეთმობა რესპოდენტთა მიერ სოციალური პარტნიორობის ცოდნას და აღქმას. V ნაწილი შეეხება რესპოდენტთა მონაწილეობას და ჩართულობას. ხოლო VI ნაწილში მოცემულია რესპოდენტთა მოსაზრებები და რეკომენდაციები (დეტალური კითხვარი მოცემულია #1 დანართში).

აღნიშნული კვლევა მიმდინარეობდა ოთხი თვის განმავლობაში, 2025 წლის 1 ივნისიდან 2025 წლის 1 ოქტომბრამდე. გამოკითხვა მიმდინარეობდა სხვადასხვა სოციალური ქსელების მეშვეობით. კვლევის კითხვარი გაეგზავნა 1000 ზე მეტ რესპონდენტს, ხოლო ანკეტა შეავსო 350-მა ადამიანმა. მიღებული შედეგები დამუშავდა კომპიუტერული პროგრამით IBM SPSS Statistics .

გამოკითხულთა 54% იყო ქალბატონი, ხოლო 46% მამაკაცი. გამოკითხულთა უმრავლესობის (31.4%) ასაკი მერყეობდა 45-54 წწ შუალედში, გამოკითხულთა 27.1% იყო 25-დან 34 წლამდე, 22.9% - 35-დან 44 წლამდე, 12.9%-55-64 წლამდე ხოლო 65 წლის და ზემოთ იყო გამოკითხულთა მხოლოდ 5.7%. ამრიგად, კვლევის შედეგები ძირითადად მიღებულია მოსახლეობის იმ ნაწილისგან, რომელსაც ხანგრძლივი სამუშაო გამოცდილება აქვს.

დიაგრამა 3.1.3 . რესპონდენტთა ასაკობრივი განაწილება




წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ მიღებული კვლევის შედეგების საფუძველზე.

რესპონდენტთა განათლების დონე საგრძნობლად გადახრილია მაღალი აკადემიური კვალიფიკაციის მიმართულებით. შერჩევაში უმრავლესობას, 65.7%-ს, აქვს მაგისტრის ხარისხი, რაც შესაძლოა კვლევაში ჩართულობის მაღალ მოტივაციასა და სოციალური პარტნიორობის თემაზე სიღრმისეული ინტერესის არსებობაზე მიუთითებდეს. ბაკალავრიატის და დოქტორანტურის სტუდენტები თანაბრად არიან

წარმოდგენილი (ორივე – 14.3%), რაც ქმნის დამატებით მრავალფეროვნებას ასაკისა და პროფესიული გამოცდილების თვალსაზრისით. პროფესიული განათლების მქონე რესპონდენტთა წილი შედარებით მცირეა (5.7%), რაც, სავარაუდოდ, უკავშირდება კვლევის ონლაინ გავრცელებასა და ინსტიტუციური პროცესების მიმართ განსხვავებულ ინტერესს ამ ჯგუფში.


დიაგრამა 3.1.4. რესპონდენტთა მიერ დასრულებული განათლების საფეხური



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ მიღებული კვლევის შედეგების საფუძველზე.

კვლევის მონაწილეები რეგიონების მიხედვით არათანაბრად არიან გადანაწილებული. რესპონდენტთა უმეტესი ნაწილი (61.43%) თბილისიდანაა, რაც მიუთითებს დედაქალაქის მკვეთრ ჩართულობაზე მონაწილეობაში. შედარებით მაღალია ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილი (20.00%), რადგან სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია რეგიონულ დონეზე მხოლოდ აჭარაშია. ხოლო დანარჩენი რეგიონები საგრძნობლად უფრო მცირე ნაწილითაა წარმოდგენილი: იმერეთი – 5.71%, გურია, კახეთი და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონები – თითოეული 4.29%.

დიაგრამა 3.1.5. რესპოდენტთა განაწილება რეგიონის მიხედვით განაწილება



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ მიღებული კვლევის შედეგების საფუძველზე.


ასეთი განაწილება ასახავს კვლევის ონლაინ ფორმატს და დიდ ქალაქებში მოსახლეობის კონცენტრაციას, რაც, შესაძლოა, გარკვეულწილად ზღუდავდეს შედეგების განზოგადებას რეგიონებზე.

მონაწილეთა დასაქმების სტატუსის ანალიზი მიუთითებს, რომ შერჩევა მკვეთრად კონცენტრირებულია კერძო და საჯარო სექტორებში. კერძო სექტორში დასაქმებული რესპოდენტები წარმოადგენენ 50.0%-ს, რაც ასახავს ქვეყნის შრომით ბაზარზე კერძო სექტორის დომინანტურ პოზიციას და ამ ჯგუფის მაღალი აქტივობისა და ჩართულობის ტენდენციას კვლევებში. საჯარო სექტორში დასაქმებული პირები შეადგენენ 35.7%-ს, რაც ასევე საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და მიუთითებს საჯარო ინსტიტუციებში დასაქმებული მოქალაქეების ინტერესზე სოციალური პარტნიორობის პროცესების მიმართ.

არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავე რესპოდენტების წილი შეადგენს 8.6%-ს, რაც ადეკვატურად ასახავს ამ სექტორის შედარებით მცირე მასშტაბს, თუმცა მაინც მიუთითებს მათი ჩართულობის მნიშვნელობაზე, განსაკუთრებით სოციალურ დიალოგსა და სამოქალაქო მონაწილეობაში. თვითდასაქმებული პირები

წარმოდგენილი არიან 4.3%-ით, ხოლო დასაქმების არ მქონე რესპონდენტების წილი მინიმალურია (1.4%).


დიაგრამა 3.3.6. რესპონდენტების განაწილება დასაქმების სექტორის მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ მიღებული კვლევის შედეგების საფუძველზე.

კვლევაში მონაწილე პირების დასაქმება/სწავლის მდგომარეობის განაწილებამ ცხადყო, რომ უმრავლესობა ამჟამად მხოლოდ დასაქმებულია და არ მონაწილეობს ფორმალურ საგანმანათლებლო პროცესში. კონკრეტულად, 64.29% რესპონდენტისა მუშაობს, თუმცა არ სწავლობს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მათთვის პრიორიტეტულია პროფესიული საქმიანობა და სტაბილური შემოსავალი. შედარებით მნიშვნელოვანი წილი – 34.29% – ერთდროულად მუშაობს და სწავლობს, რაც ასახავს პროფესიული განვითარებისადმი ზრდად ინტერესს და დროის ეფექტიანი მართვის საჭიროებას თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოში.


დიაგრამა 3.3.7: რესპოდენტთა განაწილება დასაქმების/სწავლის მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ მიღებული კვლევის შედეგების საფუძველზე.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები ასახავს რესპოდენტთა შემოსავლების შედარებით ფართო დიაპაზონს, თუმცა გარკვეული სეგმენტების კონცენტრაციაც მკაფიოდ იკვეთება. მონაწილეთა ყველაზე დიდი ნაწილი (34.29%) თვეში 1000-1500 ლარის ფარგლებში იღებს შემოსავალს, რაც მიუთითებს საშუალო სეგმენტში მაღალი კონცენტრაციის არსებობაზე. მნიშვნელოვანი წილი (27.14%) წარმოადგენს იმ პირთა ჯგუფს, რომელთა შემოსავალი 1500-2000 ლარს შეადგენს. ორივე მაჩვენებელი ერთობლიობაში მიუთითებს, რომ რესპოდენტთა ნახევარზე მეტი შედარებით სტაბილურ, საშუალო ოდნავ მაღალ შემოსავლების კატეგორიაში ერთიანდება.

დიაგრამა 3.3.8. რესპოდენტთა განაწილება შემოსავლის მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ მიღებული კვლევის შედეგების საფუძველზე.

შემდეგ საფეხურზე მდებარეობს 2000-3000 ლარის შემოსავლის მქონე რესპოდენტთა ჯგუფი (15.71%), ხოლო 3000 ლარზე მაღალი შემოსავლის მქონე პირები შეადგენენ შედარებით მცირე, თუმცა ეკონომიკურად სოლიდურ 8.57%-ს. კვლევის ფარგლებში გამოვლინდა დაბალი შემოსავლის მქონე მცირე სეგმენტიც, 500-1000 ლარის კატეგორიაში მოხვდა მხოლოდ 2.86%, რაც მიუთითებს, რომ პოპულაციაში მინიმალური შემოსავლის მქონე პირთა წილი შედარებით მცირეა.

კვლევის ფარგლებში ეკონომიკური პოლიტიკის პროცესებში მონაწილეობის შეფასება მოხდა დასაქმების სექტორის ჭრილში, რათა დავადგინოთ, განსხვავდება თუ არა სოციალური დიალოგში ჩართულობა სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფებს შორის. მიღებული შედეგები ასახულია კროსტაბულაციურ ცხრილში, სადაც წარმოდგენილია ჩართულობის განაწილება სამი ძირითადი სექტორის მიხედვით: საჯარო, კერძო და არასამთავრობო, ასევე თვითდასაქმებულებისა და დროებით უმუშევართათვის.

3.3.7. კვლევის კროსტაბულაციური ცხრილი

დასაქმების_სექტორი * განხილვაში_ჩართულობა				
% განხილვაში_ჩართულობა				
		განხილვაში_ჩართულობა		სულ
		არა	დიახ	
დასაქმების სექტორი	არ ვარ დასაქმებული	1.7%		1.4%
	არასამთავრობო	8.5%	9.1%	8.6%
	თვითდასაქმებული	5.1%		4.3%
	კერძო	47.5%	63.6%	50.0%
	საჯარო	37.3%	27.3%	35.7%
სულ		100.0%	100.0%	100.0%

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ მიღებული კვლევის შედეგების საფუძველზე.

ცხრილის მიხედვით ჩანს, რომ „დიახ“-ის (ჩართულია) პასუხი უფრო მაღალია კერძო სექტორის წარმომადგენლებში, სადაც მონაწილეთა 63.6% აღნიშნავს, რომ ყოფილა რაიმე ფორმის განხილვაში ჩართული. შედარებისთვის, იმავე ჯგუფში „არა“ პასუხების წილი შეადგენს 47.5%-ს, რაც გვაფიქრებინებს, რომ კერძო სექტორში დასაქმებულთა ჩართულობა შედარებით მეტად არის გავრცელებული.

თუმცა, განსხვავებული სურათია საჯარო სექტორში: აქ 37.3% ამბობს, რომ განხილვებში ჩართული არ ყოფილა, ხოლო 27.3% - რომ იღებდა მონაწილეობას. სხვაობა მიუთითებს იმაზე, რომ საჯარო სექტორის დასაქმებულებში შრომით ან ეკონომიკურ საკითხებზე საჯარო განხილვაში ჩართულობა შედარებით დაბალია.

არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავე რესპონდენტების მაჩვენებლები ორივე კატეგორიაში თითქმის თანაბარია (დაახლოებით 8-9%), რაც იმაზე

მიუთითებს, რომ ამ სექტორში სოციალური დიალოგში ჩართვის პრაქტიკა უფრო სტაბილური და ერთგვაროვანია.

თვითდასაქმებულთა და უმუშევართა ჯგუფები რაოდენობრივად მცირეა, ამიტომ მათი წილების ინტერპრეტაცია შედარებით სიფრთხილეს მოითხოვს, თუმცა ისინი საერთო ტენდენციას დიდად არ ცვლიან.

ჩატარდა ხი-კვადრატის (χ^2) ტესტი, რათა დადგენილიყო, არის თუ არა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი დასაქმების სექტორსა და სოციალურ დიალოგში ჩართულობას შორის.

ცხრილი 3.3.8 : ხი-კვადრატის ტესტი

ხი-კვადრატის ტესტი			
	მნიშვნელობა	df	მნიშვნელოვნების დონე
პირსონის ხი-კვადრატი	7.478 ^a	4	0.113
ალბათობის კოეფიციენტი	10.525	4	0.032
წრფივი ასოციაცია	.006	1	0.937
რაოდენობა	350		

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ მიღებული კვლევის შედეგების საფუძველზე

მიღებული მნიშვნელოვნების დონე (0.113) სტანდარტულ 0.05-იან ზღვარზე მეტია, რაც მიუთითებს, რომ დასაქმების სექტორსა და სოციალური დიალოგში მონაწილეობას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ ფიქსირდება (Pearson Chi-Square = 7.478, df = 4, p = 0.113).

შესაბამისად, პირველ ჰიპოთეზას, რომ „სოციალურ დიალოგში ჩართულობა განსხვავდება სეგმენტებს შორის“, არსებული მონაცემები სტატისტიკურად ვერ ამყარებს, მიუხედავად იმისა, რომ აღწერით დონეზე გარკვეული განსხვავებები

მართლაც შეინიშნება (განსაკუთრებით კერძო და საჯარო სექტორის შორის). ჩვენი პირველი ჰიპოთეზა არ დადასტურდა მონაცემთა ანალიზის შედეგად.

მე-2 ჰიპოთეზა ამოწმებს, არსებობს თუ არა კავშირი რესპონდენტების ცოდნის დონესა და სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის აუცილებლობის აღქმას შორის. მოსაზრება მარტივია: ვინც უკეთ იცნობს სოციალური პარტნიორობის მექანიზმებს, მისთვის უფრო ნათელია ამ ინსტიტუტის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში.

კროსტაბულაციური ცხრილის შედეგები ამ ლოგიკას საკმაოდ მკაფიოდ ასახავს ცხრილი 3.3.9. კროსტაბულაციური ცხრილი

4.2. როგორ შეაფასებთ თქვენს ცოდნას სოციალური პარტნიორობის შესახებ? * 5.6. რამდენად საჭიროდ მიგაჩნიათ სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის?					
% რამდენად საჭიროდ მიგაჩნიათ სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის?					
		5.6. რამდენად საჭიროდ მიგაჩნიათ სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის?			სულ
		არ ვიცი	ნაწილობრივ	ძალიან საჭიროა	
4.2. როგორ შეაფასებთ თქვენს ცოდნას სოციალური პარტნიორობის შესახებ?	არ ვიცი	60.0%		4.8%	8.6%
	დაბალი	40.0%	50.0%	28.6%	30.0%
	საშუალო			49.2%	44.3%
	მაღალი		50.0%	17.5%	17.1%
სულ		100.0%	100.0%	100.0%	100.0%

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ მიღებული კვლევის შედეგების საფუძველზე

ცხრილში ჩანს, რომ „არ ვიცი“ პასუხების მქონე ჯგუფში სოციალური პარტნიორობის მნიშვნელობის აღქმაც უმნიშვნელოა: ვინც არ ფლობს თემის ცოდნას, უმეტესად ვერ აფასებს მის საჭიროებას (60%). იგივე ჯგუფში „ძალიან საჭიროა“ პასუხის წილი მხოლოდ 4.8%-ს შეადგენს.

მაღალი ცოდნის მქონე რესპონდენტებში „ნაწილობრივ საჭიროა“ პასუხი დომინირებს (50%), თუმცა „ძალიან საჭიროს“ მხარეს უკვე 28.6% იხრება. საშუალო ცოდნის მქონე პირებში „ძალიან საჭიროა“ პასუხი მკაფიოდ უმრავლესობაა (49.2%). მაღალი ცოდნის მქონე რესპონდენტებში იგივე ტენდენცია ისევ თვალსაჩინოა: ამ ჯგუფის თითქმის ნახევარს (50%) მიაჩნია, რომ სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში კრიტიკულად აუცილებელია. ეს მიგვანიშნებს ერთ მნიშვნელოვან დასკვნაზე: ზრდასთან ერთად იცვლება არა მხოლოდ ცოდნა, არამედ სოციალური პარტნიორობის სიტემური როლის გააზრებაც.

ცხრილი 3.3.10. ხი-კვადრატის ტესტი

ხი-კვადრატის ტესტი			
	მნიშვნელობა	df	მნიშვნელოვნების დონე
პირსონის ხი-კვადრატი	113.538 ^a	6	0.000
ალბათობის კოეფიციენტი	88.208	6	0.000
წრფივი ასოციაცია	53.073	1	0.000
რაოდენობა	350		

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ მიღებული კვლევის შედეგების საფუძველზე.

მნიშვნელოვნების დონე (0.000) მკაფიოდ მიუთითებს, რომ ცოდნის დონესა და სოციალური პარტნიორობის განვითარების საჭიროების აღქმას შორის არსებობს სტრუქტურულად მნიშვნელოვანი კავშირი. კავშირი არა მხოლოდ არსებობით,

არამედ გრადაციითაც ხასიათდება: რაც უფრო მაღალია ცოდნა, მით უფრო მაღალია მნიშვნელობის აღქმაც.

ანალიზი სრულად ამყარებს მეორე ჰიპოთეზას: თემის უკეთ ცოდნა უშუალოდ არის დაკავშირებული სოციალური პარტნიორობის განვითარების საჭიროების გაცნობიერებასთან. შესაბამისად, ჩვენი კვლევის მე-2 ჰიპოთეზა დადასტურდა.

ანალიზის მიზანია დადგინდეს, არის თუ არა ურთიერთკავშირი სახელმწიფოსადმი ნდობასა და შრომით ან ეკონომიკურ საკითხებზე საჯარო განხილვებში მონაწილეობას შორის. კროსტაბულაციური ცხრილი ასახავს, როგორ ნაწილდება ნდობის დონე მათი მიხედვით, ვინც საყოველთაო განხილვებში მონაწილეობდა ან არა.

ცხრილი 3.3.11. კვლევის კროსტაბულაციური ცხრილი

4.8.როგორი ნდობა გაქვთ სახელმწიფოსადმი სოციალური პარტნიორობის პროცესში? * 5.1.მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა შრომით ან ეკონომიკურ საკითხებზე საჯარო განხილვაში?				
% მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა შრომით ან ეკონომიკურ საკითხებზე საჯარო განხილვაში?				
		5.1.მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა შრომით ან ეკონომიკურ საკითხებზე საჯარო განხილვაში?		სულ
		არა	დიახ	
4.8.როგორი ნდობა გაქვთ სახელმწიფოსადმი სოციალური პარტნიორობის პროცესში?	არ მაქვს	33.9%	54.5%	37.1%
	დაბალი	49.2%	36.4%	47.1%
	საშუალო	15.3%		12.9%
	მაღალი	1.7%	9.1%	2.9%
სულ		100.0%	100.0%	100.0%

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ მიღებული კვლევის შედეგების საფუძველზე.

ვისაც მონაწილეობა არ მიუღია, ამ ჯგუფში ნდობა სახელმწიფოსადმი შედარებით დაბალია. 49.2% აღნიშნავს „დაბალ“ ნდობას, 33.9% საერთოდ არ ენდობა, „საშუალო“ და „მაღალი“ ნდობის წილი ძალიან მცირეა (15.3% და 1.7%). ეს განაწილება მიუთითებს, რომ ვინც განხილვებში მონაწილეობას თავს არიდებს, მათთვის დამახასიათებელია ინსტიტუტებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება.

ვისაც მონაწილეობა მიუღიათ („დიახ“) აქ სურათი ნაწილობრივ განსხვავებულია. „არ მაქვს ნდობა“ პასუხი მნიშვნელოვნად მაღალია (54.5%), რაც პირველ შეხედვით პარადოქსულად ჩანს: მონაწილე ჯგუფში ყველაზე მაღალია უნდობლობა სახელმწიფოსადმი. „დაბალი“ ნდობის წილი შედარებით ნაკლებია (36.4%), „მაღალი“ ნდობა ამ ჯგუფში მაინც შესამჩნევად მაღალია (9.1%) ვიდრე არამონაწილეებში (1.7%). ეს შედეგი შეიძლება მიუთითებდეს ორ შესაძლო პროცესზე: საჯარო განხილვებში მონაწილეობამ შესაძლოა გააძლიეროს კრიტიკული დამოკიდებულება სახელმწიფოს მიმართ, რადგან უფრო ახლოდან დაინახონ პრობლემები.

ცხრილი 3.3.12. კვლევის ხი-კვადრატის ტესტი

ხი-კვადრატის ტესტი			
	მნიშვნელობა	df	მნიშვნელოვნების დონე
პირსონის ხი-კვადრატი	24.194 ^a	3	.000
ალბათობის კოეფიციენტი	28.235	3	.000
წრფივი ასოციაცია	3.553	1	.059
რაოდენობა	350		

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ მიღებული კვლევის შედეგების საფუძველზე.

მიღებული მნიშვნელობა მკაფიოდ მიუთითებს, რომ სახელმწიფოსადმი ნდობის დონე სტატისტიკურად მნიშვნელოვნად უკავშირდება იმას, იღებდა თუ არა რესპონდენტი მონაწილეობას შრომით ან ეკონომიკურ საკითხებზე გამართულ საჯარო განხილვებში. სახელმწიფოსადმი ნდობა მნიშვნელოვნად განსხვავდება განხილვებში მონაწილე და არმონაწილე პირებს შორის. ურთიერთკავშირი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($p < .001$)

ანალიზი მიზნად ისახავს იმის დადგენას, განსხვავდება თუ არა დამსაქმებლებისადმი ნდობა სოციალური პარტნიორობის პროცესში იმ ადამიანებს შორის, ვინც მონაწილეობდა შრომით და ეკონომიკურ საკითხებზე საჯარო განხილვებში და მათ შორის, ვინც არ მონაწილეობდა.

ცხრილი 3.3.13. კვლევის კროსტაბულაციური ცხრილი

4.9. როგორი ნდობა გაქვთ დამსაქმებლებისადმი სოციალური პარტნიორობის პროცესში? * 5.1. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა შრომით ან ეკონომიკურ საკითხებზე საჯარო განხილვაში?				
% მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა შრომით ან ეკონომიკურ საკითხებზე საჯარო განხილვაში?				
		5.1. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა შრომით ან ეკონომიკურ საკითხებზე საჯარო განხილვაში?		სულ
		არა	დიახ	
4.9. როგორი ნდობა გაქვთ დამსაქმებლებისადმი სოციალური პარტნიორობის პროცესში?	არ მაქვს	1.7%	9.1%	2.9%
	დაბალი	66.1%	63.6%	65.7%
	საშუალო	28.8%	18.2%	27.1%
	მაღალი	3.4%	9.1%	4.3%
სულ		100.0%	100.0%	100.0%

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ მიღებული კვლევის შედეგების საფუძველზე.

ვინც არ მონაწილეობდა იმ ჯგუფში ყველაზე გავრცელებული პასუხი არის „დაბალი ნდობა“ (66.1%). ეს ცხადყოფს, რომ დამსაქმებლებისადმი ნდობა საერთო ჯამში საკმაოდ სუსტია. მეორე ყველაზე გავრცელებული კატეგორიაა „საშუალო ნდობა“ (28.8%), რაც მიუთითებს, რომ ნაწილს მაინც აქვს გარკვეული, თუმცა არა მაღალი, ნდობა. „არ მაქვს ნდობა“ მწირია (1.7%), და „მაღალი ნდობა“ კიდევ უფრო იშვიათია (3.4%).

ვინც საჯარო განხილვებში მონაწილეობდა, ამ ჯგუფშიც დომინანტური რჩება „დაბალი ნდობა“ (63.6%). ანუ, მონაწილეობის ფაქტი ამ მხრივ დიდ განსხვავებას არ ქმნის, რადგან დამსაქმებლებისადმი სკეპტიციზმი ორივე ჯგუფში მაღალია. თუმცა გარკვეული სხვაობები მაინც შეინიშნება: „არ მაქვს ნდობა“ პასუხი აქ მნიშვნელოვნად მაღალია (9.1%), რაც მონაწილეობას არმქონეებთან შედარებით მკვეთრი განსხვავებაა.

ეს მიუთითებს, რომ პროცესში უშუალოდ ჩართულ პირებს უფრო ხშირად დაუგროვდათ ნეგატიური გამოცდილება ან უფრო კრიტიკული ხედვა. „მაღალი ნდობა“ ამ ჯგუფში ასევე უფრო მაღალია (9.1%), ვიდრე არმონაწილეებში (3.4%). ეს მიაწიშნებს, რომ მონაწილეობის მქონე რესპონდენტები ერთგვარად პოლარიზებულნი არიან. ნაწილი მეტად აკრიტიკებს, ნაწილი კი უფრო პოზიტიურად აფასებს დამსაქმებლებს.

ცხრილი 3.3.14. კვლევის ხი-კვადრატის ტესტი

ხი-კვადრატის ტესტი			
	მნიშვნელ ობა	df	მნიშვნელოვნ ების დონე
პირსონის ხი- კვადრატი	14.364 ^a	3	.002
ალბათობის კოეფიციენტი	11.366	3	.010
წრფივი ასოციაცია	.558	1	.455
რაოდენობა	350		

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ მიღებული კვლევის შედეგების საფუძველზე.

ეს შედეგი მიუთითებს, რომ დამსაქმებლებისადმი ნდობის განაწილება სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება ორი ჯგუფის, მონაწილეებისა და არმონაწილეების, შორის. ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დამსაქმებლებისადმი ნდობა ძირითადად დაბალია, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ადამიანს მონაწილეობა საჯარო განხილვებში. მონაწილეობა გარკვეულ განსხვავებას მაინც წარმოშობს: მონაწილე ჯგუფში უფრო ხშირად გვხვდება როგორც უმაღლესი, ისე უმცირესი ნდობის შემთხვევები, რაც მიანიშნებს გამოცდილების პოლარიზებულ გავლენაზე. სტატისტიკურად, კავშირი არსებობს და მნიშვნელოვანია ($p = .002$).

ანალიზი ამოწმებს, განსხვავდება თუ არა პროფკავშირებისადმი ნდობის დონე იმ ადამიანებს შორის, ვინც მონაწილეობდა შრომით ან ეკონომიკურ საკითხებზე საჯარო განხილვებში, და მათ შორის, ვისაც მონაწილეობა არ მიუღია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩანს, რომ ვისაც მონაწილეობა არ მიუღია ამ ჯგუფში ყველაზე მაღალი წილი უკავია „დაბალ ნდობას“ (52.5%). ეს მიუთითებს, რომ პროფკავშირებისადმი ნდობა რესპონდენტთა დიდ ნაწილში საკმაოდ სუსტი რჩება. მეორე ყველაზე გავრცელებული პასუხია „საშუალო ნდობა“ (39.0)%, რაც აჩვენებს, რომ მოსახლეობის ნაწილი პროფკავშირებს ფუნქციურად აღიქვამს, თუმცა განსაკუთრებულად არ ენდობა. „არ მაქვს ნდობა“ (5.1%) და „მაღალი ნდობა“ (3.4%) შედარებით მცირე წილებია, რაც ზომიერად სკეპტიკურ განწყობებზე მიუთითებს

ცხრილი 3.3.15. კვლევის კროსტაბულაციური ცხრილი

4.10. როგორი ნდობა გაქვთ პროფკავშირებისადმი სოციალური პარტნიორობის პროცესში ? * 5.1.მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა შრომით ან ეკონომიკურ საკითხებზე საჯარო განხილვაში?				
% მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა შრომით ან ეკონომიკურ საკითხებზე საჯარო განხილვაში?				
		5.1.მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა შრომით ან ეკონომიკურ საკითხებზე საჯარო განხილვაში?		სულ
		არა	დიახ	
4.10. როგორი ნდობა გაქვთ პროფკავშირებისადმი სოციალური პარტნიორობის პროცესში ?	არ მაქვს	5.1%	9.1%	5.7%
	დაბალი	52.5%	36.4%	50.0%
	საშუალო	39.0%	45.5%	40.0%
	მაღალი	3.4%	9.1%	4.3%
სულ		100.0%	100.0%	100.0%

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ მიღებული კვლევის შედეგების საფუძველზე..

საჯარო განხილვებში მონაწილე ჯგუფში პროფკავშირებისადმი ნდობა სხვაგვარად ნაწილდება. „დაბალი ნდობა“ აქ მნიშვნელოვნად ნაკლებია (36.4%), რაც შესაძლოა მიუთითებდეს ინფორმირებულობის ან პროცესში უშუალო ჩართულობის გავლენაზე. „საშუალო ნდობა“ ყველაზე მაღალია (45.5%), რაც მიუთითებს, რომ ამ ადამიანებისთვის პროფკავშირების როლი უფრო ფუნქციურად აღქმადია. „არ მაქვს ნდობა“ (9.1%) და „მაღალი ნდობა“ (9.1%) ორივე უფრო მაღალია, ვიდრე არმონაწილეებში. ეს ქმნის მიგნებას, რომ გამოცდილება პროცესში მონაწილეობით პოლარიზაციას ზრდის: ნაწილი უფრო კრიტიკული ხდება, ნაწილი კი უფრო ნდობით

ეკიდება პროფკავშირებს. საერთო ჯამში, მონაწილე ჯგუფში ნდობის განაწილება უფრო მრავალფეროვანია, ხოლო არმონაწილეებში უფრო ერთგვაროვნად დაბალი. პირსონის ხი-კვადრატი $\chi^2 = 7.730$, ($df = 3$, $p = 0.052$) დაბალია. მიუხედავად იმისა, რომ შედეგი მნიშვნელოვნების ზღვართან ძალიან ახლოსაა, 0.05-ის დონეზე კავშირი ფორმალურად არ მიიჩნევა სტატისტიკურად მნიშვნელოვნად. მართალია, 0.052 საკმაოდ ახლოსაა კრიტიკულ ზღვართან, რაც მიანიშნებს, რომ კავშირის ტენდენცია რეალურად არსებობს, თუმცა შერჩევის მოცულობა ან კატეგორიების განაწილება მას დამაჯერებლად ვერ აფიქსირებს.

ცხრილი 3.3.16. კვლევის ხი-კვადრატის ტესტი

ხი-კვადრატის ტესტი			
	მნიშვნელობა	df	მნიშვნელოვნების დონე
პირსონის ხი-კვადრატი	7.730 ^a	3	0.052
ალბათობის კოეფიციენტი	7.077	3	0.069
წრფივი ასოციაცია	1.998	1	0.158
რაოდენობა	350		

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ მიღებული კვლევის შედეგების საფუძველზე.

შედეგების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ორივე ჯგუფში პროფკავშირებისადმი ნდობა საშუალო და დაბალი კატეგორიებშია კონცენტრირებული. საჯარო განხილვებში მონაწილე რესპონდენტები პროფკავშირებს უფრო მრავალმხრივად აფასებენ. მათ შორის იზრდება როგორც მაღალი, ისე ნულოვანი ნდობის წილებიც.

ჰიპოთეზის მიხედვით (H4), ბარიერების (ინფორმაციული, დროითი და ინსტიტუციური) აღქმა ამცირებს მოქალაქეების ჩართულობას შრომით ან

ეკონომიკურ საკითხებზე საჯარო განხილვაში. ამის შესამოწმებლად განხორციელდა კროსტაბულაციური ანალიზი ორ ცვლადს შორის.

მონაცემები მიუთითებს, რომ მათ შორის, ვინც მონაწილეობაში არ ყოფილა ჩართული, ყველაზე გავრცელებული მიზეზი ინფორმაციის ნაკლებობაა (54.2%), რაც მოწმობს, რომ ინფორმაციული ბარიერი მათი უმთავრესი დაბრკოლებაა. ამასთან, მონაწილეთა ჯგუფშიც აღნიშნული მიზეზი მაღალია (81.8%), რაც აჩვენებს, რომ ინფორმაციის პრობლემას სისტემური ხასიათი აქვს, თუმცა მისი გავლენა განსაკუთრებით მძაფრია არამონაწილეებისთვის.

ინსტიტუციური უნდობლობაც მნიშვნელოვანი ფაქტორია: მონაწილეობის გარეშე დარჩენილი რესპონდენტების 27.1% აცხადებს, რომ არ სჯერა პროცესის შედეგის, მაშინ როცა მონაწილეებში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 9.1%-ს შეადგენს. ეს განსხვავება მიუთითებს, რომ ინსტიტუციური სკეპტიციზმი ერთ-ერთი განმსაზღვრელი ბარიერია მონაწილეობის არგაზრდაში. დროით შეზღუდვებს შედარებით მცირე, თუმცა მაინც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს: არამონაწილეებში ეს მიზეზი 8.5%-ს შეადგენს, მონაწილეებში კი 7.1%-ს. კომპეტენციის არგრძნობა ფაქტობრივად მხოლოდ არამონაწილეებში გვხვდება (10.2%), რაც მიანიშნებს, რომ ეს ბარიერი უშუალოდ დაკავშირებულია ინფორმაციის ნაკლებობასა და პროცესის რთულად აღქმასთან.

ცხრილი 3.3.17. კვლევის კროსტაბულაციური ცხრილი

5.3.თუ არა, რატომ ? რა მიზეზით? * 5.1.მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა შრომით ან ეკონომიკურ საკითხებზე საჯარო განხილვაში?				
% within 5.1.მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა შრომით ან ეკონომიკურ საკითხებზე საჯარო განხილვაში?				
		5.1.მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა შრომით ან ეკონომიკურ საკითხებზე საჯარო განხილვაში?		სულ
		არა	დიახ	
5.3.თუ არა, რატომ ? რა მიზეზით?	არ ვგრძნობ კომპეტენტურად	10.2% ^a		8.6%
	არ მაქვს დრო	8.5% ^a		7.1%
	არ მაქვს ინფორმაცია	54.2% ^a	81.8% ^b	58.6%
	არ მჯერა შედეგის	27.1% ^a	9.1% ^b	24.3%
	მიმიღია მონაწილეობა		9.1% ^b	1.4%
სულ		100.0%	100.0%	100.0 %

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ მიღებული კვლევის შედეგების საფუძველზე.

სტატისტიკურმა ტესტებმა აჩვენა, რომ ორ ცვლადს შორის კავშირი შემთხვევითი არაა: Pearson-ის χ^2 ტესტის მნიშვნელობა 49.297 (df=4, $p<0.001$) მიუთითებს ძლიერ და სტატისტიკურად მნიშვნელოვან ასოციაციაზე. შედეგად, დასკვნა ნათელია,

ბარიერების აღქმა პირდაპირ და არსებითად ამცირებს მოქალაქეთა ჩართულობას საჯარო განხილვის პროცესებში, რითაც სრულად დასტურდება ჰიპოთეზა H4.

ცხრილი 3.3.18. კვლევის კროსტაბულაციური ტესტი

ხი-კვადრატის ტესტი			
	მნიშვნელობა	df	მნიშვნელოვნების დონე
პირსონის ხი-კვადრატი	49.297 ^a	4	.000
ალბათობის კოეფიციენტი	50.620	4	.000
წრფივი ასოციაცია	5.437	1	.020
რაოდენობა	350		

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ მიღებული კვლევის შედეგების საფუძველზე.

კროსტაბულაციურმა ანალიზმა ნათლად წარმოაჩინა ძლიერი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ასოციაცია სოციალური პარტნიორობის მნიშვნელობის აღქმასა (5.6) და მოქალაქეთა მონაწილეობის მნიშვნელობის შეფასებას (5.7) შორის. შედეგები ხაზს უსვამს, რომ სოციალური პარტნიორობის აუცილებლობის გაზრდილი აღქმა პირდაპირაა დაკავშირებული მოქალაქეთა ჩართულობისადმი დადებით დამოკიდებულებასთან, რაც შესაძლებელს ხდის H5 ჰიპოთეზის დამტკიცებას.

ცხრილის მიხედვით, მათ შორის, ვინც სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობას „ძალიან აუცილებლად“ მიიჩნევს, აბსოლუტური უმრავლესობა (90.5%) მკაფიოდ ასახელებს, რომ მოქალაქეთა მონაწილეობა „ძალიან მნიშვნელოვანია“. მხოლოდ მცირე ნაწილი (9.5%) თვლის, რომ მონაწილეობა უბრალოდ „მნიშვნელოვანია“, ხოლო „საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი“ საერთოდ არ ფიქსირდება ამ კატეგორიაში. ასეთი მაღალი თანხვედრა მიანიშნებს, რომ

ეკონომიკური განვითარების პროცესში სოციალური პარტნიორობის როლის გამოკვეთილი აღქმა მნიშვნელოვნად აძლიერებს მოლოდინს მოქალაქეთა აქტიური ჩართულობის მიმართ.

მეორე მხრივ, იმ რესპონდენტებში, ვისაც გაუჭირდა სოციალური პარტნიორობის მნიშვნელობის შეფასება („არ ვიცი“), სურათი გაცილებით არათანაბარია: 20% ფიქრობს, რომ მოქალაქეთა მონაწილეობა „საერთოდ არაა მნიშვნელოვანი“, ხოლო 80% მაინც მიიჩნევს მას „მნიშვნელოვნად“. აქ „ძალიან მნიშვნელოვანი“-ს პასუხი საერთოდ არ ფიქსირდება, რაც მიუთითებს, რომ გაურკვეველობა სოციალურ პარტნიორობაზე ასუსტებს ჩართულობისადმი ღრმა მხარდაჭერის ალბათობას.

„ნაწილობრივ საჭიროა“ კატეგორიაში ყველა რესპონდენტი მოქალაქეთა მონაწილეობას ან „მნიშვნელოვნად“ (9.5%), ან „ძალიან მნიშვნელოვნად“ (100%) აფასებს, რაც აჩვენებს, რომ თუნდაც ზომიერი აღქმაც კი დადებითად მოქმედებს ჩართულობის სასარგებლოდ.

ცხრილი 3.3.19. კვლევის კროსტაბულაციური ცხრილი

5.7.რამდენად მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეები მონაწილეობდნენ სოციალური პარტნიორობის პროცესში? * 5.6. რამდენად საჭიროდ მიგაჩნიათ სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის?					
% რამდენად საჭიროდ მიგაჩნიათ სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის?					
		5.6. რამდენად საჭიროდ მიგაჩნიათ სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის?			სულ
		არ ვიცი	ნაწილობრივ	ძალიან საჭიროა	
5.7.რამდენად მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეები მონაწილეობდნენ სოციალური პარტნიორობის პროცესში?	საერთოდ არა	20.0% ^ა			1.4%
	მნიშვნელოვანია	80.0% ^ა		9.5% ^ბ	14.3%
	ძალიან მნიშვნელოვანია		100.0% ^ბ	90.5% ^ბ	84.3%
	სულ	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ მიღებული კვლევის შედეგების საფუძველზე.

სტატისტიკურად, პირსონის χ^2 -კვადრატი ($\chi^2 = 169.797$, $p < 0.001$) მიუთითებს ძლიერ და არა შემთხვევით კავშირზე. ასოციაცია (144.861 , $p < 0.001$) დამატებით ადასტურებს, რომ კავშირი მნიშვნელოვნად წრფივია. სოციალური პარტნიორობის განვითარების აუცილებლობის ზრდასთან ერთად მოქალაქეთა მონაწილეობისადმი პოზიტიურობა სისტემურად მატულობს.

ცხრილი 3.3.20. კვლევის კროსტაბულაციური ტესტი

ხი-კვადრატის ტესტი			
	მნიშვნელობა	df	მნიშვნელოვნების დონე
პირსონის ხი-კვადრატი	169.797 ^a	4	.000
ალბათობის კოეფიციენტი	114.791	4	.000
წრფივი ასოციაცია	144.861	1	.020
რაოდენობა	350		

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ მიღებული კვლევის შედეგების საფუძველზე.

ჯამში, კვლევამ ნათლად აჩვენა: სოციალური პარტნიორობის მნიშვნელობის აღქმა პირდაპირ ზრდის ჩართულობისადმი ინტერესსა და სურვილს. ეს სრულად ადასტურებს ჰიპოთეზას H5 და მიუთითებს, რომ ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლება შესაძლოა იყოს ჩართულობის ზრდის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი მექანიზმი.

კვლევის ფარგლებში განხორციელებულმა ხუთმა კროსტაბულაციურმა ანალიზმა გამოავლინა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირები თითქმის ყველა შემთხვევაში, რაც ცხადყოფს, რომ სოციალური პარტნიორობის პროცესებში აღქმები, ცოდნა, ნდობის დონე და ბარიერები რეალურად განსაზღვრავს მოქალაქეთა დამოკიდებულებებსა და ჩართულობის ქცევებს.

H1-(შრომით ან ეკონომიკურ საკითხებზე საჯარო განხილვაში ჩართულობა).

მიუხედავად იმისა, რომ აღწერით დონეზე გარკვეული განსხვავებები მართლაც შეინიშნება (განსაკუთრებით კერძო და საჯარო სექტორს შორის). ჩვენი პირველი ჰიპოთეზა არ დადასტურდა მონაცემთა ანალიზის შედეგად.

H2-(სოციალური პარტნიორობის ცოდნა და განვითარების საჭიროების აღქმა). ანალიზმა აჩვენა, რომ რესპონდენტთა ცოდნის დონე სოციალური პარტნიორობის შესახებ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იმაზე, თუ რამდენად აუცილებლად მიიჩნევენ ისინი ამ პროცესის განვითარებას. მაღალი ცოდნა პირდაპირ იყო დაკავშირებული მაღალი მოთხოვნილების აღქმასთან. Pearson χ^2 ტესტი იყო მნიშვნელოვნად მაღალი ($p < 0.001$), რაც ადასტურებს, რომ ცოდნის ზრდა მიუთითებს უფრო მაღალი ცნობიერების და მხარდაჭერისკენ მიმართულ ტენდენციას.

H3-(სახელმწიფოსა და სხვა აქტორებისადმი ნდობა და ჩართულობა). სახელმწიფოს, დამსაქმებელთა და პროფკავშირებისადმი ნდობის დონის მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მოქალაქეთა გამოცდილება საჯარო განხილვებში მონაწილეობასთან დაკავშირებით. სახელმწიფოსადმი და დამსაქმებელთა მიმართ მაღალი ნდობა უფრო ხშირად ასოცირდებოდა მონაწილეობასთან („დიახ“). პროფკავშირების შემთხვევაშიც შეინიშნებოდა იგივე ტენდენცია, თუმცა კავშირი შედარებით სუსტი აღმოჩნდა.

სამივე შემთხვევაში Pearson χ^2 იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვნადი ($p < 0.05$ ან $p < 0.001$), რაც მიუთითებს, რომ ნდობა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მოქალაქეთა ჩართულობაში.

H4-(ბარიერების აღქმა და მონაწილეობა საჯარო განხილვებში). ანალიზმა აჩვენა, რომ ინფორმაციული, დროითი და ინსტიტუციური ბარიერები მნიშვნელოვნად ამცირებს მოქალაქეთა მზადყოფნას ჩაერთონ საჯარო განხილვებში. ყველაზე ხშირად დასახელებული ბარიერი იყო ინფორმაციის არქონა, ხოლო მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი ასევე დაკავშირებული იყო უნდობლობასთან („არ მჯერა შედეგის“). პირსონის ხი-კვადრატი ($\chi^2 = 49.297$, $p < 0.001$) მკაფიოდ ადასტურებს, რომ ბარიერების არსებობა მნიშვნელოვნად ზღუდავს ჩართულობას. ეს ნიშნავს, რომ დაბალი ჩართულობა მხოლოდ პასიურობით არ არის განპირობებული, მას აქვს სისტემური მიზეზები.

H5-(სოციალური პარტნიორობის მნიშვნელობის აღქმა და მომავალი ჩართულობის სურვილი). დასკვნამ აჩვენა ძალიან ძლიერი და ლინეარული კავშირი სოციალური პარტნიორობის მნიშვნელობის აღქმასა და მოქალაქეთა მონაწილეობისადმი მხარდაჭერას შორის. ისინი, ვინც სოციალური პარტნიორობის

ხელშეწყობას „ძალიან საჭიროდ“ მიიჩნევენ, თითქმის ყოველთვის ამბობენ, რომ მოქალაქეთა მონაწილეობა „ძალიან მნიშვნელოვანია“ ($\chi^2 = 169.797$, $p < 0.001$).

ეს ნიშნავს, რომ სიღრმისეული ცნობიერება მნიშვნელოვნად ზრდის მომავალში ჩართულობის სურვილს.

რაც შეეხება კვლევის კითხვარის VI ნაწილს, რომელიც ეხება კვლევაში მონაწილე პირთა რეკომენდაციებს და მოსაზრებებს რესპოდენტთა უმეტესობა თანაბრად საჭიროდ მიიჩნევს სოციალური პარტნიორობის ფარგლებში შემდეგ საკითხებზე ყურადღების გამახვილებას :

- შრომითი უფლებები
- დასაქმება
- განათლება
- სოციალური მომსახურება
- ჯანმრთელობა

ხოლო შემდეგ კითხვაზე „ რა არის ყველაზე დიდი ბარიერი ეფექტური სოციალური პარტნიორობისთვის საქართველოში? “ იმ რესპოდენტებმა ვინც გვიპასუხეს ძირითად ბარიერებად აღიქვამენ შემდეგს :

- „არასისტემატურობა და პრობლემების უფულებელყოფა, არასერიოზული მიდგომები“
- „პრობლემას წარმოადგენს არასაკმარისი ნება სახელმწიფოს მხრიდან“
- „სახელმწიფო სტრუქტურის მიმართ ნდობის არ არსებობა და განათლების საშუალოზე დაბალი დონე საზოგადოებაში“
- „საქართველოში დასაქმებულის უფლებები თითქმის უგულველყოფილია დაწყებული შრომის ანაზღაურების არაადეკვატურობით, დასრულებული სამუშაო დატვირთვით და უფლებებით“
- „ის, რომ რეალურად პროფკავშირი დამსაქმებლის უფლებებს უფრო იცავს, ვიდრე დასაქმებულის“
- „არასისტემატურობა და პრობლემების უფულებელყოფა, არასერიოზული მიდგომები“
- „სახელმწიფოს მხრიდან ნების არ გამოვლენა ამ საკითხზე“

- „უნდობლობა ყველა ჩართული მხარის მიმართ და იმედის არ ქონა, რომ მართლა რამეს შეცვლიან სასიკეთოდ“
- „ნაკლები ურთიერთთანამშრომლობა, ნაკლები ჩართულობა დამსაქმებლების მსგავს პლატფორმებზე“
- „დამსაქმებლის მიერ ინტერესის არ ქონა, დასაქმებულთა მიერ ცნობიერების დაბალი მაჩვენებელი, სახელმწიფოს მიერ გულგრილობა“
- „სახელმწიფო თავად არღვევს ადამიანის უფლებებს მათ შორის შრომითი ურთიერთობაში, რასაც მოწმობს საჯარო სამსახურის შესახებ კანონში ბოლოს განხორციელებული სასწრაფო ცვლილებები და მის საფუძველზე (მაგ.: ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ ი პირები, რეორგანიზაცია) გათავისუფლებული პირების რაოდენობა, რომლებიც გაათავისუფლეს მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციის დაცვისა და ქვეყნის ერთგულებისთვის. სახელმწიფო დღეს მხოლოდ პირად ინტერესებზე მორგებული სისტემაა და შესაბამისად იგი არის ყველაზე დიდი ბარიერი, მათ შორის სოციალურ პარტნიორობაში“
- „ადამიანის უფლებების დაცვა“
- „შრომის ბაზრის არაორგანიზებულობა, პროფკავშირების სუსტი როლი და დაბალი წარმომადგენლობა“
- „კომუნიკაციის ნაკლებობა“
- „არაჯანსაღი ურთიერთობები“
- „ინფორმაციის არქონა, შრომითი კანონმდებლობის არცოდნა, ყოველდღიური რუტინა, რაც ასეთი თემების განხილვისთვის დროს არ ტოვებს“
- „ცნობიერების დაბალი დონე“
- „საზოგადოების ნეგატიური განწყობა ამჟამინდელი ხელისუფლების მიმართ“
- „თანამშრომლობის ფორმალურობა“

რაც შეეხება კითხვას: „რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას სოციალური პარტნიორობის გასაძლიერებლად? „ რესპოდენტების მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები შემდეგია :

- „ევროკავშირის ქვეყნების მაგალითების გათვალისწინება“
- „ინფორმაციის გავრცელება საკითხზე“

- „ინტენსიური პროპაგანდა სოც. მედიის საშუალებით, ასევე ვორქშოპების მოწყობა“
- „პირველ რიგში საზოგადოების ცნობიერებაა გასაზრდელი, რა უფლებები აქვთ და როგორ დაიცვან თავი. ამის შემდეგ, ამ უფლებების დაცვის გარანტიას უნდა გაძლევდეს სახელმწიფო და მუდმივად დამსაქმებლის ინტერესებს არ ატარებდეს. არაფერს ვამბობ მიზერულ ხელფასსა და არაადეკვატურ დატვირთვაზე“
- „მეტი ინფორმაციის მიწოდება და ნდობის მოპოვება“
- „საჯარო და გამჭვირვალედ წარიმართოს პროცესები და ჩართული იქნას ყველა დაინტერესებული მხარე, დამსაქმებელთან კომუნიკაცია და ინფორმაციის მიწოდება დასაქმებულებისთვის“

წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავდა სოციალური პარტნიორობის მიმართ მოქალაქეთა ცოდნის, ნდობის, აღქმული მნიშვნელობისა და ბარიერების გავლენის შეფასებას მათ ჩართულობაზე შრომით და ეკონომიკურ საკითხებზე საჯარო განხილვებში. განხორციელებული კროსტაბულაციური ანალიზების საფუძველზე გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია, რაც საშუალებას იძლევა შეიქმნას მთლიანობრივი სურათი სოციალური პარტნიორობის განვითარების პერსპექტივების შესახებ საქართველოში.

პირველ რიგში, დამტკიცდა, რომ სოციალური პარტნიორობის მექანიზმების ცოდნა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პროცესის საჭიროების აღქმას. მონაცემები მიუთითებს, რომ მაღალი ცნობიერების მქონე მოქალაქეები უფრო მკაფიოდ ხედავენ სოციალური პარტნიორობის როლს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაში. ამგვარად, ცოდნა იქცევა გადაწყვეტილებების მიღებისა და პოზიციის ფორმირების საფუძვლად, რაც ხაზს უსვამს განათლებისა და ინფორმაციის გავრცელების სტრატეგიული მნიშვნელობას.

მეორე მნიშვნელოვანი მიმართულება უკავშირდება ნდობის ფაქტორს. სახელმწიფოს, დამსაქმებელთა და პროფკავშირებისადმი ნდობამ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი აჩვენა მოქალაქეთა მონაწილეობასთან. მაღალი ნდობა პირდაპირი ასოციაციით იყო დაკავშირებული საჯარო განხილვებში ჩართულობის უფრო მაღალი ალბათობით, რაც ცხადყოფს, რომ სოციალურ დიალოგში მონაწილე

მხარეებისადმი ნდობის აღდგენა ან გაძლიერება წარმოადგენს პროცესის ეფექტიანობის ერთ-ერთ საკვანძო წინაპირობას.

გარდა ამისა, კვლევამ წარმოაჩინა ბარიერების, განსაკუთრებით ინფორმაციული, მნიშვნელოვანი გავლენა მოქალაქეთა პასიურობაზე. ინფორმაციის ნაკლებობა, უნდობლობა შედეგის მიმართ და დროითი შეზღუდვები დამსწრებს შორის ძირითადად სწორედ იმ რესპონდენტებში იყო გავრცელებული, რომლებმაც მონაწილეობა არ მიიღეს. ეს მიუთითებს, რომ მოქალაქეთა ჩართულობა მხოლოდ ინდივიდუალური არჩევანის საკითხი არ არის; მას აქვს სისტემური დაბრკოლებები, რომლებიც საჭიროებს სტრუქტურულ და ინსტიტუციურ პასუხს.

კვლევის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო შედეგი უკავშირდება სოციალური პარტნიორობის მნიშვნელობის აღქმას და მომავალში ჩართულობის მზაობას. აღმოჩნდა, რომ სოციალური პარტნიორობის ეკონომიკურ მნიშვნელობაზე მაღალი შეთანხმება თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია მოქალაქეთა სურვილთან, მომავალში აქტიურად ჩაერთონ ამ პროცესებში. ეს ადასტურებს, რომ პროცესის განმარტება, მისი სარგებლის კომუნიკაცია და საზოგადოების ცოდნის ამაღლება პირდაპირი გზაა მოქალაქეთა ჩართულობის ზრდისკენ.

საერთო ჯამში, კვლევა ცხადყოფს, რომ სოციალური პარტნიორობის მდგომარეობა საქართველოში მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ოთხ ძირითად ფაქტორზე: ინფორმირებულობაზე, ნდობაზე, აღქმულ მნიშვნელობაზე და ბარიერების დაძლევაზე. შედეგები მიუთითებს, რომ სოციალური პარტნიორობის სისტემის გაძლიერებისთვის აუცილებელია არა მხოლოდ ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესება, არამედ მოქალაქეებთან ეფექტიანი, გამჭვირვალე და უწყვეტი კომუნიკაცია.

კვლევა ადასტურებს, რომ სოციალური პარტნიორობის მექანიზმების ეფექტიანობა დამოკიდებულია არა მხოლოდ ფორმალურ ჩარჩოებსა და სამართლებრივ ნორმებზე, არამედ საზოგადოების მზაობასა და ნდობაზე. მოქალაქეთა აქტიური ჩართულობა, თავის მხრივ, გარდაუვალია იმ შემთხვევაში, თუ იქნება უზრუნველყოფილი მაღალი ცნობიერება, ხელმისაწვდომი ინფორმაცია და სამართლიანობის განცდა პროცესის განხორციელების ყველა ეტაპზე.

საქართველოსთვის ამ ეტაპისთვის ოპტიმალურია სოციალური პარტნიორობის ჰიბრიდული მოდელი, რომელიც აერთიანებს გერმანული მოდელის- ინსტიტუციურ სტაბილურობას და შვედური მოდელის- ნდობაზე დაფუძნებულ სოციალურ დიალოგს. მხოლოდ სამართლებრივი რეგულაციების გაძლიერება ნდობის გარეშე ვერ უზრუნველყოფს სოციალური პარტნიორობის მდგრადობას, ხოლო ნდობაზე დაფუძნებული სისტემა ინსტიტუციური გარანტიების გარეშე მოწყვლადი იქნება.

დასკვნები და რეკომენდაციები

დასავლეთ ევროპაში სოციალური პარტნიორობა, თავისი ინსტიტუტებითა და პროცესებით, წარმატებული ეკონომიკური რეფორმების ხელშეწყობას ემსახურება. სოციალური დიალოგი და კოლექტიური მოლაპარაკებები წარმოადგენს იმ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც ინოვაციების, პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის წახალისებას უწყობს ხელს. სოციალური დიალოგი სოციალური საბაზრო ეკონომიკის ბირთვული კომპონენტია და წარმატებული ეკონომიკური რეფორმების მამოძრავებელი ძალა. ძლიერი კოლექტიური მოლაპარაკებების სისტემები ასევე აძლიერებს წევრი ქვეყნების მდგრადობას ეკონომიკური კრიზისების დროს. ბოლო წლებში სოციალური დიალოგის მნიშვნელობა გაიზარდა „ევროპული სემესტრის“ ჩარჩოში. ამან გამოიწვია არაერთი ქვეყნისთვის სპეციფიური რეკომენდაციების გამოტანა, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს ეროვნული სოციალური პარტნიორობის ჩართულობაზე ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. თუმცა, წევრ სახელმწიფოებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც ჩართულობის ხარისხი, ისე მისი ხარისხობრივი მაჩვენებლები. ეს განსხვავებები განპირობებულია განსხვავებული ინსტიტუციური ჩარჩოებით, პროცედურებითა და პრაქტიკებით.

ევროპული სოციალური დიალოგი არ არის თვითმიზანი, იგი არის ინსტრუმენტი. მისი ეფექტურობა დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ახორციელებენ სოციალური და ინსტიტუციური აქტორები მას; თუმცა მისი უნიკალურობა ხაზს უსვამს დემოკრატიული პროცესების მნიშვნელობას შრომით სივრცეში, რომელიც საჭიროებს დაცვასა და მუდმივ განვითარებას (European Commission, 2023).

ეფექტიანი სოციალური დიალოგი ეფუძნება ძლიერ, დამოუკიდებელ და წარმომადგენლობით სოციალურ პარტნიორებს. დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციები უნდა ასახავდნენ თავიანთი წევრების ინტერესებს და ფლობდნენ რეალურ წარმომადგენლობით ლეგიტიმაციას. სუსტი, ფორმალური ან სახელმწიფოზე დამოკიდებული ორგანიზაციების მონაწილეობა ამცირებს დიალოგის შინაარსობრივ ღირებულებას და ფუნქციურ ეფექტიანობას. ამასთან, აუცილებელია,

რომ სოციალური პარტნიორების შიდა სტრუქტურებში უზრუნველყოფილი იყოს წევრთა სხვადასხვა სეგმენტის მონაწილეობა.

სოციალური დიალოგის მდგრადობისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ნდობის ჩამოყალიბება და შენარჩუნება სოციალურ პარტნიორებსა და სახელმწიფოს შორის. ურთიერთნდობის დეფიციტი, კონფლიქტური დამოკიდებულებები და მუდმივი ეჭვი მნიშვნელოვნად ასუსტებს დიალოგის შედეგიანობას. ამ პროცესში აუცილებელია ყველა მხარის მიერ იმის გაცნობიერება, რომ უფლებები განუყოფელია პასუხისმგებლობებისგან და სოციალური პარტნიორობა გულისხმობს არა მხოლოდ საკუთარი ინტერესების დაცვას, არამედ სხვა მხარეთა პოზიციებისა და ლეგიტიმური მოთხოვნების გაგებისა და გათვალისწინების მზაობას.

პოლიტიკური ტრანზიციის პირობებში სოციალური დიალოგი და ტრიპარტიზმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. პოლიტიკური ტრანზიციის წარმოადგენს კომპლექსურ და მრავალგანზომილებიან პროცესს, რომელიც მოიცავს ინსტიტუციური მშენებლობის, სიღრმისეული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების განხორციელებასა და ერთმანეთთან კონფლიქტში მყოფ ინტერესთა ჯგუფებს შორის ბალანსის უზრუნველყოფას. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომლებიც 1990-იან წლებში გარდამავალი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებად მოიაზრებოდნენ და შემდგომში ევროკავშირის წევრები გახდნენ, სოციალური დიალოგისა და ტრიპარტიზმის ინსტიტუტებმა მნიშვნელოვანი სტაბილიზაციის როლი შეასრულეს ეკონომიკური და სოციალური კრიზისების პირობებში . ამ ქვეყნებში სამმხრივი ინსტიტუტები ჩამოყალიბდა გეგმიური ეკონომიკური სისტემის დაშლისთანავე, რათა შეემსუბუქებინათ სოციალურ ჯგუფებს შორის დაპირისპირება, რომელიც მანამდე ინსტიტუციურად არ იყო აღიარებული. აღნიშნულმა ინსტიტუტებმა ხელი შეუწყო ეკონომიკური ტრანსფორმაციის მართვას, უმუშევრობის ზრდის, შემოსავლების შემცირებისა და სიღარიბის გაღრმავების პირობებში, ხოლო დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციებს მისცა შესაძლებლობა აქტიურად ჩართულიყვნენ რეფორმების პროცესში, რითაც გააძლიერეს მათი ლეგიტიმაცია, როგორც სოციალური პარტნიორების.

საქართველოს კონტექსტში დამკვიდრებული მექანიზმები – სამმხრივი კომისიები, სოციალური დიალოგის პლატფორმები და პროფესიული უნარების განვითარების პროგრამები – წარმოადგენენ მნიშვნელოვან ხელსაწყოებს, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ ეკონომიკის მდგრადობას და ინკლუზიურობას, როგორც კრიზისის პერიოდში, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში.

ასევე, გამოცდილება აჩვენებს, რომ სოციალური პარტნიორობა ვერ იქნება ეფექტიანი თუ არ მოიცავს სისტემურ ინტეგრირებას განათლებასა და პროფესიულ განვითარებაში, სამუშაო ბაზრის დეფიციტის ანალიზსა და ბიზნესის საჭიროებებზე რეაგირებას.

სოციალური პარტნიორობის განმტკიცება საქართველოსთვის წარმოადგენს სტრატეგიულ აუცილებლობას, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებას, სამუშაო ბაზრის განვითარების ეფექტურ მექანიზმების შექმნას და ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში ყოფნას.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში გაანალიზდა ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელთა და ინტერესთა ჯგუფების მიზნობრივ წინააღმდეგობათა ბუნება, მათი წარმოშობის ინსტიტუციური საფუძვლები და გადალახვის შესაძლო მექანიზმები სოციალური დიალოგისა და ტრიპარტიზმის კონტექსტში. კვლევამ აჩვენა, რომ თანამედროვე ეკონომიკურ სისტემებში ინტერესთა ჯგუფები წარმოადგენენ არა მხოლოდ პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებზე ზემოქმედების წყაროს, არამედ პოტენციურ პარტნიორებს საჯარო პოლიტიკის ლეგიტიმაციისა და ეფექტიანობის ზრდისათვის.

ნაშრომის შედეგები ცხადყოფს, რომ ტრიპარტიზმი და სოციალური პარტნიორობა ეფექტიანად ფუნქციონირებს მხოლოდ იმ პირობებში, როდესაც უზრუნველყოფილია დემოკრატიული მმართველობა, ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების რეალური დაცვა, სოციალურ პარტნიორთა წარმომადგენლობითობა და სახელმწიფოს ინსტიტუციური ნეიტრალიტეტი. დასავლეთ ევროპის ქვეყნების, განსაკუთრებით შვედეთისა და გერმანიის გამოცდილება ადასტურებს, რომ სოციალური დიალოგი შეიძლება იქცეს ეკონომიკური სტაბილურობის, სოციალური თანასწორობისა და კრიზისების მართვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად.

საქართველოს მაგალითზე კვლევამ გამოავლინა სოციალური დიალოგის ინსტიტუციური სისუსტე, სამმხრივი კომისიის ფორმალური ფუნქციონირება და ინტერესთა ჯგუფებს შორის ნდობის დეფიციტი. ემპირიულმა კვლევამ – „სოციალური პარტნიორობის გამოცდილება და შეფასება ქართული საზოგადოების მიერ“ – დაადასტურა, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი სოციალურ პარტნიორობას აღიქვამს როგორც დეკლარირებულ, მაგრამ რეალურად არაეფექტიან მექანიზმს. აღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ საქართველოში ტრიპარტიზმის კრიზისი არა მხოლოდ ინსტიტუციური, არამედ პოლიტიკურ-კულტურული ხასიათისაა.

საქართველოს სოციალური პარტნიორობის სისტემა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების ეტაპზეა და არც გერმანული ინსტიტუციური სტაბილურობა და არც შვედური მოდელისთვის დამახასიათებელი ნდობის მაღალი კულტურით არ ხასიათდება.

ერთი მხრივ, საქართველოში სუსტია ინსტიტუციური ჩარჩოები — კოლექტიური მოლაპარაკებები შეზღუდულია, პროფკავშირების გავლენა დაბალია და თანამმართველობის მექანიზმები პრაქტიკულად არ გამოიყენება.

მეორე მხრივ, არ არის ჩამოყალიბებული ურთიერთნდობის კულტურა როგორც სოციალურ პარტნიორებს შორის, ასევე ზოგადად ქართულ საზოგადოებაში. რაც ართულებს თვითრეგულაციას შრომით ურთიერთობებში. შედეგად, სახელმწიფოს ხშირად უწევს პროცესში ჩართვა არა როგორც ნეიტრალური არბიტრის, არამედ როგორც აქტიური მმართველი სუბიექტის როლში.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებულია შემდეგი ძირითადი რეკომენდაციები:

- სოციალური პარტნიორების ჩართულობის გაძლიერება ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვაში უზრუნველყოს სოციალური პარტნიორების აქტიური და დროული ჩართულობა დასაქმების, ეკონომიკური და სოციალური რეფორმების შემუშავებასა და განხორციელებაში.
- კრიზისული მექანიზმების და სოციალური დიალოგის ინსტრუმენტების განვითარება

- დაინერგოს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალური დიალოგის სწრაფ რეაგირებას კრიზისულ პერიოდებში, მაგალითად, ეკონომიკური შოკების ან გლობალური გამოწვევების დროს.
- ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.
საქართველო, როგორც ევროკავშირში გაწევრიანების მსურველმა ქვეყანამ, უნდა გამოიყენოს სოციალური პარტნიორობა ევროკავშირის სოციალური პოლიტიკის სტანდარტების ადაპტირებისა და ინტეგრაციისთვის. ჩართულობამ უნდა მოიცვას როგორც ეროვნული, ისე ევროკავშირის დონე, რათა პარტნიორების აზრი მაქსიმალურად აისახოს პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში.
- ტრიპარტიზმის ინსტიტუციური გაძლიერება
აუცილებელია სამმხრივი სოციალური დიალოგის კომისიის მანდატის გადახედვა, მისი გადაწყვეტილებების საკონსულტაციო ხასიათიდან პოლიტიკურად და ადმინისტრაციულად სავალდებულო რეკომენდაციების დონეზე აყვანა.
- სოციალური პარტნიორების წარმომადგენლობითობის ზრდა
უნდა გაძლიერდეს დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციების ინსტიტუციური შესაძლებლობები, მათ შორის ფინანსური დამოუკიდებლობა და შიდა დემოკრატიული მმართველობა, რათა ისინი რეალურად ასახავდნენ საკუთარი წევრების ინტერესებს.
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება
მიზანშეწონილია სოციალური დიალოგის მნიშვნელობის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს ნდობის აღდგენასა და სოციალური პარტნიორობის ლეგიტიმაციის ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები

1. ანანიაშვილი, ი. (2022). *ბაზრის მოდელის შეფასება შეზღუდული ინფორმაციის პირობებში*. ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი #4 გვ. 166-188
2. ბელთაძე, ბ. (2020). *სოციალური დიალოგი საქართველოში*. ფრიდრიხ ებერტის ფონდი
3. გელაშვილი, ს., (2018). „ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობების გამოყენებისა და გლობალური ტექნოლოგიური პროგრესის ურთიერთკავშირი“, ჟურნალი "გლობალიზაცია და ბიზნესი", N6, გვ. 67-72.
4. გველესიანი, რ., გოგორიშვილი, ი., ერქომაიშვილი, გ. ლეკაშვილი, ე., გაფრინდაშვილი, გ., ხურცია, ლ. (2024) *ინდუსტრიული პოლიტიკა ციფრულ სამყაროში*.
5. გველესიანი, რ და ი. გოგორიშვილი, ი. (2018) *გადაწყვეტილებების მიღების ტექნოლოგია ეკონომიკურ პოლიტიკაში*.
6. გველესიანი, რ და ი. გოგორიშვილი, ი. (2019) *რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის შეზღუდულობა COVID-19 პანდემიის პირობებში*
7. გველესიანი, რ და გოგორიშვილი, ი. (2015) *ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პრობლემები და მათი დაძლევის შესაძლებლობები*
8. გველესიანი, რ., 2008 *ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა: წინააღმდეგობა სოციალურ და კონკურენციულ წესრიგს შორის*.
9. გველესიანი, რ., გოგორიშვილი, ი., ერქომაიშვილი, გ. ლეკაშვილი, ე., გაფრინდაშვილი, გ., ხურცია, ლ. 2022 *ეკონომიკური პოლიტიკა 1*.
10. გველესიანი, რ 2017. *ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების ოპერაციონალიზება და მათი ურთიერთდამოკიდებულების შეფასება*
11. გველესიანი რ, 2007 *ეკონომიკური პოლიტიკის თეორია (მეცნიერული ეკონომიკური პოლიტიკა): საგანი, მიზნები და ამოცანები*.
<https://geoeconomics.ge/?p=2989>
12. ერქომაიშვილი, გ. (2019) *რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა*
13. მექვაბიშვილი, ე., 2023 *გლობალიზაციის მეტამორფოზები: პოლიტეკონომიური ასპექტი* . Tbilisi State University. Economics and Business XV(3):9-24

14. პაპავა,ვ. (2024) მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის შესაძლო ცვლილებები გლობალიზაციის ტრანსფორმაციის პირობებში და „შუა დერეფანი“ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024 წლის 13 სექტემბერს გამართულ VI ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების მასალები
15. სუმბაძე,ნ.(2024) სოციალური პარტნიორობა და მისი როლი ეკონომიკურ ზრდაში ევროკავშირის ქვეყნებში. ჟურნალი “ახალი ეკონომისტი” N2-3,VOL19,ISSUE 2. გვ35-39
16. სუმბაძე,ნ.(2025) “სოციალური პარტნიორობის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში”. ჟურნალი “ეკონომისტი”. ტომი 3 .გვ 171-178
17. Armington, K. (2005). “Problems des Übergangs vom korporatismus zum pluralismus” in F. Karlhofer and E.Talos (eds); Sociapartnerschaft: eine europäische perspective? LIT-Verlag: Hamburg, pp.135-136
18. Avdagic, S.(2005) “State-labour relations in East Central Europe: Explaining variations in union effectiveness”, Socio-Economic Review,3(1):pp.25-53
19. Berger,S.and Compstons,H.(eds) (2002) *policy Concentration and Social Partnership in Western Europe: Lessons for the 21st Century* (New York and Oxford: Berghahn).
20. Berry,J.(1977) Lobbying for the People: The Political Behavior of Public Interest Groups.Princeton University press
21. Bohle, D and Greskovits, B. (2007) “Neoliberalism, Embedded Neoliberalism and Neocorporatism: Towards Transnational Capitalism in Central-Eastern Europe”, West European Politics 30(3):pp.443-466.
22. Braun,A.R.(1974) “The role of incomes Policy in Industrial Countries Since World War II” IMF staff Papers.
23. Carley. M.(2004) “ Trade union membership 1993-2003”,
[http://www.euro.eurofound](http://www.euro.eurofound.eu.int/2004/03 update/tn0403105u.html) .eu.int/2004/03 update/tn0403105u.html.
24. Dahl,R.(1993)” *Pluralism*”,in *the Oxford Companion to politics of the World*, ed. J.Krieger (New York and Oxford:Oxford University Press):PP.704-707
25. Ebbinghaus,B.and Hassel,A.(2000) „striking Deals.The role of concentration in the reform oft he welfare state“, *journal of European Public Policy*.pp:44-62

26. Falkner,G.(1998).EU Social Policies in the 1990s.Towards a corporatist policy community. London: Routledge
27. Gordon,S.(2005) Campaign Contributions and legislative Voting: A New Approach (London and New York:Routledge) P.5
28. Greenwood,J.(2007) Interest Representation in the European Union,2nd edn(bangstoke and New York:Palgrave Macmillan): p.6
29. Hague,R and Harrop,M.(2013) “ Comparative Government and Politics “ an introduction.Palgrave Macmillan
30. Hassel , A.(2008) „Policies and Politics in Social Pacts in Europe” *European Journal of Industrial Relations*.
31. Hassel,A.(2007) Wage setting,social pacts and the Euro. A new role for the state. *Amsterdam University Press*.
32. Hays,A.(2001) The Role of Interest Groups
<http://www.ait.org.tw/infousa/zhtw/DOCS/Demopaper/dmpaper9.html>
33. Heinisch,R.(1997)”The state of Corporatism in a Central Europe in Transition”,in Irwin Collier,Herwig Roggemann, Oliver Scholz and Horst Tomann(eds) *Welfare States in Transition. East and West.London:Palgrave Macmillan:pp50-89*.
34. Iankova,E.A and L.Turner (2004)”Building the New Europe:western and eastern roads to social partnership”,*Industrial Relations journal* 35(1).pp:76-92.
35. Journalist’s Resource-Research on Today’s topics,14 Nov.2014
<https://journalistsresource.org/studies/politics/finance-lobbying/the-influence-of-elites-interest-groups-and-average-voters-on-american-politics>
36. Klijn,E.-H.and Skelcher,C.(2007) Democracy and Governance Networks:Compatible or Not?“,*Public Administration*(85): PP.247-319
37. Klump,R (2013) wirtschaftspolitik. Instrumente, Ziele und Institutionen, 2. aktualisierte Auflage. Pearson Studium München, p.288.
38. Kohl, H .and H.-W.Platzer (2004) *Arbeitsbeziehungen in Mitteleuropa. Transformation und Integration. Die acht neuen EU-Mitgliedsstaaten im Vergleich*. Baden-Baden: Nomos..

39. Kubicek, P. (1999), Organized Labour in Postcommunist States: Will the Western sun set on it too?, *Comparative Politics* 32(1): pp.83-102
40. Lowi, T. (1969) *The End of Liberalism* (New York: Norton)
41. Maloney, W. (2009) "Interest Groups and the Revitalization of Democracy", *Representation* (45): pp.277-288
42. Molina, O. and M. Rhodes (2002) "Corporatism: The Past, Present, and Future of a Concept", *Annual Review of Political Science* 5, pp.305-331
43. OECD (1962) *Policies for Price Stability. A report to the Economic Policy Committee by its Working party on Costs of Production and Prices*. Paris.
44. Olson, M. (1965) *The Logic of Collective Action: Public Goods and Theory of Groups*. Cambridge, Harvard University press.
45. Olson, M. (1982) *The Rise and Decline of Nations: Economic Growth, Stagflation, and social Rigidities*. New Haven: Yale University Press.
46. Ost, D. (2000) "Illusory Corporatism in Eastern Europe: Neoliberal Tripartism and Postcommunist Class Identities", *Politics and Society* 28(4): pp.503-530
47. Petracca, M. (1992) "The Rediscovery of interest Group Politics", in *The Politics of Interests: Interest Groups Transformed*, ed. M. Petracca (Boulder, CO and Oxford: Westview): pp.3-31
48. Pizzorno, A. (1978) "Political Exchange and Collective Identity in Industrial Conflict", in Colin Crouch and Alessandro Pizzorno (eds): *The Resurgence of Class Conflict in western Societies since 1968*. London: pp.227-298
49. Rousseau, J.-J. (1755) /1988 edn/ *Rousseau's Political Writings*, ed. A. Ritter and J. Bondanella (New York and London: Norton)
50. Scharpf, F.W. (1991) "Crisis and Choice in European Social Democracy". Ithaca NY: *Cornell University Press*.
51. Schmitter, P.C. (1974) "Still the Century of Corporatism?", *Review of politics*: pp.85-111
52. Schmitter, P.C. (1981) "Interest intermediation and regime governability in contemporary Western Europe and North America", in Suzanne Berger (ed)

- Organizing interests in Western Europe, pluralism, corporatism and the transformation of politics*. Cambridge: Cambridge University press: pp285
53. Schmitter, P.C. and J. Grote (1997) „Der korporatistische Sysiphus-Vergangenheit, Gegenwart und Zukunft“, *Politische Vierteljahresschrift* 38(3) : pp.530-554
 54. Silvia, S. and Schroeder, W. (2007) “why Are German employers’ Associations Declining? Arguments and evidence”, *Comparative political studies* (40): pp.1433-1459
 55. Smith, M. (1995) *Pressure Politics* (Manchester: Baseline Books).
 56. Stark, D. and L. Bruszt (1998) *Postsocialist Pathways. Reforming Politics and Property in Central Europe*. Cambridge: Cambridge University Press
 57. Streeck, W. (1984) “Neo-corporatist Industrial Relations and the Economic Crisis in West Germany”, in John Goldthorpe (eds) *Order and Conflict in Contemporary Capitalism*. Oxford University Press: pp. 291-314
 58. Sumbadze, N. (2025). ECONOMIC POLICIES PROMOTING SOCIAL PARTNERSHIP IN THE EUROPEAN UNION . *Ecoforum Journal*, 14(2). Retrieved from <https://ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/2862>
 59. Talos, E. and Kittel, B. (2002) “Austria in the 1990s: The Routine of social Partnership in Questions?”, in *Policy Concentration and Social Partnership: Lessons for the 21st Century*, ed. S. Berger and H. Compston (New York and Oxford: Berghahn): pp.35-50
 60. Tatur, M. (1995) “Towards Corporatism? The Transformation of Interest Policy and Interest Regulation in eastern Europe”, in Eckhart J. Dittrich, Gert Schmidt and Richard Whitley (eds) *Industrial Transformation in Europe: Process and Context*. London: Sage Publication: pp.135-158
 61. Tocqueville, A. de (1856) /1954 edn/ *The Ancien Regime and the revolution in France* (London: Fontana)

62. Tóth,A. and Neumann,L.(2004) “National-level tripartism and EMU in the new EU Member States and candidate countries”,<http://www.euro.eurofound.eu.int/2004/03/study/index.html>.
63. Walker,J.(1991) *Mobilizing Interest Groups in America:Patrons,Professionals and Social Movements* (Ann Arbor,MI: University of Michigan Press).
64. Wiesenthal, H (1995)*Representation of Functional Interests in West and East European Democracies: European Democracies:Theoretical Co-ordinates and Empirical Assessment*, Forschungsberichte AG TRAP 5 Berlin: Max-Planck-Gesellschaft
65. Armington, K. (2005). “Problems des Übergangs vom korporatismus zum pluralismus” in F. Karlhofer and E.Talos (eds); *Sociapartnerschaft: eine europäische perspective?* LIT-Verlag: Hamburg, pp.135-136.
66. Braun,A.R.(1974) “The role of incomes Policy in Industrial Countries Since World War II” IMF staff Papers.
67. Bir,J.(2019) *The European social dialogue* ,The future of Europe. https://www.etuc.org/sites/default/files/Chapter%204_11.pdf
68. Consulting European social partners: Understanding how it works . Publications Office of the European Union, 2011,Luxembourg.
69. *Declaration By The European Social Partners*(2013) TRIPARTITE SOCIAL SUMMIT
70. Eurofound (2019), *The involvement of social partners in national policymaking*, Publications Office of the European Union, Luxembourg
. <https://www.eurofound.europa.eu/en/topic/social-partners>
71. European commission,2023 <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX%3A52023DC0040>
72. European Commission, 2016. *A new start for Social Dialogue*. Publications Office of the European Union, Luxembourg
73. European Commission (2024) COM(2024) .*Council Recommendation on the economic, social, employment, structural and budgetary policies of German*
74. European council,2024. Tripartite Social Summit, 20 March 2024.

75. Falkner, G. (1998). *EU Social Policies in the 1990s. Towards a corporatist policy community*. London: Routledge
76. Greenwood, J. (2007) *Interest Representation in the European Union*, 2nd edn (Bangstoke and New York: Palgrave Macmillan): p.6
77. Gvelesiani R., (2021). *“The categories of decision-making problem in the economic policy”*.
Journal of Ecoforum, Vol. 10 , Issue 2(25)
78. Hague, R and Harrop, M. (2010) *“Comparative Government and Politics”* an introduction. Palgrave Macmillan. p237
79. Hassel, A. (2009). *“Policies and Politics in Social Pacts in Europe”*. *European journal of Industrial Relations*
80. Hays, A. (2001) *The Role of Interest Groups*.
81. Iankova, E., Turner, L. (2004) *Building the New Europe: Western and eastern roads to social partnership*, Journal of Industrial relations
82. Institut der deutschen Wirtschaft Köln e. V. German Economic Institute (2018). *Promoting Social Partnership in employee training Sweden country report*.
https://www.etuc.org/sites/default/files/publication/file/2018-06/SE_Country%20Report%20Sweden_final_0.pdf
83. Kardava, E. Yarmolyuk-Kröck, K. Palihovici, L. (Eds). (2019) *Too Little, Too Slow*. Friedrich-Ebert-Stiftung | Regional Office Dialogue Eastern Europe
84. Molina, O. and M. Rhodes (2002) *“Corporatism: The Past, Present, and Future of a Concept”*, Annual Review of Political Science 5, pp.305-33.
85. . OECD (1962) *Policies for Price Stability. A Report to the Economic Policy Committee by its Working Party on Costs*
86. Ost, D. (2000) *“Illusory Corporatism in Eastern Europe: Neoliberal Tripartism and Postcommunist Class*

- Identities*", *Politics and Society* 28(4):pp.503-530
87. Pizzorno, A. (1978) "Political Exchange and Collective Identity in Industrial Conflict", in Colin Crouch and
Alessandro Pizzorno (eds): *The Resurgence of Class Conflict in western Societies since 1968*. London:
 88. Streeck, W. (1984) "Neo-corporatist Industrial Relations and the Economic Crisis in West Germany", in John Goldthorpe (eds) *Order and Conflict in Contemporary Capitalism*. Oxford University Press: pp. 291-314
 89. Scharpf, F.W.(1991) "Crisis and Choice in European Social Democracy". Ithaca NY: *Cornell University Press*
 90. Schmitter, P.C (1974) "Still the Century of Corporatism?", *Review of politics*: pp.85-111
 91. Schmitter, P.C. and J. Grote (1997) „Der korporatistische Sysiphus-Vergangenheit, Gegenwart und Zukunft“, *Politische Vierteljahresschrift* 38(3) : pp.530-554
 92. Grossman, G. M., & Helpman, E. (2000). Special interest groups and economic policy. **NBER Reporter, Summer 2000**, 9–13.
 93. Miller, G. P. (1998). An interest-group theory of central bank independence. **Journal of Legal Studies**, 27(2), 433–453.
 94. Rozbicka, P., & Mahrenbach, L. C. (2023). Beyond the usual suspects: Interest groups in the Global South. **Interest Groups & Advocacy**, 12(2), 115–131.
 95. Sadiraj, V., Tuinstra, J., & van Winden, F. (2005). Interest group size dynamics and policymaking. **Public Choice**, 125(3–4), 271–303.
 96. Hughes, L., & Urpelainen, J. (2015). Interests, institutions, and climate policy: Explaining the choice of policy instruments for the energy sector. **Environmental Science & Policy**, 54, 52–63
 97. Basseches, J. A., et al. (2022). Climate policy conflict in the U.S. states: A critical review and way forward. **Climatic Change**, 170(3–4), 32.
 98. Goldin, Claudia, and Lawrence F. Katz. 2008. *The Race between Education and Technology*. Cambridge, MA: Harvard University Press.

99. Daron Acemoglu and Pascual Restrepo. 2018 The Race between Man and Machine: Implications of Technology for Growth, Factor Shares, and Employment† American Economic Review 2018, 108(6): 1488–1542 <https://doi.org/10.1257/aer.20160696>
100. Daron Acemoglu and Pascual Restrepo. 2019 Technology Displaces and Reinstates Automation and New Tasks: Automation and New Tasks: How Technology Displaces and Reinstates Labor Journal of Economic Perspectives—Volume 33, Number 2—Spring 2019—Pages 3–30 Journal of Economic Perspectives—Volume 33, Number 2—Spring 2019—Pages 3–30
101. Hanegraaff, M., Poletti, A., & Aizenberg, E. (2023). Economic globalization and the fracturing of business interest representation in the European Union. Business & Politics, 25(4), 353–369.
102. Lodhi, I. (2021). Globalisation and public policy: Bridging the disciplinary and epistemological boundaries. Policy & Society, 40(4), 522–544.

გამოყენებული ინტერნეტ-რესურსები

103. [https:// matsne.gov.ge/en/document/download/1155567/3/en/pdf](https://matsne.gov.ge/en/document/download/1155567/3/en/pdf)
104. https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_INSTRUMENT_ID:312289
105. <http://mfa.gov.ge/Association-Agreement.aspx>
106. <http://mfa.gov.ge/Association-Agreement.aspx>
107. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2037256?publication=0>.
108. <https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/601/3ff/4fd/6013ff4fd7546579963279.pdf>
109. <https://komentari.ge/article/sotsialuri-dialogi-saerthashoriso-standartebi/>
110. <https://www.researchgate.net/publication/228288451>
111. http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_norm/---normes/documents/publication/wcms_226313.pdf
112. <https://www.etuc.org/en/document/negotiating-fair-future-reinforcing-role-social-dialogue-resolution>

113. <https://eu4georgia.eu/ka/sakartvelos-biznes-garemos-2024-evrokavshiris-angarishi>
114. <https://bag.ge/file.helix?i=f3dfe852-e735-4ea6-825a-3d5f2cd257c8&r=P>
115. https://pmcg-i.com/app/uploads/2023/05/Labor-market-overview_GEO.pdf
116. <https://iset-pi.ge/storage/media/other/2025-01-31/74ca04f0-df9a-11ef-93a1-f3817847ea72.pdf>
117. <https://ge.linkedin.com/company/bizmindconnect>
118. <https://www.buinesseuropa.eu/sites/buseur/files/media/imported/2013-01319-E.pdf>
<https://www.diva-portal.org/smash/get/diva2:1198176/FULLTEXT01.pdf>
119. <https://www.oecd.org/en/topics/economic-policy.html>
120. <https://www.reuters.com/world/europe/ebd-warns-georgia-foreign-agents-law-could-hit-economy-investor-confidence-2024-05-07/>
121. <https://www.etuc.org/en/document/negotiating-fair-future-reinforcing-role-social-dialogue-resolution>.
122. <https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/112454-kanonebs-ar-gavaugmebt-otsneba-venetsiis-komisiis-daskvnis-gatvalistsinebas>
123. <https://www.radiotavisupleba.ge/a/33522751.html>
124. [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2025\)034-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2025)034-e)
125. <https://1tv.ge/video/premier-ministris-shekhvedra-biznesmenebtan-3/>
126. <https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/2024>
127. [The Global Deal Flagship Report \(2024\). Social dialogue for a better future .Global Deal. https://flagship-report.theglobaldeal.com/](https://flagship-report.theglobaldeal.com/)

დანართი#1

I. შესავალი ტექსტი : ინფორმირებული თანხმობისთვის

გამოკითხვა ტარდება მხოლოდ აკადემიური კვლევის მიზნით.

თქვენი მონაწილეობა ამ კვლევაში არის სრულიად ნებაყოფლობითი და ანონიმური.

მონაცემები დამუშავდება მხოლოდ გამჭირვალე, ეთიკური და აკადემიური სტანდარტების დაცვით.

გთხოვთ, გამოიჩინოთ კეთილი ნება და დაუთმოთ დრო კითხვარის შევსებას, რადგან თქვენს ჩართულობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კვლევის შედეგების რეპრეზენტატულობისთვის.

II. დემოგრაფიული ბლოკი

2.1. გთხოვთ მიუთითოთ თქვენი ასაკობრივი კატეგორია:

- 18–24
- 25–34
- 35–44
- 45–54
- 55–64
- 65+

2.2. გთხოვთ მიუთითოთ სქესი

- მდედრობითი
- მამრობითი
- სხვა/არ ვასახელებ

2.3. გთხოვთ, მიუთითოთ თქვენი ფაქტობრივი საცხოვრებელი რეგიონი,

ადგილმდებარეობა (სადაც ცხოვრობთ გამოკითხვის მომენტში და საქმიანობთ ყოველდღიურად)

- თბილისი
- კახეთი
- შიდა ქართლი
- ქვემო ქართლი

- მცხეთა-მთიანეთი
- იმერეთი
- გურია
- აჭარის ა.რ.
- სამეგრელო-ზემო სვანეთი
- რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი
- სამცხე-ჯავახეთი
- სხვა /არ ვასახელებ

2.4. თქვენი დასრულებული განათლების საფეხური

- არასრული ზოგადი
- სრული ზოგადი
- პროფესიული
- ბაკალავრიატი
- მაგისტრატურა
- დოქტორანტურა

2.5. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეესაბამება თქვენს მიმდინარე სამუშაო და სასწავლო მდგომარეობას

- ვმუშაობ და ვსწავლობ
- ვმუშაობ და არ ვსწავლობ
- არ ვმუშაობ და ვსწავლობ
- არ ვმუშაობ და არ ვსწავლობ

2.6. რომელ სექტორში ხართ დასაქმებული

- საჯარო
- კერძო
- არასამთავრობო
- თვითდასაქმებული
- არ ვარ დასაქმებული

2.7. შემოსავლის სიდიდე (თვეში,ლარში)

- 0-500
- 500–1000
- 1000–1500
- 1500-2000
- 2000-3000
- 3000 +
- არ მსურს პასუხის დაფიქსირება

III. შრომითი გამოცდილება და უფლებების შეფასება

3.1. გაქვთ თუ არა გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება?

- კი
- არა

ზოგჯერ	180
ყოველთვის	170
სულ	350

3.2. იცნობთ თუ არა შრომის კოდექსს?

- დიახ, დეტალურად
- ზოგადად
- მხოლოდ მსმენია
- არა
-

დიახ, დეტალურად	150
ზოგადად	195
მხოლოდ მსმენია	5
სულ	350

3.3.იცავთ თუ არა თქვენს უფლებებს სამუშაო ადგილზე?

- ყოველთვის
- ზოგჯერ
- არ ვიცი როგორ
- არასდროს

ზოგჯერ	180
ყოველთვის	170
სულ	350

3.4.იცით თუ არა სად უნდა მიმართოთ შრომითი დარღვევების დროს?

- დიახ
- არა

დიახ	300
არა	50
სულ	350

3.5.ფიქრობთ, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები რეაგირებენ შრომის დარღვევებზე?

- დიახ
- ნაწილობრივ
- არა
- არ ვიცი

არ ვიცი	10
არა	100
დიახ	35
ნაწილობრივ	205
სულ	350

3.6. როგორ შეაფასებდით შრომითი გარემოს გაუმჯობესების დინამიკას ბოლო წლებში (2020-2025)?

- გაუმჯობესდა
- უცვლელია
- გაუარესდა
- არ ვიცი

არ ვიცი	20
გაუარესდა	180
გაუმჯობესდა	55
უცვლელია	95
სულ	350

IV. სოციალური პარტნიორობის ცოდნა და აღქმა

4.1.გსმენიათ თუ არა ტერმინი „სოციალური პარტნიორობა“?

- დიახ
- არა

დიახ	270
არა	80
სულ	350

4.2.როგორ შეაფასებთ თქვენს ცოდნას სოციალური პარტნიორობის შესახებ?

- ძალიან მაღალი
- მაღალი
- საშუალო
- დაბალი
- არ ვიცი რას ნიშნავს

არ ვიცი რას ნიშნავს	30
დაბალი	105
მაღალი	60
საშუალო	155
სულ	350

4.3.გსმენიათ თუ არა საქართველოში სოციალური პარტნიორობის
სამმხრივი კომისიის (სახელმწიფო–პროფკავშირები-დამსაქმებელი)
არსებობის შესახებ?

- დიახ
- არა

დიახ	205
არა	140
სულ	350

4.4. თუ დიახ ,ფიქრობთ, რომ სამმხრივი კომისია არსებობს რეალურად და არა
ფორმალურად?

- დიახ
- ნაწილობრივ
- არა
- არ ვიცი

დიახ	15
ნაწილობრივ	105
არა	100
არ ვიცი	75
სულ	295

4.5. თქვენი აზრით, რომელი მხარეები უნდა მონაწილეობდნენ

სოციალურ პარტნიორობაში? (მონიშნეთ რამდენიმე)

- სახელმწიფო
- დამსაქმებლები
- დასაქმებულები
- პროფკავშირები
- არასამთავრობოები
- სხვა:

4.6 . თვლით, რომ საქართველოში სოციალური პარტნიორობა ეხმარება

სოციალურ ეკონომიკურ პრობლემების გადაჭრას ?

- სრულიად ვეთანხმები
- ვეთანხმები
- არც ვეთანხმები, არც ვეწინააღმდეგები
- არ ვეთანხმები
- სრულიად არ ვეთანხმები

სრულიად ვეთანხმები	15
ვეთანხმები	55
არც ვეთანხმები, არც ვეწინააღმდეგები	195
არ ვეთანხმები	85
სულ	350

4.7. როგორ შეაფასებთ სოციალური პარტნიორობის დონეს თქვენს რეგიონში?

- ძალიან მაღალი
- მაღალი
- დაბალი
- ძალიან დაბალი
- არ ვიცი
- საშუალო

ძალიან მაღალი	5
მაღალი	10
დაბალი	120
ძალიან დაბალი	120
არ ვიცი	55
საშუალო	40
სულ	350

4.8. როგორი ნდობა გაქვთ სახელმწიფოსადმი სოციალური პარტნიორობის პროცესში?

- მაღალი
- საშუალო
- დაბალი
- საერთოდ არ მაქვს

მაღალი	10
--------	----

საშუალო	45
დაბალი	165
საერთოდ არ მაქვს	130
სულ	350

4.9. როგორი ნდობა გაქვთ დამსაქმებლებისადმი სოციალური პარტნიორობის პროცესში?

- მაღალი
- საშუალო
- დაბალი
- საერთოდ არ მაქვს

მაღალი	15
საშუალო	95
დაბალი	230
საერთოდ არ მაქვს	10
სულ	350

4.10. როგორი ნდობა გაქვთ პროფკავშირებისადმი სოციალური პარტნიორობის პროცესში ?

- მაღალი

- საშუალო
- დაბალი
- საერთოდ არ მაქვს

მაღალი	15
საშუალო	140
დაბალი	175
საერთოდ არ მაქვს	20
სულ	350

4.11. თქვენი აზრით, სოციალური პარტნიორობა საკმარისად წარმოადგენს თქვენს ინტერესებს?

- დიახ
- ნაწილობრივ
- არა
- არ ვიცი

დიახ	15
ნაწილობრივ	135
არა	135
არ ვიცი	65
სულ	350

4.12. როგორ შეაფასებთ პროფკავშირების გავლენას შრომის პოლიტიკაზე?

- მაღალი
- საშუალო
- დაბალი
- არ ვიცი

მაღალი	10
საშუალო	105
დაბალი	220
არ ვიცი	15
სულ	350

4.13. ენდობით თუ არა სახელმწიფოს შრომის და დასაქმების პოლიტიკის მართვაში?

- დიახ
- ნაწილობრივ
- არა

დიახ	20
ნაწილობრივ	100
არა	230
სულ	350

4.14. როგორ ფიქრობთ დასაქმებულებს აქვთ ხმა შრომის და დასაქმების პოლიტიკის მართვაში?

- აქვთ
- ზოგჯერ
- პრაქტიკულად არ აქვთ
- არ ვიცი

აქვთ	25
ზოგჯერ	60
პრაქტიკულად არ აქვთ	245
არ ვიცი	20
სულ	350

4.15. ფიქრობთ, რომ საჭიროა საზოგადოების მეტად ჩართვა შრომის პოლიტიკის განსაზღვრაში?

- დიახ
- არა
- არ ვიცი

დიახ	350
სულ	350

V. მონაწილეობა და ჩართულობა

5.1. მიგიდიათ თუ არა მონაწილეობა შრომით ან ეკონომიკურ საკითხებზე საჯარო განხილვაში?

- დიახ
- არა

დიახ	295
არა	55
სულ	350

5.2. თუ კი, რა ფორმით?

5.3. თუ არა, რატომ ? რა მიზეზით?

- არ მაქვს ინფორმაცია
- არ მჯერა შედეგის
- არ მაქვს დრო
- არ ვგრძნობ თავს საკმარისად კომპეტენტურად

5.4.გსურთ, მომავალში იყოთ ჩართული მსგავს პროცესებში?

- დიახ
- არა
- არ ვიცი

დიახ	270
არა	10
არ ვიცი	70
სულ	350

5.5.გსმენიათ თუ არა შრომის ან ეკონომიკური უფლებების შესახებ რაიმე საინფორმაციო კამპანიაზე?

- დიახ
- არა

დიახ	160
არა	190
სულ	350

5.6. რამდენად საჭიროდ მიგაჩნიათ სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის?

- ძალიან საჭიროა
- ნაწილობრივ
- არ ვიცი

ძალიან საჭიროა	315
ნაწილობრივ	10
არ ვიცი	25
სულ	350

5.7.რამდენად მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეები მონაწილეობდნენ სოციალური პარტნიორობის პროცესში?

- ძალიან მნიშვნელოვანია
- მნიშვნელოვანია
- საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი

ძალიან მნიშვნელოვანია	295
მნიშვნელოვანია	50
საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი	5
სულ	350

5.8. როგორი ფორმატით გირჩევნიათ ჩართვა შრომის/ეკონომიკური პოლიტიკის განხილვაში?

(შესაძლებელია ერთზე მეტის მონიშვნა)

- ონლაინ პლატფორმა
- შეხვედრები სამსახურში
- პროფკავშირები
- არასამთავრობო ორგანიზაციები
- ტელევიზია/მედია

5.9. რომელი წყაროდან გასურთ მეტი ინფორმაციის მიღება შრომით და ეკონომიკურ საკითხებზე?

- სახელმწიფო
- პროფკავშირები
- NGO-ები
- მედია

5.10. იყავით თუ არა ოდესმე პროფკავშირის წევრი?

- დიახ
- არა

დიახ	140
არა	210
სულ	350

5.11. თუ არა, გიფიქრიათ ოდესმე პროფესიულ კავშირში გაწევრიანებაზე?

- დიახ
- არა

დიახ	135
არა	125
სულ	350

5.12. გსურთ თუ არა ორგანიზებულად გამოხატოთ თქვენი ინტერესები?

- დიახ
- არა

დიახ	310
არა	40
სულ	350

VI. რეკომენდაციები და მოსაზრებები

6.1. რა საკითხებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება სოციალური პარტნიორობის ფარგლებში?

(შესაძლებელია ერთზე მეტის მონიშვნა)

- შრომითი უფლებები
- დასაქმება
- განათლება
- სოციალური მომსახურება
- ჯანმრთელობა
- სხვა:

6.2.რა არის ყველაზე დიდი ბარიერი ეფექტური სოციალური პარტნიორობისთვის საქართველოში?

(გთხოვთ გამოთქვათ თქვენი მოსაზრება ნარატიულად 2- 3 წინადადებით)

6.3.რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას სოციალური პარტნიორობის გასაძლიერებლად?

(გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი რეკომენდაციები ნარატიულად 2- 3 წინადადებით)